

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პედაგოგიური ფაკულტეტი

სოფიო ფანჩულიძე

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შიხედულებები

დისერტაცია

განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
სპეციალობა: პედაგოგიკის თეორია და ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
განათლების მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი, სრული პროფესორი იმერი ბასილაძე

ქუთაისი-2013

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I. დიმიტრი უზნაძე, როგორც პედაგოგი, ფსიქოლოგი და სასკოლო საქმის რეფორმატორი.....	16
§ 1. დიმიტრი უზნაძის საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა	16
§ 2. დიმიტრი უზნაძის მსოფლმხედველობა და პედაგოგიკური მრწამსი	21
§ 3. ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთობის პრობლემა	24
§ 4. დიმიტრი უზნაძე ექსპერიმენტული პედაგოგიკის მკვლევარი	36
§ 5. დიმიტრი უზნაძე საქართველოში სასკოლო სისტემის რეფორმატორი	41
თავი II. დიმიტრი უზნაძის შეხედულებანი აღზრდის სწავლებისა და განათლების საკითხებზე	47
§ 1. დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, განვითარებისა და პედაგოგიკის ცნების შესახებ	47
§ 2. პედაგოგიკა, როგორც ხელოვნება დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში	52
§ 3. აღზრდის მიზნები და ამოცანები დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში	57
§ 4. სკოლის მიზანი და პრინციპები – „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდა	68
§ 5. მემკვიდრეობის, გარემოსა და აღზრდის როლი დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში	73
§ 6. სწავლების დიდაქტიკური პრინციპები	83
§ 7. დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები და მათი აგების პედაგოგიკური საფუძვლები	95
§ 8. დიმიტრი უზნაძე და ახალი პედაგოგიკური იდეების გავრცელება საქართველოში	104
§ 9. სამოქალაქო აღზრდა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, შეგნებული დისციპლინისა და ნებისყოფის აღზრდა	110
§ 10. მასწავლებლის პროფესიული თავისებურებანი	119
§ 11. დედაენა, როგორც სწავლა–აღზრდის საფუძველი	128

§ 12. დიმიტრი უზნაძის თეორია თამაშის, როგორც ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმის შესახებ და მისი მნიშვნელობა განათლების სისტემის განვითარების დღევანდელ ეტაპზე	133
§ 13. დიმიტრი უზნაძე სწავლის ცნების შინაარსისა და მოსწავლის განვითარებაში პედაგოგიურად ორგანიზებული ფორმით მიმდინარე სწავლება-სწავლის როლის შესახებ.....	146
§ 14. მშობელთა პედაგოგიური აღზრდის საკითხები	158
თავი III. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური მემკვიდრეობის როლი თანამედროვე განათლების სისტემის განვითარებაში	162
§1. შეფასების სისტემა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში და თანამედროვეობა	162
§ 2. დ. უზნაძის განწყობის თეორია და პედაგოგიკა	166
§ 3. აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტული პედაგოგიკა	172
§ 4. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობა	176
დასკვნები	179
გამოყენებული ლიტერატურა	185

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე პედაგოგიკის ისტორიაში დამკვიდრდა ტენდენცია, რომ იმ მკვლევართა და პედაგოგთა მეცნიერული შეხედულებები, რომლებმაც მეცნიერებაში რევოლუციური გარდაქმნები მოახდინეს და განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს დარგის განვითარებაში, აღარ უნდა გადაიხედოს და თანამედროვე მოთხოვნებიდან არ უნდა იქნეს შესწავლილი.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი, ეძღვნება, სწორედ დიდი პედაგოგისა და ფსიქოლოგის, ღირსეული მამულიშვილისა და მეცნიერის, აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ კონცეფციას.

მან თავის სამეცნიერო და პედაგოგიკურ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა პედაგოგიკის სფეროსთან დაკავშირებული მეცნიერული თემატიკისადმი, რომელსაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა. ამ ნაშრომებში დასმული და განხილული საკითხები დღესაც აქტუალურია და მათ გათვალისწინებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია განათლების განვითარების დღევანდელ ეტაპზე.

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებების შესახებ პირველი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეკუთვნის პროფესორ ტიტე სარიშვილს. მან 1956 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში“. მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები გამოაქვეყნეს ასევე: ნადეჟდა ბერულავამ (დიმიტრი უზნაძე, ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1967. ალექსანდრე ფრანგიშვილმა (დიმიტრი ნიკოლოზის-ძე უზნაძე, 1886-1950.), ოთარ გიორგაძემ (დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია და პედაგოგიკა, თბ. 1988).

XX საუკუნის 80-90-იან წლებში ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ 1980 წლის № 1, 2, 1981 წლის №1 და 1990 წლის № 5 ნომრებში გამოქვეყნდა დიმიტრი უზნაძის შრომები: „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“, „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“, „სასწავლებლის ორგანიზაციის შესახებ“ და „სკოლის რეფორმების შესახებ“. მათში პედაგოგიკის თეორიის მკვლევრები ახლებურად იაზრებენ და ხედავენ რამდენად

თანამედროვე უზნადის პედაგოგიკური კონცეფცია, რომელიც მან ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 25 – 30 წლის ასაკში.

დიმიტრი უზნადის პედაგოგიკური კონცეფციების განხილვა დღესაც გრძელდება. 2005 წელს პროფესორ ზურაბ ცუცქერიძის რედაქტორობითა და კომენტარებით გამოქვეყნდა დიმიტრი უზნადის პედაგოგიკური თხზულებანი. 2006 წელს პროფესორ ლელა თავდგირიძის სტატია - „დიმიტრი უზნაძე და საუნივერსიტეტო განათლება“. 2008 წელს პროფესორ ომარ ნიშნიანიძის სტატია - „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოთა პირველი ქართველი ავტორები“, ხოლო პროფესორმა იური ბიბილეიშვილმა 2011 წელს გამოცემულ წიგნში-„პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ სპეციალური პარაგრაფი მიუძღვნა დიმიტრი უზნადის პედაგოგიკურ შეხედულებებს, რომელშიც თანამედროვე პოზიციებიდან წარმოაჩინა მისი პედაგოგიური კონცეფცია.

მონოგრაფიაში-„დიმიტრი უზნაძე, ცხოვრება და შემოქმედება“ ნადეჟდა ბერულავამ გაანალიზა რა დიმიტრი უზნადის აღზრდის პედაგოგიკური კონცეფცია, კრიტერიუმები გამოჰყო ოთხი მთავარი კრიტერიუმი:

1. აღზრდა, როგორც სოციალური მოვლენა, რომელიც მოტივირებულია სოციალური ნორმებით, პოლიტიკური, ეთიკურ-ესთეტიკური და ეკონომიკურ-კულტურული მოთხოვნებით;

2. აღზრდის თეორია აღზრდის სისტემას წარმართავს ცხოვრების აზრის შესატყვისად;

3. აღზრდის თეორია უნდა დაეყრდნოს ბავშვის ფსიქოლოგიას და თავის სისტემა შეუფარდოს მას;

4. აღზრდის სისტემა ემყარება პედაგოგიური პროცესის შინაგან რიტმს.

ჩვენ ვეთანხმებით ნადეჟდა ბერულავას ხედვას, მაგრამ, თუ ღრმად ჩავწვდებით და დღევანდელი გადასახედიდან ახლებურად გავიაზრებთ დიმიტრი უზნადის შეხედულებებს, სწავლებისა და აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით დავამატებთ რამდენიმე კრიტერიუმს:

1. აღზრდის მიზანი „იდეალური ინდივიდის შემუშავებაა“.

2. აღზრდის პროცესმა, უწინარეს ყოვლისა, პიროვნების სათანადო განწყობის შექმნა უნდა უზრუნველყოს;

3. პედაგოგიური პროცესის ძირითადი დანიშნულება მტკიცე ნებისყოფისა და აქტიური ხასიათის აღზრდაში მდგომარეობს;

4. მშობელთა პედაგოგიური განათლების დანერგვის აუცილებლობა და ორგანიზაცია;

5. სამოქალაქო განათლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის დანერგვა;

6. უნიშნო სწავლების შემოღება;

7. თამაშით სწავლებისა და აღზრდის მნიშვნელობა განათლების სისტემის განვითარების დღევანდელ ეტაპზე;

8. ინდივიდის აქტივობისა და განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები ერთიანი გაუნაწევრებელი მთლიანობის დიფერენციაციით მიღებული კომპონენტებია და ერთმანეთს ბუნებრივად შეესატყვისებინ (კონციდენციის თეორია);

9. პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება და ხელოვნება. მასწავლებლის პროფესიული თავისებურებები;

10. ახალი ორიგინალური საგანმანათლებლო სისტემის შექმნა და მისი დანერგვის მცდელობა.

ყოველი კონკრეტული ადამიანი თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გარკვეულ ისტორიულ დროსა და გარემოში ატარებს. სრულყოფილად რომ მოხდეს დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებების კვლევა, მიზანშეწონილად ჩავთვალებთ გაგვეანალიზებინა იმდროინდელი განათლების სიტემა და ახალი პედაგოგიკური იდეების გავრცელებისა და დანერგვის გზები და საშუალებები მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, საჭიროდ ჩავთვალებთ, რომ მეცნიერული კვლევა-ძიება ჩაგვეტარებინა შემდეგი მიმართულებით:

1. მოვიძიეთ და გავაანალიზეთ ახალი სკოლის პედაგოგიური განვითარების ტენდენციები, აქტიური მეთოდიკა და მისი პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები;

2. გავაანალიზეთ დიმიტრი უზნაძის შეხედულებები ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებთან დაკავშირებით;
3. თანამედროვე კუთხით მოვახდინეთ შესწავლა აღზრდის მიზნის, საგანისა და ამოცანების უზნაძისეული კონცეფციისა;
4. წარმოვაჩინეთ ცოდნის შემოწმება-შეფასების პრობლემატიკა;
5. გავაანალიზეთ და ვაჩვენეთ ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების ერთობლივი ქმედების როლი პიროვნების აღზრდაში;
6. მოვიკვლიეთ და გავაანალიზეთ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის პრობლემები სწავლებისა და აღზრდის პროცესში;
7. ჩამოვაყალიბეთ უზნაძისეული ხედვა სწავლების დიდაქტიკურ პრინციპებთან დაკავშირებით;
8. შევისწავლეთ დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები და ვაჩვენეთ მათი როლი და მნიშვნელობა, როგორც ქართულ ენაზე პირველად გამოცემული ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებისა, ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების განვითარებაში;
9. შევისწავლეთ განწყობის თეორიის პედაგოგიური საფუძვლები და მისი გამოყენება სწავლების პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომში ასახული მეცნიერული გამოკვლევები და მიღებული რეკომენდაციები გამდიდრებულია აღზრდის პრობლემების ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიკური ასპექტებით. ბევრი აღმზრდელობითი და სასწავლო პრობლემა ახლებურად არის ახსნილი და მისი გადაწყვეტის რაციონალური გზებია მოძებნილი. ყველა ეს ძიება მიმართულია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულყოფისა და იდეალური ინდივიდის აღზრდის პრობლემების გაუმჯობესებისაკენ, წარმოადგენს აქტუალურს და გააჩნია მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიისათვის. ამ თვალსაზრისით, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მემკვიდრეობა კვლავ ინარჩუნებს მნიშვნელობას თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის რეფორმისას.

კვლევის მიზანია 1. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფციის პრინციპების კვლევა, რომელიც ეფუძნება მის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებსა და გამოქვეყნებულ შრომებს; 2. დიმიტრი უზნაძის როლი ახალი ქართული პედაგოგიკური სკოლის დაფუძნებაში; 3. დიმიტრი უზნაძის როლი მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის საქმეში; 4. განწყობის თეორიის პედაგოგიური საფუძვლები და მისი გამოყენება სწავლების პროცესში.

კვლევის საგანს შეადგენს დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებების მეცნიერული ანალიზი. თუ რა როლი შეასრულა მისმა კონცეპტუალურმა, თანამედროვე მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე დაფუძნებულმა პედაგოგიკურმა სისტემამ (იდეალური ინდივიდის, აქტიური პიროვნების აღზრდა) ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში. მათგან სადღეისოდ მისაღები სწავლებისა და აღზრდის პრინციპების გამოყოფა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში გავრცელებული ახალი პედაგოგიკური იდეების, სისტემების ფსიქოლოგიური და მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევა.

გავეცანით და კრიტიკულად გავაანალიზეთ პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო პედაგოგიკური, ფსიქოლოგიური და მეთოდიკური ლიტერატურა. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საჭიროა მომავალ მასწავლებლებს და თანამედროვე პედაგოგებს ახლებური გააზრებით მივაწოდოთ დიმიტრი უზნაძის შეხედულებები სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე, რადგან მისი პედაგოგიკური კონცეფცია მეცნიერული აზრის მძლავრი გენერატორია, რომელიც ყოველთვის გვამღევეს საშუალებას ვიფიქროთ უკეთესი რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ახლებურად თანამედროვე საგანმანათლებლო პრინციპებიდან გამომდინარე განხილული და გაანალიზებულია დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებები. კერძოდ: 1. მეცნიერული ანალიზი ჩავუტარეთ მის მიერ გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, მათი აგების მეთოდიკურ პრინციპებს; 2. გაანალიზებულია

პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის პრობლემა. ფსიქოლოგიზმის უზნაძისეული ფორმით შემოტანამ პედაგოგიკაში კი არ დააზარალა ეს უკანასკნელი, კვლევის საგანში კი არ შეეცილა მას, არამედ გაამდიდრა მისი არსენალი იმით, რომ ბევრი აღმზრდელობითი თუ სასწავლო პრობლემა ახლებურად ახსნა და მისი გადაწყვეტის რაციონალური გზები მოიძია; 3. კვლევის შედეგად დადგენილია მშობელთა პედაგოგიკური განათლების აუცილებლობა(მშობელთა უნივერსიტეტის ან მშობელთა კლუბების დაარსებით); 4. ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ განწყობის თეორიის პრინციპები სწავლების პროცესში.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგების გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოში განათლების სისტემის სრულყოფას. დაეხმარება საჯარო და უმაღლესი სკოლების მასწავლებლებს, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სახლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობის ამაღლების, იდეალური ინდივიდის, აქტიური პიროვნების აღზრდის საქმეში. თანდათანობით აღმოიფხვრება მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის არსებული პრობლემები. მოიხსნება დღეს არსებული წინააღმდეგობა სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის.

ჰიპოთეზა. ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური კონცეფცია სახავს აქტიური სუბიექტის კონკრეტული მეცნიერული კვლევის საგნად გადაქცევის საშუალებებს, განწყობის ცნების შემოტანით. იგი ძირეულად გარდაქმნის და აუმჯობესებს სკოლაში „ახალი ტიპის ქართველის“- აქტიური პიროვნების აღზრდის პრინციპებსა და ამოცანებს. სკოლებში მხოლოდ სწავლება კი არ უნდა მიმდინარეობდეს, არამედ აღმზრდელობითი მუშაობაც; კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სწავლების პრინციპულად ახალი ხერხების მონახვა მეტად სასარგებლო იქნება სკოლაში სწავლების თანამედროვე აქტიური მეთოდების დანერგვის კუთხით. მასწავლებლებს გაუძლიერდებათ სწრაფვა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის გზების შემოქმედებითი ძიებისკენ.

ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდები და ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძვლები: 1. დიმიტრი უზნაძის შესახებ არსებული ლიტერატურის შესწავლა-

განალიზება; 2. დაკვირვება; 3. ინტერვიუ მშობლებთან; 4. პედაგოგიკის კლასიკოსთა, განმანათლებელთა შეხედულებანი სწავლების, აღზრდის, ეროვნული სკოლის და საერთოდ პედაგოგიკის ისტორიის საკითხებზე; 5. ქართული პედაგოგიკური აზროვნების წარმომადგენელთა მდიდარი მემკვიდრეობა და პროგრესული პედაგოგიური იდეები.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია. დისერტაციაში განხილულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვდიოდით საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიკურ კონფერენციებზე. გამოკვლევის შედეგები სისტემატურად ეცნობოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტთან არსებულ სამეცნიერო სემინარს, ხოლო დასრულებული ნაშრომი რეცენზირებულ და შეფასებულ იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის მიერ.

დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები:

1. დიმიტრი უზნაძე არის სწავლა-აღზრდის ახალი ფილოსოფიურ-პედაგოგიკური პრინციპების ფუძემდებელი საქართველოში;
2. მან პირველმა წამოაყენა აღზრდის მიზნის ორიგინალური დეფინიცია-„იდეალური ინდივიდის შემუშავება“.
3. იაკობ გოგებაშვილის შემდეგ მან ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში შემოიტანა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის იდეა.
4. დ. უზნაძემ საქართველოში განავითარა და პრაქტიკულად განახორციელა მშობლიურ ენაზე ზოგადი განათლების (ნაციონალური აღზრდის) მოწყობის იდეა.
5. მან პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა სწავლებისა და აღზრდის პროცესში ბავშვთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების მოთხოვნილება.
6. დიმიტრი უზნაძემ საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა მეცნიერულად დაასაბუთა სასწავლო დისციპლინების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების განვითარებაში.

7. მან პირველმა პედაგოგიური პროცესის ანალიზის საფუძველზე გაანალიზა აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არსებული წინააღმდეგობა, რასაც „აღზრდის ტრაგედია“ უწოდა და ეს ანალიზი საჭირობოროტო ხდება დღესაც. ამ წინააღმდეგობის გადალახვაში იგი მნიშვნელოვან როლს აკისრებს მასწავლებელს;

8. დიმიტრი უზნაძემ, როგორც სკოლის დირექტორმა, პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა სასწავლო პროცესიდან ციფრებით შეფასების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია.

9. შექმნა „განწყობის თეორია“ და მისი სასწავლო პროცესში დანერგვის-კონცეფცია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

ა. შეუქმნას მოსწავლეს დადებითი განწყობა;

ბ. მოარგოს მასალა მოსწავლის განწყობას/აქტუალური დონე + წინსვლა/;

გ. შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს;

დ. აქცენტი არ უნდა გაკეთდეს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე; აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა.

10. მან პირველმა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში დასვა საკითხი მშობელთა პედაგოგიური მომზადებისა და აღზრდის შესახებ.

11. დიმიტრი უზნაძის არაერთი მოსაზრების რეალიზაცია დღესაც სასარგებლოა საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის პირობებში.

კვლევის ეტაპები. 1. ფსიქოლოგიური, პედაგოგიკური და მეთოდიკური ხასიათის ლიტერატურის პირველადი დამუშავება, ბიბლიოგრაფიის შედგენა, კვლევის ამოცანებისა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება; 2. მეცნიერული ლიტერატურის ანალიზური დამუშავება. რესპონდენტებთან მუშაობის კვლევის მეთოდების შერჩევა და თეორიული პრინციპების ჩამოყალიბება; 3. კვლევის მეთოდების რეალიზაცია, შემოწმება და არგუმენტირება; 4. კვლევის შედეგად დაგროვილი მასალის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური ანალიზი. დისერტაციის გაფორმება.

კვლევის შედეგები:

1. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ შეხედულებებს შეუძლია ახალ პროგრესულ რელსებზე დაყენოს ქართული პედაგოგიკური აზროვნება;
2. სასკოლო სახელმძღვანელო წიგნების შექმნის პროცესში გასათვალისწინებელია მათი აგების მეცნიერულად აპრობირებული უზნაძისეული პედაგოგიკური, ფსიქოლოგიური და მეთოდიკური პრინციპები;
3. აუცილებელია მოსწავლეთა თვითმმართველობების უზნაძისეული კონცეფციის შემოტანა და დანერგვა საქართველოს სკოლებში;
4. საჭიროა დიმიტრი უზნაძის სწავლა-აღზრდის პრინციპების დანერგვა თანამედროვე სკოლაში; ბავშვთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება.
5. პრაქტიკულად შესაძლებელია განხრციელდეს სწავლებისა და აღზრდის პროცესში „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის (ნაციონალური აღზრდის მოწყობის) იდეა.
6. ახლებურად უნდა წარმოჩნდეს ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში შრომითი აღზრდის პრინციპები;
7. შეუქმნათ მოსწავლეს დადებითი განწყობა;
8. მოვარგოთ მასალა მოსწავლის განწყობას/აქტუალური დონე + წინსვლა/;
9. შევქმნათ მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს;
10. ნუ გააკეთებთ აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე; აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა;
11. აუცილებელია მშობელთა პედაგოგიური მომზადება;
12. შეგნებული დისციპლინისა და ნებისყოფის აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის საქმეში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, საერთო დასკვნებს, გამოყენებული ლიტერატურის სიას. შესავალში

დასაბუთებულია სადისერტაციო თემის შერჩევის მიზანი და ამოცანები, გამოკვლეულია მისი აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, განსაზღვრულია პრობლემა, მითითებულია გამოკვლევის ზოგადი ამოცანები და მეთოდები, ჩამოყალიბებულია ძირითადი მეთოდები.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომის **სტრუქტურა** ასეთია:

შესავალი

თავი I.

დიმიტრი უზნაძე, როგორც პედაგოგი, ფსიქოლოგი და სასკოლო საქმის რეფორმატორი

- § 1. დიმიტრი უზნაძის საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა
- § 2. დიმიტრი უზნაძის მსოფლმხედველობა და პედაგოგიური მრწამსი
- § 3. ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთობის პრობლემა
- § 4. დიმიტრი უზნაძე- ექსპერიმენტული პედაგოგიკის მკვლევარი
- § 5. დიმიტრი უზნაძე- საქართველოში სასკოლო სისტემის რეფორმატორი

თავი II.

დიმიტრი უზნაძის შეხედულებანი აღზრდის სწავლებისა და განათლების საკითხებზე

- § 1. დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, განვითარებისა და პედაგოგიკის ცნების შესახებ
- § 2. პედაგოგიკა, როგორც ხელოვნება დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში
- § 3. აღზრდის მიზნები და ამოცანები დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში
- § 4. სკოლის მიზანი და პრინციპები–„ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდა
- § 5. მემკვიდრეობის, გარემოსა და აღზრდის როლი დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში
- § 6. სწავლების დიდაქტიკური პრინციპები
- § 7. დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები და მათი აგების პედაგოგიკური საფუძვლები

§ 8. დიმიტრი უზნაძე და ახალი პედაგოგიკური იდეების გავრცელება საქართველოში

§ 9. სამოქალაქო აღზრდა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, შეგნებული დისციპლინისა და ნებისყოფის აღზრდა

§ 10. მასწავლებლის პროფესიული თავისებურებანი

§ 11. დედაენა, როგორც სწავლა–აღზრდის საფუძველი

§ 12. დიმიტრი უზნაძის თეორია თამაშის, როგორც ბავშვის ქცევის, წამყვანი ფორმის შესახებ და მისი მნიშვნელობა განათლების სისტემის განვითარების დღევანდელ ეტაპზე

§ 13. დიმიტრი უზნაძე სწავლის ცნების შინაარსისა და მოსწავლის განვითარებაში პედაგოგიურად ორგანიზებული ფორმით მიმდინარე სწავლება-სწავლის როლის შესახებ

§ 14. მშობელთა პედაგოგიური აღზრდის საკითხები უზნაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში

თავი III.

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური მემკვიდრეობის როლი თანამედროვე განათლების სისტემის განვითარებაში

§1. შეფასების სისტემა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში.

§ 2. უზნაძის განწყობის თეორია და პედაგოგიკა

§ 3. აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტული პედაგოგიკა

§ 4. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობა დასკვნები

გამოყენებული ლიტერატურა

სადისერტაციო თემის გარშემო გამოქვეყნებული შრომები:

1. ასოციალური მოთხოვნები და დანაშაულებრივი ქცევა, საქართველოს მეცნიერებისა და განვითარების ფონდი „ინტელექტი“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი № 1(24), თბილისი, 2006 წელი;

2. გეორგ კერშენშტაინერი და მეოცე საუკუნის 10-იანი წლების ქართული პედაგოგიკური აზროვნება, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი-ჟურნალი „ენა და კულტურა“ № 4, ქუთაისი, 2010 წელი;

3. დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები და მათი აგების პედაგოგიკური საფუძვლები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიური ფაკულტეტი, III საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომები, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, ქუთაისი, 2012 წელი;

4. ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთობის პრობლემა დიმიტრი უზნაძის ნაშრომში-„ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შესავალი“, საქართველოს მეცნიერებისა და განვითარების ფონდი „ინტელექტი“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი № 2(43), თბილისი, 2012 წელი;

5. ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთობის პრობლემა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიაში, საქართველოს მეცნიერებისა და განვითარების ფონდი „ინტელექტი“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი № 2(43), თბილისი, 2012 წელი;

6. აღზრდის მიზნები და ამოცანები დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში, საქართველოს მეცნიერებისა და განვითარების ფონდი „ინტელექტი“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი № 2(43), თბილისი, 2012 წელი.

თავი I. დიმიტრი უზნაძე, როგორც პედაგოგი, ფსიქოლოგი და სასკოლო საქმის რეფორმატორი

§ 1. დიმიტრი უზნაძის საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა

გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგისა და პედაგოგის დიმიტრი უზნაძის სახელი ფართოდაა ცნობილი ფსიქოლოგთა და პედაგოგთა შორის. თავისი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობით მან დიდი გავლენა მოახდინა ფსიქოლოგიური და პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაზე.

დიმიტრი უზნაძემ შექმნა ფსიქოლოგიური მეცნიერების ორიგინალური მიმართულება, განწყობის თეორია, რომელმაც აღიარება პოვა როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მან განსაკუთრებული როლი შეასრულა, აგრეთვე, ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში როგორც პრაქტიკულ–პედაგოგიური, ისე თეორიული საქმიანობით. იგი არის საქართველოში ექსპერიმენტული პედაგოგიკის ფუძემდებელი. მან ჩამოაყალიბა ორიგინალური იდეები პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების არსისა და განვითარების შესახებ. მისი პედაგოგიური იდეები ეხმიანება დღევანდელობას და ის იდეები, რომელსაც დიმიტრი უზნაძე ქადაგებდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჩვენი აზრით, დღეს სკოლის რეფორმის ერთ-ერთ დასაყრდენ ძალად იქცა. განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი განწყობის თეორიისა და ექსპერიმენტული პედაგოგიკის მიმართ. მისი პედაგოგიკური შეხედულებები დღესაც განიცდის განვითარებას და სულ უფრო მეტ როლს იძენს ჩვენი სასკოლო ცხოვრების თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

დიმიტრი უზნაძე დაიბადა 1886 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში. 1896 წელს შეიყვანეს ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, სადაც თავიდანვე გამოირჩეოდა, როგორც ბეჯითი და ნიჭიერი მოწაფე.

1905 წელს დიმიტრი უზნაძე ოჯახმა გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში. იგი შევიდა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც იმ დროს მოღვაწეობდა მეცნიერული ფსიქოლოგიის ფუძემდებელი ვილჰელმ ვუნდტი. დიმიტრი უზნაძემ მუშაობა გააგრძელა ფსიქოლოგიის განხრით ვუნდტის

ლაბორატორიაში. 1907 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მას ლაიბნიცის ფილოსოფიის შესახებ მიძღვნილ ნაშრომში პრემია მიანიჭა. 1909 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სოლოვიოვის ფილოსოფიის შესახებ შესრულებული ნაშრომისათვის მას ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიენიჭა.

1909 წელს დიმიტრი უზნაძე დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო ქუთაისის გიმნაზიაში ისტორიის მასწავლებლად. მაშინ რუსეთში საზღვარგარეთ მიღებული უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ოფიციალურ საბუთად არ ითვლებოდა, ამიტომ უზნაძემ 1910 წელს ექსტერნის წესით დაიწყო გამოცდების ჩაბარება ხარკოვის უნივერსიტეტში ისტორია – ფილოსოფიის ფაკულტეტზე. აღნიშნული სასწავლებელი დაამთავრა 1913 წელს.

1909 წლიდან 1916 წლამდე დიმიტრი უზნაძე ქუთაისში ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ, პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას.

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მოღვაწეობა ორი მხრივ არის აღსანიშნავი. იგი მეცნიერულ–პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ისტორიისა და პედაგოგიკის დარგში. როგორც ისტორიის მასწავლებელმა, მან მიზნად დაისახა გიმნაზიის მოსწავლეებისათვის შეექმნა ისტორიის სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, რომლის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ მაშინდელი ქართული სასწავლებლები. დიმიტრი უზნაძემ გამოაქვეყნა სახელმძღვანელოები: „პირველყოფილი კულტურა“, „ძველი აღმოსავლეთი“, „ძველი და ახალი ისტორია“. აღნიშნული წიგნები ფაქტობრივად იყო ქართულ ენაზე შექმნილი პირველი სერიოზული ისტორიის სახელმძღვანელოები, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს მაშინდელი ახალგაზრდობის განათლების საქმეში.

1915 წელს ქუთაისში დაარსდა ქართული სკოლა - „სინათლე,“ რომლის დირექტორად დიმიტრი უზნაძე დაინიშნა. ქართული საზოგადოების არჩევანი იმან განაპირობა, რომ ისტორიის საკითხების პარალელურად იგი იკვლევდა პედაგოგიკის პრობლემებსაც. იმ დროისათვის უზნაძეს გამოაქვეყნებული ჰქონდა წერილები ექსპერიმენტული პედაგოგიკის სფეროში. მისი სტატიები: „აღზრდის მიზნები“, „ნაწყვეტები ექსპერიმენტული პედაგოგიკიდან“, წიგნი-„ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“ ეხებოდა სწავლისა და აღზრდის საკითხებს. ხსენებულ

ნაშრომებში მოცემულია პედაგოგიური ზემოქმედების ბუნების დახასიათება, რომლის პროცესში მასწავლებელი ბავშვს უყალიბებს ცოდნას სინამდვილის შესახებ, უმუშავეს ისეთ ფსიქიკურ უნარს, როგორცაა ყურადღება მახსიერება, აზროვნება, ინტერესები და სხვა. გარდა ამისა, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, აღზრდის პროცესში მასწავლებელმა მოსწავლეში უნდა ჩამოაყალიბოს პიროვნება, რომელიც თავისი ერისა და საზოგადოების ორიენტაციებით იქნება აღჭურვილი.

1915 წელს დიმიტრი უზნაძემ გამოაქვეყნა „პედაგოგიური წერილების“ სერია, რომელშიც უკვე ჩანდა მისი მომავალი ფსიქოლოგიური თეორიის საწყისები. ამ შრომების მიხედვით, სწავლებისა და აღზრდის პროცესი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის შინაგანი, პიროვნული აქტივობის განვითარებას, რაც მის მოქალაქეობრივ სახეს განსაზღვრავს.

1909–1920 წლებში მან გამოაქვეყნა საინტერსო წერილები ესთეტიკის, ფილოსოფიისა და ხელოვნების საკითხებზე: „ანდრეევის ანათემა“, „ნ. ბარათაშვილის ლირიკის მოტივები“, „განდგომილობის პრობლემა ი. ჭავჭავაძის განდევილში“, „აბაშელის პოეზია“. მათში ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განხილულია ფილოსოფიისა და ხელოვნების საკითხები.

1917 წლიდან დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობაში ახალი პერიოდი დაიწყო. იგი საცხოვრებლად გადადის თბილისში და მონაწილეობას იღებს ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. 1918 წელს მისი ხელმძღვანელობით დაარსდა ფსიქოლოგიის კათედრა და ფსიქოლოგიური ლაბორატორია. ამავე პერიოდში მუშაობდა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად, რომელიც მალე უნივერსიტეტის ფარგლებში შევიდა. მიჰყავდა სალექციო კურსები ზოგად ფსიქოლოგიაში, პედაგოგიურ და შრომის ფსიქოლოგიაში.

განსაკუთრებული როლი საქართველოში ფსიქოლოგიის განვითარებისათვის შეასრულა დ.უზნაძის ზოგადფსიქოლოგიურმა მონოგრაფიამ-„ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც 1925 წელს გამოიცა. ამ ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში პირველად ქართულ ენაზე დალაგებული იყო ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემები და ისინი ერთიანი ფსიქოლოგიურ - თეორიული თვალსაზრისით იყო განხილული. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური

თეორიის გარკვეული პრინციპები უკვე ამ შრომაში იყო მოცემული, მაგრამ განწყობის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებისათვის ჯერ კიდევ საჭირო იყო არსებითი მეთოდოლოგიური ძვრები, რომლებიც შემდგომი თეორიული და ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე მოხდა.

1927 წელს დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით საქართველოში დაარსდა ფსიქოლოგთა საზოგადოება, რომელსაც იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. აქედან მოყოლებული იგი თავის თანამშრომლებთან ერთად ატარებდა ექსპერიმენტულ გამოკვლევებს, რომელთა საფუძველზე დადგინდა განწყობის მთლიანპიროვნული ბუნება, რომლის ფორმირება და მოქმედება თურმე სპეციფიკურ კანონებს ექვემდებარება.

დიმიტრი უზნაძე ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად დიდ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1918 წლიდან 1950 წლამდე იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე იყო, 1923–1925 წლებში სოციალურ–ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, 1925–27 წლებში კი პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი. 1930 წლიდან 1936 წლამდე დიმიტრი უზნაძე თანამშრომლობდა ბავშვთა და მოზარდთა ჯამრთელობის დაცვის ინსტიტუტსა და ფსიქონერვოლოგიურ დავადებათა ინსტიტუტში.

1933–1940 წლებში დიმიტრი უზნაძე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრასაც ხელმძღვანელობდა. მან ქუთაისში შექმნა ფსიქოლოგიური მუშაობის საინტერესო ცენტრი, საიდანაც ქართული ფსიქოლოგია ნიჭიერ კადრს იღებდა. 1938–1940 წლებში დიდი ფსიქოლოგი ხელმძღვანელობდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრას. ამ დამაბულ საზოგადოებრივ საქმიანობას იგი კარგად უთავსებდა ექსპერიმენტულ–კვლევით მუშაობას.

1940 წელს გამოვიდა დიმიტრი უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია“, რომელშიც განზოგადებულია ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევები. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ შრომა განწყობის ფსიქოლოგიისათვის. ამ შრომებში დიმიტრი უზნაძემ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ჩამოაყალიბა. განწყობის თეორიის საფუძველზე პირველად გახდა შესაძლებელი იმ კავშირების ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლა, რაც არსებობს გარემოს, ადამიანის ქცევასა და

მისი ცნობიერების მიმდინარეობას შორის. ამავე დროს დაძლეულ იქნა უშუალო და მექანიცისტური კავშირის თეორია გარემოსა და ცნობიერებას შორის.

1941 წელს საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებისას დიმიტრი უზნაძე დამტკიცებულ იქნა აკადემიკოს – დამფუძნებლად 16 მეცნიერთან ერთად, იყო, აგრეთვე, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრეზიდიუმის წევრი. აკადემიის შემადგენლობაში თავიდანვე შეიქმნა ფსიქოლოგიური სექტორი, დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით. 1943 წელს სექტორის ბაზაზე ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორად დიმიტრი უზნაძე აირჩიეს. ინსტიტუტში დიდმა მეცნიერმა ჩამოაყალიბა ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. ის თავიდანვე ფუნდამენტური მეცნიერული პრობლემების დამუშავებაზე იყო ორიენტირებული, რომლითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო ფსიქოლოგიის განვითარებაში.

ორმოციანი წლების ბოლოსათვის დიმიტრი უზნაძემ ქართველ ფსიქოლოგთა მიერ შესრულებული ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგები განაზოგადა მონოგრაფიაში – „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა. ამ შრომაში მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა განწყობის იერარქიული თეორია, რომელშიც ადამიანის არაცნობიერი და ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის კანონზომიერებანი ერთიანი განწყობის ფსიქოლოგიის საფუძველზეა განხილული.

დიმიტრი უზნაძემ შექმნა არაერთი სახელმძღვანელო: „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (1925), „ზოგადი ფსიქოლოგია“ (1940), „ბავშვის ფსიქოლოგია“ (1947) და სხვ. ამ წიგნებზე ქართველ ფსიქოლოგთა მრავალი თაობა აღიზარდა.

დიმიტრი უზნაძეს ეკუთვნის სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებული მრავალი გამოკვლევა: „სახელდების ფსიქოლოგიური საკითხები“ (1923), „მნიშვნელობის წვდომის პრობლემისათვის“ (1927), „ცნების შემუშავება სკოლისწინარე ასაკში“ (1929), „პროფესიების ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანებისა და თეორიული საკითხების შესახებ“ (1933), „მოდრაობის სისწრაფის ილუზია“ (1940), „ადამიანის ქცევის ფორმები“ (1944) და მრავალი სხვა.

მისი ფსიქოლოგიური გამოკვლევები ფართოდაა გავრცელებული, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. დიმიტრი უზნაძის კვლევის ძირითად და სპეციფიკურ საგანს განწყობა შეადგენდა.

დიმიტრი უზნაძეს მსოფლიო აღიარება მოუპოვა განწყობის ფსიქოლოგიის შექმნამ. ამ თეორიის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ უცხოელი მეცნიერები. იმართება განწყობის ფსიქოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესები და სიმპოზიუმები. 1966 წელს ფსიქოლოგთა XVIII საერთაშორისო კონგრესზე გამოჩენილმა ფრანგმა ფსიქოლოგმა-ჰ. ფრესმა განაცხადა, რომ განწყობის პრობლემა თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემად მიაჩნია და აღნიშნა ის დიდი წვლილი, რომელიც ამ პრობლემის დამუშავებაში ქართველმა ფსიქოლოგებმა შეიტანეს.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, დღითიდღე პროგრესს განიცდის, ზოგიერთი თეორია ძველდება, ზოგიერთი ფსიქოლოგიური სკოლა, უბრალოდ, ინგრევა, დიმიტრი უზნაძის მოძღვრება და, განსაკუთრებით, დიდი მეცნიერის მიერ ექსპერიმენტულად დადგენილი ეგრეთ წოდებული “განწყობის თეორია” კი კვლავაც მნიშვნელოვან მიღწევად რჩება ფსიქოლოგიის ისტორიაში. “უზნაძის ეფექტის” სახელწოდებით.

დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა 1950 წელს, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომაზე, როდესაც იგი სიტყვას წარმოთქვამდა. დღეს მსოფლიოში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მისი განწყობის თეორიის დანერგვისა და გაფართოებისათვის.

§ 2. დიმიტრი უზნაძის მსოფლმხედველობა და პედაგოგიკური მრწამსი

ამ პარაგრაფში ჩვენ დაწვრილებით არ ვისაუბრებთ უზნაძის მსოფლმხედველობის შესახებ. შევეცდებით მოკლედ და სქემატურად დავახასიათოთ ის, რადგან, ჩვენი აზრით, ეს საკითხი საკმაოდ ღრმად და კარგად არის შესწავლილი.

დიმიტრი უზნაძე თავისი შემოქმედების (1909–1915) დასწყისში პრინციპულად იზიარებს მეტაფიზიკურ საფუძვლებს. იგი მეტაფიზიკურ სინამდვილეს ლოგიკურ

არგუმენტაციას არ აძლევს და არსად არ ცდილობს ჩამოაყალიბოს და გაშალოს მეტაფიზიკური სისტემა. მთავარ მეტაფიზიკურ ხაზს - „აბსოლიტური სწრაფვის იდეა“ და მეტაფიზიკის პრინციპული მიღება ქმნის. ხოლო საკუთრივ მეტაფიზიკური სინამდვილის შინაარსი არსად არ ყოფილა მის მიერ დახასიათებული და ახსნილი. ასეთ პირობებში, ე.ი. როცა მეტაფიზიკური სინამდვილის საფუძვლები და შინაარსი მოცემული არ არის, ლაპარაკი დიმიტრი უზნაძის მსოფლმხედველობის მეტაფიზიკური სისტემით შეპირობებაზე მოკლებულია საკმაო საფუძველს და უნაყოფოდ მოჩანს.

დიმიტრი უზნაძის საკვლევ პრობლემათა წრე სიცოცხლის პრობლემატიკასა და ადამიანის შემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხებია: ადამიანის აქტივობის, გარეუბნებასთან მისი ბრძოლის, მოთხოვნისა და ღირებულების, სიცოცხლის აზრისა და განვითარების, ეროვნული შემოქმედების, აღზრდის მიზნის პრობლემები, – ყველა ამ საკითხში დიმიტრი უზნაძე ემპირისტულ-პოზიტივისტურ პოზიციაზე დგას. ის არსად არ ეძებს მათ საწყისს ემპირიის გარეშე და მათი დახასიათება და დასაბუთება არ მომდინარეობს არაემპირიული სინამდვილიდან არებულ უფრო ზემდგომ ცნებებიდან. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ეს ცნებები არავითარ კავშირში არ იმყოფება სხვა არაემპირიულ სინამდვილესთან. ამიტომ მოხდა, რომ დიმიტრი უზნაძის კონცეფციას შერჩა ყველა ეს პოზიტიური დებულება იმის შემდეგაც, რაც მეტაფიზიკურ აზრთა მიმდინარეობა გავიდა მისი კონცეფციიდან.

უზნაძისეული განწყობის თეორია საფუძვლად დაედო ჩვენში გაშლილ ფართომასშტაბიან ფსიქოლოგიურ კვლევებს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ქართული ფსიქოლოგიური სკოლა, რომელმაც მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა. სამწუხაროდ, დიმიტრი უზნაძეს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც ნაკლებად იცნობენ, როგორც პედაგოგ-თეორეტიკოსს, პედაგოგ-ნოვატორს, საქართველოში ახალი პედაგოგიური სკოლის ფუძემდებელს.

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური მრწამსი ძირითადაც 1909 –1917 წლებში ყალიბდება. მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წამოაყენა ჰიპოთეზა აღზრდის მიზნისა: „იდეალური ინდივიდის შემუშავება“. აღზრდას არასოდეს არ უნდა

ჰქონდეს დასახული მიზნად ცალმხრივობა. იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის განვითარებისათვის. აღზრდის მიზანი იდეალური ინდივიდის შემუშავებაა“. აქედან გამომდინარე აღზრდის პროცესის ძირითად დანიშნულებას უზნაძე მტკიცე ნებისყოფისა და აქტიური ხასიათის აღზრდაში ხედავს. სწორედ ნებისყოფიდან გამომდინარე განიხილავს იგი აღზრდის მიზნებს და ამოცანებს. ხოლო მის პედაგოგიურ თვალსაწიერი, სასკოლო საქმის ორგანიზების ორიგინალური ხედვა და სამომავლო პერსპექტივები აშკარად გამოვლინდა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში.

განათლების რეფორმის საკითხის დასმისთანავე დიმიტრი უზნაძე დაუყოვნებლივ დადგა ერის სამსახურში და შედეგმაც არ დააყოვნა აირჩიეს რეფორმის მოსამზადებელ კომისიაში. მას კარგად ესმოდა როგორც ევროპული, ასევე ამერიკული განათლების სისტემა. საქართველო ალტერნატივის წინაშე დადგა ან უნდა უარეყო ძველი განათლების სისტემა და ახალი ორიგინალური იდეები შემოეტანა, ან და კვლავ რუსეთის იმპერიისათვის დამახასიათებელი დრომოჭმული ნასესხები სისტემა დაეტოვებინა. დიმიტრი უზნაძემ გაანალიზა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, რეალისტურად მოეკიდა საქმეს და აიღო სამოქმედო პრინციპი, ქართული სკოლის რეფორმა უნდა განხორციელდეს საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე.

დიმიტრი უზნაძემ სასკოლო რეფორმის პრობლემები, როგორც ზურაბ ცუცქერიძე აღნიშნავს, კავკასიური მასშტაბით განიხილა, რადგან კავკასიაში ახლად შექმნილ სახელმწიფოებს ერთნაირი პრობლემები ჰქონდათ განათლების დარგში, მიუხედავად მათი ისტორიული ტრადიციების განსხვავებულობისა. მან ცივილიზაციის საკაცობრიო მიღწევების საფუძველზე შექმნა ისეთი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც არ ივიწყებდა ეროვნულ ტრადიციებსა და თვითმყოფადობას. მაგრამ ამ სისტემის დანერგვა კავკასიაში ვერ მოხერხდა სრულიად გასაგებ მიზეზთა გამო. საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო კავკასიის სახელმწიფოები.

დიმიტრი უზნაძემ ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული პედაგოგიური აზროვნება, რაც გამოიკვეთა პედაგოგიური პრობლემების ახლებურ მიდგომაში.

მისი პედაგოგიური მიზანი მიმართულია პიროვნების აღზრდისა და განვითარების ობიექტურ მიზნებზე. მან დიდი გავლენა მოახდინა ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური შეხედულებები საბჭოთა განათლების სისტემამ შეასუსტა და კიდევაც განდევნა პედაგოგიკის კვლევის სფეროდან.

§ 3. ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთობის პრობლემა

დიმიტრი უზნაძე თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ყველა ეტაპზე, ცხოველ ინტერესს იჩენდა განათლების სფეროსთან დაკავშირებული მეცნიერული თემატიკისადმი, რასაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა. ამ ნაშრომებში დასმული და განხილული საკითხები დღესაც აქტუალურია და მათ გათვალისწინებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია განათლების სფეროს განვითარების დღევანდელ ეტაპზე წამოჭრილი პრობლემების მართებულად გადაწყვეტისათვის.

თეორიული პედაგოგიკის პრობლემებიდან უზნაძეს ყველაზე მეტად პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის საკითხი აინტერესებს. ეს გასაგებიცაა, რადგან უზნაძე პირველ რიგში ფსიქოლოგია და ადამიანური საქმიანობის ყოველ ფორმას, მათ შორის სწავლება-სწავლასაც, ფსიქოლოგიური კუთხით განიხილავს. მისი აზრით, მეცნიერული პედაგოგიკა მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნაზე შეიძლება იქნეს დაფუძნებული. თეზისი, რომლის მიხედვითაც, პედაგოგიკა, თეორიულიც და პრაქტიკულიც, აუცილებლად ფსიქოლოგიურ ცოდნაზე უნდა იყოს აგებული, წითელ ზოლად გასდევს განათლების პრობლემებისადმი მიძღვნილ მის მეცნიერულ შემოქმედებას (პედაგოგიური და პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური შინაარსის მქონე ნაშრომებს). ცხადია, ავტორის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე, პედაგოგიკის ფსიქოლოგიასთან კავშირის სხვადასხვა ასპექტი ხდებოდა აქტუალური. ამასთანავე, თავისებურად იცვლებოდა და ღრმავდებოდა აღნიშნული თეზისის დასაბუთების არგუმენტაციაც, მაგრამ ავტორის ძირითადი კრედო,

პედაგოგიური საქმიანობისათვის ფსიქოლოგიური ცოდნის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ, ყველა ეტაპზე უცვლელი დარჩა.

ამ პარაგრაფში შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ ასაბუთებდა უზნაძე პედაგოგიკის ფსიქოლოგიაზე დაფუძვნების აუცილებლობას თავისი პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში. ცნობილია, რომ უზნაძემ საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო როგორც ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგმა. ამდენად, მისთვის, როგორც პედაგოგიური სფეროს მუშაკისათვის, პედაგოგიური მოღვაწის მეცნიერულ-თეორიული პრობლემატიკა იმთავითვე აქტუალური გახდა. მეორეს მხრივ, საზღვარგარეთ (ლაიფციგი-გერმანია) მიღებული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განათლება მას საშუალებას აძლევს პედაგოგიკის თეორიული საფუძვლები სწორედ ამ რაკურსით (ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური კუთხით) განიხილოს და სრულიად ნოვატორული იდეები წამოაყენოს. პირველ რიგში ეს გამოიხატება პედაგოგიკური კვლევის არეალში ექსპერიმენტის შემოტანაში, რაც სრული სიახლე იყო იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა მისი სახელმძღვანელო “ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი”, რომელიც ახალგაზრდა მკვლევარმა 1912 წელს გამოსცა ქუთაისში. ეს იყო ამ ტიპის (ექსპერიმენტული პედაგოგიკის) პირველი სახელმძღვანელო რუსეთის იმპერიაში. საქმე ისაა, რომ პედაგოგიკაში ექსპერიმენტირების შესაძლებლობას იმ პერიოდის რუსეთში, რომლის შემადგენელი ნაწილი საქართველოც იყო, ფრიად სკეპტიკურად უყურებდნენ. უზნაძე იყო პირველი, ვინც აქტიურად გამოეხმაურა იმ პერიოდის ცივილიზებულ ქვეყნებში დაწყებულ პროგრესულ პედაგოგიურ მოძრაობას, რაც ნოვატორული იდეების პრაქტიკაში გამოცდასა და შედეგების განზოგადებაზე იყო ორიენტირებული¹ და თამამად განაცხადა: “მე მაინც ექსპერიმენტალური პედაგოგიკის ნერგი ავირჩიე ჩვენი მეცნიერების ბაღში დასანერგადო”.

ექსპერიმენტის შემოტანა პედაგოგიკური კვლევის სფეროში იმას ნიშნავს, რომ საგანგებოდ ორგანიზებულ პირობებში იკვლევა სწავლება-სწავლის ისეთი მხარეები,

¹ გავიხსენოთ ჯონ დიუისი, მარია მონტესორის და სხვათა ექსპერიმენტული სკოლები, რომელთა მუშაობაც სწორედ ამ ხანას ემთხვევა.

რომლებიც პედაგოგიური პროცესის ბუნებრივი მიმდინარეობის დროს დაჩრდილული და ნაკლებშესამჩნევია. გარდა ამისა, პედაგოგიურ საჭიროებებზე გათვლილი ექსპერიმენტი აუცილებლად გულისხმობს თავად პედაგოგიური ზემოქმედების ობიექტის, ბავშვის (მოსწავლის) ფსიქიკის შესწავლას. ამიტომაც, რომ უზნაძე ემხრობა და აქტიურად მოითხოვს პედაგოგიკაში ექსპერიმენტიმენტული მეთოდის ფართოდ დანერგვა-გამოყენებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ უზნაძე მკაფოდ განასხვავებს პედაგოგიური მიზანდასახულების მქონე ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს წმინდა პედაგოგიური ექსპერიმენტისაგან. ავტორის თანახმად, როდესაც რომელიმე პედაგოგიური ამოცანის გადაჭრისათვის საჭირო მეთოდის ნაყოფიერების შემოწმება გვინდა, აუცილებელია მისი გამოყენებით მიღებული შედეგები სხვა მეთოდით (ან მეთოდებით) მიღებულ შედეგებს შევადაროთ, ე.ი. გარკვეული ცდა (ექსპერიმენტი) ჩავატაროთ. “ეს ექსპერიმენტი, როგორც ვხედავთ, წმინდა პედაგოგიური საკითხის გადასაჭრელად გამოიყენება, და ამიტომ შესაძლებელი ხდება მას პირდაპირ პედაგოგიური ექსპერიმენტი ვუწოდოთ” [36. გვ. 62]. ამისაგან განსხვავებით, პედაგოგიური ექსპერიმენტის მეორე სახე, რომელიც ფაქტობრივად ფსიქოლოგიური შინაარსისაა, მიზნად ისახავს თავად ბავშვის შესწავლას. “მთელი პედაგოგიკის საძირკველი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია რაიმე გონივრული აღმზრდელობითი ზეგავლენა, ხომ ბავშვის ფსიქიური ცხოვრება! ამას კი მხოლოდ დაკვირვებისა და ექსპერიმენტის საშუალებით იკვლევენ” [36. გვ. 64].

უზნაძის თანახმად, იმდროინდელი პედაგოგიკის ძირითადი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ორიენტირებული იყო მხოლოდ ბავშვის აღზრდისა და განვითარების მიზნებზე, ხოლო ის მიზეზები, რაც პედაგოგიური საქმიანობის წარმატება-წარუმატებლობას განსაზღვრავენ უყურადღებოდ რჩებოდა. ბავშვის ფსიქიკა, როგორც პედაგოგიური ზემოქმედების ობიექტი, არაა ჩვეულებრივი ნივთიერი საგანი, რომელსაც ჩვენი მიზნის შესატყვისად ისეთ სახესა და ფორმას მივცემით, როგორც გვინდა. ფსიქიკას განვითარების თავისი გზა, თავისი ბუნებრივი კანონზომიერება აქვს და მისი მართვაც მხოლოდ ამის შესაბამისად უნდა ხდებოდეს. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ყოველი ბავშვი

სრულიად უნიკალური ინდივიდუალობაა და თითოეული მათგანის აღზრდა და სწავლება სწორედ მის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მის ნიჭსა და მიდრეკილებებს უნდა ითვალისწინებდეს.

ავტორი ეთანხმება იმ პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგ-თეორეტიკოსებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ არ შეიძლება ბავშვი ძალით მივაქციოთ იქითკენ, საითაც მისი ბუნება არ მიისწრაფვის. „როგორც ერთი ხე, ბალახი ან ცხოველი მეორესაგან განსხვავდება, ყველა თავისებურ მოვლას თხოულობს და ყველას ერთნაირად ვერ მოიხმარს კაცი, ასე განსხვავდება ერთი მეორესაგან ადამიანის ათასგავარი ნიჭიც. რასაკვირველია არსებობს იშვიათად ისეთი ბედნიერი, რომელსაც ყველაფერი ეადვილება. მაგრამ ისეთებიც ბევრია, რომელნიც ერთს რომელიმე საგნისადმი საკვირველ სიბრძავეს იჩენენ. ზოგი არწივია განყენებულ მეცნიერებათა სფეროში, მაშინ როდესაც პრაქტიკული მოღვაწეობის ასპარეზზე იგი ისეთ ნიჭს იჩენს, როგორც ვირი არღანის დაკვრაში, ზოგი ყველაფერში ნიჭიერია, მაგრამ მუსიკა სრულებით არ ემარჯვება, ან მათემატიკა, ან პოეზია, ან ლოგიკა და სხვა“ [36. გვ. 28]. თუ ბავშვს ისე ვასწავლით, რომ მის ინტერესებსა და სპეციალურ ნიჭიერებას ანგარიშს არ გავუწევთ, ეს ბუნებასთან ბრძოლა იქნება, რაშიც გამარჯვება ისევ და ისევ ბუნებას დარჩება.

უზნაძის თანხმად, ეს ნაკლი (ბავშვის ბუნების გაუთვალისწინებლობა), განსაკუთრებით პრაქტიკული პედაგოგიკისათვის არის დამახასიათებელი. ასე ორიენტირებული პედაგოგი, ყოველთვის მხოლოდ იმის მცდელობაშია, რომ მოსწავლე ყოველგვარი ძალით, როგორმე ისე ჩამოქნას როგორადაც მიზნად დაუსახავს. ამ მიდგომას ავტორი პედაგოგიკის ერთ-ერთი თეორეტიკოსის სიტყვების გამოყენებით, ასე აღწერს: „თითქმის ყოველი მასწავლებელი, როგორსაც ნახავს მოწაფეს, ისეთს მოკიდებს ხელს, ლესავს მას, სჭედს, ვარცხნის, ქსოვს, უგულებს თავის კალპოტს და, როდესაც იგი ამას ვერ ახერხებს (ან კი როგორ უნდა მოახერხოს), იწყებს ხმაურობას, რომ ბავშვები ასეთ განათლებას გაურბიან. ჩვენ უფრო უნდა გვიკვირდეს, რომ ისეთები გვხვდებიან, რომელთაც მისი ატანა შეუძლიათ“. უზნაძის სიტყვებით, მასწავლებელს ამ დროს “ავიწყდება, რომ მას აქ ნებით აღჭურვილ ცოცხალ არსებასთან აქვს საქმე და ამიტომ მას ისე ვერ მოექცევა, როგორც მკვდარი ბუნების ძალებს” [36. გვ. 31].

რაც შეეხება თეორიულ პედაგოგიკას, მისი წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი პროგრესულად მოაზროვნე თეორეტიკოსები, სიტყვიერად აღიარებდნენ ბავშვის ბუნების გათვალისწინების აუცილებლობას პედაგოგიური მიზნების მიღწევისათვის საჭირო გზების შერჩევის საქმეში, მაგრამ საკუთრივ ბავშვის ფსიქოლოგიის განვითარების დაბალი დონე მათ იმის საშუალებას არ აძლევდა, რომ ბავშვი ყოველმხრივი შესწავლის ობიექტად გაეხადათ. ამ მხრივ, განსაკუთრებით თვალში საცემი ის გარემოება იყო, რომ არავის მოსდიოდა აზრად იმის გამორკვევა, თუ რა ინდივიდუალური ინტერესები და შესაძლებლობები გააჩნდა კონკრეტულ ბავშვს, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია მაშინ, როდესაც ბავშვის განვითარებაზე ვზრუნავთ, არა ჩვენ მიერ განსაზღვრული მიზნების, არამედ მისი ბუნების შესაბამისად.

სწავლება-სწავლის ნაყოფიერებაში ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობების მნიშვნელობის საკითხი, რომელიც უზნაძემ ზუსტად ერთი საუკუნის წინ დააყენა, დღესაც განათლების მეცნიერებათა პირველხარისხოვან საკითხთაგანია. განსაკუთრებით აქტუალური გახდა იგი მარავალმხრივი ინტელექტის შესახებ ჰოვარდ გარდნერისა და მისი თანამშრომლების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად. ამ კვლევებმა ემპირიულად დაასაბუთა ის ჭეშმარიტება, რომელიც უზნაძემ უშუალო პედაგოგიური დაკვირვების საფუძველზე ჩამოაყალიბა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გარდნერმა ინტელექტის განვითარების სპეციფიკური მიმართულებები კონკრეტული სახით აღწერა დეტალურად და ყოველი ცალკე ნიჭიერება მისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით დაახასიათა, რის საშუალებასაც უზნაძე მოკლებული იყო ბავშვისა და დიფერენციალური ფსიქოლოგიის განვითარების იმდროინდელ საფეხურზე. შეიძლება ითქვას, რომ გარდნერის კვლევა იმის ნათელი მაგალითია, თუ რაოდენ მართებულად იყო უზნაძის მიერ დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა ექსპერიმენტული კვლევის გზით ბავშვის ფსიქიკის სრულყოფილი შესწავლა და პედაგოგიური მუშაობის მასზე დაფუძვნება.

გარდა იმისა, რომ ექსპერიმენტული კვლევა საჭიროა აღმზრდელობითი ზეგავლენის ობიექტის (ბავშვის) ფსიქიკური ცხოვრების ბუნების

გასათვალისწინებლად, იგი აუცილებელია მეთოდოლოგიური საკითხების გარკვევისთვისაც. უზნაძე არგუმენტირებულად ასახულებს, რომ სწავლების ნაყოფიერი მეთოდების მიგნება მარტო პედაგოგიურ ცდაზე (რომელ მეთოდს უკეთესი შედეგები მოაქვს) ვერ იქნება დამყარებული და თავად მეთოდის შემუშავებისათვის ფსიქოლოგიური ხასიათის ექსპერიმენტის გამოყენებაა მიზანშეწონილი. ასეთი ექსპერიმენტი საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, თუ მოსწავლის რა განსაკუთრებული თვისებები უწყობს ხელს ამა თუ იმ საგნის, ან ამა თუ იმ საკითხის ნაყოფიერად შესწავლას და ამის საფუძველზე მოცემული საგნის, ან კონკრეტული საკითხის სწავლების ისეთი მეთოდი შევიმუშაოთ, რომელიც ამ თვისებათა ამოძრავებასა და განვითარებას უზრუნველყოფს. წარმატებული მასწავლებლები სწორედ ასე იქცევიან, მაგრამ არა ფსიქოლოგიური ცოდნის წყალობით (რასაც მოკლებულნი არიან), არამედ ინტუიტიურად [36. გვ. 63].

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იმას, რასაც უზნაძე ფსიქოლოგიური მიმართულების პედაგოგიურ ექსპერიმენტს უწოდებს და მკვეთრად განასხვავებს წმინდა პედაგოგიური ექსპერიმენტისაგან, დღეს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს უწოდებენ და თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიისათვის მისი უამრავი ნაირსახეობაა ცნობილი. გასული საუკუნის 10-ანი წლების დასაწყისში, როდესაც უზნაძის “ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი” დაიწერა, პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა სისტემატიკა ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილად ჩამოყალიბებული. არსებობდა ბავშვის შემსწავლელ მეცნიერებათა კრებული, კერძოდ, პედაგოგიკა, ბავშვის ფსიქოლოგია, ბავშვის ანატომია და ფიზიოლოგია და სხვ. და დაწყებული იყო პედოლოგიის სახელწოდებით მათი კომპლექსური გაერთიანების პროცესი.

უზნაძეც იმხანად, სწორედ, ამ რაკურსით განიხილავს პედაგოგიკური კვლევის მეთოდის საკითხს. მას მიაჩნია, რომ პედაგოგიკამ იგივე მეთოდები უნდა მოიხმაროს, რომლებსაც ბავშვის შემსწავლელი მეცნიერება – პედოლოგია, იყენებს. “აქ კი ორ მეთოდს აქვს განსაკუთრებული ადგილი: ა) დაკვირვებას და ბ) ექსპერიმენტს. მხოლოდ ამ ორ მეთოდს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ დღეს პედოლოგია დამოუკიდებელ მეცნიერებად გადაიქცა და ისეთი ჭეშმარიტებანი გადმოგვცა,

რომელნიც თანამედროვე ცნობიერების ზოგად დებულებებად გადაქცეულან. ახირებული იქნება ამის შემდეგ, ბავშვის ბუნების გამოკვლევისათვის სხვა გზასა და მეთოდებს მივმართოთ. ამგვარად პირველი, აუცილებელი მეთოდი პედაგოგიკისა დაკვირვება და ექსპერიმენტი უნდა იყოს, ის დაკვირვება და ის ექსპერიმენტი, რომელსაც საზოგადოდ ბავშვის ფსიქიური ბუნების გამოკვლევის დროს მიმართავენ ხოლმე” [36. გვ. 52].

უზნადის წიგნში წარმოდგენილია მდიდარი მასალა, რომელიც მაშინ უკვე იყო დაგროვილი პედოლოგიაში ბავშვის ყურადღების, მისი ინტერესების, მეხსიერებისა და სწავლის პროცესზე დაღლილობის გავლენის საკითხების შესახებ. ამრიგად, თავისი “ექსპერიმენტალური პედაგოგიკის საფუძვლებით” უზნადე გვევლინება ჩვენში პედოლოგიური ცოდნის დანერგვის პიონერად. საბჭოთა პერიოდში (გასული საუკუნის 30-იან წლებში), როგორც ცნობილია, პედოლოგია ცრუ მეცნიერებად იქნა გამოცხადებული, რაც ძირითადად იდეოლოგიური მოსაზრებებით იყო გამოწვეული². უზნადეც იძულებული გახდა, ბავშვის განვითარებისა და მისი აღზრდის პედაგოგიკური საკითხები ისე განეხილა, რომ მათ პედოლოგიური ელფერი ჩამოშორებოდა. თუმცა ყველა ის პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური დებულება, რომელიც პედოლოგიის კონტექსტში ჰქონდა წამოყენებული, ძალაში დატოვა და მხოლოდ კოსმეტიკურად მიუსადაგა ახალ იდეოლოგიურ მიდგომას. მათ შორის უცვლელი დარჩა იდეა პედაგოგიკაში ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

დიდი მეცნიერის პედაგოგიკურმა კრედიომ, რომლის მიხედვითაც, პედაგოგიკის თეორიული და პრაქტიკული ამოცანების პროდუქტიულად გადაწყვეტა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ცოდნაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი, რასაც, როგორც ვნახეთ, იგი არგუმენტირებულად ასაბუთებდა ჯერ კიდევ თავის ადრეულ პედაგოგიკურ შრომებში, ახალი ჟღერადობა და დასაბუთება შეიძინა მას შემდეგ, რაც მან, განწყობის ფსიქოლოგიის სახით, საკუთარი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია ჩამოაყალიბა. უზნადის კონცეფციაში განწყობა არის უნივერსალური ამხსნელი ცვლადი, რომელიც

² ამის გამო, პედოლოგიაში უზნადის სქელტანიანი სახელმძღვანელოს II ნაწილი გამოუცემელი დარჩა, ხოლო I ნაწილი, რომელიც 30-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა, მთელი საბჭოური ხანის განმავლობაში მიუწვდომელი იყო მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

გასაგებს ხდის ადამიანის სულიერი ცხოვრების ყველა მხარესა და მისი დეტერმინაციის ყველა ფორმას. ადამიანი მოქმედებს როგორც ორგანიზებული მთლიანობა, რომელიც, მოცემულ მომენტში, სწორედ ამ მოქმედებისათვისაა განწყობილი. ბუნებრივია, რომ ასეთ ზოგადფსიქოლოგიურ პლათფორმაზე მდგომი მკვლევარი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კავშირის საკითხს სრულიად ახალი რაკურსით აშუქებს. კერძოდ, იგი ცდილობს დამტკიცოს, რომ პედაგოგიკისათვის ქმედითი დახმარების გაწევა შეუძლია არა ყოველგვარ ფსიქოლოგიას, არამედ მხოლოდ განწყობის ფსიქოლოგიას. ეს თვალსაზრისი, რომელიც უზნაძის მრავალ პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ნარკვევშია გატარებული, ავტორს საგანგებოდ აქვს დასაბუთებული სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ შრომაში, რომელიც 1941 წელს გამოაქვეყნა (36).

უზნაძეს მიაჩნია, რომ ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთობის საკითხის სწორად გადაჭრა, პირველ რიგში, მოითხოვს ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემას: რა დახმარების გაწევა ესაჭიროება პედაგოგიკას ფსიქოლოგიისაგან? იმას, რომ პედაგოგიკისათვის ფსიქოლოგიის დახმარება აუცილებელია, არავინ უარყოფს, მაგრამ გასარკვევია თავად ამ დახმარების ბუნება, მისი ხასიათი. ავტორის აზრით, იმ ხანაში (გასული საუკუნის 40-იან წლებში) დამკვიდრებული წესი, რომლის მიხედვითაც, ფსიქოლოგიას საკუთრივ პედაგოგიური საკითხების გადაჭრა ან მათ გადაჭრაში მონაწილეობა ევალებოდა, სრულ გაუგებრობაზე იყო დამყარებული. საქმე ისაა, რომ, როდესაც ფსიქოლოგს რომელიმე ფსიქოლოგიური საკითხის კვლევისას პედაგოგიური შინაარსის დასკვნებიც გამოაქვს და პედაგოგს მის საქმეს (როგორ აღზარდოს მოსწავლე) ასწავლის, „იგი ფსიქოლოგიის საზღვრებს სტოვებს და პედაგოგიკის ფარგლებში იჭრება“ [36. გვ. 341].

გამოდის, რომ ასეთი მიდგომით, ფსიქოლოგია პედაგოგიკას კი არ ეხმარება, არამედ მას ფაქტობრივად უსაქმოდ ტოვებს, რადგან თავად იწყებს მისი საქმის კეთებას. მაგრამ ფსიქოლოგია ვერ შეცვლის პედაგოგიკას თუნდაც იმიტომ, რომ სრულყოფილი პედაგოგიური მუშაობა მხოლოდ ფსიქოლოგიურ დასკვნებზე ვერ იქნება აგებული. პედაგოგიკას, ფსიქოლოგიის გარდა, სხვა მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინებაც ესაჭიროება, რაც ფსიქოლოგიამ, როგორც ასეთმა,

შეუძლებელია მხედველობაში მიიღოს. ამრიგად, “პედაგოგიური დებულებების შემუშავება, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიკის საქმეა, და ფსიქოლოგიას სწორედ აქ ევალება დახმარება გაუწიოს მას. საქმე ისაა, რომ პედაგოგიური დებულებების შესამუშავებლად ბევრი რამაა საჭირო და განსაკუთრებით ფსიქოლოგიური მასალაც პედაგოგიკა მხოლოდ იმ მხრივ სთხოვს დახმარებას ფსიქოლოგიას, რომ სწავლა-აღზრდის, პედაგოგიური პროცესის ცალკეული მნიშვნელოვანი მომენტების ფსიქოლოგიური შესწავლა აწარმოოს, და ამით შესაძლებლობა მისცეს მას თავისი პედაგოგიური დებულებების შემუშავებისას მისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ სინამდვილესაც შესაფერი ანგარიში გაუწიოს” [36. გვ. 342]. ამ პირობის დაცვით, ფსიქოლოგია თავის საზღვრებში დარჩება და პედაგოგიკას ისე გაუწევს დახმარებას, რომ მის ფარგლებში არ შეიჭრება.

უზნადის თანახმად, მისი დროის პედაგოგიკური ფსიქოლოგია რაღაც ნარევ მეცნიერებას წარმოადგენდა, რადგან მასში ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების ბუნების კვლევას თან ერთვოდა სათანადო პედაგოგიური დებულებებიც. ე.ი. პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში ფსიქოლოგია და პედაგოგიკა თანაბრად იყო წარმოდგენილი. იმას კი, თუ რამდენად მიზანშეწონილია ასეთი აღრევა, არავინ კითხულობდა³. ეს კი, ბოლოსდაბოლოს იმას იწვევდა, რომ ფსიქოლოგია სათანადო დახმარებას ვერ უწევდა პედაგოგიკას.

მაგრამ პრობლემას მხოლოდ დახასიათებული ვითარება არ წარმოადგენდა. პედაგოგიკისათვის იმდროინდელი ფსიქოლოგიის უნაყოფობას, უზნადის თანახმად, უფრო ღრმა მიზეზი ჰქონდა, ვიდრე ეს ფსიქოლოგიური და პედაგოგიკური საკითხების აღრევაში მდგომარეობდა. ეს იყო ტრადიციულ ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული მცდარი ამოსავალი პრინციპები, უშუალოდის პოსტულატისა და ემპირისტული პოსტულატის სახით, რომელიც მემკვიდრეობით ერგო

³ აღსანიშნავია, რომ ქართულ სინამდვილეში ეს ვითარება ოდნავ შერბილდა უზნადის შემდგომ პერიოდში, როდესაც პედაგოგიკური ფსიქოლოგიის განვითარებამ საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია. მაგრამ ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ სფეროთა შორის მკაფიო საზღვრის არარსებობამ, რასაც ზოგადად საბჭოურ სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, მაინც იჩინა თავი პედაგოგიკის მეტისმეტ ფსიქოლოგიზაციაშიც და ფსიქოლოგიის საკუთრივ პედაგოგიკურ პრობლემებზე ორიენტირებულობაშიც. ეს ტენდენცია ინერციის ძალით გრძელდება თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლოში.

ფსიქოლოგიაში აღმოცენებულ ახალ მიმდინარეობებს და მათ შორის საბჭოთა (მარქსისტულ) ფსიქოლოგიასაც.

უზნაძის თანახმად, ტრადიციული ფსიქოლოგიის უნაყოფობა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი ქმედით დახმარებას ვერ უწევდა ცოდნის იმ დარგებს, რომლებიც ფსიქოლოგიური მასალის გამოყენებას საჭიროებდნენ, განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ იგი ფსიქიკას შეისწავლიდა მისი მატარებელი ინდივიდისაგან განყენებულად. ასეთი ფსიქოლოგია წარმოადგენს “არა ცოცხალი, კონკრეტული ადამიანის ფსიქოლოგიას, არამედ მისი ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების ფსიქოლოგიას” (36. გვ. 343). ასეთი გზით მოპოვებული ცოდნა ვერ აძლევს საკმარის მასალას ადამიანის შემსაწავლელ სხვა მეცნიერებებს, რადგან მათთვის მთავარია თავად ადამიანი და არა მისი ცალკეული უნარები თუ ორგანოები, რომელთა დანიშნულებაც მხოლოდ მათ მატარებელ ადამიანთან მიმართებაში ხდება გასაგები. კერძოდ, პედაგოგიკას კონკრეტული ცოცხალი ადამიანის აღზრდასთან აქვს საქმე. ამიტომ მას სწორედ ადამიანის და მისი საქმიანობის შესახებ ცოდნა ესაჭიროება, რასაც ტრადიციული ფსიქოლოგია ვერ იძლევა მისი განყენებული ხასიათის გამო.

ტრადიციული ფსიქოლოგიის ეს ნაკლი, ავტორის თანახმად, გამოწვეული იყო ფსიქიკის ბუნების არასწორი გაგებით, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ფსიქიკური წარმოდგენილი იყო როგორც მატერიალურისაგან მოწყვეტილი, თავის თავში ჩაკეტილი სამყარო, რომელიც ბუნების ყველა სხვა მოვლენის მსგავსადაა ჩართული უშუალო კაუზალურ მიმართებათა ჯაჭვში. ფსიქიკური მიზეზობრიობის ასეთი გაგებიდან გამომდინარე, მიაჩნდათ, რომ ფსიქიკურ სფეროზე გარემო ისევე უშუალო ზემოქმედებას ახდენს, როგორც ნივთიერ საგანზე, რომელიც გამუდმებით იცვლება გარე ზემოქმედებათა შედეგად. ამ მეთოდოლოგიურ პოზიციას უზნაძემ უშუალოების პოსტულატი უწოდა და განწყობის თეორიით სწორედ მისი საპირისპირო პოზიცია ჩამოაყალიბა. ამ თეორიის მიხედვით, ფსიქიკურ სფეროში მოქმედებს არა ისეთი უშუალო მიზეზობრიობა, როგორც ობიექტურ სინამდვილეში შინიშნება, არამედ კავშირს მიზეზსა და შედეგს შორის ამყარებს თვითონ სუბიექტი, როგორც სულიერი ცოცხალი არსება, რომელიც არის ყველა მის მიერ განხორციელებული ფსიქიკური და

ფიზიკური აქტივობის ავტორი და განმახორციელებელი ერთადერთი ინსტანცია. ყოველი ქცევა, როგორც მიზნობრივი აქტივობა (ან აქტივობათა კომპლექსი), იწყება სუბიექტის მთლიანობითი ცვლილებითა და მობილიზებით ამ აქტივობისათვის. სწორედ ქცევისათვის ასეთ მთლიანობით მზაობას ეწოდება განწყობა.

უზნაძის თანხმად, იმისათვის, რომ ფსიქოლოგიამ ქმედითი დახმარება გაუწიოს ადამიანის შემსწავლელ სხვა მეცნიერებებს და, კერძოდ, პედაგოგიკას, საჭიროა ეს მეცნიერებები დაეყრდნონ არა უსუბიექტო, განყენებული ფუნქციების ფსიქოლოგიას, არამედ განწყობის, ანუ სუბიექტის, ე.ი. მოქმედი პიროვნების ფსიქოლოგიას. მხოლოდ განწყობის ფსიქოლოგიას, რომელშიც პიროვნებისა და მისი აქტივობის (მოქმედების) ცნებები ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული “განსაკუთრებული დახმარების გაწევა შეუძლია ყველა იმ მეცნიერებისათვის, რომელსაც სწორედ პიროვნების აქტივობასთან აქვს საქმე, პირველ რიგში, რასაკვირველია, პედაგოგიკისათვის” [36. გვ. 348].

გარდა ამისა, უზნაძის აზრით, თვითონ განწყობის ცნებას აქვს განსაკუთრებული პედაგოგიური ღირებულება, რადგან “ადამიანის აღზრდის პროცესი არ შეიძლება განსაკუთრებით ინტიმურ კავშირში არ იმყოფებოდეს მის განწყობასთან” [36. გვ. 348]. ამ აზრის საილუსტრაციოდ ავტორი წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის ფაქტებს აანალიზებს. ასეთ შემთხვევებში პედაგოგს ხშირად არც აქვს გააზრებული რა არის მის მიერ მიღწეული წარმატების ფსიქოლოგიური საფუძველი, მაგრამ ინტუიტურად მას მიგნებული აქვს ის გზა, რომლითაც ხერხდება სწორედ პიროვნებაზე, მის განწყობაზე, ზემოქმედება და მისი მთლიანობითი შეცვლა საჭირო მიმართულებით. „ამ შემთხვევაში პედაგოგი არასოდეს ისეთ ზომებს არ მიმართავს, რომ პირველ რიგში თვითონ მოზარდის პიროვნება არ ჰქონდეს მხედველობაში. პედაგოგიური ტაქტი ნებას არ აძლევს, პიროვნება, როგორც მთლიანობა, განზე დატოვოს და უშუალოდ მის ფსიქიკაზე აწარმოოს ზემოქმედება” [36. გვ. 350]. აქედან გამომდინარე, ავტორი ვარაუდობს, რომ განწყობის ცნება, მომავალში პედაგოგიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ცნებად გადაიქცევა.

ნათელია, რომ თავად განწყობის ფსიქოლოგია, ცარიელ ნიადაგაზე არ აღმოცენებულა. იგი ითვალისწინებს ბევრ მნიშვნელოვან მიგნებასა და საგულისხმო

დებულებას, რომელიც ძველ ფსიქოლოგიაში იყო გაკეთებული და წამოყენებული. უზნადის თანხმად, პედაგოგიკისათვის ტრადიციული ფსიქოლოგიის ნიადაგზე მიგნებული “ჭეშმარიტების მარცვლების” გათვალისწინებაც აუცილებელია. მათზე უარს ვერ ვიტყვით თუნდაც იმიტომ, რომ განწყობის ფსიქოლოგია, როგორც ავტორი ამბობს, იმ ხანაში ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამდა და პიროვნების სრულყოფილი ფსიქოლოგიის შექმნა მომავლის საქმეს წარმოადგენდა, პედაგოგიკა კი, რა თქმა უნდა, ამ დროს ვერ დაელოდებოდა. ამიტომ მას აქტიურად უნდა მოეხმარა ის ცოდნა, რომელიც უკვე იყო დაგროვილი ფსიქოლოგიაში.

აქედან გამოდინარე, პედაგოგს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკმარისი ფსიქოლოგიური განათლება, რათა ფსიქოლოგიის ზღვა მასალაში შეძლოს იმის დანახვა, რაც მისთვის ნამდვილად საჭირო და გამოსადეგია. “დღეს-დღეობით კი, სამწუხაროდ, პედაგოგიკა და პედაგოგი ამ მხრივ ჭეშმარიტად უნუგემო მდგომარეობაში იმყოფება: ფსიქოლოგიური მომზადების დაბალი დონის გამო, მან არც კი იცის, თუ რას წარმოადგენს ფსიქოლოგია განვითარების თანამედროვე ეტაპზე, და რა არის მასში ისეთი, რისი გამოყენებაც მართლა სასარგებლო იქნეოდა. მოკლედ: მან არ იცის საკმარისად ფსიქოლოგია და, მაშასადამე, ვერც გამოიყენებს მას. ფსიქოლოგია მისთვის უსარგებლო მეცნიერებაა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი მართლა ასეთია ობიექტურად, არამედ იმიტომ, რომ მას სათანადოდ ვერ იყენებენ” [36. გვ. 351].

დიდი მეცნიერის წუხილი ფსიქოლოგიის გარეშე დარჩენილი პედაგოგიკის (როგორც პრაქტიკულის ისე თეორიულის) ბედის გამო, რაც მოყვანილი სიტყვებიდან ნათლად იკითხება, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია. დღეს, როდესაც ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარებამ ჩვენთანაც და მთელ მსოფლიოშიც, ისეთ დონეს მიაღწია, რომ ნამდვილად შეუძლია ქმედითი დახმარების გაწევა ცოდნის ყველა დარგისათვის და, პირველ რიგში, პედაგოგიკისათვის, ჩვენს უნივერსიტეტში დამკვიდრებული მანკიერი ტრადიციის გამო, იგი საკმარისი მოცულობით არ ისწავლება პედაგოგიური განხრის სპეციალობებზეც კი.

უზნადის თანახმად, პედაგოგიკის ფსიქოლოგიაზე დაყრდნობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს შესაძლებელი იყოს პირველის მეორეზე დაყვანა, მასთან შერწყმა

და გაიგივება. პედაგოგიკა სრულიად დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელიც, ფსიქოლოგიასთან ერთად, ცოდნის მრავალ დარგს ეყრდნობა კიდევ. ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ეხმარება პედაგოგიკას, როგორც, ასევე, დამოუკიდებელ მეცნიერებას, მისი ამოცანების შესრულებაში. თავის მხრივ, არც პედაგოგიკა რჩება ვალში, რადგან წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკა, როგორც ვნახეთ, ადამიანის – როგორც მთლიანობის, როგორც პიროვნების – განვითარების საფუძვლებს გვიჩვენებს და მნიშვნელოვან მასალას იძლევა ფსიქოლოგიის ფუნდამენტური საკითხების თეორიული გააზრებისათვის.

დასკვნა, რომელიც საკითხის უზნაძისეული განხილვიდან გამომდინარეობს, ავტორისავე სიტყვებით ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: “ფსიქოლოგია და პედაგოგიკა ორი დამოუკიდებელი მეცნიერებაა, მაგრამ ისინი მოწყვეტილი როდი არიან ერთიერთს: ისინი ეხმარებიან და ავსებენ ერთმანეთს” [36. გვ. 352].

§ 4. დიმიტრი უზნაძე ექსპერიმენტული

პედაგოგიკის მკვლევარი

ექსპერიმენტული პედაგოგიკა, როგორც პედაგოგიური მიმდინარეობა XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მისი წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ცნობილი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ს.ჰოლის, ა. ბინეს, ე.მოიმანის, ე. თორნდაიკის სახელთან. ამ მიმდინარეობის მომხრეთა აზრით, მთელი აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში უნდა შეუფარდდეს და შეეგუოს ბავშვის ბუნებას, მის თავისებურებას.

ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ, მისი თეორეტიკოსების აზრით, უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად ეფარდება აღზრდის შინაარსი, ფორმები და მეთოდები ბავშვის ბუნებას, მისი განვითარების კანონზომიერებებს. ამასთან, გამოკვლევა უნდა შეეხოს, ერთი მხრივ, ბავშვის ფიზიოლოგიას, ფსიქოპათოლოგიას და სხვა. მეორე მხრივ, იმ პედაგოგიურ ღონისძიებებს, რომლებიც აღმზრდელობით მუშაობაში გამოიყენება. გამოკვლევის ძირითად მეთოდს ექსპერიმენტი წარმოადგენს.

ამერიკელი პედაგოგი ს. ჰოლი ბავშვების შესწავლისა და პედაგოგიკური საკითხების გადაწყვეტაში ფართოდ იყენებდა, აგრეთვე, ანკეტებს, რომლებიც

მრავალ კითხვას შეიცავდა. ფრანგმა ფსიქოლოგმა ა. ბინემ ბავშვის ნიჭიერების გამოსარკვევად შემოიღო და პრაქტიკაში დანერგა სტანდარტული „ასაკობრივი ტესტები“. ამერიკელმა ფსიქოლოგმა და პედაგოგმა ე.თორნდაიკმა „ტესტები“ გამოიყენა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შესამოწმებლად, მათი გონებრივი განვითარების დონის შესასწავლად.

ექსპერიმენტული პედაგოგიკის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ისინი ქმნიან ზუსტ და უტყუარ მონაცემებზე დაყრდნობილ პედაგოგიკას, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. მიუხედავად, იმისა რომ დღეს ნებისმიერ ნაშრომი კვლევის მონაცემებს ეყრდნობა, მხოლოდ ექსპერიმენტზე დაყრდნობით შეუძლებლად მიგვაჩნია პედაგოგიური მეცნიერების განვითარება.

მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ მაინც შეასრულა ერთგვარი დადებითი როლი პედაგოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. ამ მიმდინარეობის მომხრეები პრაქტიკაში იყენებდნენ მეცნიერული კვლევის უდავოდ მისაღებ მეთოდებსაც (დაკვირვება, ექსპერიმენტი, პედაგოგიური პროცესის შესწავლა და სხვა) და ამ გზით, შესაძლებელი გახდა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ბავშვის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და პედაგოგიური ექსპერიმენტი პრაქტიკაში დაინერგა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ბავშვებზე პედაგოგიურ დაკვირვებას, მათი მეხსიერების ინტერესისა და სულიერი ცხოვრების მეცნიერულ-ექსპერიმენტულ შესწავლა-გამოკვლევას. სწორედ ამ პერიოდში ქუთაისში 1912 წელს ქართულ ენაზე გამოიცა დიმიტრი უზნაძის შრომა „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“. ამ შრომის გამოსვლას დიდი აღფრთოვანებით შეეგება ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე.

ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა ძირითადი პირობაა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური შეხედულებებისა. მან თავიდანვე აღიარა იდეა ბავშვის პიროვნების თავისებურებებისა, როგორც ახალი პედაგოგიკის ამოსავალი დებულება. პედაგოგიურმა პროცესმა თავისი სისტემა ბავშვის ბუნებას იმგვარად უნდა

შეუფარდოს, რომ ბავშვის წინსვლას მაქსიმალური შესაძლებლობა მიეცეს. დიმიტრი უზნაძე აკრიტიკებს კანტის შეხედულებებს ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ღირებულებების საკითხზე. მისი აზრით, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის საკითხი ბავშვის პიროვნებას ეხება. აქ იგი ნაწილობრივ იზიარებს ვ.ვუნდტის შეხედულებას. ის ამბობს: „ვუნდტის დებულება პედაგოგებმა რიგიანად ვერ გაიგეს და მიაწერეს მას ის, რისი თქმაც ვუნდტს არასოდეს არ უნდოდა. ვუნდტი სრულებითაც არ არის ექსპერიმენტული პედაგოგიკის მოწინააღმდეგე; იგი მხოლოდ გვაფრთხილებს, რომ ზრდადამთავრებული ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების გამოკვლევა უფრო საიმედო და მარტივია, ვიდრე ბავშვის სულიერი მდგომარეობისაო. ეს, ერთი მხრივ, ჭეშმარიტებაა, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ფსიქოლოგმა ბოლდუინმა დაგვიმტკიცა, იგი გაუგებრობაზეა დამყარებული“ (37. გვ.70). აქ დიმიტრი უზნაძე აღიარებს, რომ ბავშვის კვლევაში ექსპერიმენტის გამოყენებას მართლაც დიდი სიძნელეები ახლავს, მაგრამ ეს სიძნელეები გარდაუვალი ხასიათის არ არის. დიმიტრი უზნაძე არ ეთანხმება იმ აზრს, რომლის მიხედვით, ექსპერიმენტის გამოყენება ბავშვის კვლევის მიზნით შეუძლებელია იმ გარემოების გამო, რომ ბავშვი შთაგონებას ეძლევა. დიმიტრი უზნაძის აზრით, ამ სიძნელის მოხსნა შეიძლება, თუ წინასწარ გაუწევთ ანგარიშს შთაგონების შესაძლებლობას. ამრიგად, დიმიტრი უზნაძე დადებითად აფასებს ექსპერიმენტულ მეთოდს ბავშვის კვლევაში, მაგრამ ამასთან არ ივიწყებს იმ სიძნელეებსაც, რომელიც ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს ახასიათებს და ამიტომ მოითხოვს ექსპერიმენტატორისგან დიდ სიფრთხილეს ამ მეთოდის გამოყენებისას.

ექსპერიმენტული პედაგოგიკის ზოგიერთ წარმომადგენელთა მსგავსად ბავშვის ფსიქოლოგიის შესწავლის ერთ-ერთ მეთოდად უზნაძეს „დაკითხვის მეთოდი“ მიაჩნდა, რომელიც იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა „პედოლოგიაში“. მისი დადებითი მხარე მრავალრიცხოვანი და მრავალმხრივად საინტერესო მასალის დაგროვებაში მდგომარეობდა. დიმიტრი უზნაძე, ბინესაგან განსხვავებით, ბავშვის კვლევის პროცესში არა თუ არ ანიჭებდა მას განსაზღვრულ მნიშვნელობას, არამედ იზიარებდა ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის უილიამ ჯემსის მოსაზრებას, რომლითაც „დაკითხვის მეთოდს მართლაც, რომ ბევრი ცუდი მხარე აქვს და უფრო

მეტი ჰქონდა. მისი საშუალებით ბავშვის ფსიქიური ბუნების გამოკვლევა თავის თავის მოტყუებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ ჭეშმარიტებათა ნათელყოფას“ (37.გვ.80). ამრიგად გამოჩენილი ქართველი პედაგოგი „დაკითხვის მეთოდის“ მკაცრი კრიტიკის გზით ასაბუთებდა ამ მეთოდის განუსაზღვრელი მასშტაბით გამოყენების მიზანშეუწონილობას. დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, რომ მშობლებმა და ბავშვებმა არ იციან თავიანთი ბუნების თვისებანი, არც აღმზრდელს მოეთხოვება ასეთი ცოდნა და დაკვირვების უნარი.

ექსპერიმენტულ მეთოდთა შორის დიმიტრი უზნაძე ყველაზე სწორ მეთოდად აღიარებს ინდივიდუალურ ლაბორატორიულ მეთოდს. იგი წერს: „ყველა მეთოდზე უფრო სწორი და სერიოზული არის ინდივიდუალური გამოკვლევა ლაბორატორიული მეთოდის საშუალებით. როგორც ქვევით დავინახევათ, აქ მრავალი გზა არსებობს, რომელთაც სხვადასხვა მიმართულებით ბავშვის სულიერი ცხოვრების შუაგულში შევყავართ და თანამედროვე ფსიქოლოგია განსაკუთრებით ამ ინდივიდუალური გამოკვლევის გზას აცდა... ამიტომ არის, რომ დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას ინდივიდუალური გამოკვლევის მეთოდებს აქცევენ. მასიურს სტატისტიკურსა და დაკითხვის მეთოდებს კი ხშირად ისე უყურებენ, როგორც ინდივიდუალური გამოკვლევის პროპედევტიკულ ზომებს“ (37. გვ. 84).

დიმიტრი უზნაძეს ძველი სკოლისათვის დამახასიათებელ უარყოფით მხარედ აღსაზრდელთა სულიერი ცხოვრების შესწავლის უგულვებელყოფას, მისი ბუნებისადმი ანგარიშგაუწევლობას მიიჩნევდა. აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ადგილი ჰქონდა შეუთანხმებლობას, ძალდატანებას. დიმიტრი უზნაძის აზრით კი: „ძალდატანება თავისუფალ სურვილს, ინტერესს, გატაცებას ჰკლავს, უამისოდ კი, შრომა არასდროს ნაყოფიერი არ იქნება. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე სკოლის განათლება ფრიად ვიწრო, შემოფარგლული ხასიათის არის“ (37. გვ. 81).

ერთი მხრივ, დიმიტრი უზნაძე მოითხოვდა, რომ აღმზრდელს ცოდნოდა აღსაზრდელის სულიერი სამყარო, მისი ბუნება და ფსიქიური ცხოვრება, პედაგოგიურ პროცესში გაეთვალისწინებინა ყოველივე ეს, მეორე მხრივ, იგი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ აღმზრდელი ბრმად მიჰყოლოდა ბავშვის ბუნებას და მხოლოდ ბავშვის სურვილებს დაყრდნობოდა იგი, რამდენადაც ყოველი პედაგოგი

ვალდებულია მომავლის საზოგადოებრივი იდეალების მიხედვით აღზარდოს ბავშვი. იგი, ჩვენი აზრით, სამართლიანად წერდა: „ყოველი აღზარდა მომავალს ემსახურება, ამიტომ იგი ზნეობრივ სფეროში მაინც დღევანდელი მომენტით კი არ ხელმძღვანელობს, მას სახეში მუდამ მომავალი აქვსო“ (38. გვ. 437). დიმიტრი უზნაძის აზრით, მომავალი თაობის აღზარდა მხოლოდ აწმყოთი კი არ განისაზღვრება, არამედ მომავლის იდეალებით, რომელიც ახალი სკოლის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარეობენ.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე ექსპერიმენტული პედაგოგიკის ზოგიერთი სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით უარყოფდა, ექსპერიმენტის გაფეტიშებას და მოითხოვდა ბავშვის ბუნების შესწავლისათვის კვლევის ამ მეთოდის მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში გამოყენებას. მისი აზრით, „თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერება ყველგან და ყოველთვის არ წარმოადგენს უსათუოდ ექსპერიმენტალურ პედაგოგიკას. პირიქით, არის ბევრი მეცნიერი, რომელიც, როგორც ქვევითაც დავინახეთ, ძალზე აღმაცერად და უნდობლობით უყურებს თანამედროვე ექსპერიმენტალური პედაგოგიკის მესვეურთა ფრთაგამლილ გატაცებას. არც მე ვარ პირადად ამ მჩატე აღმაფრენის მოტრფიალე და არ ვფიქრობ, რომ ექსპერიმენტს ისეთივე შემოუფარგვლელი მნიშვნელობა ჰქონდეს ფსიქოლოგიაში, როგორც ბუნებისმეტყველებაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანის სული ისეთივე სიმარტივით გამომჟღავნდეს ექსპერიმენტში, როგორც გარეშე ბუნებთა მოვლენათა სიგრძე-სიგანე“ (37. გვ. 3).

დიმიტრი უზნაძე ექსპერიმენტულ პედაგოგიკას თვლის ფსიქოლოგიაზე დამყარებულ პედაგოგიკად, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „პედაგოგიური მეცნიერება მარტო ფსიქოლოგიურ მეთოდებზე არ არის დამოკიდებული. მას ბევრი ისეთი მხარე და პრობლემა აქვს, რომელთა ნათელყოფა მხოლოდ სხვა მეცნიერებისა და სხვადასხვა მეთოდის საშუალებით შეიძლება“ (37. გვ. 78). ჩვენი აზრით, ეს დებულება უდავოდ სწორია და მისაღები. პედაგოგიკამ ფართოდ უნდა გამოიყენოს ბავშვის ფსიქოლოგიის მონაცემები, ანგარიში უნდა გაუწიოს და მხედველობაში მიიღოს მათი ზრდისა და განვითარების ობიექტური კანონზომიერება, მაგრამ ამავე დროს მან თავისი საკუთარი საგანი და მეთოდები არ უნდა დაკარგოს.

მისი შეხედულებები ინდივიდისა და კლექტივის ინტერესების შერწყმის, პიროვნებისა და საზოგადოების ადგილების ურთიერთშეხამების, ინდივიდის ინტერესებისადმი ანგარიშის გაწევის, მისი ბუნებრივი ძალების ჰარმონიული განვითარებისათვის ხელშეწყობა იყო, ჩვენი აზრით, დიმიტრი უზნაძის ექსპერიმენტული პედაგოგიკის კრედო.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, დიმიტრი უზნაძე აღზრდის მიზნების, შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრაში არ უარყოფს სოციალურ მოტივებს და არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ბავშვის ბუნებას, მისი ზრდისა და განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას. ამ საკითხში ის არსებითად სწორ პოზიციაზე დგას და მნიშვნელოვნად განსხვავებულ ხაზს იცავს, ვიდრე ექსპერიმენტული პედაგოგიკის ზოგიერთი თეორეტიკოსი. მეცნიერული კვლევის მეთოდებისა და პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის საკითხშიც მისი იდეები და შეხედულებები როგორც წინა პარაგრაფში ავლნიშნეთ მისაღებია და მართებული.

ყოველივე ზემოთ თქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დიმიტრი უზნაძემ ექსპერიმენტალური პედაგოგიკა მექანიკურად კი არ გადმოიტანა ჩვენში, არამედ კრიტიკულად გადაამუშავა და შემოქმედებით ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბა ბევრი დებულება, რომლებიც დღესაც მისაღები და საყურადღებოა თანამედროვე სკოლის განვითარებისათვის. ეს იყო პედაგოგიური ხასიათის პირველი ნაშრომი, რომლითაც საქართველოში იწყება ექსპერიმენტული პედაგოგიკის, როგორც დამოუკიდებელი დარგის განვითარება.

§ 5. დიმიტრი უზნაძე საქართველოში სასკოლო სისტემის რეფორმატორი

1918 წელს შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩამოყალიბდა ახალი სამთავრობო სტრუქტურები. გადაწყდა ძველი სასკოლო სისტემის გაუქმება და ახლის შექმნა. ახალი სკოლა უნდა დაფუძნებოდა ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის აღზრდას, რომელიც მოითხოვდა მეცნიერულად დასაბუთებული და პედაგოგიურად ახალი სკოლის შესაფერის პრინციპებს.

დიმიტრი უზნაძე აქტიურად ჩაერთო რეფორმატორულ საქმიანობაში და მან დაიწყო თავის მიერ შექმნილი პედაგოგიური სისტემის გადმოტანა და განხორციელება მაშინდელ ახლად შექმნილ ქართულ სკოლებში.

1917 წლის 27 მარტს ქუთაისში კლასიკური გიმნაზიის ეზოში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო დიმიტრი უზნაძემ. ყრილობის დღის წესრიგში იდგა საკითხი: ერთგვარი სკოლების დაარსება, პროგრამები და მომავალი სასწავლო წლიდან სკოლის ნაციონალიზაცია. სკოლების შემუშავებისა და დაარსების შესახებ მოხსენება გააკეთა დიმიტრი უზნაძემ. მან კრებაზე წამოაყენა შემდეგი დებულებები: „1. საპროფესიო განათლება და ზოგადი განათლება ცალ-ცალკე უნდა არსებობდეს; 2. საზოგადო განათლების სკოლა წინ უნდა უსწრებდეს საპროფესიო განათლების სკოლას; 3. საზოგადო განათლების სკოლა უნდა იყოს რვაწლიანი, ამასთანავე ყველასათვის სავალდებულო და ერთი; 4. საზოგადო განათლების სკოლა ყველა ძალას უნდა ავითარებდეს, ამიტომ მინიმალური პროგრამა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს; 5. საზოგადო განათლების სკოლა გზას უნდა უხსნიდეს მოწაფეს ყოველი დარგის საშუალო სკოლისათვის; 6. მიზანი საზოგადო განათლების სკოლისა არის ხასიათის სიმტკიცის შემუშავება; 7. მთლიანი სწავლა - აღზრდა საზოგადო სკოლაში უნდა იყოს დაფუძნებული თვითმმართველობაზე; 8. საპროფესიო სკოლა უნდა უნდა იყოს სავალდებულო ყველასათვის, ვინც სხვა ტიპის სკოლაში არ გადადის; 9. საპროფესიო სკოლები სხვადასხვა დარგისა უნდა იყოს ადგილის მიხედვით“(12. გვ. 3).

დიმიტრი უზნაძის მიერ წამოყენებული დებულებები დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობამ მოიწონა და გადასცა მთავარ გამგეობას გასავრცელებლად. დაიწყო მუშაობა ახალი სახელმძღვანელოების, სასკოლო პროგრამების, მასწავლებლების გადამზადებაზე, ტერმინოლოგიის დადგენაზე და სხვა. დიმიტრი უზნაძე აქტიურად იყო ჩართული ამ საქმიანობაში. რასაც ადასტურებს ცნობა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სხდომის ოქმიდან. 1917 წლის 30 მარტს ჩატარდა მასწავლებელთა კავშირის გამგეობის პირველი სხდომა. სხდომაზე დ. უზნაძე არჩეული იქნა თავმჯდომარის ამხანაგად.

კრებამ მიიღო დადგენილება, რომ „1. მომავალი სექტემბრიდან განხორციელებული იქნას სკოლების ნაციონალიზაცია; 2. დაევალოს დ.უზნაძეს, გ.ნიორაძეს და ვლ. ნაცვლიშვილს შეკრიბონ ცნობები და წარმოადგინონ, თუ რა და რა სახელმძღვანელოები მოიძებნება დღეს ქართულ ენაზე, როგორც საშუალო, ისე დაბალ სკოლებში სახმარებლად, აგრეთვე, თუ დამზადებული აქვს ვინმეს მასალა და აპირებს დაბეჭდვას. შეკრიბონ მასალა დღეს არსებული რუსული სახელმძღვანელოებიდან, რომელიც გამოდგება და ივარგებს გადასათარგმნად; 3. დაარსებული იქნას სამი სექცია: პირველდაწყებითი-დაბალი; მაღალი და საშუალო; მასწავლებელთა ასეთი სექციების წევრთა სარეკომენდაციო სიების შედგენა დაევალოს დ.უზნაძეს, გ.ნიორაძეს და ვლ. ნაცვლიშვილს“ (10. გვ. 199).

1917 წლის 16 მაისს თბილისში გაიხსნა კავკასიის მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ყრილობის დელეგატი დიმიტრი უზნაძე. ყრილობაზე მან წაიკითხა მოხსენება ეროვნული სკოლის მნიშვნელობის შესახებ, სადაც მან ჩამოაყალიბა შემდეგი დებულებები: „1. სკოლის ცხოვრებაში გატარებული იქნას ნაციონალიზაციის პრინციპი; 2. ნაციონალური სკოლის პროგრამების შესაქმნელად ყველა ტიპის სკოლის ოლქთან შეიქმნას მუდმივი კომისია ამ საკითხების შესამუშავებლად; 3. სასწავლო ენად ყველა სკოლაში აღიარებული იქნას სამშობლო ენა; 4. ყველა სკოლაში შემოღებული იქნას გამლიერებული სწავლება: სამშობლო ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის; 5. ნაციონალური სკოლის გარანტიისათვის მოეთხოვოს დროებით მთავრობას გამოსცეს დეკრეტი რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხის სკოლათა ნაციონალიზაციის შესახებ; 6. მომავალი სასწავლო წლის დაწყებიდან სწავლების ენად საპედაგოგო სასწავლებლებში შემოღებულ იქნას მოწაფეთა სამშობლო ენა“ (14. გვ. 3-4).

დიმიტრი უზნაძეს საუკეთესო სკოლად მიაჩნია მხოლოდ ორი სახის სკოლა: საზოგადო განათლებისა და პროფესიონალური. ორივე უფასო და სავალდებულო. საზოგადო განათლება უნდა უსწრებდეს პროფესიულს, რომ პროფესიულმა განათლებამ ვიწრო ჩარჩოებში არ ჩამოაყალიბოს და განავითაროს პიროვნება. დიმიტრი უზნაძე პროფესიულ განათლებას უყურებს პრაქტიკული თვალსაზრისით.

მას მიაჩნია სხვადასხვაგვარი პროფესიული სკოლების დაარსება ადგილების მიხედვით. მაგალითად, სადაც მეხილეობას და მებოსტნეობას მისდევენ იქ მას საჭიროდ მიაჩნია მებაღეობის პროფესიული სკოლის გახსნა და ასე შემდეგ. შემდეგ მოხსენებაში ეხება სასკოლო პროგრამებს, სწავლების მეთოდებს. გასაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მომავლის სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლებას და წინ წამოსწევს მასწავლებელთა მომზადების იდეას. საჭიროდ მიაჩნია გაიხსნას სამასწავლებლო სემინარები.

ყრილობამ მიიღო უზნაძის შემდეგი დებულებები: 1. განათლების სისტემა აგებული იქნას ორ სკოლაზე: საზოგადო განათლებისა და პროფესიონალურზე; 2. საზოგადო სკოლა წინ უნდა უსწრებდეს პროფესიონალურს; 3. საზოგადო სკოლა ხანგრძლივი უნდა იყოს. მან უნდა მისცეს მოზარდს საზოგადო განათლება, რომელიც საჭიროა პროფესიული სკოლისათვის; 4. ზოგადი განათლების სკოლას მხედველობაში აქვს შემდეგი: ა. მთლიანი საზოგადო განათლება; ბ. საშუალო სასწავლებელში გადასვლის შესაძლებლობა; გ. პროფესიონალური სკოლა; 5. სახალხო სკოლა მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვის მტკიცე ხასიათის აღზრდას. სახალხო სკოლა შრომის სკოლაა, რომელიც ბავშვს ავარჯიშებს გარდა საერთო მეცადინეობისა, იმ ხელსაქმეზე, რომელიც არის უმთავრესი დანიშნულება პროფესიონალური სკოლისა“ (15. გვ. 4).

ამრიგად ყრილობაზე უზნაძის პედაგოგიკურ შეხედულებებს მთელი კავკასიის მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილი გაეცნო. ამას დაემატა ისიც, რომ რუსულ ენაზე დაიბეჭდა უზნაძის მიმოხილვა-„კავკასიის სკოლის რეფორმის შესახებ“. მასში განხილულია განათლების სტრუქტურის, აღზრდის მიზნისა და პედაგოგიკის პრინციპული საკითხები. შრომაში, ჩვენი აზრით, ნათლად ჩანს, თუ რა საკითხები აწუხებდა მაშინდელ ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას. კერძოდ, „ახალი თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის“ საკითხი, ნებისყოფის მიმართება და ხასიათის მოქალაქეობრივი გამოკვეთილობა, სკოლის დემოკრატიულ პრინციპებზე მოწყობა, სკოლაში თვითმმართველობის შემოღება, ძველი ინტელექტუალური სკოლის შეცდომების გამოსწორება, რადგან მარტო ცოდნა ვერ ქმნის სიცოცხლის მშენებელს. ცოდნა არის ნათურა, რომელიც გზას უნათებს კულტურის მშენებელს. „სხვანაირად, -

სახალხო სკოლის ძირითადი მიზანი დღეს უდავოდ ადამიანის ხასიათის აღზრდა არის“ (10. გვ. 206).

ნაშრომში ზოგადი განათლების საფეხურები და მათი ხანგრძლივობის საკითხი ბავშვის ასაკობრივი განვითარების ფსიქოლოგიასთან არის შეთანხმებული. დიმიტრი უზნაძე იცავს შვიდწლიანი სკოლის ორ საფეხურს. მომავალი სკოლა უნდა იყოს შრომის სკოლა, სადაც ხელგარჯილობას ცენტრალური ადგილი უკავია და აღმზრდელობით ამოცანას ასრულებს და ააშკარავებს მოწაფის პროფესიულ მიდრეკილებებს.

ჩვენი აზრით, ნაშრომი-„კავკასიის სკოლების რეფორმის შესახებ“ იმ პერიოდისათვის პედაგოგიკის საკითხებზე გამორჩეული თეორიული მნიშვნელობის შრომაა, რომელშიც ნათლად ჩანს კავკასიის ხალხების მისწრაფება ეროვნული სკოლისა და ახალი პედაგოგიური სისტემის შექმნისაკენ.

1920 წელს საქართველოში შეიქმნა საქართველოს სკოლის სარეფორმო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც არჩეული იქნა დიმიტრი უზნაძე. ამ კომისიამ იარსება 1921 წლის 25 თებერვლამდე. დიმიტრი უზნაძეს დაევალი ახალი პროექტის შემუშავება. 1920 წელს დიმიტრი უზნაძემ დაწერა მნიშვნელოვანი გამოკვლევა „სახალხო განათლების სისტემის ძირითადი პრინციპების შესახებ“. ამ ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ „ქართული ერთიანი სკოლა“ შემდეგ პრინციპებსა და დებულებებზე უნდა ყოფილიყო აგებული:

პირველი საფეხური (6-10 წლამდე) – 4 წლიანი სკოლა, რომლის პირველი კლასის სასწავლო კურსი საბავშვო ბაღისა და სკოლის ელემენტებს შეიცავდა;

მეორე საფეხური (10-14 წლამდე) – 4 წლიანი კურსით, რომელიც ორ შტოს შეიცავს: ა. ჰუმანიტარულ - თეორიულს და ბ. რეალურ-პრაქტიკულს;

მესამე საფეხური იყოფოდა: ა. სამეურნეო და სამრეწველო - სატექნიკო სკოლებად; ბ. მაღალი პროფესიონალური და მაღალი ზოგადი განათლების სკოლებად(4 წლიანი).

ზოგადი განათლების სკოლა შეიცავდა: ა. რეალურსა და ბ. ჰუმანიტარული სკოლის ტიპებს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კიდევ ორ შტოდ იყოფოდა:

1. ნეოჰუმანიტარულ და კლასიკურ სკოლად, რომლის ხანგრძლივობა ოთხი წლით იყო განსაზღვრული.

2. მესამე საფეხურით სრულდებოდა სავალდებულო სწავლების პერიოდი, რის შემდეგ სწავლის გაგრძელება შეიძლებოდა უნივერსიტეტებში, პოლიტექნიკუმებში, ან სხვა ტიპის უმაღლეს სკოლებში.

საშუალო სკოლებში გათვალისწინებული იყო: დედაენის, მშობლიური ლიტერატურის, სამშობლოს და მსოფლიო ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ზნეობისა და უფლებების, ფიზკულტურის, ხელგარჯილობის და სახვა დისციპლინების სწავლება“ (66. გვ. 316).

დიმიტრი უზნაძე მხარს უჭერს პროფილურ სწავლებას. მეორე საფეხურის კურსის დასრულების შემდეგ იგი მოწაფეთა განაწილებას ორი თვალსაზრისით ხედავდა: 1. ბუნებრივი ნიჭიერების ინტენსივობით და 2. სულიერი დისპოზიციების რომელობის თვალსაზრისით.

დიმიტრი უზნაძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი-„სახალხო განათლების სისტემის ძირითადი პრინციპების შესახებ“ მართლაცდა პროგრესული ხედვაა საქართველოში განათლების სისტემის ევროპულ დონეზე მოწყობისა და განხორციელებისა. როგორც ნადეჟდა ბერულავა აღნიშნავს, ამ შრომაში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს სამი საკითხი: „1. სახალხო განათლების სოციალური საფუძვლები; 2. სახალხო განათლების სისტემის აგებულება (ზოგადი და საპროფესიო განათლება ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით); 3. აღზრდის მიზანი და მისი განხორციელების გზები“ (10. გვ. 207).

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე კრიტიკულად უდგებოდა არსებულ პედაგოგიურ სისტემებს, აანალიზებდა მათ და ქმნიდა თავის პედაგოგიკურ კონცეფციას , რომელთა დანერგვას და განხორციელებას ცდილობდა 1915 – 1920 წლებში. მაგრამ უზნაძის რეფორმის განხორციელებას ხელი შეუშალა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დიმიტრი უზნაძის პროექტები განათლების სისტემის ევროპულ დონეზე მოწყობისა.

თავი II. დიმიტრი უზნაძის შეხედულებანი აღზრდის სწავლებისა და განათლების საკითხებზე

§ 1. დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, განვითარებისა და პედაგოგიკის ცნების შესახებ

პედაგოგიური ცოდნა სასწავლო–სააღმზრდელო პრაქტიკის განზოგადების შედეგად წარმოიშობა. პირველი სკოლები კი უხსოვარ დროში, პირყოფილი საზოგადოების საკმაოდ ადრეულ სტადიაზე შეიქმნა.

როგორც პედაგოგიკის ისტორიიდან არის ცნობილი, ყოველ ახალ ფორმაციას, ახალ წყობას ან განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ ცვლილებას, ჩვენი აზრით, თან ახლდა აღზრდისა და განათლების სფეროს შესატყვისი გარდაქმნა, რეფორმა და მხოლოდ იქ, სადაც ამ რთული პროცესების წარმმართველი და გზის გამკვლევე პედაგოგიკური მეცნიერება იყო.

ყველა ქვეყანაში ერთდროულად მოქმედებს საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული საგანმანათლებლო კანონები. მის პარალელურად, ასე ვთქვათ, მის წიაღში მიმდინარე პროცესების სიახლიდან გამომდინარე, პედაგოგიკურ მეცნიერებაში იქმნება ახალი მიმართულებები და თეორიები.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში პედაგოგიკის ახალ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი დიმიტრი უზნაძემ „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის“ სახით, როგორც დიმიტრი უზნაძე წერდა – „იგი ყველა განათლებული ერის მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების მორევში მძლავრ ნაკადად შეიჭრა და დღემდის მდგარი ჭაობის წყალს თავისი ანკარა შეუერთა. ამით მან ახალი ენერჯია და ახალი ხალისი შეიტანა მოზარდი თაობის აღზრდის რთულ საქმეში და იმავე დროს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში გამეფებულს, ადამიანთა და საგანთა თანაბარი ფაბრიკაციის პროცესს, ინდივიდუალურ თვისებათა ყურადღება–გამოკვლევით და ამისდამიხედვით მისი შესაფერი აღზრდა–ხელშეწყობით საბოლოო საზღვარი დაუსვა“ (36. გვ. 14).

დიმიტრი უზნაძე ქართველი ხალხის მთავარ თვისებად მიიჩნევს, სწავლა–განათლებისაკენ სწრაფვას. მას მიაჩნია, რომ ასეთი ლტოლვის დასაკმაყოფილებლად

საჭიროა რიგიანი და დროის შესაფერისი ფორმების შემუშავება. ამ მხრივ, დიდ პედაგოგსა და ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებამ. უზნაძის შეხედულებით, რუსული განათლების სისტემამ ვერ შეძლო საქართველოში სრულყოფილი პედაგოგიური მეცნიერების ჩამოყალიბება, რადგან დიდმპყრობელური ხელისუფლება ცდილობდა, რომ ქართველ ხალხში მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ჩაეკლა სწრაფვა ყოველივე პროგრესულისაკენ.

დიმიტრი უზნაძე ქართველი ხალხის განათლებისაკენ ლტოლვის მთავარ მიზეზად მიაჩნია მატერიალური უზრუნველყოფისაკენ სწრაფვა და არა განათლების მიზანი-მეცნიერული ლტოლვა. „მამ ჩვენი ლტოლვა, განათლების მიზანი მეცნიერული განვითარება კი არ ყოფილა, რომელიც ადამიანის ბუნების შემეცნებითი მოთხოვნების წყაროდან გადმოსჩქეფს. ჩვენი მიზანი ოფიციალური სკოლის დამთავრების საშუალებით მატერიალური უზრუნველყოფის განხორციელება ყოფილა. ჩვენ ვაბარებთ სკოლაში ბავშვებს და მთელი ჩვენი არსების მოუთმენლობით ველით იმ ნეტარ მომენტს, როდესაც იგი დიპლომით აღჭურვილი უკან დაგვიბრუნდება. იმას კი არ ვკითხულობთ და მისთვის კი არ გვცხელა, თუ სხვა რა მოიტანა მან თან იმ დიპლომთან ერთად“ (36. გვ. 14–15). ვფიქრობთ დიმიტრი უზნაძის მიერ ასე წლის წინ გამოთქმული ეს შეხედულება ესადაგება დღევანდელობას.

ჩვენი აზრით, დიმიტრი უზნაძემ სწორად დასვა საკითხი საქართველოში განათლების სწრაფვასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას აუცილებლად მიაჩნია სწავლა–განათლების ახალი ფორმების შემოტანა და დანერგვა. ახალი პედაგოგიკური ხის დარგვა და გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში შესაფერისი პედაგოგიური ატმოსფეროს დამკვიდრებას. სწორედ ასეთ ნერგად მიაჩნია მას ექსერიმენტალური პედაგოგიკა. „ამის მიზეზი ამ მეცნიერული დისციპლინის საკუთარს, ცნობილ თვისებათა შორის განსაკუთრებით ის არის, რომ იგი ყურადღებას აქცევს ბავშვის ბუნების ინდივიდუალურ ბუნებასა და სურს მას აღმზრდელობითი მფარველობა გაუწიოს“ (36. გვ. 16).

დიმიტრი უზნაძე საუბრობს რა პედაგოგიკის მეცნიერების მოძღვრების ჩამოყალიბების შესახებ ზოგადად განიხილავს მის წარმოშობას და განვითარებას უძველესი დროიდან.

შორეულ წარსულში მთელ მეცნიერულ ცოდნას ფილოსოფია ეწოდებოდა. მის შინაარსში საკუთრივ ფილოსოფიურ წარმოდგენებთან ერთად მათმატიკური, ასტრონომიული, საბუნებურმეტყველო, გეოგრაფიული, სამედიცინო, ისტორიული, პედაგოგიური და სხვა ინფორმაციაც იგულისხმებოდა. ასე რომ ანტიკურ ფილოსოფოსთა ნააზრევში პედაგოგიკური იდეებიც გამოიკვეთა. „ყოველი შემოქმედის მიზანი – წერს დიმიტრი უზნაძე, რომლის განხორციელებისაკენ იგი მიისწრაფვის, აუცილებლად ყოველი მხრით დასრულებულ ფორმას მოითხოვს. სადაც ეს სისრულე მიღწეული არ არის, იქ შემოქმედებითი ლტოლვილებაც ვერ შეჩერდება და მუდამ ახალი ფორმების წარმოშვებისაკენ ისწრაფვის ხოლმე“ (36. გვ. 16). ამიტომ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების მიმდინარეობაც ერთგვარი შემოქმედების პროცესია, და ამიტომ წარმოუდგენელია ადამიანის სული დაცხრეს, სანამ იგი ყოველმხრივ დასრულებულ ფორმას ვერ განახორციელებს. მართლაცდა, ადამიანის განვითარება ძალიან რთული პროცესია. იგი მიმდინარეობს როგორც გარეგანი ზემოქმედებით, ასევე შინაგანი ძალებით, რაც დამახასიათებელია ადამიანისათვის, როგორც ცოცხალი და მოზარდი ორგანიზმისათვის. ამიტომ ადამიანი „ყველგან დასრულებულ, მუდამ აბსოლუტურ ფორმას ელტვის“. სავსებით ვიზიარებთ დიმიტრი უზნაძის შეხედულებას: „ეს ზოგადი ხასიათი ადამიანის სულიერი არსებობისა ყოველს მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელო მოვლენაში იჩენს თავს; განსაკუთრებული ძლიერებით კი იგი მეცნიერების განვითარების ისტორიაში მხილდება“ (36. გვ. 17). ვერც პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, ვერ ასცდებოდა ამ გზას.

დიმიტრი უზნაძე სვამს კითხვას-რა არის პედაგოგიკა? იქვე ხაზგასმით ამბობს, რომ საყოველთაოდ გადაჭრილი, სრულყოფილი პასუხის მოცემა მას არ შეუძლია. რადგან თვით ცნება „პედაგოგიკა“ ისეთ კატეგორიას ეკუთვნის, რომ მისი შინაარსის მარტივ ჩარჩოებში ჩასმა შეუძლებელია. იგი პედაგოგიკას განიხილავს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით და იქვე ასკვნის, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერება,

რომელსაც არავითარი დამტკიცება არ სჭირდება და თუ ის მეცნიერებაა, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ობიექტი, საგანი, უზნაძის აზრით, სავსებით მართებულად, პედაგოგიკური მეცნიერების ყველა დარგისა არის აღზრდა.

აღზრდის ობიექტი – ესაა მზარდი და განვითარებადი ადამიანი. მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს ადამიანის განვითარების პროცესი. იგი განიცდის სხვადასხვაგვარ ფიზიკურ და ფსიქიკურ, რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებს. ფიზიკურ და ფსიქიკურ ცვლილებებს მიეკუთვნება: ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემების ზრდა და განვითარება, ცვლილებები შინაგან ორგანოებში, ნერვულ სისტემაში, ფსიქიკაში, უწინარეს ყოვლისა, გონებრივ განვითარებაში; პიროვნების ფსიქიკური ნიშნების ჩამოყალიბება და იმ სოციალურ თვისებათა შექმნა, რომლებიც საჭიროა საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. „თუ აღზრდას განსაკუთრებული სოციალური და საზოგადო „ჰუმანური“ იდეალები აქვს, იგი ეჭვს გარეშეა აქტიურ მონაწილედ ჩაერევა მომავალი თაობის ცხოვრების ფორმაციის პროცესში და მას ისეთ მიმართულებას მისცემს, რომელსაც მისი იდეალები უკარნახებს“ (36. გვ. 19).

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის შეხედულებით პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის შესახებ, რომელსაც აინტერესებს მოზარდის, ჯერ კიდევ მოუმწიფებლის აღზრდა. მისი კვლევის საგანია აღზრდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკას განიხილავს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. იგი საუბრობს მათ შორის არსებულ განსხვავებაზე პედაგოგიკის, როგორც საგნის, ობიექტის ვითარებიდან გამომდინარე. გამოჩენილი პედაგოგი მიჩნევს, რომ აღზრდის პროცესი იქ იდგამს ფეხს, როდესაც გაჩნდა ადამიანი, აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ დიმიტრი უზნაძე იზიარებს აღზრდის წარმოშობის სოციალურ თეორიას. მისი აზრით, აღზრდა საზოგადოებრივი მოვლენაა. ამიტომ თეორიული პედაგოგიკა ჩვენ თვალწინ გადაშლის, აღმოაჩენს და შეისწავლის საზოგადოების განვითარების მანძილზე იმ კანონებს, რომელსაც ემსახურება აღზრდის თეორია, თეორიული პედაგოგიკა. „ეს უკანასკნელი მაშასადამე წმინდა, მეცნიერულის თვალსაზრისით იკვლევს და იხილავს იმ კანონებს, რომელთაც ექვემდებარება ფაქტიურად ადამიანის აღზრდა“ (36. გვ. 21).

როგორც აღვნიშნეთ დიმიტრი უზნაძე თანმიმდევრულად განასხვავებდა თეორიულ და პრაქტიკულ პედაგოგიკას. სწორედ თეორიული პედაგოგიკის ცოდნას უნდა მიეცა შესაძლებლობა მასწავლებლისათვის, რომელსაც არ გააჩნდა განსაკუთრებული ინტუიტიური პედაგოგიური ნიჭი, ეკეთებინა თავისი საქმე საზოგადოებისა და ბავშვის პიროვნების განვითარების სასარგებლოდ. დ. უზნაძის აზრით, აუცილებელია სკოლაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც „მოითხოვენ ბავშვის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების, არამედ მთელი მისი ბუნების მოქმედებაში მოყვანას“ (69. გვ. 66).

ამრიგად, პედაგოგიკის მიზანი არის იმ კანონთა გამოკვლევა, რომელთაც აღზრდის მოქმედება უნდა ექვემდებარებოდეს. თავისთავად საინტერესოა იმ კანონების შემეცნება, რომელსაც აღზრდა ექვემდებარება. მხოლოდ ასეთი შემეცნებით ადამიანის სული ვერ დაკმაყოფილდება და იგი შეცნობილ კანონებს იყენებს თავისი ცხოვრების იდეალურად გარდაქმნის საქმეში. აქედან გამომდინარე, დიმიტრი უზნაძის აზრით, თეორიული პედაგოგიკის მიზანი ორ მიმართულებას იღებს: „ა) იგი იმცნობს აღზრდის კანონებს და შემდეგ ბ) ამ შეცნობილის საშუალებით ისეთ კანონებს იმუშავებს, რომელთაც უნდა დაექვემდებაროს მოზარდი თაობის აღზრდის პროცესი, რომ მისი არსი ცნობიერებაში დამარხულ იდეალურ სურათს დაუახლოვდეს“ (36. გვ. 22).

დიმიტრი უზნაძე, როდესაც პედაგოგიკის კანონებსა და კანონზომიერებებზე საუბრობს, პედაგოგიურ ნორმებსაც ეხება. განმარტავს, თუ რა არის ნორმა. „ისეთ კანონებს, რომელთა განხორციელებას თხოულობს რომელიმე განსაზღვრული მიზანი, უწოდებენ ნორმებს. მაშასადამე თეორეტიული პედაგოგიკის მიზანი მარტო აღზრდის კანონების შემეცნება კი არ ყოფილა, არამედ აღზრდის ნორმების წამოყენებაც. იგი ისეთ მეცნიერებათა მთელ ჯგუფს ეკუთვნის, რომელთა *raison d'être*-ი მხოლოდ ამა თუ იმ ნორმების წამოყენებით ისაზღვრება“ (36. გვ. 22) ამრიგად პედაგოგიური ნორმები არის საშუალებები, რომლებიც განასაკუთრებული მიზნის განხორციელებას ემსახურებიან. მათი განხორციელება (თეორიულად შემუშავებული ნორმების–ს. ფ.) ცხოვრებაში გატარება პედაგოგიკას აძლევს სულ სხვაგვარ სახეს. ეს

სახე პედაგოგიკური მეცნიერებისა არის პრაქტიკული პედაგოგიკა, როგორ უნდა აღზარდოთ, როგორ უნდა განვავითაროთ პიროვნება.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ ნააზრევში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის შესახებ, ხოლო პედაგოგიკისა და აღზრდის კანონების და კანონზომიერებების დადგენა–აღმოჩენა შადგენს პედაგოგიკის კვლევის ძირითად მიზანს და ამოცანას. იგი დგას მეცნიერული პედაგოგიკის თვალსაზრისზე. პედაგოგიკას ის ფსიქოლოგიასა და ექსპერიმენტზე აფუძნებს და თვითონ ქმნის პედაგოგიკურ სისტემას, სადაც მეცნიერულადაა გათვალისწინებული და დასაბუთებული პედაგოგიური სისტემის ყველა დებულება. მეცნიერულმა პედაგოგიკამ ყველა მეცნიერული მეთოდის გამოყენებით უნდა იკვლიოს ბავშვის განვითარების პერიოდები, ყურადღება, მეხსიერება, დადლილობა, ინტერესთა სფერო და სხვა.

§ 2. პედაგოგიკა, როგორც ხელოვნება დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში

პედაგოგიური მეცნიერების საყოველთაო ხასიათი ქმნიდა იმის ილუზიას, რომ პედაგოგიკა მეცნიერება კი არაა, საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა, რომელიც უფრო მეტად ხელოვნებას ემსგავსება. არადა, პედაგოგიკა მეცნიერებაა და მას საამისოდ ყველა ნიშან-თვისება გააჩნია. იგი დამოუკიდებელი მეცნიერებაა და აქვს საკუთარი კვლევის საგანი და კვლევის მეთოდები. ხელოვნება კი სწავლებისა და აღზრდის პროცესია.

ამდენად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მრავალფეროვან სისტემაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს პედაგოგიკას, როგორც მეცნიერებას, მოზარდი თაობის აღზრდის შესახებ. დიდი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის აზრით, მასწავლებელი „დაყენებულია ისეთ უაღრესად საპატიო პოსტზე, ჩაბარებული აქვს ისეთი ყველაზე საუკეთესო თანამდებობა, რომელზე მაღალი არაფერი შეიძლება იყოს ამ მზის ქვეშ“, პედაგოგი შეუძლებელია აღწევდეს სასურველ შედეგს, თუ ის არ არის დაუფლებული ამ ურთულეს მეცნიერებას.

ორიგინალური შეხედულებები გამოთქვა დიმიტრი უზნაძემ პედაგოგიკის, როგორც ხელოვნების, შესახებ. თეორიული და პრაქტიკული პედაგოგიკის კანონების

და ნორმების განხორციელება დამოკიდებულია აღზრდისა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის – მასწავლებლის ნიჭზე. „პედაგოგიკა, როგორც პრაქტიკა, წერს დიმიტრი უზნაძე, ეჭვს გარეშეა, მჭიდროდ არის დაკავშირებული თეორეტიულ პედაგოგიკასთან. მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა ჩვენთვის, რომ ეს მჭიდრო კავშირი აუცილებლობის სახეს ატარებს“ (36. გვ. 24).

დიმიტრი უზნაძის აზრით, პედაგოგიურ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეორიულ ცოდნასთან ერთად მასწავლებლის პედაგოგიურ ნიჭს, მის პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ დიდი პედაგოგის აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან მისი სიტყვებით, რომ ვთქვათ: „დღევანდელი ჩვენი ცხოვრების პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით ისეთ მოვლენებს, რომელნიც საუკეთესოდ ამტკიცებენ იმ დებულებას, რომელზედაც ჩვენ ახლა ვმსჯელობთ. ხშირი არის ისეთი მოვლენა, როდესაც ერთი რომელიმე აღმზრდელი თითქმის ყველა თავის შეგირდს ისეთი ძლიერებით გაიტაცებს, რომ მისი მზანი იმ ჩრდილოეთის როლს თამაშობს, რომელიც მოზარდი თაობის მთელი არსების მაგნიურ ისარს თავისკენ მიმართავს. მეორე აღმზრდელი კი უფრო მეტი გამოცდილებით, უფრო მეტი თეორიული ცოდნით არის აღჭურვილი, მაგრამ მისი გავლენა საკუთარ შეგირდებზე ნულს უდრის“ (36. გვ. 24).

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აღმზრდელმა შეიძლება ზედმიწევნით კარგად იცოდეს საგანი და მისი სწავლების მეთოდოლოგია, იცოდეს როგორ უნდა აღზარდოს ბავშვი, მუშაობაში გამოიჩინოს დიდი მონდომება და მაინც იყოს სუსტი აღმზრდელი. სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკით შემოწმებულმა რომელიმე მეთოდმა ან ხერხმა მის ხელში ვერ მოგვცეს სრულყოფილი შედეგი. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი პიროვნული თვისებითაა აღჭურვილი თვით აღმზრდელი.

ჩვენ ვიზიარებთ უზნაძის შეხედულებას, რომ პიროვნების ყველა საუკეთესო თვისება თავმოყრილი უნდა იყოს აღმზრდელში, რამეთუ იგი მოწოდებულია გაუგოს სხვას და ზემოქმედება მოახდინოს მასზე. ყოველმა აღმზრდელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ პირველ რიგში თავის თავში აღზარდოს ყველა ის თვისება, რომელიც მას სურს აღზარდოს თავის აღსაზრდელებში.

პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, საგანი აღზრდაა. აღზრდის პროცესი კი, როგორც უზნაძე აღნიშნავს, განსაკუთრებული თვისებების მატარებელია. მას ადამიანთან აქვს საქმე. „მისი მიზანი ადამიანის ბუნების სასურველ ფორმებში ჩამოსხმა წარმოადგენს“ (36. გვ. 25). ეს არის სწორედ პედაგოგიური ხელოვნება, როდესაც „აღზრდელი აღსაზრდელის მთელ ნებისყოფას თავის ნებით დაუქვემდებარებს, როდესაც იგი მას იმგვარად გაიტაცებს, რომ თავის სურვილებს და გრძნობებს მის სურვილებად და გრძნობებად აქცევს“ (36. გვ. 25). ასეთი ნიჭის მქონე ადამიანის არსებობა დიმიტრი უზნაძეს პრობლემურად მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ „მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს „ნიჭთა სისტემაში“ და მაშასადამე მხოლოდ რჩეულთა ხვედრს შეადგენს (36. გვ. 25). ამიტომაც არის, რომ ნამდვილი აღზრდელი ერთხელაც არ გადადგამს ცრუ ნაბიჯს და მუდამ, თითქოს წინდაწინვე გამოანგარიშებულ ცვლილებას ახდენს აღსაზრდელის სულიერ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე დიმიტრი უზნაძე ასკვნის, რომ პედაგოგიკა უმთავრესად ხელოვნებას წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ზოგ ინდივიდს გააჩნია.

იქვე აღნიშნავს, რომ ამით ის სულაც არ აკნინებს პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების როლს. მისი აზრით, პედაგოგიკა ნამდვილად მეცნიერებაა, მას გააჩნია თავის კვლევის საგანი. მაგრამ პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებულ აღზრდელთა რიცხვი განსაზღვრულია, ამიტომ, უზნაძის აზრით, „აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ მარტო ხელოვანი პედაგოგები კი არა, აღზრდელი ხელოსანნიც“ (36.გვ.27), მაგრამ აღზრდა თავის მიზანს ვერ მიაღწევს, თუ იგი თავის აღსაზრდელის ბუნებას არ იცნობს. აქ აშკარად ჩანს, რომ ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებათა ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ აღზრდელისათვის, „რომელიც ენერგიისა და დროის უბრალო ფლანგვის სურვილით არ არის გატაცებული“ (36. გვ. 28).

არადა პედაგოგიკას, რომელსაც აქვს თავის კვლევის საგანი-აღზრდა, მას, სხვა მეცნიერებათაგან განსხვავებით, აინტერესებს, როგორც საკაცობრიო ცოდნის მემკვიდრეობითი ათვისების პროცესი, ამ ცოდნის გადაცემის მექანიზმების ფუნქციები. ის იკვლევს აღზრდის არსსა და კანონზომიერებებს, მის სტრუქტურას, ადგენს აღზრდის ზეგავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ქმნის სასწავლო

აღმზრდელითი საქმიანობის თეორიებს. ამ ამოცანათა გადაწყვეტაში იგი ეყრდნობა სხვადასხვა მეცნიერების მონაცემებს. აქედან გამომდინარე, ასკვნიან, რომ პედაგოგიკა არის ინტეგრირებული მეცნიერება აღზრდისა და განათლების შესახებ.

ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით ამ შეხედულებას, მაგრამ, გარკვეულ წილად, არ შეგვიძლია უარყოთ დიმიტრი უზნაძის აზრი პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების და როგორც ხელოვნების შესახებ. მიგვაჩნია, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერებათა, მეცნიერება მაგრამ იგი მაინც ხელოვნებად რჩება. რადგან აღზრდისა და სწავლების პროცესი, ჩვენი აზრით, ხელოვნებაა. ორივეს პედაგოგიკასა და ხელოვნებას ადამიანთა დიდ ჯგუფებთან აქვს ურთიერთობა. მათი ურთიერთობის მიზანი და მოტივი ერთნაირია-მოახდინონ ადამიანებზე ზემოქმედება ცოდნის გაფართოებისა და ზნეხასიათის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მასწავლებელი მარტო ოსტატი კი არა, ხელოვანიც უნდა იყოს.

განათლების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მასწავლებლის მიმართ პროფესიული მოთხოვნების ზრდამ გააძლიერა პედაგოგის შემოქმედებითი ინდივიდუალურობის ჩამოყალიბების, მისი შემოქმედებითი უნარის რეალიზაციისა და საქმიანობის ინდივიდუალური სტილის განვითარების საჭიროება. პედაგოგისათვის, როგორც შემოქმედი პიროვნებისათვის, აუცილებელია პედაგოგიური ლოგიკის დაუფლება, პედაგოგიური ინტუიციის განვითარება, იმპროვიზაციის უნარის გამომუშავება და ბოლოს, პედაგოგიური ხელოვნება. მასწავლებლის ხელოვნებას დღეისათვის საკმარისი ყურადღება არ ექცევა. ქართველ მასწავლებელთა დიდი ნაწილი, ჩვენი აზრით, საბჭოთა პერიოდიდან გამოყოლილი ინერციის გამო, სათანადოდ არ აფასებს დიდაქტიკური ხელოვნების ფლობას სასწავლო პროცესის წარმართვის საქმეში. მასწავლებელთა დიდი ნაწილი სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მოდელის შესწავლის საჭიროებას ჯერ კიდევ ვერ ხედავს, ჯერ კიდევ არ იცის, რომ დღეს აუცილებელია სწავლებისა და აღზრდის პროცესის წარმართვის თანამედროვე ხელოვნების დაუფლება.

მასწავლებლის ხელოვნება მარტო სწავლების ხელოვნება როდია, არამედ, აღზრდის ხელოვნებაცაა. ჩვენი აზრით, მასწავლებლის ხელოვნება არის მომადლებული და დაუდალავი შრომით განვითარებული უნარი აღსაზრდელებზე ისეთი შემოქმედებითი ზეგავლენის მოხდენისა, რაც დაფუძნებულია სწავლებისა და

აღზრდის პრინციპების, სწავლებისა და აღზრდის მეთოდების კომპლექსურ გამოყენებაზე.

მასწავლებელი აღზრდას ახორციელებს, როგორც წესი, აღმზრდელობითი პროცესი შესაბამის გარემოში და გამომდინარე აქედან, თავად აღმზრდელობითი პროცესი არის აღმზრდელის პროფესიული აქტივობა, რომელიც სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება. ისინი ამთან წარმოადგენენ პიროვნების ფორმირების ისეთ ობიექტურ ფაქტორებს, როგორებიცაა: „აღმზრდელობითი გარემო“, „აღმზრდელობითი შემოქმედება“ და „სამყაროში საკუთარი ადგილის გააზრება“. დასახელებული კომპონენტების საშუალებით ბავშვი შეიცნობს სოციალურ ფასეულობათა არსს და საკუთარ თავს პიროვნებად. მაგრამ ამის მიღწევა შესაძლებელია მიზანმიმართული აქტივობით, რომელიც კატეგორიულად უნდა გამორიცხავდეს ბავშვის პიროვნების დათრგუნვას. ჩვენი აზრით, ეს სწორედ ის პრობლემაა, რომლის გადასაწყვეტადაც აღმზრდელს ესაჭიროება პედაგოგიური ხელოვნება, რაც მტკიცებაა იმისა, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერება და ხელოვნება.

ვფიქრობთ, რომ უზნაძისეული შეხედულება დღევანდელობასაც შეესაბამება რადგან ჩვენ რთულ დროში არსებობს იმის საშიშროება, რომ სკოლა „ცოდნის ტაძრიდან“ გადაიქცეს „ცოდნის ბაზრად“, ხოლო მასწავლებლის მიერ ათვისებული პედაგოგიური ხელოვნების ელემენტები მხოლოდ საქონლის გარეგნული შეფუთვა იქნება. იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის, რომ ხელოვნების უკან უნდა იდგეს პიროვნების მდიდრი შინაგანი ბუნება, მისი მთლიანობა და თვითმყოფადობა. პედაგოგიური ნიჭი მხოლოდ მაშინ იქნება ხელშემწყობი პედაგოგიურ მუშაობაში, როდესაც იგი შერწყმულია პედაგოგიკის აზროვნებისა და გრძნობის უნართან, ბავშვის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან.

ჩვენი შეხედულებით, მასწავლებლის პედაგოგიურ ნიჭს, როგორც გაკვეთილის საჯარო მიმართულებით ინფორმაციის ემოციურ ხატოვანი კოდირების უნარს, გააჩნია ის თვისება, რომელსაც დღესდღეობით რეალური უფლება აქვს, იყოს ჩართული თანამედროვე პედაგოგის პროფესიონალიზმში.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის აზრით, პედაგოგიური ხელოვნება ეს არის აღზრდისა და სწავლების მაღალი დონე დაფუძნებული პედაგოგიურ ნიჭსა და უნარებზე, ეს არის ადმიანის ნამდვილი შინაგანი არსის წვდომა.

პედაგოგიური პროცესის შემოქმედებითი არსის აღიარებით დიმიტრი უზნაძე კი არ უარყოფს პედაგოგიური სისტემის თეორიულ გააზრებისა და მეცნიერული დასაბუთების მნიშვნელობასა და აუცილებლობას, არამედ, პირიქით, თავის პირველ პედაგოგიკურ ტრაქტატში „აღზრდის მიზნები“ იგი იმის მტკიცებაშია, რომ ბავშვის ბუნება თავისებური რომელობაა და ამ თავისებურების ცოდნის გარეშე პედაგოგიკა პრიმიტიულ დონეს ვერ ასცილდება. ცოდნა ბავშვის ბუნების შესახებ მეცნიერულ მონაცემებზე უნდა დაფუძნდეს. უშუალო ჩაწვდომაზე დაფუძნებული აღზრდა მხოლოდ ზოგიერთი დიდი პედაგოგის ხვედრია და დღეს ჩვენი მასობრივი სკოლისათვის ის მიუღწეველი და გამოუსადეგარია.

§ 3. აღზრდის მიზნები და ამოცანები დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში

აღზრდა მიზანმიმართული და საგანგებოდ ორგანიზებული პროცესია, რომელიც მოითხოვს ისეთ წარმართვას, რომ შესაძლებელი გახდეს მიღებული შედეგების წინასწარ დაგეგმვა ან განჭვრეტა. ამიტომ ისეთ რთულ პროცესში, როგორც არის აღზრდა, საჭიროა მიზნისა და ამოცანების სწორი გააზრება რეალურ საფუძველზე. მიზანი არის ის, რაც უნდა განხორციელდეს, რისკენაც მივისწრაფვით. მიზანი განსაკუთრებულ როლს ასრულებს პიროვნების ცხოვრებაში. იგი აძლევს მას არსებობის აზრს.

აღზრდის მიზანი პედაგოგიკური მეცნიერებისათვის ყოველთვის თანმხლები პრობლემა იყო, რადგან იგი საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა. აღზრდის მიზანი იყო და ყოველთვის დარჩება არა მხოლოდ სოციალური შეკვეთა, არამედ მისი სწორი გადაწყვეტით პიროვნების ინტერესების გათვალისწინება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მთლიანად არის დაკავშირებული გარკვეულ მიზანთან და ყოველთვის გულისხმობს მიზნის მიღწევის იდეალურ დონეს, რომელიც ამავე დროს არის შეფასების საშუალებაც.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში სკოლა მოზარდი თაობის აღზრდის მათავარ მიზანს მხოლოდ ინტელექტის ვარჯიშში ხედავდა. არადა საზოგადოების განვითარება უკვე ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდის აღზრდას მოითხოვდა.

პიროვნების ჰარმონიული აღზრდის საჭიროებაზე ყოველთვის საუბრობდნენ პედაგოგის კლასიკოსები. მათ მიაჩნდათ, რომ საჭიროა სრულყოფილი იდეალებით აღჭურვილი ახალგაზრდის აღზრდა. არისტოტელე ყოველმხრივ განვითარებაში, გულისხმობდა ფიზიკურ, ზნეობრივ, გონებრივ და ესთეტიკურ განვითარებას. შემდგომში, ადრეული ხანის სოციალ-უტოპისტებმა საჭიროდ ცნეს მას დამატებოდა შრომითი აღზრდა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აღმოცენებისთანავე აღზრდამ მიიღო ავტორიტარული ხასიათი, რადგან იგი, როგორც წესი, ნაკლებად ემთხვევა ბავშვის უშუალო მოთხოვნებს. ზოგჯერ ხდება აღმზრდელისა და ბავშვის მიზანთა შეუთანხმებლობა. ბავშვს ახასიათებს მზარდი წინააღმდეგობა აღზრდისადმი, რაც აიძულებს პედაგოგს ეძიოს ზემოქმედების უფრო შედეგიანი საშუალება.

ავტორიტარული აღზრდის ტრადიცია მტკიცედ დამკვიდრდა პედაგოგიკურ აზროვნებაში და ჩვენამდე მოაღწია, რაც, უწინარეს ყოვლის, განპირობებულია სოციალური მიზეზებით, რომელსაც გააჩნია მეთოდოლოგიური ბაზაც.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვზე ცენტრირებული სკოლის იდეა აღორძინების ეპოქის კუთვნილებაა. მაგრამ მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, ჩვენი აზრით, ავტორიტარული აღზრდა იქცა მწვავე და თითქმის საყოველთაო პრაქტიკად. ამიტომაც წამოაყენეს ამ ტიპის სკოლის გარდაქმნის მოთხოვნა პრინციპით - „სკოლა ცხოვრებისათვის და ცხოვრების მეშვეობით“ (დეკროლი), „აქტიური სკოლა“ (პეტერსონი), „საუკუნის ღირსეული ბავშვის სკოლა“ (ელენ კეი). ისინი მოითხოვდნენ ისეთი სკოლისა და ისეთი აღზრდის სისტემის შექმნას, რომლის ცენტრში იქნებოდა ბავშვი, მისი მოთხოვნილებანი და შესაძლებლობანი. ამ ახალმა პედაგოგიკურმა კონცეფციებმა მიიღეს საერთო სახელწოდება-„რეფორმატორული პედაგოგიკა“ ანუ „ახალი აღზრდა“.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდა „თავისუფალი აღზრდის თეორია (მისი მთავარი არსი იყო ბავშვიდან გამოსვლა). ამავე პერიოდში წინა პლანზე წამოვიდა ექსპერიმენტული პედაგოგიკის სკოლების ჩასახვა. მათ წინა პლანზე წამოაყენეს ბავშვის ფსიქოლოგია, რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას განესაზღვრა, თუ როგორი აღზრდა უნდა მიეღო მოზარდს. ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ ფეხი მოიკიდა საქართველოშიც. მისი ფუძემდებელი გახდა დიმიტრი უზნაძე.

მეოცე საუკუნის გამოჩენილმა ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ არ გაიზიარა მარქსისტული იდეა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შესახებ და წამოაყენა ჰიპოთეზა აღზრდის მიზნისა: „ჰარმონიულად განვითარებული იდეალური ინდივიდის შემუშავება“. აღზრდას არასოდეს არ უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად ცალმხრივობა. იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის განვითარებისათვის. აღზრდის მიზანი იდეალური ინდივიდის შემუშავებაა“ (46, გვ.3-4). აქედან გამომდინარე, აღზრდის პროცესის ძირითად დანიშნულებას უზნაძე მტკიცე ნებისყოფისა და აქტიური ხასიათის აღზრდაში ხედავს. სწორედ ნებისყოფიდან გამომდინარე განიხილავს იგი აღზრდის მიზნებსა და ამოცანებს.

ახალი თაობის გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების სასურველი მიმართულებით წარმართვა და მის სრულყოფილ განვითარებას დ. უზნაძე ახალი სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სახავდა. აქედან გამომდინარე იგი აკეთებს ასეთ დასკვნას: „აუცილებელია აღზრდის მიზანი მარტო მეხსიერებისა და ცოდნის ფარგლებში კი არ დარჩეს მომწყვდეული, არამედ იგი ადამიანის მთლიანი ბუნებისაკენ იყოს მიმართული“ (66. გვ. 51). გარემო სინამდვილე, უწინარეს ყოვლისა, გავლენას ახდენს ინდივიდის არა რომელიმე ნაწილობრივ მხარეზე, არა რომელიმე მის ფუნქციაზე, „არამედ, მასზედ, როგორც მთლიანზე, როგორც ინდივიდზე, როგორც მოთხოვნილების სუბიექტზე“ (41. გვ. 67). „აღზრდას არასდროს არ უნდა ჰქონდეს დასახული მიზნათ ცალმხრივობა. იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის მთლიანი (ყოველმხრივი) სრულყოფისათვის“ (46. 3).

დიმიტრი უზნაძე აღზრდის მიზნის შინაარსის განსაზღვრის დროს პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდის მომზადებას ცხოვრებისათვის. „აღზრდა რთულ

საზოგადოებრივ ერთეულს გულისხმობს, – წერს დიმიტრი უზნაძე – სადაც არ არსებობს საზოგადოება, იქ არც აღზრდა იქნება და, სადაც სუსტია საზოგადოებრიობა, იქ აღზრდის პრაქტიკაც ძნელად თუ გასცილდება ოჯახის ვიწრო ფარგლებს“ (7. გვ. 46). დიმიტრი უზნაძე გმობს პასიურობას და ავითარებს მოსაზრებას აქტიური პიროვნების აღზრდის შესახებ. არსებითი ძარღვი ცხოვრებისა გარდაქმნაში ან შემოქმედებაში მარხია: „აქტიური სული ებრძვის და გარდაქმნის ყველაფერს, რასაც პასიურობის ბეჭედი აზის და ამბავი ამ გარდაქმნისა არის ამბავი ადამიანის ისტორიული ცხოვრებისა. ცხოვრება პროცესია აქტიური სულის პასიურ „ბუნებრივობაში“ შეჭრისა და მისი გარდაქმნისა“. ამრიგად, დიმიტრი უზნაძე ადამიანის პასიურობას უპირისპირებს „პასიურობის განსულიერებასა და გააქტივებას“ და წერს: „თუ მართლა ჩვენი დანიშნულება პასიურობის განსულიერებასა და გააქტივებაში მარხია, ცხადია, რომ ჩვენი უდიდესი მოვალეობა, მუდმივი სამსახური ყოფილა ამ დანიშნულებისა, მუდმივი წინსვლა და განვითარების შეტანა ცხოვრების პროცესში. აქედან აღზრდის მიზანი ცხადად სახიერდება; იგი ყველა ღონესა და საშუალებას სწორედ იმ მხრით უნდა მიმართავდეს, რომ არ დარჩეს არცერთი ეგზემპლარი ადამიანისა, რომელიც თავისი უზენაესი დანიშნულების განსახორციელებლად გამოუსადეგარი აღმოჩნდება; მან უნდა გაბედულად და მოურიდებლად გადალახოს ყველა დაბრკოლება, რომელიც ცხოვრების პროცესით შემუშავებულ ღონეს ადამიანის ძალის განვითარებისას დაბლა სწევს და იმავე საფეხურზე სტოვებს, რომელზეც იგი ადრე მდგარა. სკოლა, როგორც ორგანიზაცია, აღზრდის მიზანს იმაშივე უნდა სჭვრეტდეს: იგი უნდა სჭედდეს და ლესავდეს ისეთ სულიერ ძალებს ადამიანის არსებაში, რომელთა მჭრელობაც ცხოვრების არსებული დონის ზევით აწევის პირობებს საუკეთესოდ უნდა შეეფერებოდეს“ (10. გვ. 147).

მომავალი თაობის გონებრივი, სულიერი და ფიზიკური ძალების საურველი მიმართულებით წარმართვას, მის სრულყოფილ განვითარებას დიმიტრი უზნაძე ახალი სკოლის ერთ–ერთ უმთავრეს ამოცანად მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, „სინათლის“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლის 1915–1916 წლების ანგარიშში იგი სამართლიანად ასკვნის, რომ „აუცილებელია აღზრდის მიზანი მარტო

მეხსიერებისა და ცოდნის ფარგლებში კი არ დარჩეს მომწყვდეული, არამედ იგი ადამიანის მთლიანი ბუნებისაკენ იყოს მიმართული“ (66. გვ. 261).

ადამიანის მთლიანი ბუნების შესწავლის და განვითარების აუცილებლობა, ჩვენი აზრით, გამომდინარეობდა იქედან, რომ გარემო სინამდვილე, უწინარეს ყოვლისა, გავლენას ახდენს ინდივიდის არა რომელიმე ნაწილობრივ მხარეზე ან რომელსამე ფუნქციაზე „არამედ, მასზედ, როგორც მთლიანზე, როგორც ინდივიდზე, როგორც მოთხოვნილების სუბიექტზე“ (66. გვ. 261).

ადამიანის, როგორც სოციალური არსის, ქცევას მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოთხოვნილებანი განსაზღვრავს, რომელშიც ცხოველებისგან განსხვავებით წამყვან როლს ცნობიერება ასრულებს. „ადამიანი წინასწარ აცნობიერებს თავის ქცევას და ამ თუ იმ აქტს, მხოლოდ იმის მიხედვით მიმართავს, თუ რას მიიღებს ამ გაცნობიერების შედეგად. მოკლედ ცხოველის განწყობას აქტუალური იმპულსის სიტუაცია ქმნის, ხოლო ადამიანის განწყობას, რომელიც მის ქცევას უდევს საფუძვლად, გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია“ (41. გვ. 72) ამდენად, დიმიტრი უზნაძის აზრით, არ შეიძლება სკოლა, მოზარდის, როგორც სოციალური არსის, ერთი რომელიმე ნიჭის ან უნარის ცალმხრივი განვითარებით დაკმაყოფილდეს.

გონებრივი აღზრდა. უზნაძის პედაგოგიკურ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი გონებრივ აღზრდას. დიმიტრი უზნაძის აზრით, გონებრივი განათლება, ცოდნა ადამიანისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის ობიექტური შემეცნებისა და თვით ბუნების დამორჩილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. „ადამიანი როგორც ერთი მოვლენათაგანი, თავის გონების ძალით უპირისპირებს თავის თავს მთელს მსოფლიოს. ეს დაპირისპირება მათ წნააღმდეგობად ხდება და ეს წინააღმდეგობა კი ბოლოს და ბოლოს ბრძოლად იქცევა ადამიანსა და გარე ბუნებას შორის“ (46. გვ. 4). მამასადამე, გონება არ არის ერთადერთი ძალა, რომელიც მხოლოდ გარეშე ბუნების სახეცვლილებას იწვევს, არამედ იგი პირველ რიგში ნაწარმოებია, რომელიც თვითონაც განიცდის მის მიერ სახეშეცვლილი ბუნებისა და შეცვლილი ადამიანების ზეგავლენას, თუმცა გონების ძალების განვითარების პოტენციონალურად განსაზღვრული შესაძლებლობა

პრიორიტეტს ანიჭებს მას ბუნების სტიქიურ ძალთა დამორჩილების საქმეში. „გონება უმნიშვნელოვანესი მომენტია ადამიანის ფსიქიკაში: იგი შემოქმედი ელემენტია, ამიტომ პოტენციონალურად უსაზღვრო მისი განვითარება უმთავრესი შინაარსია მთელი კულტურული განვითარებისა“ (46. გვ. 4). უზნაძის აზრით, ადამიანში უნდა განვავითაროთ სწორი ნამდვილი, ობიექტური აზროვნება, მოვლენათა ობიექტური აღქმის უნარი, რაც ჭეშმარიტი და სამართლიანი მოქმედების საფუძველია. უაზრო მოქმედება და უმიზნობა გონებრივად ჩამორჩენილ და განვითარებული ადამიანის თვისებაა.

დიმიტრი უზნაძე გონებრივი განვითარების ორ მხარეს არჩევს: 1. არის გონების გზით მიღებული ცოდნის მარაგი და 2. მსჯელობის უნარი. პირველი შეადგენს შინაარსობრივ მხარეს, ხოლო მეორე-ფორმალურს, გონების მუშაობის უნარს. „სინათლის“ სკოლაში გონებრივი განათლება ორივე ამ მხარეს ითვალისწინებდა.

ამრიგად, უზნაძის აზრით, ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში გონებრივ აღზრდას, მეხსიერების განვითარებას, ცნობიერების გამდიდრებას და დაგროვილი ცოდნის შეთვისებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ზნეობრივი აღზრდა. დღეისათვის ახალგაზრდობის ზნეობრივ ფორმირებაში არსებული მძიმე ვითარება, პირველ რიგში განაპირობა ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა გამწვავებამ, საზოგადოებაში მოჭარბებულმა უზნეობამ. მათი დაძლევა და ჯანსაღი ზნეობრივი გარემოს შექმნა დღეისათვის უმთავრესი პრობლემაა, რომელიც არსებულ მიზეზთა მეცნიერულ გააზრებას და სწორი მიმართულებით წარმართვას მოითხოვს. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, ძალზედ საინტერესოა დიმიტრი უზნაძის შეხედულებების შესწავლა-გაცნობა „ახალი ტიპის“ ქართველის ზნეობრივ აღზრდასთან დაკავშირებით.

ზნეობრივი აღზრდის სირთულე და მრავალმხრივობა აუცილებლად მოითხოვს ზნეობრივი შეგნების გამომუშავებას, რადგან მხოლოდ შეგნებით და პიროვნული გააზრებით შესაძლებელია პიროვნების ემოციური სფეროსა და ქცევის განხილვა. ზნეობრივი შეგნების მაჩვენებლებია: ზნეობრივი გრძნობა, განცდა და სინდისი.

დიმიტრი უზნაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას. ცხოვრების შინაარსი ზნეობრივი მოთხოვნილებების გარეშე

შეუძლებელია. დიმიტრი უზნაძის აზრით, მოზარდი თაობის ზნეობრივი სრულყოფა და განათლება აღზრდის ერთ–ერთ მიზნად უნდა იქნეს აღიარებული.

იგი ადამიანის არსებაში ნებისყოფის პრიორიტეტს იცავდა. მისი აზრით, ძლიერი ნებისყოფა შესაძლებელია არა მარტო კულტურული წინსვლისათვის, არამედ მისი რღვევის იარაღადაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამიტომ „ახალი სკოლა ახალგაზრდობაში ზნეობრივად და სოციალურად განწყობილი ნების შექმნაზე უნდა ზრუნავდეს“ (5. 267). დიმიტრი უზნაძის შეხედულებით, ზნეობრივი აღზრდა მხოლოდ გონების განვითარებას არ უნდა მოიცავდეს, არამედ ის გონების საზღვრებს სცილდება და უმთავრესად ნებისყოფის სფეროში იჭრება და გრძნობათა ძლიერი ზაგავლენით მოქმედებს. აქედან გამომდინარე, უზნაძეს „ზნეობრივი აღზრდის პრობლემა.... ბოლოს და ბოლოს გრძნობათა სფეროში ზეგავლენის მოხდენის პრობლემად გამოდის“ (66. გვ. 268).

როგორც აღვნიშნეთ, ზნეობრივი აღზრდის ფუძემდებლურ კატეგორიად ითვლება ზნეობრივი გრძნობა. რადგან მორალის ნორმები გარდაიქმნება სუბიექტურ ზნეობად, მხოლოდ მოსწავლის მიერ მათი გრძნობადი აღქმის შედეგად. მოზარდისათვის ზნეობრიობა, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალი გრძნობაა, რეალური მდგომარეობა და ის კმაყოფილებაა, რომელსაც ის იღებს ანდა პირიქით დისკომფორტი, ტანჯვა, მწარე სინანული.

დიმიტრი უზნაძე სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ სკოლის ცხოვრება ისე უნდა გაფართოვდეს, რომ ბავშვებს ჰქონდეთ მეტი საშუალება თავისი ზნეობრივი პრინციპები პრაქტიკაში გადმოიტანონ და განახორციელონ, რაც ზნეობრივი აღზრდის გონივრული ფორმების შემოღებას გულისხმობს სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებაში.

ამ გზით შეთვისებულ ზნეობრივ პრინციპებს უზნაძის აზრით, სისტემატიზაცია და პრაქტიკულ-თეორიული შესწავლა სჭირდება სკოლის უკანასკნელ საფეხურზე. ზნეობრივი ხასიათის განმტკიცება ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასწავლებლის ზნეობრივ მაგალითს, იგი ხასიათს მაინც თანდაყოლილ თვისებათ მიიჩნევს, რომელიც მას ადამიანის ბიოლოგიური წიაღიდან გამოჰყვა. ამით ვფიქრობთ, რომ უზნაძე არ აკნინებს აღმზრდელისა და აღმზრდელობით

ზემოქმედებათა როლს პიროვნების სრულყოფაში. „მართალია ადამიანის ხასიათის სიმტკიცე მისი ბიოლოგიური ბუნების წიაღში მარხია, მართალია იგი ამიტომ თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ, სწორედ ამიტომ და ამის მიუხედავად, განსაკუთრებით გვმართებს აღზრდის პროცესში ისეთი პირობების შექმნაზე ვიზრუნოთ, რომელნიც ამ თვისების მაქსიმალური დონის განხორციელებას უზრუნველყოფენ (5. გვ. 268).

მასწავლებლის უმთავრესი პრობლემა – ზნეობრივი აღზრდა საჭიროებს იმ ასპექტში გააზრებას, როდესაც დაცული იქნება მეცნიერებათა შორის კავშირი. ამ შემთხვევაში ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიასთან და ამავე დროს გამოიკვეთება კონკრეტული პედაგოგიური ამოცანა აღზრდისა და სწავლების ერთიანობა. ზნეობრივი აღზრდა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ერთიან მთლიან პედაგოგიურ პროცესში, რომლის მიზანია ზნეობრივი პიროვნების ფორმირება– მისი შეგნებით, ზნეობრივი ნებისყოფით, ხასიათითა და საზოგადოებრივად ფასეული ქცევით.

აქედან გამომდინარე, დიმიტრი უზნაძეს ახალი სკოლის ამოცანად მიაჩნია ოჯახთან ერთად გადამწყვეტი როლი შეასრულოს მაღალი ზნეობრივი თვისებების, მტკიცე ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის აღზრდა – განვითარების საქმეში.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძეს, ჩვენი აზრით, ზნეობრივი აღზრდის ყველაზე ეფექტიან გზად რამდენიმე პირობა მიაჩნდა: 1. ზნეობრივი ნებისყოფის განვითარება შეუძლებელია სწავლების პროცესის მაღალი დონის გარეშე; 2. ზნეობრივი აღზრდის პრინციპების თანმიმდევრობა, სისტემატიზაცია და აღზრდის სხვადასხვა რგოლის შეთანხმებული საქმიანობა.

ესთეტიკური აღზრდა. იდეალურად აღზრდილი ადამიანის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ესთეტიკურ გრძნობათა განვითარებას. მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და მისი მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს მოზარდში ესთეტიკურ გრძნობათა განვითარება.

ადამიანის ფსიქიკაზე გრძნებითი გრძნობების მოქმედება წარმოშობს ესთეტიკურ გრძნობებს, რაც ჩვენ წინაშე აყენებს საკითხს ადამიანის ესთეტიკური

აღზრდის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. აღზრდის მიზანი, დიმიტრი უზნაძის აზრით, როგორც ვთქვით, იდეალური ინდივიდის შემუშავებაა, რაც ნათლად ცხადყოფს იმას, რომ „აღზრდელის მოქმედება ესთეტიკურ გრძნობათა განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული“ (46. გვ. 4).

დიმიტრი უზნაძე აკრიტიკებდა რა „სულიერ ძალთა თამაშზე დამყარებულ კანტის „ესთეტიკური ტკბობისა“ და თამაშის პრინციპზე“ დაფუძნებულ შილერის „ესთეტიკური აღზრდის“ თეორიას, იგი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა ადამიანში ესთეტიკურ გრძნობათა წარმომშობ გარე და შინაგან გრძნობათა განვითარებას. მას „გრძნობა ესთეტიკური ტკბობის საფუძვლად მიაჩნდა, ხოლო ფანტაზია კი ისეთ ძალად, რომელიც ამთავრებს ესთეტიკური ტკბობის შესაძლებლობას“ (46.გვ.5).

„სინათლის“ სკოლაში დიმიტრი უზნაძე უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას. ამ მიზნით, სკოლაში მაღალ დონეზე იყო დაყენებული: „1. გარეშე წიგნების კითხვა, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ; 2. მოსწავლეების მონაწილეობით მხატვრულ–ლიტერატურული სადამოებო; 3. მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, ხატვა; 4. ექსკურსიები–ციხე–სიმაგრეების გაცნობა, მხარის მიდამოების დათვალიერება და სხვა“ (10. გვ. 188).

ფიზიკური აღზრდა. დიმიტრი უზნაძე პედაგოგიური პროცესის ძირითად დანიშნულებას აღსაზრდელში მტკიცე ნებისყოფისა და აქტიური ხასიათის ჩამოყალიბებაში ხედავს. მტკიცე ნებისყოფისა და აქტიურ ხასიათის ერთ-ერთ საფუძვლად მას აღსაზრდელის ფიზიკური განვითარება და წრთობა მიაჩნია. ახალი ადამიანი ახლის ძიების გრძნობით არის გამსჭვალული, რომელიც სინამდვილის გაუმჯობესებისაკენ მიილტვის. „მაგრამ ობიექტურ სინამდვილესა და ნებას შუა, მხოლოდ ერთი გზაა და ერთის მეორეზე ზეგავლენა, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. ეს გზა ჩვენი ფიზიკური ორგანიზმია. როდესაც ეს გზა დაზიანებულია, მაშინ ნების მოძრაობაც ფერხდება, როდესაც იგი მთელია, მაშინ გზის მხრივ არავითარი დაბრკოლება არ არის მოსალოდნელი“ (6. გვ. 47). ახალი თაობის ფიზიკური განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა, უზნაძის შეხედულებით, ახალ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იქნეს

დაყენებული. „ავადმყოფი და სუსტი, – წერს დ. უზნაძე, – ადამიანი ხანგრძლივს, ენერგიულ მუშაობას ვერ იტანს. გადაწყვეტილების გამოტანა და, განსაკუთრებით, მისი ასრულება უკვე ცხადად უკავშირდება ორგანიზმის სიმრთელეს და მისი ძლიერების მდგომარეობას. აქედან ნათელი ეფინება იმ პირველ ამოცანას, რომლის ახსნაც აუცილებლად თავს უნდა იდვას საღმა პედაგოგიურმა დაწესებულებამ. სკოლაში ფიზიკურ აღზრდას უთუოდ განსაკუთრებული ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი“ (48. 47).

ვფიქრობთ, რომ ოთხი – ხუთი საათის განმავლობაში ოთახში მუშაობა ბავშვის ბუნებრივ ძალებს არსებითად ეწინააღმდეგება. საკლასო მუშაობის გამანადგურებელი გავლენა რომ შესუსტდეს, საჭიროა ფიზიკური ვარჯიშის ჩართვა სასწავლო პროცესში. დიმიტრი უზნაძის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფსიქიკურ (გამბედაობა, ჩქარი გადაწყვეტილება – ს.ფ.) თვისებებს, რომელსაც ფიზიკური ვარჯიში ზრდის და ამტკიცებს. „ეს თვისებები კი მთავარია ადამიანის ნებისყოფის მოძრაობის პროცესში“ (48. 47).

ფიზიკური აღზრდის ამოცანის გადაწყვეტის უმთავრეს საშუალებად დიმიტრი უზნაძეს მიაჩნდა სკოლებში „საგიმნასტიკო“ დარბაზების მოწყობა, ფიზიკური ვარჯიშების შემოღება და გაკვეთილის შუალედებს შორის ბავშვთა ასაკთან შეფარდებულ თამაშობათა ორგანიზაცია.

დიდი ფსიქოლოგის აზრით, ფიზიკური ვარჯიშობა, რომელიც ადამიანის ორგანიზმის ძალებს წვრთვნის, ორგანიზმის კეთილდღეობაზე ზრუნვის მარტო ერთი მხარეა. იგი უსათუოდ უნდა შევავსოთ შეგნებული და მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნით ადამიანის ჯამრთელობის ელემენტარული პირობების შესახებ.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძემ გაილაშქრა ძველი სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლის ინტელექტუალიზმით გატაცების წინააღმდეგ. მისი შეხედულებით აღზრდის მთავარი ამოცანა ისაა, რომ თითოეულმა ადამიანმა განახორციელოს თავისი დანიშნულება. სკოლა კი ის ორგანიზაციაა, რომელიც ამ ფუნქციის შესასრულებლად არსებობს. მისი აზრით, სწორედ სკოლამ უნდა გამოძერწოს ის სულიერი ძალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანის შესაძლებლობების ზრდას.

ამით იგი საქართველოში იქცა „ახალი პედაგოგიური სკოლის“ ფუძემდებლად, რომლის ძირითად ამოცანად მას მოზარდი თაობის მთლიანი ბუნების, მისი გონებრივი ძალების აღზრდის, ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის აღზრდა – გამომუშავება მიაჩნდა. უზნაძე იძლევა მეტად ფასეულ განმარტებას, რომ მოსწავლეს ისეთი ხასიათის სააღმზრდელო მასალა უნდა შეურჩიოთ, რომ მოზარდის გულს ინტერესი გაუღვივოს და ხანგრძლივად მოძრაობის საშუალება მისცეს, რაც საშუალებას მისცემს მას გამოვლენილი ენერჯია აქტივობის სახით უმაღლეს დონემდე შეინარჩუნოს. ამ თვალსაზრისით, დიდი პედაგოგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებელთათვის ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნას. „თანამედროვე სკოლა ბავშვის ფსიქოლოგიას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და ხშირად მას ისეთ რამეს აწვდის და მოსთხოვს, რაც ბავშვის ძალებს აღემატება და არც მის სურვილებს შეეფერება. ბავშვი ზიზღით აკეთებს მისთვის არასაინტერესო და გაუგებარ საქმეს და თუ მოახერხა მას შუაგზაზე სწყვეტს“ (48. გვ. 48).

ამდენად, დიმიტრი უზნაძე პედაგოგიური პროცესის ძირითად დანიშნულებას მტკიცე ნებისყოფისა და აქტიური ხასიათის აღზრდაში ხედავს. ამის ფონზე განიხილავს ის სწავლებისა და აღზრდის შინაარსს. აყენებს ახალ დებულებებს. ახლებურად განიხილავს გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური და ესთეტიკური განვითარების ამოცანას, გვთავაზობს ნებისყოფის ვარჯიშის ორ საშუალებას: 1. სააღმზრდელო მასალის ბავშვის ინტერესებისა და ფსიქოლოგიის შესაბამისად მიწოდება; 2. სხვადასხვაგვარი ხელსაქმე; რითაც ჩვენი ღრმა რწმენით საქართველოში საფუძველი ჩაუყარა „ახალი ტიპის“ ქართველის აღზრდას, ჰუმანური პედაგოგიური პროცესის აგების ტენდენციას, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას აღზრდისა და სწავლების პროცესში, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, აღზრდის მიზნების განსაზღვრისას, უზნაძე იმ თეზისს იზიარებდა, რომელიც წამყვანი გახდა თანამედროვე პედაგოგიკასა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ყველა პროგრესულ კონცეფციაში.

ასე რომ, დიმიტრი უზნაძის პრაქტიკულმა ძიებამ განსაზღვრა სასკოლო საქმის და აღზრდის დემოკრატიული ხასიათის განვითარება, რომელიც დღესაც ფართოდ ინერგება და ვრცელდება საქართველოში.

§ 4. სკოლის მიზანი და პრინციპები – „ახალი ტიპის ქართველის“

აღზრდა

მეოცე საუკუნის დასაწყისში ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლა თავისი შინაგანი წყობით, სწავლა–აღზრდის სისტემით მანკიერ პედაგოგიკურ საფუძველზე იყო აგებული, მოწყვეტილი იყო ცხოვრებას, ეროვნულ ნიადაგს, დიდად იყო ჩამორჩენილი მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების, განვითარების, სწავლებისა და აღზრდის დონეს. ძველი სკოლა დასწავლის სკოლა იყო, ის აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალ თაობას თავს უტენიდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა.

ძველი სკოლის უვარგისობა, სახალხო განათლების სისტემის რეფორმის აუცილებლობა, სასწავლო დაწესებულებაში სწავლებისა და აღზრდის გარდაქმნის საჭიროება საყოველთაოდ იქნა აღიარებული. ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ძველი სკოლის შინაგან წყობაში პროგრესული ნაკადის შეჭრა, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ საფრთხეს და სიძნელეს და თავგამოდებით იბრძოდა იმისათვის, რათა სწავლა–აღზრდის მთელი საქმე სკოლებში ჭეშმარიტ პედაგოგიურ საფუძველზე აეგო და ქვეყნისათვის აღეზარდა ღირსეული ახალი თაობა. ეს იყო საგმირო საქმე მაშინდელ პირობებსა და ვითარებაში.

ჩვენი აზრით, უზნაძის მიერ „სინათლის“ სკოლის დაარსება საგმირო საქმე იყო და იგი ეროვნულმა პრინციპმა და იმდროინდელ საქართველოში არსებულმა საგანმანათლებლო სისტემამ განსაზღვრა.

თავის მოხსენებაში „სინათლის“ სკოლის მუშაობის შესახებ დ.უზნაძე წერს: „ყველა სიმწვავეთ განვიცდით ჩვენი ცხოვრების მწარე ტკივილებს; ჩვენი ქვეყანა უხვია და მდიდარი, ჩვენი ხალხი საკმაოდ ნიჭიერი და მოქმედია, მაგრამ ქვეყნის დოვლათი სხვის კეთილდღეობას ერთვის და ჩვენი ერიც სხვის საწველ ფურად იქცევა. რამ უნდა გამოგვიყვანოს ასეთი მდგომარეობის წრიდან? ხალხი განათლებაში სჭვრეტს ხსნას და აკი წყურვილითაც ეწაფება მას! მაგრამ ხსნა მაინც არა ჩანს. და აი ჩვენი საზოგადოებაც გრძნობს: ჩვენი სკოლები სრულიად არ უწევს ჩვენი ცხოვრების პირობებს ანგარიშს, იგი ვერ ზრდის ცხოვრებისათვის საკმაოდ შეიარაღებულ ხალხს,

და, რა გასაკვირველია, რომ ცხოვრებას მკვდარი წერტილიდან დაძვრა დღემდე ვერ მოუხერხებია“ (10. გვ. 168).

უზნაძის აზრით, საჭიროა თვითშეგნების აღდგენა, მონური ფსიქოლოგიის დაძლევა, საკუთარი ვინაობის ცნობა. მაგრამ ისმის კითხვა-როგორ? რა უნდა გააკეთოს სკოლამ ამისათვის? როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს მან? უზნაძე ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „საკუთარ საქმეს კი გამბედაობა და ინიციატივა ეჭირვება და ჩვენს ხალხს სწორედ ეს აკლია; უამისობაა, რომ ჩვენ სხვის საწველ ფურად გვაქცევს და საკუთარ დოვლათს სხვების საკეთილდღეოდ გვადებინებს. აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება-აი რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული“ (50. გვ. 81).

დიმიტრი უზნაძის აზრით, ქართველს აკლია დაჟინებით მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ მოსპობს. დაუღალავი შრომის უნარი, ჭაპანის წევა. პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა. ქართველ ხალხს ეს თვისება არა აქვს. მისი გული და მისი ნება ჰარმონიულად ფეთქავს. გული აინთება-ნებაც მოქმედებს.... „ეჭვი არ არის უნიციატივობა და გამბედაობის უქონლობა ქართველი ხალხის ჩამოქვეითებისა და გადაგვარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად უნდა ჩაითვალოს“ (50. გვ. 86-87).

ამ ციტატიდან ნათლად ჩანს, დიმიტრი უზნაძე როგორ აკრიტიკებს იმ დროინდელ საქართველოში არსებულ განათლების სისტემას. ამის მიზეზი რუსეთის მიერ საქართველოში გატარებული დამპყრობლური პოლიტიკა იყო. ამ შემთხვევაში, დიდი პედაგოგი ერის ტკივილით არის შეპყრობილი. მას ეს აწუხებდა და ეძებდა გამოსავალს.

ამ ტკივილისა და ნაკლის დაძლევის საქმეში იგი მნიშვნელოვან როლს აკისრებდა აღზრდას, ახალი სკოლის შექმნას, რომელიც საქართველოს მებრძოლ და შემოქმედ ადამიანს აღუზრდიდა.

დიმიტრი უზნაძე სვამს კითხვას, რა პრინციპებზე უნდა იყოს აგებული სკოლის აღმზრდელობითი ორგანიზაცია, რომ მან თავისი დანიშნულება შეასრულოს? და თვითონვე პასუხობს: „ან კი როგორ შეიძლება რაიმე ნაყოფიერებაზე ლაპარაკი იქ,

სადაც არავინ არ იცის, რაზე მუშაობს, არავის არ ესმის თავის ადგილი აღზრდის საერთო სისტემაში და ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი სისტემა არც კი არსებობს და არ არსებობს იმიტომ, რომ სისტემა გარკვეულ საფუძველს, ნათელ პრინციპს გულისხმობს, რომელიც მას მთლიანობის ხასიათს უნდა აძლევდეს. ყოველი მასწავლებელი თავის გზით მიდის, მაგრამ მან არ იცის სად მიდის და, თუ იცის, მაშინ მას ის მაინც არ ესმის, თუ სად მიჰყავს მისი მოწაფენი თავისი საგნის გაკვეთილებზე სხვა მასწავლებლებს. ყველა დამოუკიდებლად მოქმედებს. ყველა თავის გზას მისდევს, და ამ გზებში არ არის ერთიანობა მიზნისა, იმიტომ რომ არავინ შეთანხმებულა საერთო მიზნის შესახებ. ჭეშმარიტად გულსაკლავია, რომ დღევანდელი სკოლა უფრო მავნებელი დაწესებულებაა ზნეობრივად და გონებრივად, ვიდრე სასარგებლო. მოუწყობელი და უპრინციპო სასწავლებელი ისეთი ღვთის რისხვაა ყოველი ერის ცხოვრებაში, რომელიც გამანადგურებელ ქარიშხლად ევლინება ერის სულიერისა და ფიზიკური ძალების ნათესს“ (50. გვ. 3-4).

ჩვენი აზრით, დიმიტრი უზნაძემ სკოლის მათემატიკური პრინციპი არამცთუ მაშინდელ სკოლაში, არამედ თეორეტიკოს პედაგოგთა და ფსიქოლოგთა შორისაც ვერ იპოვა. „მაგალითად, რუსი პედაგოგი სტოუნინი ეძებს სკოლის ასეთ პრინციპს და მას ზოგად განათლებასა და მოქალაქის აღზრდაში ჭკრეტს. მაგრამ, დიმიტრი უზნაძის აზრით, სტოუნინი ვერ აგნებს „ზოგადი განათლების“ და „მოქალაქის“ განმსაზღვრელ პრინციპს. გაუგებარია-ამბობს დ. უზნაძე, ორი რამ: ჯერ ერთი, ის რომ კაცმა არ იცის მოელის იგი ასეთი განათლებული ადამიანისაგან, სწორედ საზოგადოებრივი თვალსაზრისით, სასურველ მოღვაწეობას? განა ცოტა მაგალითი იცის ისტორიამ ისეთი ნათელი ცნებების მატარებელი პიროვნებისა, რომელნიც თავის ცოდნას სწორედ საზოგადოებრივი არსებობის საწინააღმდეგოდ მიმართავდნენ? და მეორე კიდევ ის არის გაუგებარი, თუ რად არის სასურველი მაინცდამაინც ასეთი საზოგადოებრივად სასარგებლო მოღვაწეობა: რად არის საჭირო სწორედ სამაგალითო მოქალაქე? შეიძლება სახელმწიფო და საზოგადოება სრულებით არ წარმოადგენდნენ ისეთ კატეგორიებს, რომელთა ინტერესებს უნდა უქვემდებარებდეს ადამიანი თავის ნებისყოფას? შეიძლება ადამიანის დანიშნულება ამ ქვეყნად სულ სხვა მიმართულებით უნდა ვეძიოთ“ (10. გვ. 150-151).

დიმიტრი უზნაძე კრიტიკულად განიხილავს, აგრეთვე, ფსიქოლოგ იერუზალემის შეხედულებას სკოლის ზოგადი პრინციპის შესახებ. იერუზალემი სკოლის ზოგად პრინციპად უმთავრესად სოციოლოგიურ - ბიოლოგიურ პრინციპს აყენებს და აღზრდისგან ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას და ენციკლოპედიური ცოდნის შექმნას მოითხოვს. უზნაძეს მიაჩნია, რომ იერუზალემი ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოს დგას, თუმცა მას მაინც ვერ წვდება. ადამიანის ძალების ფორმალური განვითარება აღზრდის მნიშვნელოვანი მომენტია, მაგრამ აქედან ჯერ კიდევ არ ჩანს, თუ რისთვის არიან ისინი საჭირო, „და უამისოდ არ იცის კაცმა, რატომ მაინდა მაინც ძალების ფორმალური განვითარება დასახა მან სააზოგადო განათლების დედამარღვად“ (51. გვ. 320).

დიმიტრი უზნაძის მიხედვით, თვითონ ცნება „აღზრდა“ აუცილებლად გულისხმობს მოუმზადებელი ადამიანის მომზადებას, და ეს მომზადება რომ ცხოვრებისთვის მომზადებას ნიშნავს, ეს არასდროს არავის ეჭვს არ უბადებდა. აღზრდა ცხოვრებისთვის მომზადებაა - ეს ტავტოლოგიაა ან, უკეთეს შემთხვევაში, ბრტყელი ტრუიზმი“ (51. გვ. 320). ცხოვრებასთან სკოლის დაახლოების მოთხოვნა არსებული სისტემის უვარგისობას გულისხმობს, ხოლო რა სახის სკოლით უნდა შეიცვალოს არსებული უვარგისი სკოლა, ეს იერუზალემის და სტოუნინის მიხედვით არ ჩანს.

დიმიტრი უზნაძე სვამს საკითხს „სკოლის ცხოვრებასთან დაახლოების პრინციპის“ შესახებ. ეს პრინციპი აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია და პირდაპირ გამომდინარეობს აღზრდის ძირითადი ამოცანიდან - მოამზადოს აღსაზრდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის. კერძოდ, იგი ითვალისწინებს კონკრეტული გარემოსა თუ სოციუმისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებას აღსაზრდელის პიროვნული თვისებების ფორმირების პროცესში.

დიმიტრი უზნაძე თვითონ მიმართავს ცხოვრების ანალიზს და სკოლის სისტემის პრინციპი ცხოვრების ფილოსოფიიდან გამოჰყავს. ადამიანს ცხოვრება ზრდის. თუ მივიღებთ იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც, აღმზრდელი თვით ცხოვრებაა, მაშინ სკოლის პრინციპსაც ადვილად ვიპოვით.“ ახალი ტიპის

ქართველის“ აღზრდაში, უზნაძის აზრით, უნდა გავყვეთ ცხოვრების ამ ლოგიკას. „ჩვენ ვეძებთ,-წერს უზნაძე- ადამიანის დანიშნულებას ამ ქვეყნად, ჩვენ ვიხილავთ მის ნამოქმედარს მთელი ისტორიული წარსულის სიღრმეში და ყველგან ვაკვირდებით, თუ რა ძალები უნდა გაეზარდა ჩვენს არსებაში ამ დანიშნულებას და მისით გამოწვეულ ცხოვრებას; ჩვენ ვხედავთ, რა სახით იყო ეს ძალები და ვამბობთ, ცხოვრებამ იცის რასა და რისთვის ზრდის და ჩვენც მასვე და მისთვისვე უნდა ვზრდიდეთ, რისთვისაც იგი ზრდიდა-თქო“ (36. გვ. 3-4). ეს არის დიმიტრი უზნაძის შეხედულებით, ის ნათელი პრინციპი, რომელიც სკოლას მთლიან ხასიათს მისცემს და სისტემას შეუქმნის. სკოლა უნდა იყოს „ცხოვრება ცხოვრებისთვის და ცხოვრების მიერ ნაშენი“ (51. გვ. 3).

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე ამ თეორიას უდებს საფუძვლად სკოლას და არსებულ პედაგოგიურ სისტემას.

ჩვენი შეხედულებით, დიმიტრი უზნაძე არის ნოვატორი, რომელმაც ყველა საგნის სწავლება შემოიღო ქართულ ენაზე და სასწავლო დისციპლინებში კერძო მეთოდულები მოგვცა. მანვე დაამუშავა ახალი ტიპის სასწავლო გეგმები და მოგვცა თითოეული საგნის შემოღების მეცნიერული დასაბუთება. კერძოდ: ფიზიკური ვარჯიში, ელემენტარული ჰიგიენა, ხელსაქმე, ეთიკა, ბუნებისმეტყველება, სამშობლო და საზოგადო ელემენტარული უფლებების მეცნიერება, ისტორია, პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები, სამშობლო გეოგრაფია, ენა და ლიტერატურა, მეტყველების კულტურის განვითარება, მხატვრობა და სიმღერა - მუსიკა. უარყო ძველ სკოლაში გაბატონებული კონცენტრაციის (სხვადასხვა საგნიდან ამოკრებილი ცნობების ერთიმეორისგან დამოუკიდებლად მიწოდება) პრინციპი. ამ მხრივ, ვფიქრობთ, რომ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მეთოდუკური აზროვნების განვითარებაში.

ჩვენი აზრით, ქართული სკოლის ასეთმა ნაკლოვანმა მხარეებმა დიმიტრი უზნაძეს მისცა საშუალება, რომ შეექმნა მეცნიერულად და პედაგოგიურად გამართული სკოლა, სადაც ჩამოაყალიბა სრულიად ახალი აღზრდის მეცნიერული სისტემა.

„სინათლის“ სკოლის მიზანი, ეროვნული სულისკვეთებით ადამიანის - „ახალი ტიპის ქართველის“ - აღზრდა იყო. „ახალი ტიპის“ ქართველი უნდა ყოფილიყო მტკიცე ნებისყოფის, აქტიური, მებრძოლი, ჰარმონიული, განათლებული, მომზადებული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ისეთი სრულყოფილი ადამიანი, რომელიც იქნებოდა ბურჟი ეროვნებისა.

§ 5. მემკვიდრეობის, გარემოსა და აღზრდის როლი დიმიტრი უზნაძის

პედაგოგიკურ ნააზრევში

პიროვნების ფორმირების პროცესი გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით მიმდინარეობს. საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ ადამიანის პიროვნებად ფორმირებას, ჩვენი აზრით, პედაგოგიკის პრობლემური საკითხია. ზოგადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს პიროვნების ფორმირება, შეიძლება იყოს აღზრდა და გარემო, რომელშიც მოზარდს უხდება ყოფნა და ის გენეტიკური, მემკვიდრეობითი თავისებურებანი, რომლებიც ახალშობილს დაბადებიდანვე დაჰყვება.

პედაგოგიკის ყველა გამოჩენილი კლასიკოსი ამ საკითხს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თავის მოძღვრებაში. ბევრმა მასზე ააგო თავის პედაგოგიკური სისტემა. დღემდე არსებული მიმდინარეობანი და შეხედულებანი პიროვნების ფორმირების ფაქტორების შესახებ რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ჩვენ არ შეუდგებით მათ დაწვრილებით განხილვას. ისინი ისედაც კარგად არის ცნობილი პედაგოგიური საზოგადოებისათვის. მხოლოდ განვიხილავთ რამდენიმეს, რათა უფრო მეტი ნათელი მოვფინოთ გამორჩეული ფსიქოლოგისა და პედაგოგის შეხედულებებს პიროვნების ფორმირების ფაქტორებთან დაკავშირებით.

პედაგოგიკაში არსებობს აღზრდის როლის უარყოფელი მემკვიდრეობითი თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ აღზრდა უძლურია, რადგან მემკვიდრეობით მიღებული თვისებები მიჰყვებიან ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამ თეორიის მიხედვით, აღზრდას შეუძლია რამდენამდე გაამდიდროს ადამიანი ცოდნით, მაგრამ არ შეუძლია მისი მიმართულების შეცვლა. ბუნებით კარგი ადამიანი არ შეიძლება ცუდი თვისებების მატარებელი გახდეს არაწესიერი მაგალითებით და

ცუდი აღზრდით, აღზრდა უძლურია, რადგან დაბადების შემდეგ ბავშვში ერთბაშად იჩენს თავს მისი მომავალი თვისებები და აღზრდელის არავითარ ზემოქმედებას არ შეუძლია შეცვალოს იგი. მამასადამე, ყოველ მემკვიდრულ თვისებას ბავშვი გენის საშუალებით იღებს. ეს თეორია სრულიად უგულვებელყოფს პიროვნების განვითარებაში როგორც აღზრდის, ისე გარემოს როლს.

პიროვნების ფორმირების პროცესში მემკვიდრეობისათვის გადამწყვეტი როლის მინიჭება კიდევ უფრო ძლიერი ფორმით იქნა წარმოდგენილი მეცხრამეტე საუკუნეში. იგი ბიოგენეტიკური კანონის სახელით არის ცნობილი. ის ასაბუთებს, რომ ორგანიზმის განვითარების ისტორია იყოფა ორ მონათესავე შტოდ ონტოგენიად (ინდივიდის განვითარების ისტორიად) და ფილოგენიად (ორგანული ჯგუფის განვითარების ისტორიად).

XX საუკუნის დასაწყისში მოხდა ცდა ამ კანონის პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში გადატანისა, რომლის მიხედვითაც, ფსიქიკის განვითარება ფატალისტურადაა განპირობებული მემკვიდრეობით განსაკუთრებული უნარითა და თვისებებით, ისე რომ, სრულიად უარყოფილია ფსიქიკის განვითარებაზე საზოგადოებრივი გარემოს განსაზღვრული გავლენა. აქედან პედაგოგიკაში შემოვიდა არასწორი დასკვნა, რომ აღზრდა და სწავლება იძულებულია დაემორჩილოს განვითარების ორი სტადიის ონტოგენიისა და ფილოგენიის ცვალებადობას და შეეგუოს მათ. ასეთი ფორმულირებით ზედმეტია, რომ ვისაუბროთ აღზრდისა და გარემოს წამყვან როლზე პიროვნების ფორმირების პროცესში.

ამ თეორიის საწინააღმდეგოდ შეიქმნა ჯონ ლოკის თეორია. მისი აზრით, ბავშვის სული არის სუფთა დაფა. მას დაბადებიდან არ დაჰყვება არავითარი იდეა ან რაღაც განსაკუთრებული მემკვიდრეობითი თავისებურებანი. ბავშვის სუფთა გონება თანდათანობით ივსება წარწერებით. ამაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს გარემო და აღზრდა. ჯონ ლოკი მემკვიდრეობითი თავისებურებების მნიშვნელობას განიხილავს მცირეოდენი დოზით, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ განსაკუთრებულ როლს აკისრებს აღზრდასა და გარემოს.

ზემოთ დახასიათებული ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიის საფუძველზე უილიამ შტერნმა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში შექმნა კონვერგენციის თეორია. მასში გამახვილებულია ყურადღება, რომ პიროვნების განვითარებაში მნიშვნელობა აქვს, როგორც შინაგან, მემკვიდრეობით გადმოცემულ ფაქტორებს, ისე გარეგან ფაქტორებს გარემოს და აღზრდას.

დღეს ყველა თანხმდება, რომ გენეტიკა და აღზრდა ერთ თოკში ჩაწნული ორი ძაფია და რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება მართებული არაა.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეიძლება საკმარისად მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, თუ განვითარების პროცესის მხოლოდ გარეგანი აღწერა გვაქვს მიზნად დასახული. არსებობს ემპირიული კვლევებით მოპოვებული დიდი მოცულობის ფაქტობრივი მასალა, რომელიც თვალსაჩინოდ აჩვენებს, რომ ადამიანური ფსიქიკისა და ქცევის ადამიანური ფორმების ჩამოყალიბება აუცილებლად მოითხოვს, როგორც ადამიანური მემკვიდრეობის, ასევე ადამიანური გარემოს ერთობლივ მოცემულობას. მაგრამ მეცნიერული ძიება მხოლოდ ფაქტების კონსტანტაციით ვერ შემოიფარგლება. საჭიროა აღნიშნული ფაქტების თეორიული გააზრება და იმ მექანიზმების ჩვენება, რომელთა მოქმედებაც უზრუნველყოფს ორი განსხვავებული ფაქტორის ერთ სტრუქტურაში გაერთიანებას. მხოლოდ იმის კონსტანტაცია, რომ გენეტიკა და აღზრდა ერთ თოკში ჩაწნული ორი ძაფია საკმარისი არაა. საჭიროა ახსნილი და ნაჩვენები იქნას, თუ როგორ იწვლება ეს თოკი. როგორ, რა კანონზომიერების მიხედვით აგნებენ და ეწევიან ეს ძაფები ერთმანეთს.

დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებული ინტერაქციონისტული მიდგომის თანახმად, განვითარება გენეტიკისა და გარემოს ინტერაქტიური ურთიერთქმედების ნაყოფია. ეს ერთგვარი წინსვლაა ტრადიციულ ორფაქტორიან თეორიებთან შედარებით, რადგან განსხვავებული ბუნების მქონე მოვლენათა ინტერაქციით მიღებული შედეგი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მათი ჯამი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თვითონ ურთიერთქმედების კონკრეტული მექანიზმი ჯერ ისევ გაუხსნელი რჩება. ამიტომ, თანამედროვე ინტერაქციონისტულ თეორიებზე მთლიანად ვრცელდება ის კრიტიკა, რაც, თვის დროზე,დ. უზნაძემ ვ. შტერნის კონვერგენციის თეორიის შესახებ გამოთქვა [54. 46-49]. ამ კრიტიკის არსი იმაშია, რომ თუ მემკვიდრეობა და გარემო

ერთმანეთისაგან სრულიად მოწყვეტილი და ურთიერთდაპირისპირებული რეალობებია, მაშინ რა უზრუნველყოფს მათ ერთმანეთთან შეხვედრას და დაკავშირებას, რაც მათი კონვერგენციისათვისაა აუცილებელი. ინტერაქციონისტულმა მიდგომამაც ჯერ ის უნდა გახადოს ნათელი, რა ბუნებრივი აუცილებლობით ხდება აღნიშნული ფაქტორების ერთმანეთთან დაკავშირება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი მათი ინტერაქტიური ურთიერთქმედების შესახებ.

ვფიქრობთ, ნიმუშისათვის, ყველაზე უპრიანი იქნება ინტერაქციონიზმის მთავარი თეორეტიკოსის ჯ. ჰ. მიდის, შეხედულება განვიხილოთ, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საფუძველია ინტერაქციონისტულ პრინციპებზე აგებული დღევანდელი საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამებისათვის. ფსიქოლოგიური თეორიების შემსწავლელი სპეციალისტები მიდის თეორიას ნეობიჰევიორიზმის ისეთ განშტოებად მიიჩნევენ, რომელსაც სოციობიჰევიორიზმი შეიძლება ეწოდოს. მასში გაზიარებულია ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ქცევის მეცნიერული შესწავლა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მისი ობიექტურად დაკვირვებადი პარამეტრების საფუძველზე. ეს უკანასკნელი კი ცხოვრების განმავლობაში მიღებული გამოცდილების, ანუ დასწავლის, შედეგია, მაგრამ, თუ კლასიკური ბიჰევიორიზმი ადამიანის ქცევის სპეციფიკური თავისთავადობის (რითაც იგი არსებითად განსხვავდება სხვა სულიერ არსებათა ქცევისაგან) იგნორირებას ახდენს, მიდი სწორედ ამ მიმართულებით ამახვილებს ყურადღებას და ამტკიცებს, რომ ადამიანის ქცევა საფუძველშივე სოციალური ხასიათისაა. მისი აზრით, ინდივიდის ქცევა უნდა აღიწეროს და აიხსნას „სოციალური ჯგუფის ორგანიზებული ქცევის ტერმინებით“ [31; 7].

ავტორის თანახმად, შეზღუდული ოდენობის მემკვიდრეობითი მონაცემების ბაზაზე, სოციალური ურთიერთქმედების შედეგად, ყალიბდება ინდივიდუალური ადამიანის მე, როგორც მისი ქცევის მაკონტროლებელი ინსტანცია. ე.ი. პიროვნება ფაქტობრივად მიიღება გარედან, სოციალური კონტროლის ინტერიორიზაციის გზით. მემკვიდრეობით მიღებული ბიოლოგიური სტრუქტურა, რაც სხვა ცოცხალ არსებებთან განვითარების ძირითადი ფაქტორია, ადამიანისათვის წარმოადგენს

მხოლოდ ბაზას ქცევის იმ ფორმების, ნიმუშების, თუ ნორმების დასაუფლებლად, რომლებიც მის მიკრო და მაკრო სოციალურ გარემოშია დამკვიდრებული. პიროვნების შინაგანი სამყარო, მისი მე, იზადება და ყალიბდება ჯგუფურ საქმიანობებში. ინდივიდუალური ცნობიერება თავისი წარმომავლობით ინტერინდივიდუალური, ანუ სოციალური ბუნებისაა.

როგორც ვხედავთ, მიდის თეორია, რომლის აქ წარმოდგენაც მხოლოდ მისი ძირითადი თეზის მიხედვით ვცადეთ, განვითარებაში გენეტიკური ფაქტორის როლს დეკლარაციულ დონეზე კი აღიარებს. მაგრამ ფაქტობრივად გამოდის „ცარიელი ადამიანის“ პოსტულატიდან, რომელიც ცხოვრების განმავლობაში განუწყვეტლივ ივსება სოციალური გამოცდილებით. ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპი, რომელიც, სხვათაშორის, საკმაოდ დამახასიათებელია თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიისათვისაც და, რომლის თანახმადაც, ადამიანი გარემოებათაგან დაპროგრამებული ბიოლოგიური მოწყობილობაა, ამ თეორიაშიც სრულადაა შენარჩუნებული. იმ შინაგანი აუცილებლობის ბუნება, რომლის მიხედვითაც, სოციალური გავლენა მხოლოდ ადამიანურ მემკვიდრეობასთან კავშირში უზრუნველყოფს ადამიანის სოციოფსიქიკურ ქცევასა და განვითარებას, არც ამ თეორიაშია გახსნილი.

ეს ნაკლი ყველა ამ მიმართულების კვლევისა და თეორიული მოდელისათვისაა დამახასიათებელი. მათ შორის მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე დამყარებული კვლევებისათვისაც, რომლებიც, ასევე, განვითარების ორფაქტორიანობის პრინციპს ემყარებიან, მაგრამ ამ ფაქტორთა გამთლიანების მექანიზმს ვერ ხსნიან. უფრო მეტიც, ამ მიმართულების კვლევებშიც, კერძოდ რუსულ საბჭოთა ფსიქოლოგიაში, განვითარება ფაქტობრივად მხოლოდ სოციალურად დეტერმინირებულ პროცესადაა დახასიათებული. სხვათაშორის, სწორედ ამ პრინციპს ემყარებოდა ინდივიდის ქცევებზე სოციალური ინსტიტუტებისათვის (სკოლა, ოჯახი, შრომითი კოლექტივი და სხვ.) მთავარი პასუხისმგებლობის დაკისრების პრაქტიკა, რაც მყარად იყო დამკვიდრებული საბჭოთა იმპერიაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა დიმიტრი უზნაძის შეხედულებები. უზნაძემ საკითხი დასვა მემკვიდრეობისა და გარემოს მიმართებასთან

დაკავშირებით. მის მიერ წარმოდგენილი განვითარების თეორიების მიხედვით, ადამიანი ბუნების წიაღში იშვა და ბუნებასთან ბრძოლის პირობებში თანდათანობით ვითარდებოდა. იგი ცვალებადი არსებაა, რომელიც გარემოსთან ერთად მუდმივ განვითარებას განიცდის. ადამიანის „ყოველი შემოქმედება, დიმიტრი უზნაძის აზრით, მხოლოდ ამ მსოფლიურ ნიადაგზე იბადება და იზრდება. იგი მამასადამე აუცილებლად გულისხმობს, როგორც სულიერის ასევე ფიზიკური ხასიათის ერთიანობას“ (10. გვ. 148). „სრული ცხოვრებისათვის აუცილებელია ის გარემოც, რომელსაც იდეალურად ყოვლადი სული მიმართავს, რათა მას ძვალბილში გაუჯდეს და ამ სახით რეალურადაც გაყოვლადდეს. ასეთი მიმართვა, როგორც მიმართვა აქტიურისა პასიურისადმი, იგივე ზეგავლენაა და ცხადია, რომ სიცოცხლის ანუ ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის ძალების სწორედ ამ ზეგავლენის პროცესში გაილესებოდნენ“ (54. გვ. 3). ამრიგად, დიმიტრი უზნაძის აზრით, ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ძალები და გარემო შეურიგებლად კი არ არის ურთიერთს დაპირისპირებული, არამედ ისინი ურთიერთშია ნაგულისხმევი და მათი ურთიერთზეგავლენა პრინციპულად შეთანხმებულია. უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია აღიარებს, რომ ადამიანს გარემო ზრდიდა და მასთან ბრძოლაში იწრთობოდა მისი პიროვნება. აღზრდაც ხომ მისი განმარტებით გარემოს მოწესრიგებას ნიშნავს, რომელსაც სწორად და შეუცდომლად მიჰყავს ადამიანის ძალების ზრდა. „ადამიანის ტიპს კი აღზრდა ცვლის, აღზრდა ქმნის მის ახალ სახეს და აღზრდა ზრდის მასში უძვირფასეს ძალებს“ (53. გვ. 3).

დიმიტრი უზნაძის აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი „სუფთა დაფა“ და ყველაფერი მასში მხოლოდ გარემოს ზემოქმედებით ყალიბდებოდა. აქ დიდი პედაგოგი არ იზიარებს ჯონ ლოკის შეხედულებას და წერს: „ბუნება დურგალი როდი ყოფილა, რომელიც გაშალაშინებულ ფიცრებს ამზადებს და აგროვებს. არა, იგი პოტენციალურად გამორკვეულ პირებს ჰქმნის, რომელთა არსებაში თავიდანვე ჩათესილი ყოფილა თესლი მათი მომავალი პიროვნებისა“ (10. გვ. 149). ადამიანის თვისებები მის ბიოლოგიურ ბუნებაში დევს, მაგრამ ამიტომ გვმართებს, რომ აღზრდის პროცესში ისეთი პირობები შევქმნათ, რომლებიც ამ თვისებების მაქსიმალური დონის განხორციელებას უზრუნველყოფენ. ამდენად უზნაძის

პოზიცია გარემოსთან მიმართებაში, როგორც განვითარების ერთ-ერთ ფაქტორთან ასეთია: ადამიანს მემკვიდრეობით ამ ქვეყნად მოაქვს პიროვნული შესაძლებლობები პოტენციის სახით. მათ გარემო ზრდის და მაქსიმალურად განვითარებას უზრუნველყოფს. არსებობს ეს არის აღზრდის პროცესი, რომელიც იწვევს გარემოს მიზანმიმართულ მოწესრიგებას.

ასეთ ფონზე სრულიად განსაკუთრებული სახით გამოიკვეთა განვითარების შინაგანი (მემკვიდრეობითი) და გარეგანი (გარემო) ფაქტორების კონციდენციის თეორია, რომლის ავტორიცაა დიდი ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე. ეს თეორია, რომელიც სრულიად კონკრეტული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოვლენის ახსნას ისახავს მიზნად, ცხადია, ემყარება მისივე ავტორის მიერ შექმნილ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას, რომელიც განწყობის ფსიქოლოგიის სახელითაა ცნობილი, თუმცა განწყობის თეორიასთან კონციდენციის თეორიის მიმართების საკითხი ავტორს, გასაგები მიზეზების გამო, საგანგებოდ არ განუხილავს⁴. ამის გამო, კონციდენციის თეორიის ადგილი დ. უზნაძის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის კონსტრუქციაში ჯერ ისევ ბოლომდე დაზუსტებული არაა.

განვითარების შესახებ არსებული თეორიების ძირითად ნაკლად დ. უზნაძე იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ ყოველი მათგანი ინდივიდისა და გარემოს პრინციპული განცალკევებულობის იდეიდან ამოდის. მიჩნეულია, რომ განვითარების შინაგანი (ინდივიდუალურ-მემკვიდრული) და გარეგანი (გარემოებით-სიტუაციური) დეტერმინანტების დაკავშირება ხდება შემთხვევით, რის პირობასაც ქცევა წარმოადგენს. ამ რიგის თეორიების მიხედვით, ქცევაში, ანუ ინდივიდის მიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში, ცდისა და შეცდომის გზით, ინდივიდი შემთხვევით ხვდება გარემოს ისეთ ფაქტორებს, რომლებთან ურთიერთობაშიც იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას და ვითარდება ამ ფაქტორების შესაბამისად. ე.ი. ქცევის ადამიანური ფორმების განვითარება მხოლოდ

⁴ საქმე ისაა, რომ კონციდენციის თეორია ავტორს განხილული აქვს 1935 წელს გამოცემულ პედოლოგიის სახელმძღვანელოში. ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში პედოლოგია, სრულიად უსაფუძვლოდ, გამოცხადდა ცრუ მეცნიერებად და აიკრძალა. ნათელია, რომ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში უზნაძე მოერიდა ამ საკითხებთან დაბრუნებას, რომლებიც პედოლოგიის განხრით ჰქონდა დაყენებული. ამის გამოა, რომ ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის განათლების სფეროს ბევრი მუშაკისათვის ეს თეორია დღესაც უცნობია.

შემთხვევითი ემპირიული გამოცდილების შედეგია. ასეთ ფსიქოლოგიურ პოზიციას უზნაძე ემპირისტულ პოსტულატს უწოდებს და საკუთარი ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მისი დაძლევა მიაჩნია. მართლაც, თუ აქტივობისა და განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები იმთავითვე განცალკევებულნი არიან, მაშინ ვერავითარი შემთხვევითობა მათ ვერ გაამთლიანებს. სწორედ ამიტომაც, რომ **ვ. შტერნის** კონვერგენციის თეორიაც, ბიჰევიორისტული თეორიის ყველა ნაირსახეობაც და თანამედროვე ინტერაქციონისტული თეორიებიც, იძულებულნი ხდებიან დაკმაყოფილდნენ აღნიშნულ ფაქტორთა დაკავშირების ფაქტის მხოლოდ კონსტანტაციით, ხოლო მისი ახნის ყოველგვარი მცდელობა დამყარებულია თითქმის გამოწვილ არგუმენტებზე და ხელოვნურ ხასიათს ატარებს.

სხვა თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, **დ. უზნაძე** ამოდის იდეიდან, რომ ინდივიდის აქტივობისა და განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები ერთიანი გაუნაწევრებელი მთლიანობის დიფერენციაციით მიღებული კომპონენტებია და ერთმანეთს ბუნებრივად შეესატყვისებიან. პირველადი მთლიანობის იდეა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის გენერალურ ხაზს განსაზღვრავს, რომლის კონკრეტიზაციის ერთ-ერთ სახეს კონციდენციის თეორია წარმოადგენს. ამ თეორიის თანახმად, ინდივიდის შინაგანი, მემკვიდრეობითი მახასიათებლების ჩამოყალიბება ფილოგენეტურად იმთავითვე გარემოს გარკვეულ პირობებთან მიმართებაში ხდება. ამის გამო, ინდივიდის ყოველ მახასიათებელს აუცილებლად შეესაბამება გარემოს ესა თუ ის მოვლენა და საგანი. მაგალითად, რომ არ არსებობდეს პური, არც პურზე მოთხოვნილება გაჩნდებოდა ადამიანის ფილოგენეტური თუ ონტოგენეტური განვითარების პროცესში; რომ არ არსებობდეს სინათლე, არც მხედველობის ორგანო განვითარდებოდა და ა.შ. მაშასადამე, შინაგანისა და გარეგანის კავშირი არსებითია და არა შემთხვევითი. „შინაგანის ცნება უკვე შეიცავს თავის შინაარსში იმას, რასაც გარეგანად თვლიან, და პირიქით, გარეგანი იმას, რასაც შინაგანად თვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცნებათა შინაარსის ურთიერთისაგან გამოთიშვა სრულიად მოუხერხებელია, და მაშასადამე, ჩვენს წინაშე

შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის, ცნებათა კონციდენციის, ერთიანობის ფაქტი დგას“ [54. გვ. 51].

ამ მოვლენის საილუსტრაციოდ ავტორს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ახალშობილს, სხვა ორგანოებთან ერთად, უკვე აქვს მხედველობის ორგანოც, რომლის ფუნქციობის განვითარებაც მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ მასზე სინათლის (გარკვეული სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების) სისტემატურ ზემოქმედებას ექნება ადგილი. ე.ი. თვალის არსებობა იმთავითვე გულისხმობს სინათლის არსებობასაც. სინათლის გარეშე თვალი მხოლოდ პოტენციურადაა მხედველობის ორგანო, ხოლო თვალის გარეშე სინათლე მხოლოდ პოტენციური გამდიზიანებელია და არა რეალური. თვალი იმთავითვე სინათლესთან მიმართებაში შეიქმნა და ჩაჯდა ამ ორგანოს მქონე სულიერ არსებათა გენეტიკურ სტრუქტურაში. ამდენად, ინდივიდის განვითარებაშიც, თვალი (გენეტიკური პროგრამით შექმნილი ორგანო) და სინათლე (გარემოს კომპონენტი) ერთმანეთთან კონციდენციაში უზრუნველყოფენ მხედველობის ფუნქციის განვითარებას.

დ. უზნაძის ეს თეორიული მოდელი ათწლეულების შემდეგ, თავისებური კუთხით გამოიყენა, შეავსო და დააზუსტა შალვა ჩხარტიშვილმა [72]. გასაგებია, რომ საბჭოური იდეოლოგიის ფონზე მკვლევარი ერიდება კონციდენციის თეორიის ხსენებას, მაგრამ აშკარაა, რომ განვითარების პირობების მისეული დახასიათება და ამ მიმართულებით სხვა თეორიულ პოზიციებზე მდგომი ავტორების შეხედულებათა კრიტიკა აღნიშნულ თეორიაზე დაყრდნობით ხდება და მის ახლებურ დასაბუთებას ემსახურება. ეს სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ, ავტორის თანახმად, ადამიანის ბიოლოგიური სტრუქტურა და ფსიქო-ფიზიკური ფუნქციონალური შესაძლებლობები წარმოადგენს მემკვიდრეობის მხოლოდ ერთ ფორმას, რომელიც ინდივიდს ეძლევა გენეტიკური ფორმით. მაგრამ არსებობს მემკვიდრეობის მეორე სახეც, იმ მატერილური და სულიერი კულტურის სახით, რომელიც კაცობრიობამ ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში შექმნა და თაობებიდან თაობებს გადაეცემა სოციალური ურთიერთქმედებების, პირველ რიგში კი სწავლებისა და აღზრდის გზით.

როცა გარემოს, როგორც განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებაა საუბარი, გარემოში, პირველ რიგში, სწორედ ეს საზოგადოებრივი მემკვიდრეობა იგულისხმება. დავიწყებულია ის გარემოება, რომ ისიც ფაქტობრივად მემკვიდრეობის თავისებური ფორმაა და ბიოლოგიურ მემკვიდრეობასთან არსებით კავშირში იმყოფება. „ინდივიდის ბუნებაში არსებული მემკვიდრეობა საზოგადოებრივი მემკვიდრეობის შექმნისათვის საჭირო აქტივობის გზითაა ისტორიულად წარმოქმნილი, ხოლო საზოგადოებრივი მემკვიდრეობა ინდივიდის ბუნებაში არსებული მემკვიდრეობის რეალურ ძალებად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში გამოყენების პროდუქტს წარმოადგენს“ [72. გვ. 17]. ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ასეთი არსებითი კავშირი გასაგებს ხდის იმ გარემოებას, რომ ბავშვის ადამიანად ჩამოყალიბებისთვის მემკვიდრეობის ორივე ამ სახის მოცემულობაა აუცილებელი. რაც შეეხება ადამიანთა შორის ინდივიდუალურ განსხვავებულობებს, ისიც განპირობებულია, ერთი მხრივ, გენეტიკური ფაქტორებით, ხოლო, მეორე მხრივ, იმ კულტურული გარემოცვით, რომელშიც ინდივიდი იზრდება და ვითარდება.

აქტივობის ადამიანურ ფორმათა დაუფლების შესაძლებლობები, რომლებიც ბიოლოგიურ მემკვიდრეობაში პოტენციურადაა მოცემული, კანონზომიერად ისწრაფვის რეალიზაციისაკენ და თავის შესატყვის ობიექტებთან ბუნებრივად მოდიან ურთიერთობაში. ამ მისწრაფებას უზნაძე ფუნქციონალურ მოთხოვნილებებს უწოდებს და მათ მემკვიდრეობით მიღებულ ფიქსირებულ განწყობებად მიიჩნევს [53; 63]. ამ უაღრესად საყურადღებო მეცნიერულმა მიგნებამ უზნაძის ეპოქაში, რომელშიც გენეტიკის წინააღმდეგ გააფრთხილებული იდეოლოგიური ბრძოლა იყო გაჩაღებული, სათანდაო განვითარება და გაგრძელება ვერ პოვა. დღეისათვის კი სრულიად ნათელია, რომ განვითარების პრობლემათა კვლევა მას გვერდს ვერ აუვლის. სწორედ, მემკვიდრეობით მიღებული ფიქსირებულ განწყობათა სისტემა, რომელიც ფუნქციონალურ ტენდენციაში ვლინდება, წარმოადგენს იმ ინსტანციას, განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების კონციდენციას რომ უზრუნველყოფს, რადგან თვითონ მასში ორივე ეს ფაქტორი ერთიანი ორგანიზაციული ფორმითაა მოცემული.

ზემოთ განვითარებული მსჯელობებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ განვითარების ინტერაციონისტული თეორია, იმ თეორიების მსგავსად, რომელთა ნაკლოვანებების დასაძლევად იგი იქნა წამოყენებული, განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებს ერთმანეთისათვის უცხო ბუნების მოვლენებად მიიჩნევს, რის გამოც, მათი გამთლიანების მექანიზმი მასაც აუხსნელი რჩება. განვითარების უზნადისეული თეორია აღნიშნული სირთულის დაძლევას უზრუნველყოფს იმით, რომ განვითარების ფაქტორებს გენეტიკურად ურთიერთდაკავშირებულ მოვლენებად განიხილავს მიგვაჩნია, რომ ასეთ მეთოდოლოგიურ პრინციპზე პედაგოგიური მოღვაწეობის დაფუძნება, მეტად ნაყოფიერი იქნება განათლების სისტემის სრულყოფილი რეფორმირებისათვის.

მისი აზრით, თუ შინაგანსა და გარეგანს შორის არის ერთიანობა, მაშინ სავსებით ნათელია, რომ შინაგანის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს აღზრდამ, ანუ გარეგანის იმგვარმა ორგანიზაციამ, რომლის საშუალებითაც შეირჩევა შინაგანზე სათანადო გარეგანი ზემოქმედება. შესაბამისად, ეს ზემოქმედება ადამიანის სოციალური წრის მიერ მოდიფიცირებულ გარემოში მიმდინარეობს. ასეთ გარემოს დიმიტრი უზნაძე „ასაკობრივ გარემოს“ უწოდებს. ე.ი. ასაკობრივი გარემო, სოციალურად ორგანიზებული გარემოა და, როგორც ვიცით, აღზრდის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ერთი მხრივ, ბავშვის ძალთა განვითარება მასზე მოქმედ ასაკობრივ გარემოზეა დამოკიდებული, ხოლო, მეორე მხრივ, პირიქით, თვითონ ასაკობრივი გარემოს შინაარსი ბავშვის ძალთა განვითარების დონით განისაზღვრება.

§ 6. სწავლების დიდაქტიკური პრინციპები

სწავლების პრინციპები ეს არის ძირითად მოთხოვნათა სისტემა, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს სწავლების პედაგოგიური პროცესის ეფექტურობასა და სასწავლო – აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

დიმიტრი უზნაძემ თავის სკოლაში შეძლო განეხორციელებინა და დაენერგა სწავლების მოწინავე დიდაქტიკური პრინციპები.

იგი სწავლების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა **თვალსაჩინოების დიდაქტიკურ** პრინციპს და სწავლების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აქვს მიჩნეული. ეს პრინციპი უძველესია იმ პრინციპთა შორის, რომელსაც იყენებდნენ არა მარტო სწავლებაში, არამედ აღზრდის პროცესში. მაგალითად, ძველი ბერძნები მოსწავლეებთან მეცადინეობის დროს შეიყვანდნენ უზომოდ გადამთვრალ მამაკაცს, რომ მისთვის ნათლად ეჩვენებინათ სიმთვრალის სისაძაგლე და უზნეობა. შემდგომში ამ პრინციპმა თეორიული დასაბუთება ჰპოვა პედაგოგიკის კლასიკოსის იან ამოს კომენსკის შრომებსა და პედაგოგიურ მოღვაწეობაში, რაც მისი სენსუალისტური კონცეფციიდან გამომდინარეობდა. მან თვალსაჩინოებას სწავლების „ოქროს წესი“ უწოდა, რითაც ხაზი გაუსვა მის უაღრესად დიდ მნიშვნელობას. თვალსაჩინოების პრინციპმა შემდგომი განვითარება პოვა ჟან-ჟაკ რუსოს, იოჰან პესტალოცის, კონსტანტინე უშინსკისა და იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკურ შეხედულებებში. მათ ეს პრინციპი განავითარეს პედაგოგიკურ მეცნიერებაში ახალი მიღწევების შესაბამისად და თვალსაჩინო სწავლების ბევრი საკითხი ახლებურად განმარტეს, რითაც ეს პრინციპი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში პედაგოგიკაში თვალსაჩინოება ისე, როგორც მთელი სწავლება ორ უკიდურესობაში მოექცა. ერთი მხრივ, ჰერბარტიანელები იძლეოდნენ თვალსაჩინოების ფორმალისტურ გაგებას, ხოლო, მეორე მხრივ, დიუი, ლაი, თორნდაიკი და სხვები ემყარებოდნენ საქმოსანი პიროვნების აღზრდას.

დიმიტრი უზნაძემ ქართულ პედაგოგიკაში შემოიტანა ამ საკითხთან დაკავშირებით სიახლე-ინტენსიურობის მომენტი და მას „ინტენსიური თვალსაჩინოება“ უწოდა. ინტენსიური თვალსაჩინოება გულისხმობს, რომ სწავლებაში საჭიროა როგორც თვით საგნის, ისე მისი მიმართების თვალსაჩინოება. დიმიტრი უზნაძის მიხედვით, თვალსაჩინოების ასეთი გაგება ძალზედ აფართოებს მის პედაგოგიურ მნიშვნელობას, რადგან იგი ცალკეული საგნის ნათელი წარმოდგენის დადგენასთან ერთად აბსტრაქტული აზროვნებით დადგენილ მიმართებათა გათვალსაჩინოებასაც ახდენს.

დიმიტრი უზნაძეს მიაჩნდა, რომ თვალსაჩინოებისათვის გვერდის ავლა სწავლების პროცესში იყო დანაშაული. თვალსაჩინოება, რომელიც მხოლოდ მხედველობით შეგრძნებაზეა დაყრდნობილი, არ არის ნამდვილი თვალსაჩინოება. თვალის მხოლოდ გვიჩვენებს, თუ რა არის საგანი, მაგრამ როგორია ის არსებითად და სხვა მოვლენებთან დამოკიდებულებაში, და რატომ არის სწორედ ასეთი და არა სხვანაირი, ამას თვალის ვერ გვიხსნის.

თვალსაჩინოების ისეთი სახე, რომელიც არა მარტო მხედველობით, არამედ მოქმედებასა და სხვა საგნებთან დამოკიდებულებაში გააცნობს ბავშვებს საგნებსა და მოვლენებს, უზნაძის სიტყვით, ეს არის ე.წ. ინტენსიური თვალსაჩინოება.

თვალსაჩინოების გამოყენებით მოსწავლის თვითმოქმედებისა და აქტივობის გაძლიერების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად უზნაძეს მიაჩნდა თვალსაჩინო საგნებისა და ზოგჯერ ხელსაწყოების დამზადებაში მოსწავლის უშუალო მონაწილეობა. ის, რაც კი მოწაფეს თავისთავად გაუკეთებია, მისი საკუთრებაა, ყველა ეს მთელი სიცხადით აღიბეჭდება და სამუდამოდ რჩება ბავშვის გონებაში. ამიტომ თვალსაჩინოება და ბავშვის თვითმოქმედება ერთმანეთისაგან განუმორებელი უნდა იყოს.

თვალსაჩინოების საქმეში დიმიტრი უზნაძე დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა, ექსკურსიების მოწყობას, განსაკუთრებით კი ბუნების შემსწავლელ ექსკურსიებს. სკოლაში თვალსაჩინო სწავლების განხორციელებისათვის საჭიროდ მიაჩნდა, აგრეთვე, მოსწავლეთა მიერ კოლექციების შეგროვება.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის აზრით, ინტენსიური თვალსაჩინოება არკვევს საგანს სხვა საგნებთან მიმართების პროცესში. ჩვენი აზრით, ამ მიზანს ემსახურებოდა „სინათლის“ სკოლაში სახელოსნოების, ხელსაქმისა და ხელგარჯილობის შემოღება, ისტორიულ – არქეოლოგიური ძეგლების, მუზეუმებისა და შესანიშნავი ადგილების შესასწავლად მოწყობილი ექსკურსიები, არითმეტიკული ყუთის, გრამატიკული ტაბულების, რუქებისა და თვალსაჩინო ხელსაწყო-მოწყობილობათა შექმნა-დამზადება და გამოყენება. გონებისა და ნებისყოფის აღზრდის ფსიქოლოგიურმა და პედაგოგიურმა პრობლემებმა, ჩვენი აზრით, დიმიტრი უზნაძე მიიყვანა „საქმის კეთების“, სახელოსნოებში მუშაობის, შრომის სკოლის აღიარების აუცილებლობამდე.

შეგნებულობისა და აქტიურობის დიდაქტიკური პრინციპი. ეს პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია დიდაქტიკაში. აქტიურობის საფუძველზე ცოდნის შეგნებულად შეთვისების თავისებურ პრაქტიკას საფუძველი ანტიკურ საბერძნეთში ჩაეყარა, რასაც მოწმობს ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს მიერ სწავლების აქტიური მეთოდების ძიება და ამ ნიადაგზე შემუშავებული სოკრატული საუბრის მეთოდი. ძველ სკოლაში, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით, დოგმატიზმის პრინციპი ბატონობდა. მეფის რუსეთის ანტიქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით საქართველოს სკოლებში გამუდმებით ირღვეოდა სწავლებაში მოსწავლეთა შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი. იგი თავს იჩენდა მასალის ზუთხვა-ზეპირობაში, ამაღლებული იდეალის უქონლობასა და უნიციატივობაში. სავსებით ნათელია, რომ მოსწავლეს, რომელიც მექანიკურად იზუთხავს და იზეპირებს მასალას, არ გაიშინაგანებს და არ გაითავისებს მას, არ ექნება ამაღლებული იდეალები.

საინტერესოა, როგორ არის ეს პრინციპი გაგებული და გამოუქმებული დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ ნააზრევში?

დ. უზნაძე თავის სასწავლებელში მოსწავლისგან მოითხოვდა სასწავლო მასალის არა უწესრიგო, დაზეპირებულ და ზერელე ცოდნას, არამედ გადაცემული მასალის გაცნობიერებას, გააზრებას, საგნის შესახებ დასკვნებისა და განზოგადობათა უნარ-ჩვევების შექმნას. უზნაძის აზრით, „ღრმა და შეგნებული შესწავლა საკმაო იქნება მისთვის, რომ მოზარდი ბუნების წინაშე ბრმად არ იდგეს და მისმა გონებამ მუდამ შესძლოს ბუნების მოვლენის ზედაპირს გადასცილდეს, როდესაც ცხოვრება მას მისი სიღრმის განჭვრეტას მოსთხოვს. პედაგოგიური სიბრძნე, მაშასადამე საგანთა რიცხვის შემცირებაში კი არა, თითოეული საცნიდან მისი არსის მიგნებასა და ტიპიურ შემუშავებაში მარხია“ (55. გვ. 104). არც ერთი ახალი იდეა არ უნდა შითვისოს მოზარდმა, რომ მისი გასხეულების შესახებ არ იზრუნოს. გონება და ნება მუდამ ხელიხელ ჩაკიდებული უნდა ავარჯიშოს.

„ბუნებას, როდესაც აცნობ, უნდა გახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ იმდენად არის საჭირო სკოლაში, რამდენადაც ამით მოზარდის ბუნების განჭვრეტის ნიჭი მუშავდება. ამ მიზნისათვის სრულიადაც არ არის საჭირო მთელი

ბუნებისმეტყველების სიბრძნე სკოლის პროგრამაში შეიტანო, პირიქით, მინიმუმი დამახასიათებელი მასალისა ბუნებისმეტყველებიდან და მისი ღრმად და შეგნებულად შესწავლა საკმაო იქნება მისთვის, რომ მოზარდი ბუნების წინაშე ბრმად აღარ იდგეს და მისმა გონებამ მუდამ შეძლოს ბუნების მოვლენის ზედაპირს გადასცილდეს, როდესაც ცხოვრება მას მისი სიღრმის განჭვრეტას მოსთხოვს“ (48. გვ. 50).

ამ პრინციპის განხორციელებისათვის დიმიტრი უზნაძეს მიაჩნია სხვადასხვა სასწავლო ხერხების მარჯვე გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ცოდნის დაუფლების მოთხოვნილებისა და ინტერესების აღძრვას, სასწავლო პროცესისადმი პრობლემური ხასიათის მინიჭებას. აუცილებელია მოსწავლეები მივაჩვიოთ დამოუკიდებლად გააზრებული პასუხის გაცემას. იმას, რომ თვითონაც სვამდნენ კითხვებს. არასწორია მტკიცება, თითქოს კითხვები ებადებათ მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სუსტად შეისწავლეს და ვერ გაიგეს მასალა. სწორედ, რომ პირიქითაა. კითხვები იბადება მაშინ, როცა გაკვეთილი გაგებულია და გააზრებული, მაგრამ მოსწავლეებს სურთ უფრო ღრმად სრულად გაიაზრონ მისი ცალკეული დეტალები.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის მიერ შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი გაგებულია, როგორც მოსწავლეების მიერ ცოდნის გააზრებულად, შეგნებულად შეთვისება, აქტიური აზროვნების საშუალებით ცოცხლად აღქმული მასალის აზროვნებაში გადამუშავება. ამით იგი ილაშქრებს დოგმატიკურ–სქოლასტიკური სწავლების წინააღმდეგ, როგორც სწავლისა და ცხოვრების ერთმანეთისაგან მოწყვეტის, ბავშვის „გონების მარწუხებში მოქცევის“, სხვისი აზრებისადმი ბრმად მორჩილების, შეგნებულად ზეპირობისა და გონებრივი კარჩაკეტილობის საშუალება. დიმიტრი უზნაძე აყენებს, არა მზამზარეული ცოდნის მიწოდების, არამედ ცოდნის დაუფლებისათვის მისი თვითაქტივობის გამოწვევის მოთხოვნას. მართლაცდა უზნაძის მიერ წამოყენებული მოთხოვნები საჭიროა დღევანდელი სასკოლო პრაქტიკისათვის, რადგან, რამდენადაც სკოლა შეძლებს, რომ მეტი აქტივობა გამოიწვიოს ბავშვებში, გაკვეთილზე იქნება ეს, თუ გაკვეთილის გარეშე მით უფრო დიდ სარგებლობას მოუტანს იგი მოწაფეს. დიმიტრი უზნაძე, ჩვენი აზრით, სავსებით

მართებულად ავითარებს აზრს, რომ აქტივობა არ შეიძლება არსებობდეს შეგნებულობის გარეშე, ისე როგორც თვით შეგნებულობა, განპირობებულია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით.

სისტემატიურობისა და თანმიმდევრობის დიდაქტიკური პრინციპი. სწავლებაში სისტემატიურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის უზრუნველყოფა მოითხოვს მოსწავლეთა მიერ ასათვისებელი მასალის ლოგიკისა და სისტემის ღრმა გააზრებას, რაც ჩადებულია ასათვისებელ ცოდნაში. უფრო ზუსტად, იგი ნიშნავს ისეთი ლოგიკური კავშირის განხორციელებას, რომელიც უნდა არსებობდეს არა ცალკეულ თემათა, არამედ მათ საკითხთა შორისაც. ცხადია, ამ წესით უნდა ითვისებდნენ მოსწავლეებიც მასალას. ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია ცოდნის შინაგანი ლოგიკური ბუნების დაცვა. სისტემატიურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი სწორედ ცოდნის შეგნებულად შეთვისების აუცილებელი პირობაა. სისტემატიურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია ცოდნის შეგნებულად შეთვისება.

დიმიტრი უზნაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა ძირითადი დარგების სისტემატიურ შესწავლა-დაუფლებას. რადგან ყოველი მეცნიერების დარგი სისტემატიური და ლოგიკური წესითაა აგებული, ხოლო ფსიქოლოგიური წესი ზოგ შემთხვევაში არ შეესაბამება ლოგიკურ წესს, ამდენად აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევა მასწავლებლისგან, უზნაძის აზრით, ბავშვის ფსიქიკური ბუნების ცოდნასა და სასწავლო საგნის შინაარსობრივი სპეციფიკის გათვალისწინებასაც მოითხოვს.

აზროვნების თავისებურებათა მიხედვით, დიმიტრი უზნაძე სასკოლო ასაკის ბავშვთა განვითარებაში ორ მთავარ საფეხურს გამოარჩევს: 1. 14–15 წლამდე პერიოდი, როდესაც ბავშვებს სუსტი მსჯელობა, კონკრეტული აზროვნება ახასიათებს და 2. ლოგიკური აზროვნების ხანა. ამ დროს მოსწავლეებს შედარებით უადვილდებათ მეცნიერების სისტემატიური და თანმიმდევრული წესით შესწავლა-შეთვისება.

აზროვნების ფსიქოლოგიური წესის მიხედვით, დიმიტრი უზნაძის „სინათლის“ სკოლა ორი საფეხურისგან შედგებოდა: 1. სამწლიანი კურსი (14 წლამდე ასაკით) და

2. ოთხწლიანი კურსი. პირველ საფეხურს სწავლების საფუძვლად ედო ამ ასაკის აზროვნების ფსიქოლოგიური წესი – კონკრეტული, მარტივი, ნაცნობი და ბავშვისათვის მახლობელი ცნობების მიწოდება, ხოლო მეორე საფეხურიდან საგნების სისტემურ – მეცნიერულ დონეზე მიწოდება და სწავლება.

ზოგადი საგნის შესასწავლად უზნაძეს საჭიროდ მიაჩნდა ბავშვისათვის ნაცნობი და მარტივი საგნების სწავლება. მაგალითად, საზოგადო ბუნებისმეტყველების შესწავლამდე სამშობლოს ბუნების სწავლება, მსოფლიო ისტორიის, ზოგადი გეოგრაფიის ან მსოფლიო ლიტერატურის შესწავლამდე – საკუთარი სამშობლოს ისტორიის, გეოგრაფიის და მშობლიური ლიტერატურის შესწავლა, რაც საფუძველს განუმტკიცებდა ბავშვებს მოცემულ მეცნიერებათა დარგებში ზოგადი დასკვნებისა და მტკიცე ცოდნის მისაღებად.

დიმიტრი უზნაძე სწავლების პროცესში მოითხოვდა კონკრეტულისა და აბსტრაქტულის, მარტივისა და რთული მოვლენების მჭიდრო კავშირს, მათ გარკვეულ კავშირს და სისტემატურობის დაცვას. დიმიტრი უზნაძის შეხედულებით, „ეს ორი პრინციპი მხოლოდ მაშინ შეიძლება სკოლამ შეარიგოს, თუ სამშობლო ბუნებისმეტყველება ის მთავარი საფუძველი იქნება, რომელზეც შემდეგ საერთო ბუნებისმეტყველება აღიმართება“ (56. გვ. 3).

მისი შეხედულებით, სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის დარღვევა იწვევს, საერთოდ, სწავლების პროცესის მოშლას, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ახლად გადასაცემი მასალა ყოველთვის გაუგებარი იქნება მოსწავლეთათვის და იგი ვერ დაეუფლება მას, ხოლო ცოდნის შექმნა სწავლების ძირითადი ამოცანაა.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე მასწავლებლებისგან მოითხოვდა სწავლების შემდეგი წესების დაცვას: ახლობელიდან – შორეულისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, ადვილიდან ძნელისაკენ, კონკრეტულიდან – აბსტრაქტულისკენ, კერძოდან – ზოგადისკენ დიდაქტიკური პრინციპების დაცვას. მისი შეხედულებით, თანმიმდევრული სწავლება აადვილებს სასწავლო მასალის კავშირის გაცნობიერებას, ათვისებული ინფორმაციის ლოგიკურ მოწესრიგებას, ანუ დასისტემებას მოწაფის ცნობიერებაში. მან სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის

მოთხოვნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, „სინათლის“ სკოლაში სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები შეადგინა ლოგიკური თანმიმდევრობით. გაითვალისწინა პედაგოგიურ პროცესში ბავშვთა განვითარების კანონზომიერებანი, რითაც „სინათლის“ სკოლაში ხელი შეუწყო სასწავლო – სააღმზრდელო პროცესის მაღალ დონეზე დაყენებას.

სწავლების მისაწვდომობის პრინციპი. სასწავლო პროცესი წარმატებული და შედეგიანი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ის მეტისმეტად ძნელი არ არის და მისაწვდომია მოსწავლისათვის. შეგნებულად, მხოლოდ, ისეთი სასწავლო კურსის ათვისება შეიძლება, რომელთა გააზრება არ აღემატება აღსაზრდელთა შემეცნებით ძალებს. შემეცნებითი ძალები კი, როგორც ვიცით, განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე.

ყოველი მეცნიერული დისციპლინა ლოგიკური და სისტემატური წესით არის აგებული, რომლის ცალკეული საკითხი ან მასალა, სიძნელე–სირთულის მიხედვით, ერთიმეორის ლოგიკურ განვითარებას და გაგრძელებას წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით, დიმიტრი უზნაძე წერდა: „ამიტომ არის, რომ ზოგ შემთხვევაში, ძნელად გასაგები ადგილები მეცნიერების თავშივე გვხვდება, ხოლო უფრო ადვილი ბოლოში, ან შუაში“ (55. გვ. 3).

დიმიტრი უზნაძე აღნიშნავდა, რომ ზრდასრულებული ადამიანის აზროვნების წესი სისტემატურია და თითქმის კვალდაკვალ მიჰყვება მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ლოგიკას და წესს. ბავშვთა განვითარების პროცესში კი ხშირად საწინააღმდეგო მაგალითებს ვხვდებით. ამიტომ მასალის გადაცემის დროს უნდა დავიცვათ მისაწვდომობის პრინციპი, ე.ი. ბავშვებს ერთბაშად არ უნდა მივაწოდოთ მხოლოდ ძნელი და მხოლოდ ადვილად შესათვისებელი მასალა, რამდენადაც ამგვარი უკიდურესობანი არღვევენ საგნის პროგრამით განსაზღვრული საკითხების თანმიმდევრობისა და ლოგიკის წესს და მის შესათვისებლად უდიდეს დაბრკოლებას ქმნიან პედაგოგიურ პროცესში.

უზნაძის აზრით, სწავლების პირველ საფეხურზე განკუთვნილ სასწავლო კურსებში უამრავი აღწერითი ხასიათის მასალაა, რომლებიც ბავშვთა ჰორიზონტის გაფართოებას ემსახურება. აქ რომ მეორე საფეხურის სასწავლო კურსებით

გათვალისწინებული მასალა შეეტანათ, შექმნიდა სირთულეს სწავლების პროცესში. სწორედ, მისაწვდომობის პრინციპი, ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინება გვამღვეს კონცენტრული წესით ავაგოთ სასწავლო პროგრამები მთელ რიგ საგნებში. ამის მიხედვით, უზნაძეს სკოლის კურსიც ორ მთავარ საფეხურად აქვს გაყოფილი: პირველ საფეხურს კონკრეტული აზროვნების ხანას უფარდებს, ხოლო მეორეს აბსტრაქტულ–ლოგიკური აზროვნების პერიოდს. „პირველ სამ კლასში უმთავრესი სახელმძღვანელო პრინციპი მოზარდის აზროვნების ფსიქოლოგიური წესი იქნება, და ამიტომ მისაწოდებელი მხოლოდ ისეთი და იმ სახის მასალა იქნება, რომელიც მისი ინტერესის სფეროს ოდნავაც არ სცილდება. აზრი, რომ მასალა ბავშვის „ინტერესის სფეროს ოდნავაც არ უნდა სცდებოდეს“ დ. უზნაძემ შემოქმედების ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შეცვალა, თუმცა იგი აქვე იმ აზრისაა, რომ მასალა მოზარდის აზროვნების ფსიქოლოგიურ წესს უნდა მისდევდეს, უნდა შეეფერებოდეს მოზარდის ძალთა განვითარებას, მაგრამ, ამასთან ერთად, რამდენადმე მაინც მაღლა უნდა იდგეს მასზე, რომ მასალამ შესძლოს მოზარდის ძალების განვითარება უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს. დიმიტრი უზნაძე წერს: „მასალა ერთი მხრივ, უთუოდ შესაფერისი უნდა იყოს მოწავის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, იგი დაშორებულაც უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. იგი რომ, მხოლოდ შესატყვისი იყოს განვითარების აქტუალური დონისათვის, როგორღა იქნებოდა შესაძლებელი წინსვლისა და უფრო მაღალ დონეზე ამაღლების პირობად გამხდარიყო. მაგრამ, მეორე მხრივ, განვითარების პირობად იგი მხოლოდ იმდენად ჩაითვლება, რამდენადაც ერთგვარად ამ აქტუალურ დონეს შეესატყვისება“ (56. გვ. 17).

ამრიგად სწავლების მისაწვდომობის პრინციპი გულისხმობს მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებას სწავლების პროცესში, მათი გადატვირთვისა და სწავლების ზედმეტად გართულების თავიდან აცილებას. ვაქციოთ სწავლა მისაწვდომი, მოსწავლეთა შემეცნებითი შესაძლებლობების გათვალისწინებით განისაზღვროს მისი შინაარსი. ცოდნათა, უნარებისა და ჩვევების ეს მოცულობა არ უნდა იყოს მოსწავლისათვის დაუძლეველი, როგორც ეს დღევანდელ სკოლაში ხდება. რადგან ასეთი გადატვირთვა, ბუნებრივია,

არამარტო აძნელებს, არამედ შეუძლებელს ხდის სწავლის პროცესს. იგი მოითხოვს სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადამუშავებას, მათ მუდმივ სრულყოფას, რაც მიიღწევა პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით.

სწავლების მისაწვდომობის აუცილებლობა დიმიტრი უზნაძის აზრით მოითხოვს არა მარტო სასწავლო პროგრამების და სახელმძღვანელოების სრულყოფას და გადამუშავებას, არამედ მასწავლებლის პედაგოგიურ ნიჭს, პროფესიონალიზმს.

ცხოვრებასთან სწავლების კავშირის პრინციპი. საუკუნეების განმავლობაში ცხოვრებამ დაამტკიცა, თუ როგორ ვითარდება მეცნიერება პრაქტიკის მოთხოვნილებათა ძალით. ისტორიული განვითარება ადასტურებს, რომ ცხოვრება, პრაქტიკა სრულყოფილი ხდება, როცა იგი იყენებს თეორიას, ემყარება მას. თავის მხრივ, მეცნიერული თეორიების ჭეშმარიტება ისინჯება, მოწმდება ცხოვრებით, პრაქტიკით. იგი ადასტურებს ან უარყოფს მას. ეს რთული ურთიერთდამოკიდებულება სწავლების, შემეცნების, ცხოვრების და პრაქტიკისა კარგად ესმოდა დიმიტრი უზნაძეს და, სწორედ, ამის საფუძველზე მოაწყო სწავლების პროცესი „სინათლის“ სკოლაში.

დიმიტრი უზნაძის აზრით, სწავლება უსათუოდ უნდა ასახავდეს ცხოვრებას, რათა აღზრდა მთლიანად, მართლა, წარმოადგენდეს მოზარდი თაობის მომზადებას საზოგადოების მრავალმხრივი საქმიანობაში ჩასაბმელად.

შეუძლებელია პიროვნების სრულყოფილი სოციალური ჩამოყალიბება, თუ მას ცხოვრებისათვის არ ამზადებს აღზრდა – განათლება. სოციალური ფუნქციის დამაკმაყოფილებლად შესრულება მხოლოდ ისეთ პიროვნებას შეუძლია, ვისაც, სათანადო სწავლა – განათლების მეოხებით, ესმის სოციალურ ურთიერთობათა აუცილებლობა და ამასთან დაკავშირებული უფლება მოვალეობანი. ეს კი დაბეჯითებით მოითხოვს სწავლების კავშირს ცხოვრებასთან.

დიმიტრი უზნაძეს მიაჩნია, რომ სასწავლო საგანთა შერჩევა, რომელმაც მოზარდის გონებრივი განვითარება უნდა უზრუნველყოს, „ცხოვრებასთან დაახლოვების“ პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები გარემო, ადამიანს რომ უხდება შემოქმედებითი საქმიანობა, „ორგვარია: ობიექტური მსოფლიო ანუ ბუნება და ადამიანი თავის რთულს სხვადასხვა

დამოკიდებულებაში“ (48. გვ. 51). ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა ამ გარემოს ცოდნას მოითხოვს, ე.ი. ბუნებისა და ადამიანის შემეცნებას. მაშასადამე, სკოლაში სასწავლო მასალას ის დისციპლინები უნდა გვაწოდებდნენ, რომელნიც გარებუნებისა და ადამიანის შესახებ ცოდნას შეიცავენ. ასეთია ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, გეოგრაფია, ფსიქოლოგია, ისტორია, მხატვრული ლიტერატურა, ეთიკა და ესთეტიკა.

მისი აზრით, გონების განვითარების პრაქტიკაში გატარება შეიძლება მრავალნაირი ხელსაქმის საშუალებით მოხდეს და, სწორედ, ამიტომ ყოველი ცალკე საგნის სწავლების დროს მოზარდის ხელიც უნდა მუშაობდეს. დიმიტრი უზნაძე მოითხოვდა, რომ „საგნების სწავლებასა და ხელსაქმეს შორის მუდმივი უწყვეტი კავშირი იქნეს გაბმული“ (48. გვ. 50), რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს თვალნათლივ აღიქვან სწავლების კავშირი პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან, რატომ უნდა შეასრულონ ესა თუ ის სამუშაო, რატომ უნდა იმოქმედონ ასე და არა სხვანაირად.

ამ მიზნით, „სინათლის“ საზოგადოების სკოლაში გარკვეული ადგილი ეჭირა მოსწავლეთა ვარჯიშობას, მათი პირადი გამოცდილებისა და მაგალითების საფუძველზე, საზოგადო დებულებებისა და პრინციპების შემუშავებას, გაკვეთილების მსვლელობაში პირადი გამოცდილების სფეროში სათანადო მაგალითების ძიებას, კერძოდ, წაკითხული წიგნების შინაარსის მეხსიერებაში აღდგენას და სკოლაში წაკითხულის შინაარსთან შედარებას და სხვა, რაც ხელს უწყობდა სკოლისა და ცხოვრების, წიგნისა და ბავშვის გამოცდილების ურთიერთთან დაახლოებას, მათ შორის მტკიცე კავშირის დამყარებას.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის მიხედვით, სწავლების კავშირი ცხოვრებასთან მოსწავლეებს არწმუნებს მეცნიერული ცოდნის პრაქტიკულ ღირებულებაში, თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირში, აინტერესებს და ამაღლებს მათ სასწავლო-შემეცნებით აქტივობას. მიგვაჩნია, რომ უზნაძის შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით მისაღებია დღესაც ჩვენი სკოლების მესვეურთათვის.

ცოდნის სიმტკიცის პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო მასალის ისე მიწოდებას, რომ მოსწავლე მტკიცედ იმახსოვრებდეს და, ამის

საფუძველზე, უნარი შესწევდეს თავისუფლად აღადგინოს მეხსიერებაში ის, რაც სწავლების პროცესში ადრე აღიქვა და აითვისა.

ცოდნის მტკიცედ დაუფლების პრინციპი ძველია, მაგრამ ის შინაარსი, რომელსაც მასში დებდა ძველი სკოლა, სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების სკოლა და მისი დიდაქტიკა გულისხმობს. ძველ, მეფისდროინდელ, სკოლაში სწავლება და ცოდნის დამახსოვრება ძირითადად დამყარებული იყო პასიურ დამახსოვრებაზე, დოგმატიზმისა და ზეპირობის პრინციპებზე.

დიმიტრი უზნაძე ადამიანის ნებისყოფის სისრულის ერთ–ერთ მთავარ პირობად, გონების სიმახვილისა და მსჯელობის უნართან ერთად, მიაჩნდა, აგრეთვე, „ღრმა ცოდნა სინამდვილის იმ სფეროისა, სადაც ნებისყოფას მოქმედება უხდება“ (55. გვ. 4). დიდი პედაგოგის აზრით, სკოლაში სწავლების მთელი პროცესი აგებული უნდა იყოს მეცნიერულ შინაარსსა და გააზრებულ გაცნობიერებულ შეთვისებაზე, დამყარებული აქტიურ დამახსოვრებაზე, უმეტესად ლოგიკური მეხსიერების მუშაობაზე.

ცოდნა–ჩვევების, განსაკუთრებით, ჩვევების მტკიცედ დაუფლებისათვის დიმიტრი უზნაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სისტემატურად მოწყობილ ვარჯიშს, რომელიც უნდა შეუფარდდეს მასალის სიძნელე–სინამდვილეს და მის სპეციფიკას. „მსჯელობის ნიჭი, – უზნაძის აზრით, მჭიდროდ უკავშირდება იმ მასალას, რომელზეც იგი ვარჯიშობს და ფრთებს მხოლოდ მისი ბუნებისა და კანონების ცოდნასთან ერთად შლის“ (55.გვ.4).

დიმიტრი უზნაძე განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა სასწავლო მასალაზე სისტემატურ ვარჯიშს და ხშირ გამეორებას მოსწავლეთა მიერ საფუძველიანი ღრმა ცოდნის დაუფლების საქმეში.

ამრიგად, სწავლების დიდაქტიკურ პრინციპებთან დაკავშირებით, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ ნააზრევში გამოთქმულია ისეთი მეცნიერულ–პროგრესული შეხედულებანი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელი სკოლისათვის.

§ 7. დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები და მათი აგების პედაგოგიკური საფუძვლები

აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, მსოფლიო რანგის მეცნიერი, ცნობილი ორიგინალური მეცნიერული თეორიის - განწყობის თეორიის შემქმნელი კი არ არის მხოლოდ, არამედ ის საშუალო სკოლების პირველი ქართული სახელმძღვანელოების ავტორიცაა მსოფლიო ისტორიაში.

1909-1916 წლებში მან უაღრესად ნაყოფიერი პედაგოგიურ-საზოგადოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობა გააჩაღა ქუთაისში. იგი ისტორიას ასწავლიდა ქალაქის ვაჟთა გიმნაზიაში, ფსიქოლოგიასა და ლოგიკას ეპარქიულ სასწავლებელში. 1915 წელს პირველად საქართველოში მისი ინიციატივით დაარსდა ქალთა ქართული სკოლა „სინათლე“, რომლის დირექტორადაც თვითონ დაინიშნა. ამ პერიოდში მრავალი წერილი გამოაქვეყნა ესთეტიკის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკითხებზე.

დიმიტრი უზნაძეს პედაგოგიური მოღვაწეობის წლებში დაუგროვდა მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება ისტორიის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით. ამან საშუალება მისცა კარგად გაეცნობირებინა საქართველოს ისტორიისა და მსოფლიო ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხი და მსოფლიო ისტორიის ცოდნის მნიშვნელობა ქართველი ახალგაზრდობისათვის. სწორედ, ამიტომაც გადაწყვიტა მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა ქართული სკოლა – გიმნაზიებისათვის.

1916 წელს დიმიტრი უზნაძის ავტორობით ქუთაისში გამოიცა „ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა“, 1918 წელს-„ძველი საბერძნეთი“, 1918 წელს-„ახალი ისტორია“, I ნაწილი, 1918 –1919 წლებში-„რომის ისტორია“. 1917 – 1922 წლებში ქართულ სკოლებში მსოფლიო ისტორია ისწავლებოდა დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოებით. 1920 წელს სასწავლო კომიტეტში (ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით) დიმიტრი უზნაძის „ძველი ისტორია“ წარდგენილ იქნა პრემიაზე.

რეკოლუციამდე საქართველოში არსებულ სკოლებში მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები ძირითადად გადატვირთული იყო არაფრისმთქმელი ფაქტებით, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, კერძოდ, ცალკეული ქვეყნების, ხალხების როლს საზოგადოებრივი ცივილიზაციის განვითარების საქმეში.

დიმიტრი უზნაძის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოების ღირსებაა ის, რომ მასში მასალის გადმოცემა ექვემდებარება ისტორიის განვითარების პროცესის ობიექტური რეალური სურათის ასახვას. სახელმძღვანელოები განტვირთულია მზამზარეული დასკვნებისა და დებულებებისაგან. ჩვენი აზრით, ავტორს სასწავლო მასალა ისე აქვს შერჩეული, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. ფაქტების სპეციფიკური გადარჩევა მიზნად ისახავს ბიძგი მისცეს მოსწავლეებს შეაფასონ ესა თუ ის ისტორიული ამბავი და მოვლენა. მოსწავლეები ეცნობიან რა სხვადასხვა ქვეყნების ისტორიას, მსოფლიო ცივილიზაციის პატივისცემით განიმსჭვალებიან განსხვავებული ტრადიციებისა და პოლიტიკური აზროვნების მიმართ. ვფიქრობთ, რომ იმ დროისათვის, როდესაც დიმიტრი უზნაძის სასაკოლო სახელმძღვანელო წიგნები გამოვიდა ისინი აღჭურვილნი არიან საორგანიზაციო მეთოდური აპარატით და მდიდარი საილუსტრაციო მასალით.

ბუნებრივია, ავტორის მიერ სახელმძღვანელოებში გამოთქმული ახალი დებულება, საკითხის შეფასება, გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდებოდა ძველი სტერეოტიპებით აღზრდილი თაობების მხრიდან, მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოები, რომლებიც ევროპული სტანდარტების დონეზე არის შედგენილი პასუხობდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს.

წიგნი I-„ძველი ისტორია (ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა)“ შედგება შვიდი თავისა და 55 პარაგრაფისგან. სახელმძღვანელოში მოცემულია ძველი ეგვიპტის, ასურეთის და ბაბილონის, ხეთების, ფინიკიის, არიელების, ძველი სპარსეთის და საბერძნეთის ცივილიზაციათა ისტორია. გადმოცემულია არაერთი საინტერესო ამბავი. ამ სახელმძღვანელოს გაცნობის შემდეგ

მოსწავლეები გაიაზრებენ მოვლენების თანმიმდევრობას, ხანგრძლივობას და სინქრონულობას, ისწავლიან წელთაღრიცხვას, ისტორიული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, ისტორიული მასალის მრავალფეროვნებას, ისტორიული ტერმინების სწორად ახსნასა და გააზრებას.

წიგნი II-„ძველი საბერძნეთი“ შედგება 17 თავისა და 53 პარაგრაფისგან. სახელმძღვანელო, როგორც წიგნის წინასიტყვეობიდან ჩანს, დიმიტრი უზნაძეს განსაზღვრული ჰქონია საკითხავ წიგნად, მაგრამ წიგნი იმდენად საინტერესოდ და მიმზიდველად არის დაწერილი, რომ მან მაშინდელ ქართულ სკოლებში სახელმძღვანელოს ფუნქცია შეასრულა. დიმიტრი უზნაძეს ბევრი საკითხი ახლებურად აქვს გაშუქებული, რაშიც მას, ჩვენი აზრით, დაეხმარა შედარებითი, ისტორიულ-შეპირისპირების მეთოდი. წიგნი იმითაც არის საინტერესო, რომ მას თან ახლავს ბალკანეთის რუკები. დიმიტრი უზნაძე სკოლის მასწავლებლებს ურჩევს თვითონ განსაზღვრონ, თუ რომელ საკითხს როგორი გულისყურით უნდა მიუდგნენ და გადასცენ მოსწავლეებს. სახელმძღვანელო ფართოდ აშუქებს საბერძნეთის ისტორიის მნიშვნელოვან პრობლემებს. მაგალითად, სოლონის რეფორმების ისტორია მშვენივრად აქვს განხილული. საკმაოდ კარგად არის გაშუქებული ეკონომიკური მიზნები. შემდეგ მოცემულია თვით რეფორმის ვრცელი და ნათელი ანალიზი, მისი პოლიტიკური შედეგები, სახელმწიფოებრივი წესწყობილება ათენისა. განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს „დელოსის კავშირი, სადაც ავტორი ავითარებს ცნებას „ფედერატული“ და საკმაოდ ააშკარავებს ამ კავშირის ეკონომიურ სარჩულს და სხვა. წიგნში ავტორმა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შეძლო ისტორიული საკითხები გადმოეცა მარტივი, გასაგები ენით და საინტერესო ილუსტრაციებით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა სწორად გაეაზრებინათ საბერძნეთის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები, გამოეყო უმთავრესი მეორეხარისხოვანისაგან, აეხსნა შესწავლილი ეპოქის ძირითადი ცნებები. მიუხედავად ამისა, წიგნს აქვს მცირეოდენი ხარვეზები.

პროფესორი ომარ ნიშნიანიძე მეორე წიგნის შესახებ წერს: „მოდერნისტული თეორიების გავლენა მასთან არ შეიმჩნევა „მასალა კარგად არის დალაგებული. მცირე

ცვლილებებს თუ არ ჩავთვლით, დღესაც, დაახლოებით იგივე პერიოდიზაცია არის მიღებული, როგორც დ. უზნაძე წარმოგვიდგენს.

ეს მცირე ცვლილებები ასეთია: დღეს ჩვენ ძვ.წ. XI – IX საუკუნეებში ვუწოდებთ ჰომეროსის ეპოქას, რადგანაც ძირითად წყაროს ამ პერიოდის საზოგადოების სოციალურ – ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შესახებ ჰომეროსის პოემები წარმოადგენს. დაახლოებით იმავე პერიოდს - X – IX საუკუნეებს დ. უზნაძე საშუალო საუკუნეებს უწოდებს, ამ სახელში მაინც გამოკრთება მოდერნისტიული თეორიების გავლენა, რადგანაც სწორედ ასეთი თეორიების მიხედვით ძველ სამყაროსაც ჰქონდა თავის ანტიკურობა, თავისი შუა საუკუნეები და კაპიტალიზმი. აქედან დ. უზნაძე მხოლოდ შუა საუკუნეებს მოიხსენიებს“ (32. გვ.17).

წიგნი III-„რომი“ შედგება სამი თავისა და რამდენიმე პარაგრაფისაგან. მასში განხილულია რომის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები. გაანალიზებული, განზოგადებული და შეფასებულია რომის ისტორიული მოვლენები სახელმძღვანელო წიგნის ნაკლად მიგვაჩნია ის, რომ მასში ჩართული არ არის რუკები და ილუსტრაციები დაზუსტებული არ არის ტერმინოლოგიები.

აქვე ცალკე აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის, რომ კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლა მძიმე მდგომარეობაში იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში. არც ერთ საშუალო სასწავლებელში და, მით უმეტეს, დაბალ სასწავლებლებში კულტურის ისტორია ან სულ არ ისწავლებოდა, ან ყოველ შემთხვევაში ხეირიანად არ ისწავლებოდა. ამ საგნის სწავლება ახალი ხილი იყო იმდროინდელ ქართულ სკოლებში. ამას თან ერთვოდა არა თუ ძირითადი სახელმძღვანელოსი, არამედ დამხმარე სახელმძღვანელოს არ არსებობა. დამოუკიდებელი საქართველოს (1918–21 წწ.) განათლების სამინისტროს მაშინდელ პროგრამებში ამ საგნის შესახებ აღნიშნული იყო: „ 1. I კლასი, პირველყოფილი კულტურის ისტორია; 2. ნივთიერი კულტურა; 3. სულიერი კულტურა; 4. საზოგადოება“ (7.გვ.4). პროგრამაში არ არის მოცემული სასწავლო საგნის დეტალიზაცია, რა საკითხები უნდა ვასწავლოთ და როგორ. ამას ემატებოდა ისიც, რომ არ არსებობდა რუსულ ენაზე ორ დამხმარე სახელმძღვანელოზე მეტი, რომლებიც ძალზე ძნელად ხელმისაწვდომი იყო თბილისის სკოლების

მასწავლებლებისათვის და, საერთოდ, პერიფერიის მასწავლებლებისათვის. ვფიქრობთ, რომ დიმიტრი უზნაძემ, ამ თვალსაზრისით, უდავოდ დიდი როლი შეასრულა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

მეტად მნიშვნელოვნად გვესახება დიმიტრი უზნაძის მიერ გამოცემული წიგნები: 1. ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, თბილისი, 1917, და 2. პირველყოფილი კულტურის ისტორია, თბილისი, 1922.

აღნიშნულ წიგნებში დიმიტრი უზნაძე გვაძლევს იმ საზოგადოებრივი მოვლენების დახასიათებას, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი გახდა ადამიანის სულიერი საწყისების ჩამოყალიბება. იგი საკითხების განხილვას იწყებს ადამიანის თავდაპირველი ცხოვრების პირობების დახასიათებით, იმაზე მითითებით, რომ პირველყოფილი ადამიანი მთლიანად ბუნებაზე იყო დამოკიდებული, რომ მას სხეულისა და გონების მეტი არაფერი გააჩნდა. ცხოვრების მძიმე პირობებმა პირველყოფილი ადამიანი აიძულა ეზრუნა შრომის იარაღების გამოგონებაზე, რასაც მოჰყვა მიწათმოქმედების განვითარება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა, უზნაძის აზრით, ადამიანი პირველყოფილ არსებად აქცია. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო ადამიანის გონების, აზროვნების უნარის განვითარებას და ასე შემდეგ.

დიმიტრი უზნაძემ საკაცობრიო კულტურის, კულტურული ცხოვრების მოძრაობისა და განვითარების შეუძლებლობის იდეა კატეგორიულად უარყო. მისი აზრით, კულტურას ეროვნული ფორმა აქვს, არსებობს იმდენი კულტურა, რამდენიც ეროვნებაა მსოფლიოში. კულტურა ეროვნულ ძალთა მუშაობის შედეგია, ეროვნული შემოქმედებაა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი შეხედულებები პირველყოფილი საზოგადოების რელიგიური წარმოდგენების შესახებ. პირველყოფილი ადამიანი თავისი განვითარებით ძალიან დაბალ დონეზე იდგა. მას არ შეეძლო აეხსნა ბუნების ის მოვლენები, რომლებიც ყოველ წუთში ხდებოდა მის ირგვლივ და რომელთა გარეშე არსებობა მას არ შეეძლო. იგი ბუნებაში ცხოვრობდა და თავისი განვითარების დაბალი დონის გამო ბუნების ტყვე იყო. ამიტომაც გაასულიერა იგი. ზოგი მოვლენა ბუნებისა კეთილ გავლენას ახდენდა ადამიანის ცხოვრებაზე, ზოგი კი ბოროტს. ამ

სულელებზე იყო დამოკიდებული ადამიანის ბედი და ამიტომ თვლიდა იგი მათ ღმერთებად.

ბუნების მოვლენების გვერდით, დიმიტრი უზნაძის აზრით, თანდათანობით პატივი მიაგეს გარდაცვალებული წინაპრების სულსაც. მათი აზრით, სული ოჯახში ტრიალებდა და მასაც სჭირდებოდა თაყვანისცემა. აქვე დიმიტრი უზნაძე ეხება საიქიო ცხოვრებასაც. „თანამედროვე ველურთა შეხედულებების შესწავლა ნათლად ამტკიცებს, - წერს უზნაძე, რომ პირველყოფილი ადამიანის აზრით, თუმცა საიქიო ცხოვრება სააქაოსგან არ უნდა განსხვავდებოდეს, მაგრამ იგი მასთან შედარებით ცოტა მაინც უკეთესი უნდა იყოს“ (11. გვ. 103). საიქიოში ყველაფერი უხვადაა, რაც მთავარია, სიაფა და ადამიანს შეუძლია უზრუნველად იცხოვროს. უზნაძე საუბროს მარხვისა და ღვინოში პურის ნატეხის ჩადების წესის შესახებ და სხვა. მთლიანობაში უზნაძე წიგნში ეხება არა ღმერთების არსებობა - არარსებობას, არა მათ წარმოშობას, მათ მიერ სამყაროს შექმნის საკითხს, არამედ ეხება ქმნადობის შემდეგ არსებულ რეალობას, რომ ღმერთი ქმნის სამყაროს და როგორც თავის სახესა და ხატს ქმნის ადამიანს.

ბონდო კიზირია წიგნში-„დიმიტრი უზნაძის სოციალური შეხედულებები“ ასაბუთებს, რომ მისი შეხედულებები რელიგიის შესახებ ათეისტურია. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ეს წიგნები გამოცემულია რევოლუციამდელ პერიოდში და მაშინ უზნაძეს არავინ ავალებდა გამოეხატა ათეისტური შეხედულებები. მის შეხედულებები, როგორც მ. გაბიტაშვილი წერს, „მეცნიერულია, რწმენის მქონე ადამიანთა საწყის ეტაპს რომ ეხებიან და აღწერენ იმას, რასაც განიცდიდა ადამიანი მისი ქმნადობის ადრინდელ საფეხურზე“ (11. გვ. 51).

ერთი სიტყვით, წიგნში დიმიტრი უზნაძე სისტემატურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპის დაცვით განიხილავს პირველყოფილი კულტურის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

დიმიტრი უზნაძის მიერ დაწერილ სახელმძღვანელო წიგნებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა მაშინდელ პედაგოგიურ პრესაში. ჟურნალ „განათლებაში“ დაიბეჭდა რამდენიმე მოკლე რეცენზია მათ შესახებ, სადაც კრიტიკულად, მაგრამ მთლიანობაში დადებითად არის შეფასებული დიმიტრი უზნაძის როლი

სახელმძღვანელო წიგნების შექმნის საქმეში. განსაკუთრებით გაკრიტიკებულია უზნადის „ახალი ისტორია“ იგი მიჩნეულია როგორც ნათარგმნი წიგნი 1910 წელს გამოცემული ვინოგრადოვის წიგნისა. უზნადის წიგნის ნაკლად მიჩნეულია, რომ „წიგნში შეხვდები გასაოცარ შეუსაბამობებს. ამერიკის აღმოჩენისა და მისი აღმოჩენის შედეგების შემდეგ გადავდივართ გერმანიასა და სხვა ქვეყნებში რეფორმაციაზე და სხვა“ (11. გვ. 111-112). მიუხედავად ასეთი კრიტიკისა, ჩვენ ვერსად წავაწყდით დიმიტრი უზნადის პასუხს აღნიშნულ კრიტიკაზე. ვფიქრობთ, რომ ამ პერიოდში იმდენად იყო დაკავებული დიმიტრი უზნაძე თავისი პედაგოგიური კვლევა-ძიებით, რომ არ ეცადა ასეთი მარტივი კრიტიკული გამოხტომების საპასუხოდ.

სამაგიროდ, ჟურნალ „განათლების“ ამავე ნომერში დადებითად არის დახასიათებული დიმიტრი უზნადის სახელმძღვანელო წიგნი-„ძველი საბერძნეთი“. იგი შეფასებულია, როგორც სასიამოვნო გამონაკლისი მაშინდელ სასკოლო ლიტერატურაში, რომელიც აგებულია სწავლების დიდაქტიკურ პრინციპებზე და იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეს საბერძნეთის ისტორია შეითვისოს, როგორც მთლიანი პროცესი მასწავლებლის დახმარებით და ვრცელი ახსნით.

ჩვენი აზრით, დიმიტრი უზნადის მიერ გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელო წიგნებში ისტორიული მასალის გადმოცემა ეფუძნება შემდეგი პრინციპების დაცვას: 1. მეცნიერულობას; 2. აღზრდას; 3. მისაწვდომობას; 4. თვალსაჩინობას და კონკრეტულობას, 5. სისტემატურობას და თანმიმდევრულობას; 6. შეგნებულობასა და აქტივობას; 7. გავლილი მასალის მტკიცედ შეთვისების პრინციპებს.

მიგვაჩნია, რომ ისტორიის სწავლება იძლევა შესაძლებლობას წარმატებით განვახორციელოთ ზნეობრივი აღზრდის პრინციპი. მოსწავლეებმა შეიმეცნონ საზოგადოებრივი ფასეულობანი, მუდმივი მორალური ნორმები, გამომუშავებული ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების პროცესში, ასევე, ახალი პრინციპები და ნორმები, რომლებიც საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე წარმოიშვა. ისტორიული მოვლენების ანალიზი, ისტორიული პირების მოღვაწეობის, მთლიანად სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობათა დახასიათება, მასწავლებელს აძლევს შანსს გამოიმუშაოს მყარი, ზნეობრივი ცნებები.

უზნადის მიერ გამოცემულ სასკოლო წიგნებში საკითხები ისე არის გაშუქებული, რომ მათ მოსწავლე მიჰყავს სარწმუნო ცოდნისაკენ. წიგნში სასწავლო მასალის გაშუქების დროს განსაზღვრულია სირთულისა და სიღრმის ხარისხი, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მასალის მოცულობა სწორად არის დოზირებული, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს სწორად გაანაწილოს თემატური მასალა ცალკეულ გაკვეთილზე.

თითოეული საკითხი იმდენად საინტერესოდ არის წიგნში წარმოდგენილი, რომ ისინი განწყობას უქმნიან მოსწავლეს აქტიური მუშაობისათვის, რომ მათ შეძლონ გარკვეული სიძნეელების დაძლევა. რაც იძლევა საშუალებას იმისას, რომ მოსწავლე არა მარტო ცოდნას ითვისებს, არამედ თავისთვის აკეთებს, ზოგჯერ მცირე, მაგრამ საკუთარ აღმოჩენებს. განიცდის სიხარულს შემოქმედებითი დამოუკიდებელი მუშაობისაგან. დიმიტრი უზნადის წიგნების მნიშვნელობა იმაში, მდგომარეობს, რომ ამ წიგნებით სწავლების პროცესში მოსწავლე ვერ იქნება პასიურ მდგომარეობაში, ისინი მასწავლებლის დახმარებით ელიან დამოუკუდებლობის გამომჟღავნებას. კონკრეტულად, ინდივიდუალური შესაძლებლობის გამოვლენას.

სასწავლო მასალა წიგნების საშუალებით ისე მიეწოდება მოსწავლეებს, რომ მათთვის ცნებები და წარმოდგენები უფრო ნათელი და კონკრეტული ხდება. თვალსაჩინოება გამოიყენება არა განყენებული ცნებების მეშვეობით, არამედ კონკრეტული პიროვნებებისა და სხვადასხვა მაგალითების საფუძველებზე. ამ პრინციპით აგებული სახელმძღვანელო წიგნები მოსწავლეებში ავითარებს აზროვნების კულტურას, სწავლებისადმი ინტერესს, ყურადღებისა და დაკვირვების აღზრდას.

ვფიქრობთ, რომ ყოველი ახალი დებულება ან ახალი თემა ეფუძნება ადრე მიღებულ ცოდნას, რომ სირთულისა და სიძნელის ზრდა მოხდეს თანდათანობით. დიმიტრი უზნადისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ცოდნისა და ჩვევების ათვისების პროცესი გულისხმობს უწყვეტ და ლოგიკურ კავშირს ადრეულ და მოგვიანებით მიღებულ ცოდნას შორის, ახალი მასალის კავშირს გავლილ მასალასთან, ცოდნის თანმიმდევრულ გაფართოებას და გაღრმავებას.

დღევანდელი სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში, გაკვეთილების ცალკეული თემები ხშირად ერთმანეთისგან იზოლირებულად გადაიციმა. მათ შორის კავშირი ყოველთვის არ მყარდება. იცვლება სასწავლო მასალის მონაცვლეობა და თანმიმდევრობა. რაც შეეხება დიმიტრი უზნაძეს სასკოლო სახელმძღვანელოებს მათში, ჩვენი აზრით, ყველა საგაკვეთილო მასალა ლოგიკურად და თემატიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთი თემა ავსებს მეორეს. მომდევნო დაკავშირებულია წინამორბედთან და ლოგიკურად და ქრონოლოგიურად ავითარებს მას. ყველა თემა ეხმარება მოსწავლეებს მიიღონ ისტორიის პროცესზე სრული და ფართო წარმოდგენა.

დიმიტრი უზნაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები ასათვისებლად არც მეტად ძნელია და არც მეტად ადვილი. ისინი თავისი შინაარსით, დალაგებით და მოცულობით ისეთია, რომ მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ენერჯის მობილიზაციის გზით გარკვეული წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ მისი შეგნებულად დაძლევა. წიგნებში, ჩვენი აზრით, დაცულია მოვლენათა გადმოცემის ისტორიზმის პრინციპი, შეძლებისდაგვარად შედარების საფუძველზე მოვლენათა გაშუქება ხდება თვალსაჩინო მასალის (სურათები, რუკები) საფუძველზე.

დასარულ არ შეიძლება არ აღინიშნოს ავტორის მაღალი პროფესიონალიზმი. საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების ღრმა ცოდნა და მსოფლიო ისტორიის ძირითადი პრობლემატიკის მოსწავლეთათვის გასაგებად გადმოცემის საოცარი ხელოვნება.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის განზრახვა მსოფლიო ისტორიაში სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ მართებულად გვესახება. რადგან მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედისათვის ქართულ ენაზე მსოფლიო ისტორიაში, და, მათ შორის, ძველი მსოფლიოს ისტორიაში, არც სახელმძღვანელოები და არც საკითხავი წიგნი საერთოდ არ არსებობდა. აქედან გამომდინარე სასკოლო სახელმძღვანელოების დანიშნულება ისიც იყო, რომ არა მარტო მოსწავლეებს, არამედ ძველი ისტორიით დაინტერესებულ ნებისმიერ ქართველს შეძლებოდა ქართულ ენაზე მსოფლიო ისტორიაში გარკვეული სისტემური ცოდნის შექმნა.

§ 8. დიმიტრი უზნაძე და ახალი პედაგოგიკური იდეების გავრცელება საქართველოში

900-იანი წლების საქართველოში ერთგვარი გავრცელება ჰქონდა თავისუფალი აღზრდის თეორიას, შრომის სკოლას და ექსპერიმენტულ პედაგოგიკას.

„თავისუფალი აღზრდის“ თეორია ფართოდ გავრცელდა რუსეთში XX საუკუნის დასაწყისიდან. მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ კ.ვენტცელი, ი.გორბუნოვ-პოსადოვი. მათ 1909 წელს დაარსეს ჟურნალი „სვობოდნოე ვოსპიტანიე“, გახსნეს მოსკოვში „თავისუფალი აღზრდის“ სახლი, ტარდებოდა ყრილობები „თავისუფალი აღზრდის“ საკითხებზე.

„თავისუფალი აღზრდის“ თეორიის მომხრეთა შორის აღზრდის სისტემის მომხრეთა საკითხებში აზრთა მნიშვნელოვან განსხვავებასაც ჰქონდა ადგილი. თვით ჟან ჟაკ რუსო, რომელიც ამ თეორიის ფუძემდებელია, თავისუფალი ბუნებრივი აღზრდის იდეას იცავდა. მაგრამ სრულებითაც არ უარყოფდა აღმზრდელის ხელმძღვანელ როლს. კ. ვენტცელმა და მისმა მიმდევრებმა ეს თეორია სულ სხვაგვარად განავითარეს. ისინი თავიანთი აღზრდის სისტემას საფუძვლად უდებდნენ ბავშვის თვითგანვითარებასა და თვითაღზრდას, უარყოფდნენ ყოველგვარ პროგრამას, სასწავლო გეგმას, მასწავლებლის ხელმძღვანელ როლს. მათი აზრით, სკოლის ნაცვლად „თავისუფალი აღზრდის სახლი“ უნდა შექმნილიყო, სადაც ბავშვები სრული თავისუფლებით ისარგებლებდნენ. აღზრდის მიზნად ვენტცელი თვლიდა ბავშვის განთავისუფლებას ყოველგვარი ძალდატანებისგან. მისთვის ისეთი გარემო პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა მისი ინდივიდუალობის თავისუფალ განვითარებას.

საქართველოში „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის პროპაგანდისტად ჟურნალი „განათლება“ და მისი რედაქტორ-გამომცემელი ლუარსაბ ბოცვაძე გამოდიოდა. ლ. ბოცვაძე წერილში „რუსეთის ცხოვრებიდან“, რომელიც ჟურნალ „განათლების“ 1908 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა წერდა: „წარსული წლის რუსულ პედაგოგიურ მწერლობაში თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს მთელ რიგ თხზულებათა, რომელთაც სათაურად აქვთ „თავისუფალი აღზრდა“ და შეადგენს გორბუნოვ-პოსადსკის გამოცემას“ (8. გვ. 116).

ლუარსაბ ბოცვაძე ამ თეორიის პრაქტიკულად განხორციელებას თვლიდა დიდმნიშვნელოვან მოვლენად და მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველები არ ეხმაურებიან ამ საქმეს. „მხოლოდ ქართველებს შორის, წერს ლ.ბოცვაძე, ამ მხრითაც ჩვეულებრივი მყუდროებაა და უნებლიეთ მაგონდება დიდებული პოეტის ნაღვლიანი სიტყვები:სულ ძილი, ძილი, როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძებაო“ (9. გვ. 123).

აღზრდის ძველი სისტემის ძირითადი პრინციპი, წერს ლ. ბოცვაძე, არის მოსწავლის მორჩილება ავტორიტეტისადმი. „ავტორიტეტის პრინციპს საფუძვლი აქვს ბავშვის ბუნებრივ დამოკიდებულებაში უფროსებთან და აღმზრდელებთან..... ავტორიტეტის პრინციპი ყურადღებას არ აქცევს ბავშვის ნებას, ის ისე ეპყრონბა ბავშვს, როგორც უსულო საგანს, უმორჩილებს ბავშვს აღმზრდელის წუთიერის გულის თქმას, გარეგან მიზეზებს ამ მის პირად წადილს.ეს პრინციპი ცუდია იმ მხრივაც, რომ გამოდის ისეთი მოტივიდან, რომელიც ეუცხოვება ბავშვს ბავშვის პიროვნებას, ამზადებს ბავშვს ისეთი მიზნებისათვის, რომელიც მისი მოწოდების გარეშეა, ისეთი იდეების და მისწრაფებებისთვის, რომელთაც არაფერი საერთო არ ააქვთ ცოცხალ სინამდვილესთან, დღევანდელ ცხოვრებასთან, ამიტომაც ავტორიტეტის პრინციპი სავსებით დაგმობილია ყველა ქვეყნის საუკეთესო მეცნიერ პედაგოგის მიერ“ (9. გვ. 118-119).

ლუარსაბ ბოცვაძე, გამომდინარე „თავისუფალი აღზრდის“ თეორიიდან, აღმზრდელის ავტორიტეტისადმი მორჩილების პრინციპს უპირისპირებს ბავშვის ყოველმხრივ თავისუფალ, ინდივიდუალურ განვითარებას. ამ პრინციპის არსი, ლ. ბოცვაძის აზრით, ბავშვის ბუნების, მისი ზოგადკაცობრიული და ინდივიდუალური თავისებურებების პატივისცემაში მდგომარეობს. ბავშვს თავისი ბუნების თანახმად უნდა ასწავლონ ისეთი საგნები, რომელიც არ არის მოსაწყენი ბავშვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის გრძნობათა ორგანოებისა და კუნთების, თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას. ბავშვს უნდა აღუძრათ მოთხოვნილება იმისათვის, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით დაინახოს, არ დაკმაყოფილდეს სხვისი ცდით, მოძებნოს პასუხი ყოველ საკითხზე საკუთარი ღონისძიებით.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში შრომითი აღზრდის იდეამ ფართო გავრცელება ჰპოვა საქართველოში. საკმაოდ პოპულარული გახდა გეორგ კერშენშტაინერის (1854-1932), ვ. ლაის (1862 – 1926), ჯ. დიუი (1859 – 1952) შეხედულებები შრომითი აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით. შრომითი აღზრდა იქცა განსაკუთრებულ პროგრესულ მოვლენად, რომელიც ემსახურებოდა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ჭეშმარიტ პედაგოგიურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეს.

გეორგ კერშენშტაინერი მიეკუთვნება პედაგოგიკაში რეფორმატორთა მოძრაობის წამყვან წარმომადგენელთა რიცხვს. მან სამოქალაქო აღზრდის თეორიისა და სახალხო სკოლის შრომის სკოლად გარდაქმნის თეორიით, გემანიის სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების შესაბამისად შექმნა, სამოქალაქო პედაგოგიკა და შრომის სკოლა.

შრომითი აღზრდის პრინციპები ვ. ლაის სწავლების სისტემაში გამოისახა ტრიადაში – „აღქმა, გადამუშავება, გამოსახვა“, ხოლო დიუისთან შრომითი აღზრდის იდეა პრაგმატიზმ – ინსტრუმენტალიზმის ერთ–ერთ საფუძველად იქცა.

მათი აზრით, „შრომა თავის თავში უნდა წარმოადგენდეს თავის თავშივე დახშულ სწავლების დარგს“. შრომითმა სწავლებამ ადამიანი უნდა მოამზადოს მხოლოდ ამა თუ იმ შრომითი პროფესიისათვის. მათი შრომის სკოლა მერყეობდა თეორიასა და პრაქტიკას შორის. ისინი გამოდიოდნენ ადამიანების კლასიფიკაციიდან, ყოფდნენ ადამიანებს ნიჭიერებად თეორიასა და პრაქტიკაში.

მათ მთელი ყურადღება გადაჰქონდათ პრაქტიკულ მომზადებასა და საქმიანობაზე, პროფესიონალიზმზე. ამ შეხედულებებმა პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა „ პროექტთა სისტემით“ მუშაობის შემოღებაში, სავალდებულო პროგრამისა საკლასო – საგაკვეთილო სისტემის უარყოფაში, მოსწავლეთა საკუთარი გამოცდილების გადაფასებაში, სახვითი მოქმედების გაფეტიშებაში, მასწავლებლის როლის შემცირებაში.

მათ თავისი თეორიებით ზომიერად შეცვალეს სასკოლო განათლების სისტემა ამერიკასა და გერმანიაში. მათი ნაშრომები გამოიცა ბევრ ქვეყანაში. მათ შორის საქართველოშიც და მათი შეხედულებები, როგორც აღვნიშნეთ პოპულარული გახდა XX საუკუნის ათიანი წლების საქართველოში.

შრომითი აღზრდის საკითხებს საქართველოში XX საუკუნის ათიან წლებიდან მრავალი წერილი და სტატია მიეძღვნა. სწავლებაში შრომითი ელემენტების შეტანის აუცილებლობას იცავდნენ და ასაბუთებდნენ ცნობილი ქართველი პედაგოგები ლ. ბოცვაძე, ა. ჭიჭინაძე, დ. უზნაძე და სხვა.

ლუარსაბ ბოცვაძის აზრით, შრომას არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღზრდის მნიშვნელოვან ამოცანას უნდა შეადგენდეს მომავალი თაობის მომზადება შრომისათვის, მათში შრომისადმი სიყვარულის დანერგვა. ლ. ბოცვაძეს მიაჩნია, რომ მისი ეპოქის სკოლა შრომით სწავლებას სათანადო ყურადღებას არ უთმობს. „არ შეიძლება არც მიწის თხრა, არც ხუხულების აშენება, მასალის დამზადება, გაჰქრა ნაყოფიერი შემოქმედება, მოწყდა ბავშვი მის გარშემო არსებულ ქვეყანას მისწინ გადაშლილი ათასნაირი ამოცანებით... ქვიშის გროვის, კუბიკებიანი ყუთის, მაკრატლის, ჩაქუჩის, წვეპლის ნაცვლად ბავშვს წინ აქვს დაფა, გრიფელი, ანბანი, სახაზავი. მხიარული ჭიკჭიკისა და ოცნების ნაცვლად ჩუმად უნდა იჯდეს კლასში და ყური უგდოს მასწავლებელს... აღმოჩენის, გამოკვლევის, ცდისა და შემოქმედების ნაცვლად მიბაძვა“ (7. 401).

ლ. ბოცვაძის აზრით, შრომით სწავლებას დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. შრომის სკოლის შექმნა აუცილებელია იმის გამო, რომ ამას მოითხოვს ცხოვრება თვით ბავშვის ბუნება. გ. კერშენშტაინერის, ვ. ლაისა და ჯ. დიუისგან განსხვავებით, იგი არ უარყოფს სისტემურ სწავლებას. აუცილებლად მიაჩნდა სისტემური ცოდნის შენარჩუნება და, ამავე დროს, ბავშვის აქტივობისათვის ფართო გასაქანის მიცემა. მათგან განსხვავებით, შრომითი აღზრდის მიზანი მისი აზრით, მარტო პროფესიული მომზადება კი არ იყო, არამედ აღსაზრდელის შრომითი ჩვევების, შრომის უნარის გამომუშავება. ერთი სიტყვით საჭიროა სწავლების შეერთება შრომასთან.

ცნობილი ქართველი პედაგოგი ა. ჭიჭინაძე შრომის შეტანას სწავლების პროცესში განიხილავდა, როგორც სწავლების მეთოდს. მისი აზრით, „ყოველი საგნის სწავლება უნდა წარმოებდეს იმგვარად, რომ როგორც უხსნიან მოსწავლეს,ყოველივე ამა თუ იმ სახით, რამდენადაც კი შესაძლებელია, განსახიერებული, ნივთიერად გამოხატული იქნეს მოწაფის შრომით. ამისთვის ფრიად საჭიროა დაარსებული იქნეს

სასწავლებელში ხელგარჯილობის კლასი... გამოსახვა ამა თუ იმ ნივთიერის, საგნის ან განხორციელება რომელიმე წარმოდგენისა აუცილებლად მოითხოვს მოფიქრებას, მოსაზრებას, რაიცა დაუკვირებლად, შეუდარებლად შეუძლებელია. ამ მოფიქრება - მოსაზრების დროს სულიერად ვითარდება მოწაფე. იგი იჩენს ყურადღებას საგნისადმი, ავარჯიშებს მეხსიერებას და სხვადასხვაგვარ გრძნობათა“ (73. 295). ა. ჭიჭინაძის შეხედულებით, სწავლების შეერთება შრომასთან აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

დიმიტრი უზნაძის მიხედვით, სასკოლო ცოდნის ათვისების პროცესში ახალგაზრდობა სულ უფრო დაშორდა პრაქტიკული ცხოვრების მორევს. სამეურნეო ცხოვრების განვითარების კვალობაზე ოჯახმა დაკარგა ბუნებრივი საწარმოო სფეროს ფუნქცია და მწარმოებლური ფუნქცია, რომელმაც წარმოებებსა და სახელოსნოებში გადაინაცვალა. მოზარდს ავტომატურად ფეხქვეშ გამოეცალა ეს ნიადაგი და იგი მარტო დარჩა სკოლაში თეორიული ცოდნის ამარა. არადა, ცოდნა ხალხს სჭირდება იმისათვის, რომ ადვილად და უმტკივნეულოდ განავითაროს ცხოვრება. უზნაძეს მიაჩნია, რომ ცოდნა და ხასიათის აღზრდა იყოს ერთმანეთთან მუდმივ კავშირში, რადგან ხასიათი ყალიბდება და იჭედება შრომაში, პრაქტიკის პროცესში.

„უდავოა - წერს დიმიტრი უზნაძე, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სახალხო სკოლაში ხელით შრომა უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც საგანი, რომელსაც აღმზრდელითი ხასიათი აქვს; ხელით შრომას როგორც პროფესიული საქმიანობისათვის მომზადებას, ადგილი უნდ ქონდეს მხოლოდ პროფესიულ სკოლებში. მაგრამ ამის გარდა და ამასთან ერთად, სახალხო სკოლაში ხელით შრომა შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსწავლის თვითგამორკვევის საშუალება, როგორც მისი პროფესიული მიდრეკილებების გამოვლენის წერტილი. საქმე ის არის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ ხელით შრომის პროგრამას უნდა წაუყენოს მოთხოვნა, რომ შეიქმნას იმის შესაძლებლობა, რომ მოსწავლე გაეცნოს ყოველგვარი ფიზიკური შრომის ელემენტებს. ამ პროგრამის შემდგომი გაფართოება, ხელის შრომით უფრო დეტალური გაღრმავების მიზნით, შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი მოსახლეობის შრომის პირობების გათვალისწინებით“ (36. გვ.386).

დიმიტრი უზნაძის ამოსავალ პუნქტს შეადგენს ის, რომ, მისი აზრით, ადამიანის გონება, გრძნობა და ნებისყოფა დამოუკიდებლად თავისთავად როდი იზრდებოდა, არამედ გამდიდრება და განვითარება ყოველთვის შრომის მოთხოვნილებათა საფუძველზე ხდებოდა. შრომა აუცილებელი მოთხოვნილება იყო ადამიანისა. ამ საკითხებთან დაკავშირებით იგი ეხება კერძენშტაინერისა და დიუის შეხედულებებს შრომითი სწავლების საკითხებთან დაკავშირებით.

„შრომის სკოლის“ თეორეტიკოსები (კერძენშტაინერი გერმანიაში, დიუი ამერიკაში, ფერიერი შვეიცარიაში და მრავალი სხვა) ფიქრობენ, რომ, თუ ასეთი იყო ბუნებრივი განვითარება ადამიანის სულიერისა და ფიზიკური ორგანიზმის ცხოვრებაში, ასევე, უნდა ხდებოდეს სკოლაშიცო. ამიტომ არის, რომ, მათი შეხედულებით, სკოლის ცხოვრებაში შრომის გაკვეთილები ცენტრს უნდა შეადგენდეს და ამის გარშემო შემოკრებილი უნდა იყოს ყოველგვარი ცნობა, რომელსაც ბავშვებს უნდა გადასცემდნენო. მხოლოდ ისეთი სკოლა იქნება ნამდვილად დაახლოებული ცხოვრებასთან, რომელიც ბავშვის ძალებს იმავე გზით გაზრდის, როგორც საზოგადოდ იზრდებოდა ადამიანის ძალები ისტორიულ ცხოვრებაში (36. გვ. 446).

დიმიტრი უზნაძის აზრით, შრომითი სწავლის იდეას „ხელმა უნდა მისცეს გამოხატულება. ბუნებისმეტყველების სფეროში ეს უნდა ხდებოდეს ბაღში, ბოსტანში, სამზარეულოში, ხის მასალაზე და ლითონზეც, ხოლო ჰუმანიტარულ სფეროში ხატვის, ძერწვის და ჭრა-კერვის საშუალებით. სამზარეულომ და ბაღმა შეიძლება აქაც დახმარება გაგვიწიოს, აგრეთვე დურგლობამაც. ერთი სიტყვით, პრინციპი ერთია: რაც ბავშვს შეათვისებინე, ის უსათუოდ საქმეში გააკეთებინე. ამას სხვა მხრივაც მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უმთავრესად ასეთი ხელსაქმის მოწყობის აზრი ის არის, რომ ამით ადამიანის ნებისყოფა ვარჯიშობს და მცინარეობას ნიადაგი ეფიტება“ (17. 5).

დიმიტრი უზნაძე, ჩვენი აზრით, ემხრობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაინერგოს არა შემთხვევითი შრომის პროცესი, არამედ აქტიური შემოქმედებითი შრომა, რომელიც წარმართული და დაფუძნებული იქნება მეცნიერული ცოდნის საფუძველებზე.

დ. უზნაძის პედაგოგიურ საქმიანობაში შრომისათვის სათანადო ადგილის დათობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საერთო სისტემაში მნიშვნელოვან პედაგოგიურ ღონისძიებად იყო მიჩნეული. ის შრომას აღიარებდნენ სწავლების ეფექტურ მეთოდად და აღზრდის საუკეთესო საშუალებად. მაგრამ მის შემოქმედებაში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ რა სახე უნდა მიეღო შრომით აღზრდას სასკოლო სისტემაში, როგორი უნდა ყოფილიყო მისი შინაარსი, ფორმები და მეთოდები.

ამრიგად, ის შრომითი აღზრდისა და სწავლების საკითხების განხილვაში ემყარება გ.კერშენშტაინერის, ვ. ლაის. და ჯ.დიუის იდეებს. მიუხედავად ამისა, მას მექანიკურად არ გადმოუტანია კერშენშტაინერის ზემოთ განხილული შრომითი სწავლების იდეები ქართულ სკოლაში. პირიქით, კრიტიკულად მიუდგა მის მიერ გამოთქმულ ზოგიერთ შეხედულებას. კერძოდ, დ. უზნაძე, კერშენშტაინერისაგან განსხვავებით, აღიარებს ზოგადი განათლების მნიშვნელობას, სისტემატური სწავლების აუცილებლობას, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას.

§ 9. სამოქალაქო აღზრდა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, შეგნებული დისციპლინისა და ნებისყოფის აღზრდა

მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში იმ მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას. არსებითია არა შეხედულებათა წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა. ეს მიზანი კი შეიძლება განხორციელდეს სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში.

დიმიტრი უზნაძის აზრით, „სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოაზრდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს. იგი განავითარებს ბავშვებში მთლიანის ინტერესების მნიშვნელობისა და საერთო საქმისათვის პიროვნების შეზღუდვის აუცილებლობის“ (63.გვ.50).

მისი მმართველობა არსებით მომენტებში უნდა მოექცეს ბავშვთა ხელში. „მმართველობის ცოცხალი პრაქტიკა გააკაჟებს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს, ის განუვითარებს ბავშვებს მთელის ინტერესის მნიშვნელობის ცნობიერებას, პიროვნების თვით შემოზღუდვის აუცილებლობას ზოგადის გულისათვის, დაწესებულების გულისათვის, რომლის დროებით ნაწილად და მოქმედების პირად ისინი არიან. ბავშვის ცხოვრებაში ეს ჩაყრის იმის საფუძველს, რომ შემთხვევითი და წარმავალი არსებობს იმისათვის, რომ დააფუძნოს და განავითაროს მუდმივი დაგარდაუვალი, რომ პრიმატი არის არა პირადისეული, რომელიც თავის არსში შემთხვევითია, არამედ საზოგადოებრივი, რომელიც გარდაუვალი, მუდმივი და აუცილებელია“ (63. გვ. 52).

ინტელექტუალიზმის სკოლაში დისციპლინა სწავლისათვის ნორმალური პირობების დამყარების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. სინამდვილეში კი დისციპლინა ხასიათისა და ნებისყოფის თავისებური მიმართულებით განვითარებასაც გულისხმობს. „ცხადია დისციპლინა ბავშვის ნებას ავარჯიშებს; ბავშვი ეჩვევა თავის თავის შემოფარგვლას. იგი იძულებული ხდება თავი შეიკავოს და თავისი მოქმედება ყოველი მომენტის სურვილის მიხედვით კი არ აწარმოოს, არამედ მასწავლებლის მოთხოვნილებასა და თავისსა და სხვის მნიშვნელოვან ინტერესებს დაუქვემდებაროს. ასე ეჩვევა ბავშვი თავის ნებისყოფის დამორჩილებას და თავისუფლად ხმარებას. ამ მხრი დისციპლინის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა უდავოა“ (64. გვ. 19-20). უზნაძე ბრმა მორჩილების ნაცვლად მოითხოვდა მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის, ძლიერ ნებისყოფის და მტკიცე ხასიათის აღზრდას. სკოლამ მოსწავლეებს ისეთი პირობები უნდა შეუქმნას, რომელშიც ბავშვები თვითონვე შეგნებულად შემოფარგლავენ თავის ნებას, თვითონვე იმსჯელებენ საკუთარ თავზე, მეგობრების ქცევაზე და მიიღებენ მონაწილეობას თავიანთი გადაწყვეტილების შესრულებაში.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად მან „სინათლის“ საზოგადოების სკოლაში შემოიღო სკოლის თვითმმართველობა. მასში პირველ ხანებში სასწავლებლის მეთვალყურეობა დავალებული ჰქონდა სპეციალურად არჩეულ მოსწავლეს. იგი დასვენების დროს თვალყურს ადევნებდა წესრიგს, დილით

იღებდა და გაკვეთილების შემდეგ ისტუმრებდა სახლში ამხანაგებს. ბავშვებს აჩვენებდა კლასში მორიგეობის წესწებს, სასწავლო ნივთების მოვლას და სხვა. კლასში იყო კიდევ ცალკე მეთვალყურე. იწვევდნენ სხდომებს და მოსწავლეთა შორის კლასის მეთვალყურეთა მეშვეობით ხდებოდა გამგეობის დადგენილებების განხორციელება.

უზნაძე სასწავლებლის ანგარიშში დადებითად აფასებდა მოსწავლეთა გამგეობის მიერ გადადგმულ ასეთ ნაბიჯებს, რომელიც მიმართული იყო სკოლაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისაკენ.

სწორედ, დღევანდელი, 21-ე საუკუნის, სკოლის მიზანს აღწერდა თითქმის 100 წლის წინ დიმიტრი უზნაძე. დემოკრატიის, განათლებისა და სკოლის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის, ურთიერთკავშირის შესახებ სამეცნიერო დისკუსია საუკუნეზე მეტი ხნისაა. როგორც თეორიის, ისე პრაქტიკული გამოცდილების დონეზე, დემოკრატიული სკოლის უპირატესობა ცხადია. აღნიშნულ უპირატესობას დღეს უფრო თვალსაჩინოს ხდის დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების იდეის ფართოდ გავრცელება მსოფლიოში. ჯანსაღი დემოკრატია ავითარებს მხოლოდ სამოქალაქო, თვითმმართველ საზოგადოებებში და ეს ტენდენცია გლობალურია, სკოლა იყო და რჩება უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელიც საზოგადოებასთან ერთად ვითარდება: რისკენაც ისწრაფვის, იმასვე ველით სკოლისაგან.

„დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ პირველყოვლისა მოქალაქე, ამიტომ ახალგაზრდა თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხი სახალხო განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია. პედაგოგიურ პრაქტიკასა და ლიტერატურაში ამჟამად ამ საკითხზე ენერგიული სჯა-ბაასია გაჩაღებული. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში. მაგრამ რა საშუალებები აქვს სახალხო სკოლას ამ მნიშვნელოვანი მიზნის განსახორციელებლად? პირველყოვლისა, აუცილებელია მივცეთ ბავშვებს ცოდნის გარკვეული რაოდენობა მოცემულ საკითხზე; სახალხო სკოლის პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეს მოსაზრება, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

არსებითია არა შეხედულებათა წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრობა. ეს მიზანი კი შეიძლება განხორციელდეს სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში. სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი, დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს, იგი განავითარებს ბავშვებში მთლიანი ინტერესების მნიშვნელობის და საერთო საქმისათვის პიროვნების შეზღუდვის აუცილებლობის შეგნებას. იგი განამტკიცებს ბავშვებში იმის რწმენას, რომ შემთხვევითი და დროებითი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ განამტკიცოს და განავითაროს მუდმივი და წარუვალი, რომ პრიმატია არა პირადული, რომელიც არსებითად შემთხვევითია, არამედ საზოგადოებრივი, რომელიც წარუვალია, მუდმივი და აუცილებელი“ (63. გვ. 50).

ეს რომ გაკეთდება, ხასიათის სამოქალაქო აღზრდა, უეჭველად, უზრუნველყოფილი იქნება. ამრიგად, მთელ რიგ საქმეებში (ექსკურსია, კლასი, დისციპლინა და ა.შ.) თვითმართველობის შემოღება არის მოქალაქეობრივი გრძნობები აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება. დღეს თუ თანამედროვე სკოლა, მისი ხელმძღვანელები დროისა და ძალების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების დამუშავებაზე, მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვით მოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას. ყოველივეს შეფერილი იქნება საერთო საქმისადმი სამსახურის სურვილით, მუდმივი და წარუვალი შექმნის მზაობის შეგნებით.

სკოლის დღევანდელი მდგომარეობის გასააზრებლად ვცადოთ, პასუხი გავცეთ რამდენიმე არსებით კითხვას: 1. რისკენ ისწრაფვის ჩვენი საზოგადოება? „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყოფით ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა... საქვეყნოდ ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“ (67. გვ. 4). ცხადია, რომ დემოკრატია დაინტერესებულია აღზრდით შეგნებულ მოქალაქეთა, რომლებსაც უნარი ექნებათ, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში.

2. რას ელის ჩვენი საზოგადოება სკოლისგან? საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე საკუთარ უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. ხოლო მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას.

3. რა არის სამოქალაქო საზოგადოება? ეს არის „ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადია, თვითგანვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგთან გაზიარებულ წესთ ერთობლიობით“ (25.გვ.18). ჩვენი აზრით, სწორედ, ასეთი საზოგადოება ამკვიდრებს დემოკრატიულ წეს-წყობილებას, რაც ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების ურყევ ნებას წარმოადგენს.

4. როგორ ავითარებს დღეს სკოლა სამოქალაქო საზოგადოებას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიშველიებთ 2010 წელს ჩატარებულ პირველი ეროვნული კვლევის შედეგებს, რომელიც საქართველოს შეფასების ასოციაციამ ჩაატარა, სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც PH iInternational (პროექტი „ჰარმონია“), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ახორციელებს. კვლევის მიზანი იყო საქართველოში სასკოლო

სამოქალაქო განათლების მდგომარეობისა და მის მიმართ დამოკიდებულების შესწავლა.

კვლევის დაგეგმვის (მიზანი, შერჩევა, მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები და ა.შ.) მონაცემების ინტერპრეტაციისა და შედეგების ანალიზის ეტაპებზე აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის ადმინისტრაციის (PN iInternational), პარტნიორი ორგანიზაციის ტრენინგებისა და კონსულტაციის ცენტრისა და პროგრამის სასწავლო გეგმებისა და დამხმარე მასალები ჯგუფის წევრები. (ნინო გვარამიძე, ნინო ერემაშვილი, მაკა კორძაძე, ნინო მიწიშვილი, გიორგი გახელაძე და ლევან ახვლედიანი).

კვლევის სრული ანგარიში გამოქვეყნდა პროგრამის ფარგლებში შექმნილ სამოქალაქო განათლების ვებ-გვერდზე: www.civics.ge საინტერესო იყო მისი გარკვევა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სამოქალაქო განათლების საგნისადმი სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს, მშობლებს, საგნის მასწავლებლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს.

ანკეტურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქისა და საქართველოს 9 რეგიონის 51 საჯარო სკოლის მეათე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეებმა. გამოიკითხა 1633 რესპონდენტი.

თვისობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფებად შეირჩა რესპონდენტთა ოთხი კატეგორია, კერძოდ, (1) სამოქალაქო განათლების საგნის მასწავლებლები, (2) არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, (3) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, (4) მოსწავლეთა მშობლები. თვისობრივი კვლევა ფოკუს – ჯგუფების მეშვეობით განხორციელდა. ქვეყნის მასშტაბით 33 ფოკუს – ჯგუფი გამოიკითხა (ამათგან, 11 – მასწავლებლების, 9 – არასამთავრობო ორგანიზაციების, 10 – ადგილობრივი თვითმმართველობების, 6 – მშობლების). გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 272 ადამიანმა, კვლევის სავსე სამუშაოები ჩატარდა 2010 წლის 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. სამოქალაქო განათლების აუცილებლობა სკოლის სასწავლო პროგრამაში.

როგორც ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა (79,1%) მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებას საქართველოს სკოლებში საჭიროა. როგორც მოსწავლეთა, ასევე, თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სხვადასხვა კატეგორიის რესპოდენტთა აზრით, სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა ღირსეულად და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ამასთან მოსწავლეთა უდიდეს უმრავლესობას სამოქალაქო განათლების საგანს საინტერესოდ მიიჩნევს.

რამდენად საჭიროა სამოქალაქო განათლების საგანი სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა აზრით? უწყობს თუ არა ხელს სამოქალაქო განათლების საგანი მოსწავლის აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას? (როგორია სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხი?)

სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ხარისხით კმაყოფილია გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი. თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება, რადგან ის შედარებით ახალი შეტანილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში (სამოქალაქო განათლების, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილის, სავალდებულო სწავლება 2006–2007 სასწავლო წლიდან დაიწყო). მათი აზრით, გასული დრო არ იძლევა ცალსახა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ სამოქალაქო განათლების საგანი ეფექტიანად ისწავლება. ამგვარ განწყობას, ძირითადად, განაპირობებს ის გარემოება, რომ აღნიშნული საგნის საკითხები არ ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. როგორია მოსწავლეთა სამოქალაქო მზაობის შეფასება და სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების პირობები?

გამოკითხულ მოსწავლეთა 64,6% აცხადებს, რომ პრაქტიკულად არ გამოუყენებია სამოქალაქო განათლების საგანში მიღებული ცოდნა, თუმცა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საილუსტრაციოდ მოსწავლეთა მიერ მოყვანილი მაგალითები, როგორც წესი, ძალზე ზოგადი ხასიათისაა და, შესაბამისად, არ ასახავს რაიმე კონკრეტულ სამოქალაქო აქტივობას ან სხვა ხასიათის აქტივობის

მაგალითს წარმოადგენს. ამასთან, მოსწავლეთა მხოლოდ 29.2% აცხადებს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური ხასიათის სამოქალაქო აქტივობებში, მაშინ, როდესაც რესპონდენტთა 52,3%-ს ამგვარ აქტივობებში მონაწილეობის სურვილი არ აქვს. მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაში გამოყენება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივ კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობა და სიხშირე მაღალი არ არის. გამოკითხულ მოსწავლეთა მხოლოდ მესამედი მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემო სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. 44,6% –ის აზრით კი ეს მეტნაკლებად არის შესაძლებელი სკოლის ფარგლებში. ამის შესაძლებლობას გამორიცხავს რესპონდენტთა 12,5%.

სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების დროს გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლეთა აზრი?

სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მეტნაკლებად არის შესაძლებელი მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზება. რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას (86,5%) არ დაუგეგმავს საკუთარი ინიციატივით სამოქალაქო აქტივობები, გამოკითხულთა მხოლოდ 13,5%–მა უპასუხა დადებითად კითხვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული კვლევების მეშვეობით შეიძლება შეფასდეს, თუ რამდენად არის მზად თავად სკოლა ამისათვის, რომ მოსწავლემ საკუთარ სკოლაშივე გამოიყენოს გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა; რამდენად ეძლევა მას საშუალება, მიიღოს მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში. როგორი სკოლა სჭირდება სამოქალაქო საზოგადოებას? ამ კითხვაზე პასუხები განათლების მეცნიერების ორ უდიდეს წარმომადგენელს აქვს გაცემული ჯ. დიუის და დ. უზნაძეს.

დ. უზნაძის მიხედვით, „დემოკრატიის შესახებ პროგრესული განათლების ფილოსოფია გულისხმობს გამოცდილების, გამოცდილებით და

გამოცდილებისათვის განათლებას“ (21. გვ. 38). „ნებისყოფის აღზრდა სოციალურსა და მოქალაქეობრივი აღზრდის სფეროში უნდა იყოს გადატანილი.

მოწაფეთა ფართო თვითმმართველობის იდეის განხორციელება აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომელიც მთელ სკოლას მარად თვალწინ უნდა ჰქონდეს. უეჭველია, ამ პრინციპის განხორციელება მთელი სკოლის ცხოვრების წინანდელ კონსტრუქციაზე თავისებურ გავლენას მოახდენს, მაგრამ ეს ასეც უნდა მოხდეს. თვითმმართველობა სკოლის მთელი მუშაობის ბუნებიდან თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს. ამიტომაც მისი მნიშვნელობა მხოლოდ მთელი სასკოლო სისტემის სათანადო გარდაქმნის ნიადაგზე შეიძლება გაიშალოს“ (63. გვ. 54).

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის აზრით, სამოქალაქო საზოგადოების წევრების გამოწრთობა მხოლოდ დემოკრატიული და თვითმმართველი სკოლის ცხოვრებაში, ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში ხდება. მისი შეხედულებით: „თვითმმართველობის შემოღება არის მოქალაქეობრივი გრძნობების აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება. დღეს თუ თანამედროვე სკოლა, მისი ხელმძღვანელები დროისა და ძალების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო მეთოდების დამუშავებაზე, მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას. ყოველივე ეს შეფერილი იქნება საერთო საქმისადმი სამსახურის სურვილით, მუდმივი და წარუვალის შექმნის მზაობის შეგნებით“ (64. გვ. 387-388).

ამრიგად დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ კონცეფციას აღზრდის სოციალური ასპექტი შეადგენს: „სკოლა ცხოვრების, ცხოვრებისათვის და ცხოვრების მიერ ნაშენი“. აქტუალობის თეორია მოქმედების თეორიაა და ადამიანში ნებისყოფის პრიმატობის იდეას ემყარება. პრაქტიკულადაც „სინათლის“ სკოლის სისტემაში, დ. უზნაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ბავშვის ნებისყოფის გაშლისა და აქტივობის თავისუფალი აღზრდისათვის შესაფერისი პირობა შექმნა; ამ მოსაზრებით დანერგვა სკოლაში მოსწავლეთა „თვითმმართველობა“, „თავისუფალი გაკვეთილები“, „თავისუფალი თამაში“ და სხვა. ამასთანავე სკოლის რეორგანიზაციის პროგრამასაც

იგი ამ აქტიური, შემოქმედი, ნებისყოფით აღჭურვილი ადამიანისა და მოქალაქის იდეის მიხედვით აყალიბებდა. „სკოლა უნდა პასუხობდეს ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს, იგი თავის აღსაზრდელებს ცხოვრებისათვის უნდა ამზადებდეს“ (64.გვ.380).

§ 10. მასწავლებლის პროფესიული თავისებურებანი

მასწავლებლობა განსაკუთრებული პროფესიაა, რომელიც მოწოდებულია საზოგადოებას გაუწიოს მნიშვნელოვანი და საჭირო სამსახური. იგი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი პიროვნებაა და ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და შრომითი განვითარების რთულ პროცესებს.

კაცობრიობის დიდი მოაზროვნეები და პედაგოგები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მასწავლებლის, პედაგოგიური პროფესიის უდიდეს საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროს ფილოსოფოსი და პედაგოგი პლატონი წერდა, რომ „თუ ათენში იქნებიათ ფეხსაცმლის ცუდი მკერავები, ამით სულ ბევრი ის უბედურება მოხდება, რომ ათენელებს უმწოდ შეკერილი ფეხსაცმელი ეცმევათ, მაგრამ თუ ბავშვისა და ახალგაზრდობის აღმზრდელნი მოწოდების სიმაღლეზე არ იქნებია, ეს საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს მომავალსო“ (5. გვ. 181). მიგვაჩნია, რომ მასწავლებლის ცოდნა, მისი პედაგოგიური ხელოვნება, ძირითადად განსაზღვრავს პიროვნების ჩამოყალიბებას.

პიროვნების ყველაზე საუკეთესო თვისება თავმოყრილი უნდა იყოს მასწავლებელში, რადგან იგი მოწოდებულია გაუგოს სხვას და ზემოქმედება მოახდინოს მასზე. ფრანგი მოაზროვნის ჟან ჟაკ რუსოს აზრით, „მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთგაგებას ხელს უშლის ასაკობრივი განსხვავება და მხოლოდ ის მასწავლებელი მიაღწევს წარმატებას, ვინც გადალახავს ამ ბარიერს და უკეთ გაუგებს მოსწავლეებს, მაგრამ სხვას, რომ გაუგო, განვითარებული უნდა გქონდეს წარმოსახვა“ (5. გვ. 182).

ახალ ქართული პედაგოგიური სკოლის ფუძემდებელი დიმიტრი უზნაძე სწავლა - აღზრდის პროცესის შემოქმედებითა წარმართვის საქმეში განსაკუთრებულ

მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებლის პროფესიულ თავისებურებებსა და ღირსებებს.

საუბრობს რა მასწავლებლის უდიდეს როლზე სწავლის პროცესში, დიმიტრი უზნაძე ასეთ შეკითხვას სვამს: ნუთუ სწავლება აუცილებელია და არ შეიძლება მოზარდი თავისი საკუთარი თავისათვის მიგვენდო და ხელმძღვანელის გარეშე დაგვეტოვებინა? რა თქმა უნდა, შესაძლებელია ადამიანმა კულტურული განვითარების პროცესში დაგროვილი ცოდნა სავსებით ნატურალური გზით მიიღოს, მაგრამ ეს გზა ძალზე გრძელი და ძნელად სავალი იქნებოდა. ასეთი ადამიანი შორს ვერ წავიდოდა. დასრულებული სახით კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნა მეცნიერებაში არის თავმოყრილი და მათი სრულყოფილი დაუფლება ბუნებრივი განვითარების გზით შეუძლებელია. მასწავლებელი კი მოსწავლეს ამ ცოდნას გადასცემს იმ ძალების გათვალისწინებით, რაც ბავშვის შესაძლებლობებში არსებობს, რა ძალებიც სამოქმედოდ არიან განწყობილნი. მასწავლებლის როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან კარგად უნდა იცოდეს რა ძალები როდის განეწყობიან სამოქმედოდ და სასწავლო პროგრამა მას დააფუძნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლება სრულიად უნაყოფო იქნება.

მისი შეხედულებით მოსწავლეებში სწავლის ინტერესის გამოწვევა მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს. ცხადია, ინტერესის აღძვრის გარეშე, რომელიც სწავლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ცოდნის შეძენის პროცესი იძულებით ხასიათს მიიღებდა, რაც საგრძნობლად შეამცირებდა მოსწავლეთა მომზადების დონეს. სწავლაში, როგორც ფსიქოლოგიურად სრულად განსაზღვრულ ქცევის ფორმაში, ნებელობა და ინტერესი ერთმანეთის ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენენ. „სწავლა არა მარტო მიზნის მნიშვნელობის შეგნებაში პოულობს ენერჯის წყაროს, არამედ ამავე დროს შინაგან მისწრაფებაში, შინაგან მიდრეკილებაში, ინტერესში, რომლის გარეშე ყოველივე სწავლა იძულებითი შრომის ხასიათს მიიღებდა“ (40.გვ.302).

დიდი პედაგოგის შეხედულებით მასწავლებლის ზემოქმედება მოსწავლეებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაძლევს დადებით შედეგს, თუ იგი აუცილებელი პედაგოგიური წესების დაცვით ხდება.

ამიტომ მასწავლებლის პიროვნების პრობლემასთან დაკავშირებით დიმიტრი უზნაძემ წინა პლანზე წამოსწია და დასვა საკითხი მასწავლებლის ტაქტის შესახებ. მასწავლებლის ტაქტი ეხამება მომთხოვნელობას, გულისხმიერებას, სამართლიანობას, ჰუმანურობას, ოპტიმიზმს, სიჯიუტეს, ამტანობას და თავშეკავებას. დიმიტრი უზნაძის შეხედულებით, აღზრდის პროცესი არ არის მარტივი, წინააღმდეგობებიდან და დაბრკოლებებიდან თავისუფალი მოვლენა. მართალია, ბავშვის ბუნების მეცნიერული ცოდნა მრავალ პედაგოგიურ საიდუმლოს ხდის ფარდას, მაგრამ არც ის შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ცოდნა საკმარისია, რათა ყველაფერი სათანადოდ და თავის დონეზე წარმართოს. ბავშვის განვითარება მრავალ რთულ შინაგან და გარეგან ფაქტორთა ზემოქმედებას გულისხმობს. ხშირად ამ ფაქტორთა შორის კონფლიქტი დამაბულ ფორმაში გადადის. ამ კონფლიქტების მოგვარება და აღზრდის პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვა, დიმიტრი უზნაძის აზრით, ექსპერიმენტული პედაგოგიკის გვერდით მასწავლებელსაც შეუძლია. აღმზრდელის პირად უნარს და ალღოს, მის ტაქტს. ტაქტი, დიმიტრი უზნაძის განმარტებით, არის პედაგოგის ალღო - აი, ამ მომენტში ის გააკეთოს, რაც არის საჭირო. სწორი პედაგოგიურად გამართლებული გამოსავლის მოძებნა პედაგოგის ტაქტის საქმეა. პედაგოგიური ტაქტი არის პედაგოგიური პრინციპის დაცვა ბავშვებთან სწორი დამოკიდებულების დამყარებისა, მათ მიმართ თავაზიანობისა და ყურადღების, სწორი ტონის, გონივრული მოთხოვნების წაყენების, მათი ადამიანური ღირსებებისადმი პატივისცემის უნარი. „როდესაც აღმზრდელი ჩაწვდება აღსაზრდელის ბუნებას, მაშინ ის გაიგებს მის სულიერ მღელვარებას და ეს გაგება აღსაზრდელს მოაქცევს აღმზრდელის ზეგავლენის სფეროში; მაშინ „აღმზრდელი აღსაზრდელის მთელ ნებისყოფას თავის ნებას დაუქვემდებარებს და მასზე იმის ბუნების დაგვარათ იმოქმედებს“. ნამდვილი აღმზრდელი ერთხელაც არ გადადგამს ცრუ ნაბიჯს და მუდამ, თითქოს წინდაწინვე გაანგარიშებულ ცვლილებას ახდენს აღსაზრდელის სულიერ ცხოვრებაში“ (37. გვ. 18).

დიმიტრი უზნაძის შეხედულებით, პედაგოგიური ალლო ბევრად არის დამოკიდებული მასწავლებლის პიროვნულ თვისებებზე, მის აზროვნებაზე, მხედველობის არეზე, კულტურაზე, ნებაზე, მოქალაქეობრივ პოზიციაზე და პროფესიულ ოსტატობაზე. ის არის საფუძველი, რომელზედაც იზრდება და მყარდება მასწავლებლისა და მოსწავლის სულიერი სიახლოვე. იგი პედაგოგიურ ტაქტს განიხილავს, როგორც აღსაზრდელზე პედაგოგიურ ზემოქმედებაში ზომიერების გრძნობას, იმის უნარს, რომ მასწავლებელმა შეძლოს გამონახოს მოსწავლეზე ზემოქმედების ისეთი საშუალება, რომლითაც მის ქცევას საჭირო მიმართულებას მისცემს. დიმიტრი უზნაძე წერს: „აღზრდითი პროცესი განსაკუთრებულ თვისებას ატარებს. მას ადამიანთან აქვს საქმე: ადამიანია იქ სუბიექტი და ობიექტი. მის მზანს ადამიანის ბუნების სასურველ ფორმაში ჩამოსხმა წარმოადგენს. ეს მიზანი საუკეთესოდ მაშინ განხორციელდება, როდესაც აღზრდელი აღსაზრდელის მთელ ნებისყოფას თავის ნებას დაუქვემდებარებს, როდესაც იგი მას იმგვარად გაიტაცებს, რომ თავის სურვილებს და გრძნობებს მის სურვილებად და გრძნობებად აქცევს. ამგვარად სხვისი სულის ცოდნა, განსაკუთრებით კი სხვისი გრძნობათა დისპოზიციის ჭვრეტა - აი ის პირობა, რომელიც აუცილებელია სხვაზე გავლენისა და და სხვისი გატაცებისათვის“ (37. გვ. 17-18).

მისი შეხედულებით, „პედაგოგიური ტაქტი მასწავლებელს ნებას არ აძლევს, პიროვნება, როგორც მთლიანობა, განზე დატოვოს და უშუალოდ მის ფსიქიკაზე აწარმოოს ზემოქმედება. არსებობს საბუთები, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ სათანადო განწყობის შექმნა ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. წარმატებითი პედაგოგიური პრაქტიკის ფაქტები ნათლად მოწმობს, რომ ყოველ შემთხვევაში უშუალოების პრინციპი არ უძევთ მათ საფუძვლად: პედაგოგი ფსიქიკაზე-აზროვნებაზე, თუ ემოციაზე-როდი მოქმედებს უშუალოდ, არამედ პირველ რიგში მოზარდის პიროვნებაზე და მისი ფსიქიკური განვითარების შესაძლებლობას უწინარწეს ყოვლისა ამით უზრუნველყოფს“ (36. გვ. 350).

პედაგოგიური ალლო, დიმიტრი უზნაძის მიხედვით, მასწავლებლის ქცევის უმნიშვნელოვანესი თვისება და მისი პედაგოგიური უნარის ნათელი გამოვლინებაა.

უმეტეს შემთხვევაში გამოცდილი მასწავლებელიც კი, რომელსაც არა აქვს პედაგოგიური ტაქტი კარგავს თავის ავტორიტეტს მოსწავლეების თვალში. „აღმზრდელმა უნდა იგრძნოს აღსაზრდელის თავისებურება, გაიზიაროს მისი სულიერი მოძრაობა, დადგეს მის თვალსაზრისზე და ამ საფუძველზე დაამყაროს ბავშვთან ურთიერთობა“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა დიდი პედაგოგისა და ფსიქოლოგის დამოკიდებულება და პოზიცია პედაგოგიური უნარების სპეციფიკასთან დაკავშირებით. იგი პედაგოგიურ უნარებს ადარებს შემოქმედის შთაგონებას და როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ პედაგოგიკას ხელოვნებად მიიჩნევს. თუმცა იქვე მიუთითებს, რომ გარდა იშვიათი ნიჭისა მასწავლებელს სჭირდება პედაგოგიური უნარები და ჩვევები, რომლებიც პედაგოგიური პროფესიის ტექნოლოგიას შეადგენენ. ამას იგი პედაგოგიურ ხელობას უწოდებს.

პედაგოგიური ოსტატობა გულისხმობს პედაგოგიური ტექნიკის დაუფლებას. პედაგოგიური ტექნიკა ეს არის უნარ-ჩვევათა და ცოდნათა ის კომპლექსი, რომელიც აუცილებელია პედაგოგისათვის, რატა ეფექტურად გამოიყენოს პრაქტიკაში მის მიერ არჩეული პედაგოგიური ზემოქმედების მეთოდები როგორც ცალკეული აღსაზრდელის, ისე ბავშვთა კოლექტივის მიმართ.

პედაგოგიური ტექნიკა გულისხმობს მასწავლებლის უნარს, ნებისმიერად მიიპყროს მოსწავლეთა ყურადღება. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ საქმე აქვს სხვადასხვა ინდივიდუალური თვისებების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ჯგუფთან. დიმიტრი უზნაძის აზრით, მასწავლებელმა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფსიქოლოგიური განწყობილება, მისი სულიერი მდგომარეობა და პედაგოგიური ზემოქმედების საფუძველზე განაახორციელოს პედაგოგიური ტექნიკისა და ოსტატობის ნიმუში.

დიმიტრი უზნაძისათვის პედაგოგიური ტაქტის მთავარ არსებით ელემენტს წარმოადგენს დაკვირვებული და ყურადღებიანი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი და მთლიანდ ბავშვთა კოლექტივისადმი. პედაგოგიური ტაქტი ვლინდება პედაგოგის ყოველდღიურ მუშაობაში, სიტუაციებში. ამიტომ მასწავლებლის ამოცანას წარმოადგენს, პედაგოგიური სიტუაციების ცვლილებების

პირობებში, შეძლოს სწრაფი ორიენტირება, შექმნილი ვითარების სწორად შეფასება და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც აუცილებლად ექნება აღმზრდელითი მნიშვნელობა. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ მასწავლებელს შეუძლია არა მარტო სწორად აღიქვას და შეაფასოს ბავშვის ქცევა, ჩაიხედოს მათ წარმომშობ მიზეზებში, არამედ ფლობდეს ხასიათის ისეთ თვისებასაც, როგორც არის პედაგოგიური ალღო, თავშეკავება და თავდაჭერილობა.

დიმიტრი უზნაძე „სინათლის“ სკოლაში მოზარდის შინაგან შესაძლებლობათა მზაობაში მოყვანას და მის ძალთა მაქსიმალურ გააქტიურებას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ საკითხს სკოლის ცხოვრების ცენტრში აყენებდა. მისი აზრით, სიყვარული და ნდობა უღებს აღმზრდელს ბავშვის გულისკარს; ამ პირობებში ყველაფერი, რაც აღმზრდელს მოაქვს, მისაღები ხდება ბავშვისათვის. ნდობა და სიყვარული ბავშვის ძალებს ისე ააქტივებს, რომ მისი გული და ცნობიერება მათ მზაობაში მოჰყავთ ასათვისებლად ყოველივე იმისა, რასაც აწვდის მას სკოლა. ამ მხრივ, მასწავლებლის პიროვნებას უზნაძის სკოლის ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი ემყარებოდა, აგრეთვე, მასწავლებლის პირად ტაქტს. ისიც უნდ გავიხსენოთ, რომ დიმიტრი უზნაძე პედაგოგიური პროცესის არსს ხელოვნების მსგავს შემოქმედებაში ჰკრეტდა, რომლის მთავარ წყაროდ მეორე ადამიანის სულიერი მოძრაობის უშუალო ხილვისა და შთაგონების უნარს თვლიდა. „სინათლის“ სკოლის ანგარიშიდანაც ირკვევა, რომ ამ სკოლის ყველა მასწავლებელი ამ იდეის თანაზიარი და განმახორციელებელი იყო. რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ მასწავლებელმა თავიდანვე გააცნობიერა „სინათლის“ სკოლის მიზანი, ამოცანა ჰარმონიულად განვითარებული იდეალური ადამიანის აღზრდის სულისკვეთებით.

სწავლება ორმხრივი პროცესია. აღსაზრდელის ძალებისა და აღმზრდელის იდეალის მხრივ, სწორედ აღმზრდელი განსაზღვრავს ღირებულების გათვალისწინებით, თუ რა ძალები უნდა იქნენ განვითარებულნი მოცემულ ეტაპზე და რა შემდგომ. ეს ეხება არა მხოლოდ სწავლების პროცესს, არამედ აღზრდასაც.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ფსიქიკური განვითარება შინაგან შესაძლებლობათა და მათთვის შესატყვისი პირობების შეხვედრის ნიადაგზე წარმოებს. თუ შინაგანს

შესატყვისი გარეგანი არა აქვს, მისი აქტივაცია, და შესაბამისად, განვითარებაც არ ხდება. განვითარება ორივე მომენტის შეხვედრის შედეგად ხდება შესაძლებელი. ამ შინაგან შესაძლებლობაში დ.უზნაძე, რა თქმა უნდა, ბავშვის ძალთა განვითარების დონეს გულისხმობს, ხოლო გარე მოცულობაში კი სასწავლო საგნებს. მათ შორის შუამავლობს და განვითარების აუცილებელ პირობებს ქმნის მასწავლებელი.

მასწავლებელმა ისე უნდა უხელმძღვანელოს აღსაზრდელს, რომ მისი პირადი ინიციატივა დაიჩრდილოს, ხოლო მოწაფისამ კი წინ წამოიწიოს. ცოდნის ამ წესით შეძენა ხელს უწყობს უზნაძის განმარტებით მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების განვითარებას. აქ უნდა გამოიჩინოს მასწავლებელმა თავისი შემოქმედებითი უნარი და დახელოვნება. მან ისე უნდა წარმართოს სწავლება, რომ მოწაფის აქტივობას სრული გასაქანი მიეცეს. გარდა ამისა მოწაფის გულისა და შემეცნების გაღება, მისი სიყვარულისა და ნდობის დამსახურება, მის პიროვნებაში ჩაწვდომა და სულიერი მღელვარების წვდომა და ინდივიდუალური მიდგომა დიმიტრი უზნაძის აზრით არის შემოქმედებითი აქტივობა მასწავლებლის პირადი უნარით განსაზღვრული.

ამრიგად იძულება არ შეესამება აღზრდის თანამედროვე სტილს. „აღზრდის ტრაგედიის“ დაძლევა, ჩვენი აზრით, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა სწავლებისა და აღზრდის პროცესში ნაკლები იქნება იძულება, მოვუხმობთ აღსაზრდელში თავისუფალი არჩევანის პოტენციალს, გასაქანი მიეცემა აზრთა პლურალიზმს და მოსწავლეს თანდათან მივიყვანთ აღმზრდელის კეთილშობილური მიზნების გაცნობიერებამდე. ჩვენი აზრით, ეს შეუძლია ჰუმანისტ მასწავლებელს, რომელსაც სჯერა მოზარდის მომავლისა, მისი ბედნიერებისა.

როდესაც ვსაუბრობთ დიმიტრი უზნაძის შეხედულებებზე მასწავლებლის პროფესიულ თავისებურებებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, შეცდომა იქნებოდა, რომ არ გვესაუბრა უზნაძეზე, როგორც პედაგოგზე. მის პედაგოგიურ ნიჭზე და უნარზე, პედაგოგიურ ალღოზე.

დიმიტრი უზნაძის პიროვნებაში, როგორც მისი მოწაფეები გადმოგვცემენ, იყო მიმზიდველი ძალა, ის თვითონ სადად და უბრალოდ უკავშირდებოდა თავის მოწაფეებს; ყოველთვის მზად იყო, როდესაც კი მოისურვებდით, დაგხმარებოდათ

რჩევით, ლიტერატურით, ცხოველი ინტერესით. ამით მან შემოიკრიბა მოწაფეები და თავის მიმდევართა სკოლა შექმნა.

ნადეჟდა ბერულავა წიგნში დიმიტრი უზნაძე წერს: „დ. უზნაძე არანაკლებ ზეგავლენას ახდენდა საშუალო სკოლის მოწაფეებზე. ის ამ პატარა ადამიანის სულშიაც იჭრებოდა. ზოგზე ისე ძლიერ ზემოქმედებდა, რომ ისინი ხანგრძლივად მის გავლენას განიცდიდნენ. აი ერთი ასეთი შემთხვევა: „მეოთხე კლასის მოსწავლე ვარ, წელს პირველად მაქვს გერმანულ ენაში გამოცდა, ამ საგნის მასწავლებელი დიმიტრი უზნაძეა. იმავე დროს ის კლასის ხელმძღვანელიცაა. მთელი წლის განმავლობაში ერთი გაკვეთილიც არ გამიცდენია. საგანი კარგად ვიცოდი, კლასში მეორე თუ მესამე ადგილი მეჭირა. გამოცდის წინ მთელი განვლილი მასალა გავიმეორე. გამოცდის წინადლით, საღამოსჟამს, სოფლიდან დეპუტა მივიღე. მატყობინებდნენ: ჩემი ბიძიშვილის, ჩემთან შეზრდილის, ჩემი ტოლი ბიჭის გარდაცვალებას. თავზარი დამეცა არც წასვლა შემემძლო დასაფლავებაზე, - მეორე დღეს გერმანულის გამოცდა მქონდა ეს კიდევ უფრო მიორკვეცებდა მწუხარებას. მთელი ღამე თეთრად გავათენე ღრიალ - ტირილში. დაქანცულ-მოთენთილი წავედი სკოლაში. მასალის გამეორება თავშიც არ მომსვლია. გერმანულის გამოცდა ცუდად ჩავატარე. ვერც სიტყვები გადავთარგმნე, ვერც ტექსტი წავიკითხე რიგიანად-ჩავიჭერი. ყველაფერზე უფრო ის მაწუხებდა, რომ დავკარგე მასწავლებლის ნდობა. ჩემი აზრით, საშემოდგომო გამოცდა აუცილებელი იყო. ეს კი ძალიან დამამცირებდა მშობლების თვალშიც. მწუხარებას კიდევ მწუხარება დაემატა. მაგრამ რა გზა მქონდა. ვუცდიდი დათხოვნის დღეს. ეს დღეც დადგა. კლასში შემოვიდა ბატონი დიმიტრი. შემოიტანა ნიშნების ფურცლები, სათითაოდ გვიძახებდა და საბოლოო შედეგს გვიცხადებდა. პირველი მე გამომიძახა, ალფაბეტის მიხედვით, გამომიწოდა ნიშნები და ოდნავი ღიმილით მითხრა: „საშემოდგომო გამოცდა გერმანულ ენაში“, მეც ხომ ამას ველოდი, მაგრამ ჰოი საკვირველებავ! ნიშნების ბოლოს წერია - „გადაყვანილია მეხუთე კლასში“; ვათვალთვინებ ნიშნებს - გერმანულ ენაში საგამოცდო ნიშანი - 4, წლიურიც - 4. თვალს არ ვუჯერი, ისევ და ისევ ვათვალთვინებ. ჰო, ასე, ნიშანი დაკლებული არ არი, არც საშემოდგომო გამოცდა მაქვს. ერთი შევხედე მასწავლებელს, რაღაც აუწყერელმა სიტბომ დამიარა ტანში, ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა გრძნობამ

ამიტაცა. ადგილს მოვწყდი და შინისკენ მოვკურცხლე, საინტერესო ის არის, რომ არც მაშინ, და არც არასოდეს არ უკითხავს ჩემთვის ბ-ნ დიმიტრის, თუ რა მომივიდა, რატომ ასე ცუდად ჩავაბარე გამოცდა. უთუოდ მისთვის ნათელი იყო, რომ მოულოდნელი რაღაც შეიქრა ბავშვის ცხოვრებაში, თორემ რას უნდა გაენიავებინა ასე ერთბაშად მთელი წლის მანძილზე კეთილსინდისიერად დაგროვილი ცოდნის მარაგი. მან გამორიცხა ეს შემთხვევითობა და დასტოვა წლიური შეფასება. დიმიტრი უზნაძე უთუოდ დიდი პედაგოგი და ასევე დიდი ფსიქოლოგი იყო. ჩემთვის ამაზე უფრო სასიამოვნო თემა არ არსებობს სასაუბრო თუ სალაპარაკო, - როგორც „ჩემი მასწავლებელი ბ-ნი დიმიტრი უზნაძე“ (10. გვ. 70-71).

ვ. ანთელავას ეს მოგონება, რომელიც ნადეჟდა ბერულავას აქვს წიგნში „დიმიტრი უზნაძე“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიურ ალღოს. იგი ხომ მასწავლებლის შემოქმედებითი უნარის მაჩვენებელია. იგი მას საშუალებას აძლევს მოსწავლეთა ასაკის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად განახორციელოს პედაგოგიური ზემოქმედება.

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებით წარმართვისათვის განსაკუთრებულ როლს ანიჭებს მასწავლებლის პიროვნულ თვისებებს. სწავლებისა და აღზრდის პროცესში ანგარიშს უწევს შემოქმედების მომენტს, რაც მასწავლებლის თვისებას შეადგენს და რომელსაც პედაგოგიური პროცესი მიჰყავს. ამასვე უკავშირებდა მასწავლებლის ალღოს და ტაქტის საკითხს, რასაც პედაგოგიური პროცესი გამოჰყავს სპეციფიკური რთული სიტუაციიდან და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს უხსნის გზას. რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს მას, რომ მასწავლებელმა საფუძვლიანად იცოდეს საგანი და მისი სწავლების მეთოდიკა, კარგად იცოდეს, აგრეთვე, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები. მასწავლებლის როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან კარგად უნდა იცოდეს რა ძალები როდის განეწყობიან სამოქმედოდ და სასწავლო პროგრამა მას დააფუძნოს. რადგან ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი. სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებით განწყობას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას. დიმიტრი უზნაძის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ

მოარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. მასალა, ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის. მეორე მხრივ, დაშორებულიც უნდა იყოს. სხვაგვარად, წინსვლა შეუძლებელი იქნება. საკლასო ოთახში შეიქმნას ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესების და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს. არ უნდა გაკეთდეს აქცენტი მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა. აღზრდა უნდა იყოს სწრაფვა იდეალურისკენ, საკუთარის და სხვისი ცხოვრების ფორმაციის მიზანდასახული პროცესი. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის დამახასიათებელი ერთ-ერთი მოთხოვნილება-ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ე. წ. სწავლის წყურვილში გადაეზარდოს.

§ 11. დედაენა როგორც სწავლა-აღზრდის საფუძველი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული პედაგოგიური და ფსიქოლოგიური საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლები სწავლობდნენ რა რუსეთის, ამერიკისა და ევროპული ქვეყნების უახლოეს მიმდინარეობებს სახალხო განათლების დარგში, ისინი პედაგოგიური დისკუსიების გამართვის, საჯარო ლექციების მოწყობის, პედაგოგიკურ იდეათა პროპაგანდის, თეორიულ-პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობის გაშლის გზით მასების და სახალხო განათლების მუშაკთა ყურადღებას ამახვილებდნენ მშობლიურ ენაზე სწავლა-აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით.

დიმიტრი უზნაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დედაენას მოზარდი თაობის სწავლა - აღზრდის საქმეში. მას მშობლიური ენა აღზრდის საფუძველად მიაჩნდა. მშობლიურ ენაზე აღზრდის ეროვნულ-პოლიტიკური და პედაგოგიკური პრინციპის სრულყოფილად გატარების გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა „ახალი ტიპის“ ქართველის აღზრდა. მას სპეციალური სტატია არ მიუძღვნია მშობლიურ ენაზე სწავლა-აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მან თავისსავე დაარსებულ

„სინათლის“ სკოლაში აუცილებელ პირობად ჩართო მშობლიურ ენაზე სწავლება. თავისი ქმედებით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით მუდამ იცავდა ქართულ ენას და ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობას.

მშობლიური ენისათვის ასეთი პრიორიტეტის მინიჭება სავსებით კანონზომიერებად მიგვაჩნია, გამომდინარე იმ დროს საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონცეფციიდან, რომელიც რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლასა და მშობლიური ენის უფლებების დაცვას ემყარებოდა.

ჩვენი აზრით, მის მიერ მშობლიური ენის სწავლების საკითხების მაღალ დონეზე დაყენება იმითაც არის განპირობებული, რომ დიმიტრი უზნაძეს ღრმად ჰქონდა შეთვისებული მშობლიური ენის შესახებ კლასიკური პედაგოგიკის და განსაკუთრებით იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრება.

მას, როდესაც ქმნიდა იმ დროის საქართველოში ახალ პედაგოგიკურ სისტემას, ღრმად ესმოდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში ენის მნიშვნელობა, მისი სოციალური და პედაგოგიური ბუნება, დედაენა, როგორც სწავლა - აღზრდის საფუძველი, ეროვნული სკოლის საძირკველი და ზნეობრივი განვითარების წყარო. დედაენა, როგორც სასწავლო საგანი, დედაენის უფლებების დაცვისა და აღდგენისათვის რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება და სხვა.

დიმიტრი უზნაძე წერდა: „სკოლის ნაციონალიზაციის პრინციპს რომ ვაღიარებთ, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მომავალმა მასწავლებლებმა განათლება მიიღონ თავიანთი ხალხის ენაზე, იმ ხალხის ენაზე, ვისი ბავშვების სწავლებისა და აღზრდისათვის ისინი ემზადებიან. ამრიგად სემინარიებში სწავლების ენა აუცილებლად ეროვნული უნდა იყოს, სასწავლო საგნებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებას (36. გვ. 401).

1913 წლის 23 დეკემბერს პეტერბურგში გაიხსნა სრულიად რუსეთის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ყრილობა, რომელსაც 7 000 – მდე პედაგოგი ესწრებოდა. ყრილობის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობას ღებულობდა 20

მასწავლებელი, მათ შორის, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და მეცნიერი დიმიტრი უზნაძე, რომელიც არჩეული იყო პრეზიდენტის საპატიო კომისიაში. დიმიტრი უზნაძისა და მისი თანამოღვაწეების ენერგიული მონაწილეობით და ინიციატივით ყრილობამ მიიღო დადგენილება ცალკე ერების კულტურული განვითარების სასარგებლოდ, რომელშიც ნათლად ჩანს დიდი პედაგოგის დამოკიდებულება მშობლიურ ენასთან დაკავშირებით. ეს დადგენილება შემდეგი შინაარსისაა:

1. „ყველა კანონმდებლობითი და ადგილობრივი ნორმების გაუქმების შესახებ, რომელნიც ზღუდავენ მცხოვრებთა რომელიმე ჯგუფის ეროვნულ, სარწმუნოებრივ სასწავლო – საგანმანათლებლო და სხვა უფლებებს;
2. უმცირესობის უფლებათა უზრუნველყოფა ნამდვილი საყოველთაო – სავალდებულო და უფასო სწავლა – განათლების განხორციელებით;
3. ადგილობრივ თვითმმართველობათა დემოკრატიზაცია და ყველა სკოლის მათ ხელში გადაცემა;
4. სკოლაში და სკოლის გარეთ დედაენაზე ლაპარაკი, მშობლიურ ენაზე საქმის მართვა – გამგეობა და დედაენაზე სწავლების შემოღება;
5. რუსული ენის გაკვეთილების დაწყება სწავლების მესამე წლიდან, ხოლო ადგილობრივი პირობების მიხედვით, უფრო ადრეც, საჭიროების გათვალისწინებით;
6. კერძო პირთა და საზოგადოებათათვის სკოლების გახსნის უფლების მინიჭება დედაენაზე სწავლების შემოღებით;
7. მასწავლებელთა მოსამზადებლად სხვადასხვა კურსების (ეროვნებათა მიხედვით) მოწყობა და ენის შესწავლა;
8. სემინარიების, ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების მასწავლებელთა მოსამზადებლად უმაღლეს სასწავლებლებში ადგილობრივი ხალხის ენის, ისტორიის და ლიტერატურის კათედრების გახსნა;
9. მასწავლებელთა რაიონული კრებების მოწვევა სწავლა – აღზრდის საკითხთა განსახილველად და ცხოვრებაში გასატარებლად;
10. რელიგიისა და მისიონერთაგან სასწავლებელთა განთავისუფლება“ (34. გვ. 142–148).

გარკვეულ შეზღუდულობათა მიუხედავად, ამ დადგენილების მიღებამ საქართველოში, დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით ბიძგი მისცა სახალხო მასწავლებელთა ბრძოლას საყოველთაო – სავალდებულო განათლების შემოღების აუცილებლად მოთხოვნისა და მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებისათვის. დიმიტრი უზნაძე საქართველოს მასშტაბით, განასაკუთრებით დასავლეთ საქართველოში და ქუთაისში სისტემატურად კითხულობდა ლექციებს სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, რასაც მოწმობს იმდროინდელი ქართული პრესა.

ამ ყრილობაზე, საქართველოს სკოლების შესახებ, უზნაძის ინიციატივით მიღებული იქნა ცალკე რეზოლუცია, „სადაც მოთხოვნილი იყო ქართულ სკოლებში ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლება, სკოლის მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებზე აგება და თბილისში უნივერსიტეტის გახსნა“ (10. გვ. 31).

ასეთი შეკრებები, ჩვენი აზრით, მნიშველოვან გავლენას ახდენდა ქართული პედაგოგიური აზროვნების გამოცოცხლებაზე. მასწავლებელთა მასებში სწავლა-აღზრდის ახალი იდეების მომწიფებაზე, პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის შემდგომ განვითარებაზე.

დიმიტრი უზნაძემ სინათლის სკოლის დაარსებით ქართულ ენას მნიშვნელოვანი „სავარჯიშო ასპარეზი“ მისცა. 1914 წელს საქართველოში სკოლა ახალი შესაძლებლობების წინაშე დადგა. დამტკიცდა კანონი მცირე ეროვნებებისათვის კერძო სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების ნებართვის შესახებ. ამ კანონის მიხედვით მცირე ეროვნებებს ენიჭებოდათ უფლება დაეარსებინათ თავისი ინიციატივით და ხარჯით სკოლა, სადაც სწავლა – აღზრდა შეეძლოთ წარემართათ მშობლიურ ენაზე. ეროვნული სკოლის გახსნის საკითხი იმდროინდელი ცხოვრების დღის წესრიგის მთავარ პრობლემად იქცა. რეალური ნაბიჯი ამ კუთხით გადაიდა ქალაქ ქუთაისში, სადაც დაარსდა „სინათლის“ საზოგადოება, რომლის ზრუნვის მთავარ საგანს შეადგენდა ქართული ეროვნული სკოლის დაარსება.

კანონის მიღება არ ნიშნავდა იმას, რომ იგი მარტივად გატარდებოდა საქართველოში. იყო საპირისპირო შემოტევებიც. რუსული იდეოლოგიის

გამტარებელი მასწავლებლები მოითხოვდნენ სწავლება კვლავ რუსულ ენაზე დარჩენილიყო. უფრო მეტიც საქართველოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღების საკითხთან დაკავშირებით, მათი აზრით, ლექცია და ინსტრუქტაჟი რუსულ ენაზე უნდა ჩატარებულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანთ სერგო გერსამიას მოგონებას დიმიტრი უზნაძის ბათუმში ჩამოსვლის ფაქტთან დაკავშირებით: „1917 წელს მასწავლებელთა კავშირის დავალებით დ.უზნაძე ბათუმში ჩამოვიდა სკოლების გაეროვნების საკითხებზე მოხსენების წასაკითხად. კრებას ესწრებოდნენ ძველი სკოლის შავრაზმული სულისკვეთებით აღჭურვილი მასწავლებლებიც. მათ კატეგორიულად მოითხოვეს მოხსენების წაკითხვა რუსულ ენაზე. დ.უზნაძემ ამას კატეგორიული უარივით უპასუხა. მან განუმარტა ოპონენტებს, რომ მოხსენების მიზანია სკოლების გაეროვნებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გარკვევა, რაც მხოლოდ ქართველ მასწავლებლებს ეხება. მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ დიმიტრი ვერაფრით დაითანხმეს. პროტესტანტმა მასწავლებლებმა დარბაზი დატოვეს“ (6.გვ.434). ამ ფაქტიდან ნათლად ჩანს, რომ დიმიტრი უზნაძე პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ საკითხს და სისტემატურად იბრძოდა საქართველოში ქართული სკოლების დაარსებისათვის და მათში მშობლიურ, ქართულ ენაზე სწავლა – აღზრდის სისტემის შემოღებისათვის.

„სინათლის“ სკოლის გახსნისთანავე მაშინდელ ქართულ პრესაში დაისვა კითხვა რატომ მაინცდამაინც, უპირველეს ყოვლისა, ქუთაისში დაარსდა ქალთა სკოლა? ზოგადად, ამ საკითხთან დაკავშირებით კი კიტა აბაშიძე წერდა: „ვიდრე ოჯახის ქალი არ იქნება ქართულის ენით აღზრდილი და განათლებული, მანამდის ჩვენი ოჯახები გადაგვარების გზას დაადგებიანო“ (10. გვ. 37).

ამრიგად, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ შეხედულებათა სისტემაში მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობის შესახებ ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ძირითად პრობლემას წარმოადგენს. იგი მკაცრად აკრიტიკებს სკოლებში გაბატონებულ, გაუგებარ ენაზე სწავლების ზეპირობის სისტემას. მას სავსებით სამართლიანად მიაჩნდა მომავალი თაობის ჭეშმარიტი აღზრდის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. სამშობლო ენაზე სწავლების

წარმოებას განსაკუთრებული აზრი საზოგადო განათლების დაწესებულებაში ეძლევა. სამშობლო ენა გონების განვითარების საუკეთესო შესავალიაო, –წერდა დიმიტრი დიმიტრი უზნაძე „სინათლის“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლის 1915–1916 სასწავლო წლის ანგარიშში. მას მშობლიური ენა აზროვნების საშუალებასა და სინამდვილის შეგნებულად ათვისების სოციალურ იარაღად მიაჩნდა. შეგნება, აზროვნება და სიტყვა განუყრელნი არიან ერთმანეთთან. შეგნება ეძებს სიტყვას, ხოლო სიტყვა, თავის მხრივ, განამტკიცებს გონების მიერ შექმნილ ცნებებს და აგროვებს მათ ადამიანის სულის საღაროში.

§ 12. დიმიტრი უზნაძის თეორია თამაშის, როგორც ბავშვის ქცევის

წამყვანი ფორმის შესახებ და მისი მნიშვნელობა განათლების

სისტემის განვითარების დღევანდელ ეტაპზე

წინა პარაგრაფში ვნახეთ, რომ წარმატებული პედაგოგიური მუშაობის აუცილებელ პირობად დ.უზნაძეს ამ მუშაობის ფსიქოლოგიურ ცოდნაზე დაფუძნება მიაჩნდა. რამდენადაც პედაგოგიური ზემოქმედების ძირითად ობიექტს ბავშვი წარმოადგენს, ამდენად, უზნაძეც ღრმად და მრავალმხრივ შეისწავლიდა ბავშვის ფსიქიკური განვითარების საკითხებს. ამ დარგში მისი კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თამაშის ფსიქოლოგიური ბუნების და მისი გამომწვევი მიზეზების საკითხის გარკვევა, რის შესახებაც საგანგებო მეცნიერული კონცეფცია ჩამოაყალიბა.

ის, რომ ბავშვი, სასკოლო პერიოდამდე მაინც, ძირითადად თამაშში ვითარდება და მისი ფსიქიკური და ფიზიკური ძალების ჩამოყალიბებას, უმთავრესად, სწორედ ეს ქცევა უზრუნველყოფს, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რასაც ბავშვის ფსიქოლოგიის ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს. რაც შეეხება საკითხს თამაშის ფსიქოლოგიური არსის, მისი მიზეზებისა თუ საფუძვლების შესახებ, აქ აზრთა ისეთ სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე, რომ დღესდღეობით თამაშის სრულყოფილი და მეტ-ნაკლებად ყველასათვის მისაღები თეორიის შექმნა ფაქტიურად შეუძლებელ ამოცანადაა მიჩნეული [39. გვ. 39]. ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ თამაშთან დაკავშირებული პედაგოგიური და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური

საკითხებიც ძირითადად განიხილება ხოლმე არა თამაშის რომელიმე ფსიქოლოგიური თეორიის შუქზე, არამედ ემყარება მხოლოდ თვითონ თამაშის, როგორც ფაქტობრივი მოცემულობის, აღწერას. ამის საბოლოო შედეგი კი ისაა, რომ თვით ინტერაქტიური სწავლების მოდელშიც კი, თამაშით სწავლება-სწავლის მეთოდმა ჯერ კიდევ ვერ დაიკავა ისეთი მოწინავე პოზიცია, როგორც მას ნამდვილად ეკუთვნის, სხვა ამ რიგის მეთოდების გვერდით. ვფიქრობთ, დ. უზნაძის თამაშის თეორიას საკმარისი პოტენციალი აქვს იმისათვის, რომ თამაშთან დაკავშირებული პედაგოგიური პრობლემები მასზე დაყრდნობით იქნას გადაჭრილი. აქედან გამომდინარე, პედაგოგიკის სფეროსათვის დ.უზნაძის მეცნიერული მემკვიდრეობის მნიშვნელობა სრულყოფილად რომ შევაფასოთ, სხვა საკითხებთან ერთად, მისი თამაშის თეორიაც საგანგებოდ უნდა განვიხილოთ.

თამაშის თეორიული პრობლემა, რომლის გადაჭრაც ბავშვის ფსიქოლოგიის მრავალმა ცნობილმა მკვლევარმა (გ. სტენლი-ჰოლი, ჰ. სპენსერი, ზ. ფროიდი, ა. ადლერი, კ. გროსი, კ. ბიულერი, ვ. შტერნი, ჟ. პიაჟე, ფ. ბოიტენდაიკი და სხვ.) სცადა, მისი გამომწვევი მიზეზების (ან საფუძვლების) გარკვევაში მდგომარეობს. კონკრეტულად საკითხი ასე ფორმულირდება: “რატომ თამაშობს ადამიანი საერთოდ, განსაკუთრებით კი ბავშვი?” საქმე ისაა, რომ თამაში, როგორც ცნობილია, მიზნობრივი საქმიანობა არაა. თამაში, რომელიც მისი სუფთა სახით, ბავშვის (სკოლამდელ ასაკამდე) საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს, არავითარი კონკრეტული მიზნის მიღწევას არ ემსახურება. ამიტომ, თუ ადამიანურ საქმიანობათა სხვა ფორმები, რომლებიც ყოველთვის გარკვეულ მიზანზე არიან მიმართული, ამ, მიზნის მიხედვით, შეგვიძლია დავახასიათოთ, თამაშთან მიმართებაში ასე ვერ მოვიქცევით. მაგალითად, როდესაც ადამიანი საჭმელს მიირთმევს, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი მიზანი ორგანიზმის საკვებით მომარაგებაა, ხოლო ვარაუდის დონეზე ის აზრიც გვიჩნდება, რომ ამ ადამიანს ალბათ შია და მისი მოცემული აქტივობის მიზეზიც ესაა. ასევეა შრომითი საქმიანობის შემთხვევებშიც: შრომა ყოველთვის რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევას, – მატერიალური ან სულიერი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნას, – ითვალისწინებს.

იმის გამო, რომ თამაშში ასეთი კონკრეტული მიზანი არ იკვეთება, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენაც პრობლემადაა გადაქცეული. არ ჩანს, თუ რა აღძრავს ბავშვს სათამაშოდ მაშინ, როდესაც არც შია, არც წყურია, არც ვალდებულია ასე მოიქცეს, არც ვინმე აძალებს ითამაშოს და ა.შ. არადა, როგორც დაკვირვება აჩვენებს, თამაში ბავშვისათვის ყველაზე (თვით სმა-ჭამაზეც) მიმზიდველი საქმიანობაა, რომელსაც იგი ძალზე ენერგიულად ეტანება და განახორციელებს. “სრულიად არ ჩანს, თუ რა აიძულებს ბავშვს პრველი შეხედვით ეგოდენ “უსარგებლო” და “უაზრო” მოძრაობები ეგოდენ დაულაღვად აწარმოოს” [40. გვ. 123].

იმის მიუხედავად, რომ თამაში რაიმე პროდუქტიულ მიზანზე მიმართული ქცევა არაა, იგი სრულიადაც არ წარმოადგენს უაზრო მოძრაობათა შემთხვევით ერთობლიობას. თამაშის აქტები წარმოადგენენ ერთიან სტრუქტურულ მთლიანობას, რომელსაც, როგორც ყოველ ადამიანურ ქცევას, აქვს სრულიად გარკვეული შინაარსი და სიუჟეტი. ე.ი. თამაშის დროს ბავშვის აქტიურობას აქვს მოწესრიგებული, შეიძლება ითქვას, აზრიანი სახე. ბავშვი თავის თამაშში, უმეტეს წილად, ისე იქცევა, როგორც იქცევიათ ის ადამიანები, რომლებიც მის უშუალო გარემოცვას ქმნიან. თამაშის სრულყოფილმა თეორიამ, გარდა იმისა, რომ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, თუ რატომ თამაშობს ბავშვი, იმაზეც უნდა უპასუხოს, თუ რატომ თამაშობს ბავშვი სწორედ ისე, როგორც თამაშობს. ე.ი. რატომ გავს მისი თამაში ადამიანურ საქმიანობათა სხვა ფორმებს?

დ. უზნაძის თანახმად, თამაშის სრულყოფილმა თეორიამ ორივე ეს საკითხი (რატომ თამაშობს ბავშვი და რატომ აქვს ამ თამაშს აზრიანი და მოწესრიგებული სახე) ერთი პრინციპის ნიადაგზე უნდა გადაჭრას: პასუხი კითხვაზე, თუ რატომ თამაშობს ბავშვი, ისეთი უნდა იყოს, რომ აქედან გამომდინარეობდეს პასუხი მეორე კითხვაზეც, რატომ თამაშობს ბავშვი ისე, როგორც თამაშობს [40. გვ. 124]. ბევრი თეორეტიკოსი, ემყარება რა თამაშისათვის დამახასიათებელ თვისებათა სწორ, მაგრამ მხოლოდ გარეგანი დაკვირვებით გამოვლენილ აღწერას, აღნიშნულ საკითხებს სრულიად სხვადასხვა პრინციპების ნიადაგზე ჭრის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ

თამაშის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტორების საკითხი მართებულად ვერაა გადაჭრილი.

ამის თვალსაჩინო მაგალითს 3. სპენსერის თეორია წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით, ბავშვი იმიტომ თამაშობს, რომ ამით მის ორგანიზმში დაგროვილი ჭარბი ენერგიისაგან განიტვირთება. ეს მოსაზრება მართებულადაც რომ ჩავთვალოთ (თუმცა ის ფაქტი, რომ ბავშვი ხშირად სრულ დაქანცვამდე თამაშობს და ამას აგრძელებს მაშინაც, როდესაც ძალები უკვე თითქმის ამოწურული აქვს, ამ თეორიის წინააღმდეგ მეტყველებს), მასში სრულიადაც არ ჩანს ის საფუძველი, რაც ბავშვის თამაშის შინაარსს განსაზღვრავს. ამის გამო, ავტორი იძულებულია ახალი მიზეზი, კერძოდ ბავშვისათვის დამახასიათებელი მიმბაძველობა, დაასახელოს. ამის გამო, ბოლოსდაბოლოს გაუგებარი ხდება რომელია თამაშის მიზეზი, ჭარბი ენერგია თუ მიბაძველობა, ხოლო თუ თამაშის გამომწვევაში ორივე მონაწილეობს, ნაჩვენები უნდა იყოს მათი ერთ სტრუქტურაში გამთლიანების მექანიზმი.

უზნაძისათვის მსგავსი თეორიები, პირველ რიგში, იმის გამოა მიუღებელი, რომ “მოვლენას ერთი არსი აქვს, და ყველა ძირითადი თავისებურება, რომელიც მას ახასიათებს, ამ ერთი არსიდან გამომდინარეობს. მოვლენის სწორ თეორიას ამ არსის მიგნება ევალება. მაშინ მას მისი სხვადასხვა მხარის ასახსნელად სხვადასხვა პრინციპის მოშველიება აღარ დასჭირდება” [41. გვ. 615]. აღწერილი თეორია და მისი მსგავსი სხვა თეორიები კი თამაშის სხვადასხვა მხარეს სრულიად სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე ხსნიან, რაც იმის ნიშანია, რომ შესასწავლი მოვლენის (თამაშის) არსი მიგნებული არ აქვთ. სწორია, რომ ბავშვი თამაშში დიდ ენერგიას ხარჯავს და ისიც სწორია, რომ იგი ამ დროს უფროსებს ბაძავს, მაგრამ ესაა შესასწავლი მოვლენის მხოლოდ აღწერა და არა მისი მიზეზების გარკვევა, ანუ ახსნა. გასარკვევი სწორედ ისაა, თუ რა აიძულებს ბავშვს უფროსთა სერიოზული საქმიანობის იმიტირება მოახდინოს და ამისათვის ესოდენ დიდი ენერგია დახარჯოს.

თამაშის თეორიების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, რაც თავისი ზოგადი და ბავშვის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში აქვს მოცემული, უზნაძე ასკვნის, რომ ყველა თეორიაში თამაშის არსი და მისი საფუძველი ან ამ ქცევის ობიექტური შედეგების გათვალისწინებითაა განხილული და გადაჭრილი, ან იმ ფსიქოლოგიური

ფენომენებითაა ახსნილი, რომლებსაც სუბიექტი თამაშთან დაკავშირებით განიცდის. ასეთი მიდგომა, ავტორის თანახმად, თამაშის არსში ვერ გაგვარკვევს, რადგან ასახნელი სწორედ ამ შედეგების და განცდების გამომწვევი მიზეზებია.

თამაშის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტური შედეგია ბავშვის განვითარება და მისი იმ უნარების გავარჯიშება, რაც შემდგომში ცხოვრებაში (სერიოზულ საქმიანობებში) დაჭირდება და გამოადგება. თამაშის ამ თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას კ. გროსი თავის ცნობილ თეორიაში, რომლის მიხედვითაც, თამაში “მომავლის სკოლაა”. ამ ავტორის თანახმად, ბავშვის თამაშის მიზეზი სწორედ ისაა, რომ საჭიროა ბავშვი მომავალი ცხოვრებისათვის მოემზადოს, რაც პატარა ასაკში (სასკოლო ცხოვრების დაწყებამდე) მხოლოდ თამაშშია შესაძლებელი. ამრიგად, გროსი ფიქრობს, რომ თამაში მომავლისათვის მომზადების საჭიროებითაა გამოწვეული. ამით გასაგები ხდება მისი შინაარსის გარკვეულობაც: ბავშვი თამაშობს იმას, რაც მომავალში მართლა უნდა გააკეთოს, ვარჯიშობს იმის კეთებაში, რაც ცხოვრებაში დასჭირდება.

იმში, რომ თამაში მომავლის სკოლაა და თამაშში ბავშვი ნამდვილად ვითარდება და ვარჯიშდება მთელი რიგი ადამიანური საქმიანობის შესრულებაში გროსს ყველა ეთანხმება. სამაგიეროდ ბევრი, მათ შორის, უზნაძეც, არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბავშვი მომავლისთვის მომზადების საჭიროების გამო თამაშობს. აქ მთავრია არა იმდენად ის, რომ მომავლისათვის მომზადება თამაშის ობიექტური შედეგია, ხოლო სუბიექტურად ბავშვი სრულიადაც არ განიცდის იმას, რომ თამაში მას ცხოვრებისათვის ამზადებს, არამედ ის, რომ ასახსნელი მოვლენა (თამაში) გამოყვანილია მიზნიდან (მომავლისათვის მომზადების აუცილებლობიდან). ასეთი ტელეოლოგიური მიდგომის პირობებში კი გაურკვეველი რჩება საიდან გაჩნდა ეს მიზანი და როგორ ხდება, რომ თამაში მის მიღწევას ემსახურება?

კ. ბიულერი, რომელიც იზიარებს გროსის თეორიას თამაშის, როგორც მოსამზადებელი სკოლის შესახებ, ცდილობს ობიექტური შედეგის გარდა თამაშის სუბიექტური (ფსიქოლოგიური) მიზეზიც მოძებნოს და ასეთად იმ სიამოვნებას ასახელებს, რასაც ბავშვი თამაშის პროცესში განიცდის. ე.ი. ობიექტურად თამაში

ბავშვს მომავლისათვის ამზადებს, ამაშია მისი დანიშნულება, ხოლო სუბიექტურად იგი მისაღებია ბავშვისათვის იმის მეშვეობით, რომ მას სიამოვნებას ანიჭებს. ეს სიამოვნება ხდის გასაგებს იმ ენერგიულობას და ერთი სახის მოქმედებათა განუწყვეტელი განმეორების (ვარჯიშის) სიჭარბეს, რაც თამაშში ნათლად შეინიშნება.

სიამოვნება, რასაც ბავშვი თამაშის დროს განიცდის არაა იმავე ბუნების სიამოვნება, რასაც იგი ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა (მაგ., შიმშილის ან წყურვილის) დაკმაყოფილების დროს ღებულობს. თამაშში ბავშვს სიამოვნებას ანიჭებს თვითონ მოქმედება, საკუთარი ცალკეული ფუნქციების მოქმედებაში მოყვანა. ამ სიამოვნებას ავტორი ფუნქციონალურ სიამოვნებას უწოდებს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ, სწორედ, ისაა თამაშის სუბიექტური მიზეზი.

თამაშზე ზერელე დაკვირვებაც საკმარისია იმის დასანახად, რომ ეს საქმიანობა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ყველას, ვინც კი მას განახორციელებს, განსაკუთრებით კი ბავშვს. ნათელია ისიც, რომ თამაშში განცდილი სიამოვნება ნამდვილად ფუნქციონალური სიამოვნებაა, რადგან, როგორც ითქვა, თამაში, საკუთრივ აქტივობის პროცესის გარეთ მდებარე არავითარი მიზნის მიღწევას არ ემსახურება. თამაშში სუბიექტს სიამოვნებს თავად სათამაშო მოქმედებათა განხორციელება, რომელიც მისი ფსიქო-ფიზიკური ფუნქციების თავისუფალ ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული. მაგრამ ფუნქციონალურ სიამოვნებას თამაშის მიზეზად, მის აღმძვრელ ძალად, ვერ მივიჩნევთ, თუნდაც იმიტომ, რომ იგი თავად საჭიროებს ახსნას: გასარკვევია რატომ ანიჭებს ადამიანს სიამოვნებას საკუთარი ფსიქო-ფიზიკური ძალების თავისუფალი ამოქმედება. კერძოდ, რატომაა, რომ ბავშვს მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნას განუწყვეტელი მოძრაობა და თამაში ურჩევნია, რაც მისთვის განუზომელი საიამოვნების წყაროა?

ამასთანავე, ვინაიდან ფუნქციონალური სიამოვნების პრინციპიდან თამაშის ყველა თავისებურება ვერ აიხსნება, ბიულერი იძულებულია გროსის მიერ შემოტანილი მომავლის სკოლის პრინციპიც გაიზიაროს, რის გამოც, გარდა იმისა, რომ მის თეორიაზე ვრცელდება ყველა ის შენიშვნა, რასაც გროსის თეორიის მიმართ გამოთქვამენ, მისი ნაკლია შესასწავლი მოვლენის სხვადასხვა მხარეების განსხვავებული პრინციპით დახასიათებაც. ე.ი. ისევე როგორც სპენსერმა, ვერც

ბიულერმა მიაგნო შესასწავლი მოვლენის (თამაშის) ერთ არსს. როგორც სპენსერის თეორიაში უპასუხოდ რჩება კითხვა, თუ როგორ უკავშირდება ჭარბი ენერგიის ხარჯვა მიმბაძველობას, ასევე ბიულერის თეორიის მიხედვით შეუძლებელია გარკვეულად ითქვას, მომავლისათვის სამზადისია თამაშის მიზეზი, თუ ფუნქციონალური სიამოვნება. თუ თამაშის დეტერმინაციაში ორივე ეს ფაქტორი მონაწილეობს, მაშინ “ნაჩვენები უნდა ყოფილიყო, თუ როგორ გამომდინარეობს თამაშის კონცეფცია, როგორც მოსამზადებელი სკოლისა, სწორედ ამ პრინციპიდან” [40. გვ. 125] (ფუნქციონალური სიამოვნების პრინციპიდან).

დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ თამაშის ყველა თეორია, განსაკუთრებით კი სპენსერის, გროსის და ბიულერის თეორიები, უდავოდ სწორ დაკვირვებებს ემყარება, მაგრამ ვერც ერთი მათგანი თვითონ თამაშის არსს ვერ აგნებს და ადამიანური საქმიანობის ამ ფორმის მხოლოდ გარეგან აღწერას იძლევა. თამაშის სრულყოფილმა თეორიამ ამ მოვლენის არსებითი ნიშანი უნდა მონახოს და მისი ყველა თავისებურება (კერძოდ, რომ ბავშვი თამაშში დიდ ენერგიას ხარჯავს, რომ იგი ამ დროს უფროსებს ბაძავს, რომ ვითარდება და ვარჯიშდება, რაც მას მომავლისათვის ამზადებს, რომ იგი თამაშით ფუნქციონალურ სიამოვნებას იღებს და სხვ.), ამ ნიშნის მიხედვით, ახსნას და დაახასიათოს. თამაშის არსი, რომელიც მის ყველა მხარეს ხდის გასაგებს, ავტორის თანახმად, ისაა, რომ იგი, სხვა ქცევებისაგან განსხვავებით, არ აღიძვრის რაიმე ობიექტური საჭიროებით. მას იწვევს თვითონ აქტივობის შინაგანი ტენდენცია, რადგან სიცოცხლე აქტივობაა და ცოცხალ არსებას აქტივობის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ყველა ფუნქცია, რაც კი ბავშვს მემკვიდრეობით ეძლევა, შეიცავს ამოქმედების–თავისი დანიშნულების მიხედვით ფუნქციონირების–ტენდენციას.

როდესაც რომელიმე ფუნქცია დიდხანს დარჩება უმოქმედოდ, მისი ფუნქციონირების ტენდენცია სპონტანურად იწვევს შესაბამის აქტივობას, რაც ბავშვთან, ძირითადად თამაშის სახით წარმოსდგება. აზრის უფრო სწორად გადმოცემისათვის მოვიყვანოთ თვითონ ავტორის სიტყვები: “ბავშვს, როგორც ადამიანის შვილს, გარკვეული ტენდენციები და ფუნქციები აქვს, რომელსაც იგი ან ვერ იყენებს, ანდა ყოველმხრივ და ყველა მიმართულებით ვერ ამოქმედებს.

ფუნქციები, ტენდენციები “ძალას” წარმოადგენენ, და ძალისათვის სწორედ ისაა დამახასიათებელი, რომ იგი არსებითად მოძრავია, მოქმედია, ძალა დინამიკური ცნებაა. მაშასადამე, ცხადია, ბავშვის ამ ძალებს უმოქმედოდ არსებობა არ შეუძლია: **ფუნქციონალური ტენდენცია** (ხაზგასმა ავტორისაა-ს.ფ.), რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ძალების არსებობა ფუნქციების გარეშე შეუძლებელია, გასაგებად ხდის ბავშვის იმ შემთხვევაშიც აქტივობას, როდესაც მას გასაკეთებელი არაფერი აქვს, როდესაც ეს აქტივობა რაიმე პროდუქტის მისაღებად კი არ არის განკუთვნილი, არამედ მხოლოდ როგორც პროცესია მნიშვნელოვანი. **ფუნქციონალური ტენდენციის ცნება გასაგებად ხდის თამაშის ფაქტს** (ხაზგასმა ავტორისაა- ს.ფ.)” [41; 615].

კუნთების ფუნქცია მოძრაობაა. ამიტომ, რომ ადამიანისათვის (ბავშვსათვისაც და მოზრდილსათვისაც) უმოძრაოდ დიდხანს გაჩერება ძალზე დამღლეელია. მოზრდილ ადამიანს ათასგვარი საქმე აიძულებს მრავალგვარი მოძრაობები განახორციელოს, რის გამოც მოძრავ თამაშებში ჩართვა მას ნაკლებად ესაჭიროება. ბავშვს საკეთებელი ბევრი არაფერი აქვს, ხოლო უმოძრაოდ გაჩერება, როგორც ითქვა, ძალზე ძნელია. ამიტომ, რომ ბავშვი თითქმის განუწყვეტლად მოძრაობს და ხშირად მოძრაობის ამ იმპულსის შეკავება, როდესაც იგი შეუფერებულ სიტუაციაში იჩენს თავს, უფროსებს ძალზე უჭირთ. ის, რაც ითქვა კუნთების ფუნქციონალური ტენდენციის შესახებ, ვრცელდება ყველა იმ ძალასა და ფუნქციაზე, რომელიც ბავშვს მემკვიდრეობით ეძლევა, როგორც ადამიანის შვილს.

როგორც ვხედავთ, უზნაძის თანახმად, თამაშის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფუნქციონალური ტენდენციით აღძრული ქცევაა. “მაშასადამე, რატომ თამაშობს ბავშვი თუ დიდი, სულერთია, ამას ფუნქციონალური ტენდენცია უდევს საფუძვლად” [41. გვ. 615]. ამრიგად, თამაშის მიზეზის, მისი გამომწვევი ძალის საკითხი გარკვეულია: ესაა ფუნქციონალური ტენდენცია. ახლა თამაშის შინაარსეული მხარეა გასარკვევი, რომელიც აუცილებლად, ამავე პრინციპის მიხედვით (ფუნქციონალური ტენდენციის ცნებაზე დაყრდნობით), უნდა გადაიჭრას. გასაგებია, რომ ბავშვი თამაშით, მაგალითად, კუნთების, ან სხვა რომელიმე ორგანოს, ფუნქციონალური ტენდენციას იკმაყოფილებს, მაგრამ მის მოძრაობებს, ქაოტური ხასიათი როდი აქვს. იშვიათი გამონაკლისების გარდა, როდესაც ბავშვი მხოლოდ ფიზიკურ

თამაშშია ჩართული და უაზროდ დარბის, დახტის, გორავს და სხვ., ბავშვის თამაშში სრულიად მოწესრიგებული, შინაარსიანი საქმიანობაა. იგი ძალიან გავს საქმიანობის იმ ფორმებს, რომლებსაც ბავშვი თავის გარემომცველ სოციალურ წრეში ხედავს და აკვირდება. ბავშვი თამაშში ყოველივე იმის იმიტირებას ახდენს, რასაც უფროსები მის თვალწინ აკეთებენ. რატომ ხდება ასე?

მკვლევართა უმრავლესობა, როგორც ვნახეთ, ამ მოვლენის ასახსნელად მიბაძულობის ცნებას იშველიებს. მიბაძულობა რომ ფაქტია, ეს უდავოა, მაგრამ გასაკვევია რა იწვევს თავად მიბაძულობას? დ. უზნადის თანახმად, მიბაძულობის მიზეზიც ფუნქციონალური ტენდენციაა. საქმე ისაა, რომ ფუნქციები, რომელთა აქტივაციის ტენდენციაც თამაშს ბადებს, ადამიანური ფუნქციებია. ისინი ადამიანის გვარის განვითარების პროცესში ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ადამიანური საქმიანობის შესასრულებლად. ამიტომ, მათი ფუნქციონირება მხოლოდ ისეთი (იმის მსგავსი) შეიძლება იყოს, როგორიც მათ შეეფერება. მათთვის შესაფერისი კი ისეთივე საქმიანობათა განხორციელებაა, რომლებშიც მათი ფორმირება მოხდა ფილოგონეზში. სწორედ ამიტომაც, რომ ბავშვი თამაშში ბაძავს უფროსებს და მოქმედებს იმის მიმსგავსებულად, როგორც ისინი მოქმედებენ.

ფუნქციონალური ტენდენციის ცნება გასაგებს ხდის და ერთიანი პრინციპის ნიადაგზე ხსნის თამაშის ყველა იმ თავისებურებას, რომელიც სხვა მკვლევართა მიერ იყო შენიშნული და გამოცხადებული თამაშის მიზეზად: “სწორია სპენსერი, რომ თამაშში წაბაძვას, მაგრამ თამაშს წაბაძვა კი არ იწვევს, არამედ თავად წაბაძვას იწვევს თამაშის საფუძველი, ადამიანური ფუნქციების თავისი დანიშნულების შესატყვისად ამოქმედების ტენდენცია. სწორია გროსიც, რომელიც თამაშს მომავლისათვის ვარჯიშს უწოდებს, მაგრამ აქაც, ვარჯიში როდი იწვევს თამაშს, არამედ ფუნქციათა ამოქმედების ტენდენცია, ბადებს რა თამაშს, უზრუნველყოფს აღნიშნულ ფუნქციათა გავარჯიშებას. სწორია ბიულერიც, რომელიც თამაშში ფუნქციის სიამოვნებას ხედავს, მაგრამ თამაშს არც ეს სიამოვნება იწვევს, პირიქით, ფუნქციონალური ტენდენციის დაკმაყოფილება იწვევს თავად ფუნქციონალურ სიამოვნებას” [27. გვ. 42].

რაკი თამაშში ადამიანური საქმიანობების იმიტირებაში რეალიზდება, იგი კიდევ ავარჯიშებს ბავშვს ამ საქმიანობათა შესრულებაში და მისთვის საჭირო უნარების

განვითარებასაც უზრუნველყოფს. იგივე ხდება სწავლის პროცესშიც. აქაც მოსწავლე ვარჯიშდება სხვადასხვა ადამიანურ საქმიანობათა შესრულებაში და ხდება მისი სათანადო უნარების განვითარება. ამის გამო, თამაში და სწავლა ქცევის გენერალურ ფორმებად ითვლებიან, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველგვარი ადამიანური საქმიანობა შეიძლება იქნას გათამაშებული ან საგანგებოდ შესწავლილი. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავდება, რომ თამაშის დროს განვითარებაში მყოფი ფუნქციები სპონტანურად აქტივირდებიან, სწავლაში კი პედაგოგიური გარემო ახდენს მათი საჭიროებისამებრ აქტივაციის სტიმულაციას. ამიტომაც, რომ თამაში ბავშვისათვის ყოველთვის სასიამოვნოა, სწავლა კი მხოლოდ მაშინაა სასიამოვნო, როდესაც ფუნქციების აქტივაციის ტენდენცია და მათი აქტივაციის საჭიროება ერთმანეთს ემთხვევა.

რამდენადაც, ბავშვის ასაკობრივი განვითარების საფეხურები ერთიმეორისაგან, პირველ რიგში, ფუნქციონალური ტენდენციების მიმართულებით (როდის რომელი ფუნქციებია განსაკუთრებით აქტივირებული) განსხვავდებიან, ამდენად ყველა ასაკში, ბავშვი ყველაზე მეტად ისეთ ქცევებს ეტანება, რომლებიც მოცემული ასაკისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს სხვებზე მეტად შეესაბამება. განვითარებას, ყველა ასაკში, ძირითადად, სწორედ ის ქცევა უზრუნველყოფს, რომელიც ასაკის ფუნქციონალურ ტენდენციებს შეესაბამება. ასეთ ქცევას, თანამედროვე ფსიქოლოგიაში, წამყვანი ქცევა ეწოდება.

წამყვანი ქცევის ცნება შემოიტანა რუსმა ფსიქოლოგმა ლევ ვიგოტსკიმ. მისი განმარტებით, წამყვანია ქცევა, რომელსაც განვითარების მოცემულ ეტაპზე მიჰყავს განვითარების პროცესი. შემდეგში ეს ცნება, უფრო კონკრეტული ნიშნებით დაახასიათა ა. ლეონტიევმა. ორივე ეს დახასიათება მხოლოდ აღწერითი ხასიათისაა, რადგან ეს ავტორები არ იცნობენ (ან, უფრო სწორად, არ ცნობენ) ფუნქციონალური ტენდენციის უზნადისეულ ცნებას. უზნადე სარგებლობს წამყვანი ქცევის ტერმინით, მაგრამ მის შინაარსში ისეთ ქცევას გულისხმობს, რომელიც ასაკისათვის დამახასიათებელ ფუნქციონალურ ტენდენციებს შეესაბამება. ის გარემოება, რომ ყველა ასაკში სწორედ ასეთ ქცევას მიჰყავს განვითარების პროცესი, მისი ობიექტური შედეგია და არა მიზეზი. ბავშვის საკოლო ცხოვრების დაწყებამდე მისი

განვითარების წამყვანი ქცევა თამაშია, რომელიც ყველა სკოლის წინა პერიოდში თავისებური (ამ ასაკის ფუნქციონალური ტენდენციების შესატყვისი) ფორმითაა წარმოდგენილი, დაწყებული ჩვილის მარტივი სენსო-მოტორული მანიპულაციებით (ე.წ. ექსპერიმენტული თამაშით) და დამთავრებული უფროს სკოლამდელთა რთული სიუჟეტურ-როლებიანი თამაშით.

სასკოლო პერიოდიდან განვითარების წამყვანი ქცევა ხდება სწავლა, რომლის ფორმა და შინაარსიც, ასევე, თანმიმდევრულად რთულდება ბავშვის განვითარების პროცესის კვალდაკვალ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის შედეგად თამაში საერთოდ ქრება, ან განმავითარებელ ფუნქციას კარგავს. იგი, არა მხოლოდ ბავშვისა და მოზარდისათვის, არამედ მოზრდილი ადამიანისათვისაც, ყოველთვის მიმზიდველ საქმიანობად რჩება. საქმე ისაა, რომ სწავლაში დასაქმებულია ბავშვის ფსიქო-ფიზიკური ძალების მხოლოდ ერთი ნაწილი, ხოლო დანარჩენი ძალების ამოქმედების ტენდენცია აუცილებლად მოითხოვს თამაშს, რომელიც სუბიექტის ზრდა-განვითარების კვალობაზე, თანდათან გართობის ფორმას იძენს. მოსწავლის ჰარმონიული განვითარებისათვის თამაში ისევე აუცილებელია, როგორც სწავლა.

ეს გარემოება პედაგოგიურმა გარემომ ბავშვის სწავლება-სწავლის ორგანიზაციის საქმეში, აუცილებლად უნდა მიიღოს მხედველობაში. პირველ რიგში, ეს მოთხოვნა იმას ითვალისწინებს, რომ ბავშვს, სწავლასთან ერთად, თამაშისათვის საჭირო დროც რჩებოდეს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თამაშის გამოყენება საკუთრივ სასწავლო მიზნების მიღწევაში. სწავლება-სწავლის მთავარი მიზანი, მეცადინეობის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, არის მოსწავლის მიერ საკაცობრიო გამოცდილების (ცოდნის) გარკვეული სტრუქტურის ათვისება და მისი, როგორც ამ საქმიანობის სუბიექტის, ფსიქო-ფიზიკური ძალების განვითარება. ასეთივე შედეგები მოსდევს თამაშსაც. აქაც, როგორც ვნახეთ, ბავშვი უამრავ რაიმეს სწავლობს და მრავალმხრივ ვითარდება. განსხვავება იმაშია, რომ სწავლაში სასწავლო მიზნები წინასწარაა განსაზღვრული სოციალური გარემოს მიერ, თამაშში კი ისინი სუბიექტურად არ განიცდებიან. განვითარებაც და გამოცდილების შექმნაც, როგორც ითქვა, თამაშის ობიექტური შედეგია და არა სუბიექტური მიზანი.

ცოდნის ისეთ შექმნას, რომელიც სათანადო მიზანდასახულობით არ ხდება და მხოლოდ სხვა ქცევის თანმხლები ეფექტია, თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში ლატენტურ სწავლას უწოდებენ [71]. ამ სახელწოდებაში ის გარემოება იგულისხმება, რომ ცოდნის შექმნა აქ საგანგებოდ მოტივირებული პროცესი არაა და სხვა ქცევის (ამ შემთხვევაში, თამაშის) გვერდითი შედეგია. სწავლისათვის ბავშვის განწყობა, რითაც ყოველი კონკრეტული სწავლება-სწავლის პროცესი იწყება, ზოგჯერ ძალიან ძნელია. ცნობილია, თუ მოტივაციის ხელშემწყობ რამდენ მეთოდს (გარეგანი და შინაგანი მოტივების სახით) მიმართავენ აღმზრდელები იმისათვის, რომ ბავშვი აქტიურად ჩართონ ამ პროცესში. თამაში ამას არ მოითხოვს. თამაშში ბავშვი ყოველთვის ხალისიანად ერთვება, რადგან აქ მისი ძალების თავისუფალ (არამალდატანებით) ფუნქციონირებასთან გვაქვს საქმე. თუ პედაგოგიური გარემო ამ ძალებს ისე მიმართავს, თამაშის ისეთ ორგანიზაციას მოახდენს, რომ ბავშვი სწორედ იმას დაეუფლოს, რისი სწავლებაც გვინდა, ჩვენი მიზანი ისე იქნება მიღწეული, რომ ბავშვს სწავლისათვის მობილიზებისათვის საგანგებო ძალისხმევა არ დასჭირდება. იგი, მისთვის უფრო ადვილად მისაღებ თამაშის ქცევაში იქნება ჩართული.

ასეთნაირად ორგანიზებულ თამაშს დიდაქტიკური თამაში ეწოდება, რომელიც ეფექტურად გამოიყენება არა მხოლოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის გარკვეული ელემენტარული ცოდნის მისაცემად, არამედ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესშიც. უფრო მეტიც, ზოგჯერ ეს მეთოდი მოზრდილთა სწავლების დროსაც გამოიყენება. “პედაგოგიური დაკვირვებაც და სათანადო ექსპერიმენტებიც ადასტურებს, რომ პროგრამული მასალის ათვისება შედარებით ადვილად, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ხორციელდება მაშინ, როდესაც ხერხდება მისი თუნდაც ერთი ნაწილის თამაშის ფორმაში მიწოდება” [28; 140].

სასწავლო მიზნებისათვის თამაშის გამოყენების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღევანდელ ხანაში, როდესაც სწავლება-სწავლის მიზანდასახულობაში მთავარი ადგილი დაიჭირა თავისუფალ, ღია, დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მოზარდის მომზადებამ. განათლებულობა, დღევანდელ ინფორმაციულ ეპოქაში, გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ

სუბიექტი ფართო ერუდიციითა და წიგნიერებით იყოს გამორჩეული (რაც, თავისთავად, მეტად ღირებული და აუცილებელი თვისებაა), არამედ შეეძლოს სრულიად ახალი და განუწყვეტლად ცვალებადი ზღვა ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, მისი გადაამუშავება და შემოქმედებითად გამოყენება ცხოვრებისეულ ამოცანათა გადასაჭრელად. ამ მიზნის ეფექტურად გადაჭრისათვის, დასავლეთის ქვეყნებში, ფართოდ გამოიყენება სწავლების ინტერაქტიური მეთოდები, რომლებიც დღეს ჩვენშიც აქტიურად იწერება.

ამ მეთოდებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანია სიუჟეტურ-როლებიანი თამაში, “როდესაც მოსწავლეები სინამდვილის შესასწავლ სფეროს ეცნობიან, იკვლევენ და ითვისებენ გასათამაშებელი როლის მომზადებისა და შესრულების პროცესში” [29. გვ. 13]. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი სწავლების უპირატესობაა არა მხოლოდ ის, რომ მოსწავლეები მასში ხალისიანად არიან ჩართული და მეტ აქტიურობას ამჟღავნებენ, არამედ ისიც, რომ ამ პირობებში მიღებული ცოდნა უფრო მტკიცეა და ახალ ამოცანათა გადაჭრისათვის მისი შემოქმედებითად გამოყენების მეტი მზაობაც იქმნება. სასწავლო მიზნით გამოყენებული სიუჟეტურ-როლებიანი თამაში მზადდება, როგორც მცირე სპექტაკლი და ატარებს თეატრალიზებული წარმოდგენის სახეს. ამდენად იგი სისტემატურად ვერ იქნება გამოყენებული.

აუცილებელია, რომ თამაშით სწავლების მეთოდი, რომელიც თამაშის სხვა ნაირსახეობებსაც მოიცავს და ბავშვის უფრო მეტ ძალებს მოიყვანს აქტივობაში, სკოლაში უფრო ფართოდ დაინერგოს და ყოველდღიურ საქმედ გადაიქცეს. ამისათვის კი საჭიროა დ. უზნაძის თამაშის თეორიაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდეს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში შემავალი საკითხების სწავლებაში თამაშის ელემენტების გამოყენების კონკრეტული მეთოდიკები, რომელშიც კარგად იქნება გათვლილი შესასრულებელ აქტივობათა რომელი სახე ბავშვის რომელ ფუნქციათა აქტივაციის ტენდენციას დააკმაყოფილებს. მიგვაჩნია, რომ უცხოეთიდან იმპორტირებული მეთოდების ასეთი მოდიფიკაცია, აგრეთვე, უზნაძის ორიგინალური ფსიქოლოგიური კონცეფციის საფუძველზე სწავლების პრინციპულად ახალი ხერხების მონახვა, მეტად სასარგებლო იქნება სკოლაში სწავლების ახალი აქტიური მეთოდების დანერგვის საქმეში. ვფიქრობთ, უცხოეთშიც,

საიდანაც სწავლების ინტერაქტიური მეთოდები შემოვიღეთ, მათ შემქმნელებს დ. უზანძის თამაშის თეორია რომ ცოდნოდათ, მას აუცილებლად გამოიყენებდნენ საკუთარი მეთოდის გასამდიდრებლად და დასახვეწად.

**§ 13. დიმიტრი უზანძის სწავლის ცნების შინაარსისა და მოსწავლის განვითარებაში
პედაგოგიურად ორგანიზებული ფორმით მიმდინარე
სწავლება-სწავლის როლის შესახებ**

ადამიანის განვითარება, ფილოგენეზშიც და ონტოგენეზშიც, მის ქცევებს (ზოგადად საქმიანობას) უკავშირდება. ბავშვი ვითარდება იმის წყალობით, რომ თავის ფსიქო-ფიზიკურ ძალებს სათანდო ქცევათა განსახორციელებლად იყენებს. თავის მხრივ, ის თუ რომელ ქცევებს უფრო ეტანება ბავშვი ამა თუ იმ ასაკში და რა წარმატებებს აღწევს მათ შესრულებაში, გვიჩვენებს მისი რომელი ძალებია ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტივირებული და როგორია მათი განვითარების დონე მოცემულ ეტაპზე. ბავშვი (ზოგადად, მოზარდი ადამიანი), ყველა იმ ქცევაში ვითარდება, რასაც კი განახორციელებს, დაწყებული საკვების მიღებიდან და დამთავრებული უფროსთა შრომით საქმიანობაში მონაწილეობით, მაგრამ მისი განვითარებისათვის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც თამაშისა და სწავლის ქცევებია, მათი უამრავი კონკრეტული გამოვლინებითა და ნაირსახეობით. ამიტომაც, რომ განვითარებისა და განათლების დარგის ყველა თეორეტიკოსი, პირველ რიგში, ამ ქცევათა პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურ შესწავლა-დახასიათებაზე ამხვილებს ყურადღებას. ცხადია, ამ თემას ვერც დ. უზანძე აუვლიდა გვერდს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ძირითად და მისი განვითარების წამყვან ქცევას თამაში წარმოადგენს. მოსწავლესთან იმავე ფუნქციას სწავლა ასრულებს. ამდენად, სწავლის არსის წვდომა, მისი, როგორც ადამიანური ქცევის სპეციფიკური ფორმის ფსიქოლოგიური საფუძვლების გარკვევა, უზანძისათვის ისევე უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენს, როგორც თამაშის ბუნების გარკვევა, რაც წინა პარაგრაფში განვიხილეთ. ამ მიმართულებით, მის წინაშე, პირველ რიგში, თვითონ სწავლის ცნების დაზუსტების ამოცანა დგება, რადგან ეს სიტყვა მრავალი განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურ ლიტერატურაშიც და

ყოველდღიურ მეტყველებაშიც. ეს უკანასკნელი “ამ ცნებას (სწავლას ს.ფ.) ბავშვის მიმართ მისი დაბადების პირველი დღეებიდანვე მიმართავს და მისი წინსვლის არა ერთი მომენტის აღსანიშნავად იყენებს” [36. გვ. 352]. ამბობენ, მაგალითად, რომ ბავშვმა ისწავლა სიარული, ლაპარაკი და სხვ. მაგრამ, ამ შემთხვევებში, სახეზეა მხოლოდ დასწავლის ეფექტი და არა სწავლის დამოუკიდებელი ქცევა.

რაც შეეხება მეცნიერულ ფსიქოლოგიას, მისთვის სწავლის არსის განსაზღვრა, ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას. “ყველაზე უფრო მწვავედ ეს საკითხი ამერიკულ ფსიქოლოგიაში დგას; და ცნობილია მთელი რიგი თეორიებისა, რომელნიც ამ საკითხის გადაწყვეტის ცდას იძლევიან. საინტერესოა, რომ სწავლის თეორიული შინაარსის ნათელსაყოფად იმდენად ადამიანის სწავლის შემთხვევათა ექსპერიმენტულ ანალიზს არ ეყრდნობიან, რამდენადაც ცხოველისას, და სწავლის პრობლემის გადაჭრას ამ გზით ცდილობენ. ამიტომ გასაგებია, რომ სწავლის თეორიებიდან დღემდე სწორედ პირობითი რეფლექსებისა და ე.წ. ცდისა და შეცდომის თეორიებია განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული” [36. გვ. 352].

ავტორის აზრით, ეს მდგომარეობა იმიტია გამოწვეული, რომ არის პროცესები, რომლებიც, გარგანი დაკვირვებით, ზოგჯერ იმავე ეფექტს იძლევიან, რასაც ადამიანის შემთხვევაში სწავლა იძლევა, თუმცა ეს პროცესები და ადამიანის სწავლა, თავისი არსით, ერთიმეორისაგან ძირეულად განსხვავებული მოვლენებია. სწავლის მთავარი ეფექტია ინდივიდის მიერ ახალი ცოდნა-ჩვევების შეძენა და მისი ცალკეული უნარების განვითარება, ამ ეფექტის მიღება კი სხვა ქცევების გზითაც შეიძლება. წინა პარაგრაფში დეტალურად განვიხილეთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა მდიდარ გამოცდილებას იძენს და როგორ ვითარდება ბავშვი თამაშში, მაგრამ ამის გამო თამაშს სწავლასთან ვერ გავაიგივებთ.

სწავლად მხოლოდ ისეთი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს, სადაც სუბიექტს აღნიშნული ეფექტების მიღება (ცოდნა-ჩვევების შეძენა და ძალების განვითარება) მიზნად აქვს დასახული. ასეთი მიზნის შეგნებულად დასახვა და მისი რეალიზაციისათვის საჭირო შემეცნებითი აქტივობის განხორციელება კი მხოლოდ ადამიანს შეუძლია და ისიც მაშინ, თუ იგი ფსიქიკური განვითარების ისეთ დონეზე

იმყოფება, რომ საკუთარი აქტივობის ნებელობით მართვას ახერხებს. “მოსწავლე მხოლოდ ასეთი ქცევის სუბიექტს შეიძლება ეწოდოს. ამ გაგებით, ცხოველი და პატარა ბავშვი, რომლებიც დრესურისა თუ თამაშის პირობებში ბევრ რაიმეს ეუფლებიან და ვითარდებიან, მოსწავლე სუბიექტს არ წარმოადგენენ” [28. გვ. 129]. მოსწავლის სწავლა, როგორც მისი მიზანდასახული საქმიანობა, უმეტეს შემთხვევებში, **სწავლებითი** ხასიათის მქონეა. ამდენად, იგი აუცილებლად გულისხმობს ორ ისეთ კომპონენტს, რომლებიც მას არსებითად განასხვავებს მისი მსგავსი ეფექტების მომცემი სხვა ქცევებისაგან. სწავლებითი სწავლის ეს კომპონენტებია: **სასწავლო მასალა**, რომელიც პედაგოგიურად ორგანიზებული სოციალური გარემოს მიერ არის შერჩეული და **მასწავლებელი**, რომელიც ამ მასალას, სათანადო გზებისა და ხერხების (სწავლების მეთოდების) გამოყენებით, აწვდის მოსწავლეს⁵.

ასეთნაირად ორგანიზებული სწავლება-სწავლის ნაყოფიერება კანონზომიერადაა დამოკიდებული სრულიად გარკვეულ წინაპირობაზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ გარე პირობა (ამ შემთხვევაში სასწავლო მასალა და მისი მიწოდების ფორმა), მხოლოდ მაშინ აისახება მოსწავლის განვითარებაში, თუ იგი ბუნებრივად მოვა ურთიერთობაში ბავშვის განვითარებად ძალებსა და უნარებთან. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია საგანგებოდ განვიხილოთ უზნაძის მიერ შემოტანილი “**ასაკობრივი გარემოს**” ცნება, რადგან ორგანიზებული სწავლება, სწორედ მოსწავლის ასაკობრივი გარემოს ძირითადი კომპონენტია. ასაკობრივ გარემოს ავტორი აღმზრდელთა მიერ ბავშვისათვის საგანგებოდ შექმნილი პირობების კომლექსს უწოდებს. სოციალური წრე, რომელიც ბავშვის ზრდა-განვითარებაზე ზრუნავს, ცდილობს მას ისეთი პირობები შეუქმნას, როგორც მის განვითარებად ძალებს შეესაბამება. უზნაძის აზრით, სწორედ ასაკობრივი გარემოს შინაარსი გვიჩვენებს ბავშვის განვითარების დონეს, იმას, თუ განვითარების რა საფეხურზე დგას ბავშვი მოცემულ ასაკში, რადგან იგი ბავშვის ქცევებში, ე.ი. გარემოსთან მისი აქტიური მიმართების ფორმებში აისახება [40. გვ. 21-28].

⁵ მოსწავლის მიერ საგანგებოდ შერჩეული და პედაგოგიურად ორგანიზებული ფორმით მიწოდებული მასალის შეწავლას, რაც, ძირითადად, მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხორციელდება, სწავლებითი სწავლა ეწოდება [70. გვ. 4].

საქმე ისაა, რომ ასაკობრივი გარემო არ ემთხვევა ბავშვის ობიექტურ გარემოს. ამ უკანასკნელიდან ასაკობრივ გარემოში მხოლოდ ის შედის და ისე შედის, რაც და როგორც ბავშვის შინაგან ძალებსა და ტენდენციებს შეესაბამება. მაგალითად, უფროსისაგან მოყოლილი ზღაპარი ძაღზე საინტერესოა სკოლამდელისათვის, ნაკლებად საინტერესოა (ან სულ არაა საინტერესო) მოსწავლისათვის და საერთოდ არ არსებობს ჩვილისათვის. ეს დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზღაპრის მოსმენასთან დაკავშირებული ძალები განვითარების პროცესში, სწორედ, სკოლამდელ ასაკში ერთვებიან. როდესაც სოციალური წრის მიერ შერჩეული რომელიმე პირობა ბავშვის განვითარების ასაკობრივ ტენდენციებს არ შეესაბამება, იგი მისი ასაკობრივი გარემოს გარეთ რჩება და, უკეთეს შემთხვევაში, განვითარებაში არავითარ როლს არ ასრულებს. არის უარესი ვარიანტიც, როდესაც შეუფერებელი გარემო, პირიქით, აფერხებს ბავშვის განვითარებას.

ასე ხდება სწავლების შემთხვევაშიც: თუ სასწავლო მასალა და მისი მიწოდების ფორმა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ან აღემატება ბავშვის ძალებს, იგი ვერ შევა მის ასაკობრივ გარემოში და ვერ უზრუნველყოფს მის განვითარებას. “განვითარება შინაგან შესაძლებლობათა და მათთვის შესატყვისი გარეგანის პირამიდის შეხვედრის ნიადაგზე წარმოებს. თუ შინაგანს შესატყვისი გარეგანი არ აქვს, მისი აქტივაცია და, მაშასადამე, განვითარებაც, შეუძლებელი ხდება. განვითარება მხოლოდ ორივე ამ მომენტის შეხვედრის შედეგად იჩენს თავს. მაშასადამე, სანამ შინაგანს მისი შესატყვისი გარეპირობა არ აქვს, სანამ იგი მასთან შეხვედრის ნიადაგზე არ ამოქმედებულა, მანამ მისი განვითარების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. სწავლის შემთხვევაში ეს ზოგადი დებულება ასეთ სახეს იღებს: როდესაც მოწაფეს განსაზღვრულ სასწავლო მასალას აწოდებენ, ეს იმიტომ ხდება, რომ უიმისოდ მისი განვითარების ტენდენციის მქონე ძალები ვერ ამოქმედდებოდნენ, და, მაშასადამე, განვითარების მოცემულ დონეზე განაგრძობდნენ არსებობას” [36. გვ. 353].

თეორია შინაგანისა და გარეგანის ასეთი კანონზომიერი შეხვედრის შესახებ, რაც განვითარებაში ორივე რიგის ფაქტორთა ერთობლივი მონაწილეობის ფაქტის ორიგინალურ ახსნას იძლევა, უზნაძემ ჯერ კიდევ თავის პედოლოგიის სახელმძღვანელოში წამოაყენა, კონციდენციის თეორიის სახით. ამ თეორიის

თანახმად, ინდივიდის აქტივობისა და განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები ერთიანი გაუნაწევრებელი მთლიანობის დიფრენციაციით მიღებული კომპონენტებია და ერთმანეთს ბუნებრივად შეესატყვისებინ. ამდენად, “შინაგანის ცნება უკვე შეიცავს თავის შინაარსში იმას, რასაც გარეგანად თვლიან, და პირიქით, გარეგანი იმას, რასაც შინაგანად თვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცნებათა შინაარსის ურთიერთისაგან გამოთიშვა სრულიად მოუხერხებელია, და მაშასადამე, ჩვენს წინაშე შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის, ცნებათა კონცინდენციის, ერთიანობის ფაქტი დგას” [43. გვ. 51].

სწავლებაც, თუ იგი ბავშვის შინაგან ტენდენციებს არ შეესაბამება, დარჩება მხოლოდ გარეგან მოცემულობად, ანუ ობიექტურ პირობად, და ვერავითარ როლს ვერ შეასრულებს ბავშვის განვითარებაში. ეს შესაბამისობა კი, უზნადის თანახმად, იმაში გამოიხატება, რომ სასწავლო მასალა და მისი მიწოდების ფორმა არც მთლიანად ისეთი უნდა იყოს, რომ ბავშვის განვითარების უკვე მიღწეულ დონეს შეეფერებოდეს და არც ისე იყოს მისგან დაშორებული, რომ ბავშვი მას საერთოდ ვერ შეწვდეს. მასწავლებლის ფუნქცია სწორედ ისაა, რომ ის, რაც მიუწვდომელია ბავშვისათვის დამოუკიდებლად, მისაწვდომი გახადოს მისთვის ახსნის გზით.

მაშასადამე, სასწავლო მასალა “ერთი მხრივ, უთუოდ შესაფერისი უნდა იყოს მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, იგი დაშორებულიც უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. იგი რომ მხოლოდ შესატყვისი იყოს განვითარების აქტუალური დონისათვის, როგორღა იქნებოდა შესაძლებელი წინსვლისა და უფრო მაღალ დონეზე ამაღლების პირობა გამხდარიყო. მიზანშეწონილი სასწავლო მასალა, მაშასადამე, ყოველთვის ისეთია, რომ მისი მოთხოვნილებები მოწაფის განვითარების აქტუალურ დონეზე უფრო მაღლა დგას. მაგრამ, რადგანაც, მეორე მხრივ, განვითარების პირობად იგი მხოლოდ იმდენად ჩაითვლება, რამდენადაც ერთგვარად ამ აქტუალურ დონეს შეესატყვისება, აუცილებელი ხდება მასწავლებლის ჩარევა, რომელიც სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს – ახალ მასალას იგი ისე აწოდებს მოწაფეს, რომ იგი მისთვის მისაწვდომი გახდეს: იგი “ხსნის” მას. ახსნა კი უცნობის ნაცნობზე, ახლის ძველზე

დაყვანასა და სწორედ ამით ნაცნობისა და ძველის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას ნიშნავს” [36. გვ. 354].

შესასწავლი საგანი თუ მოვლენა მოსწავლისათვის ახსნის გარეშეც არსებობს. იგი ჩვეულებრივად აღიქვამს მას. მაგრამ მასწავლებლის შუამავლობა შესამეცნებელ საგანს (სასწავლო მასალას) და შემეცნებელ სუბიექტს (მოსწავლეს) შორის საჭიროა იმისათვის, რომ მოსწავლემ ეს საგანი საგანგებო დაკვირვება-შესწავლის ობიექტად აქციოს და მისი ისეთი ნიშან-თვისებები გააცნობიეროს, რომელსაც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა. საგანზე ცნობიერების შეჩერებას და საგანგებო შესწავლის ობიექტად მის გადაქცევას უზნაძე **ობიექტივაციას** უწოდებს. ადამიანის შემეცნებითი საქმიანობა, მისი ცნობიერების მუშაობა, თავიდან ბოლომდე ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს. ჩვეულებრივ პირობებში ობიექტივაცია ხდება პრაქტიკულ საქმიანობაში წამოჭრილი თეორიული პრობლემების გადასჭრელად [44; 164]. ასევე, ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს სინამდვილის მეცნიერული შესწავლა. მაგრამ ესაა შემეცნების რთული და გრძელი გზა. სწავლება (ახსნა) იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მოსწავლემ შემოკლებულად და ადვილად გაიაროს ეს გზა და დაეუფლოს კაცობრიობის მიერ დაგროვებულ მეცნიერულ ცოდნას.

სწავლებითი სწავლის შედეგად მოსწავლე მეცნიერულ ცნებებს ეუფლება, რასაც უამისოდ ვერ შეძლებდა. “მაგრამ თუ სწავლის აზრი ცნებითი აზროვნების განვითარებაში მდგომარეობს, თუ რაიმეს სწავლა, არსებითად, ცნებათა დაუფლების ნიადაგზე ხდება, მაშინ თითქოს არავითარი უფლება არ უნდა გვქონდეს იქაც სწავლის შესახებ ვილაპარაკოთ, სადაც საკითხი არა ადამიანს, არამედ ცხოველს ეხება” [36. გვ. 359]. ამის გამოა, რომ უზნაძისათვის კატეგორიულად მიუღებელია ბიჰევიორისტულ და პირობით-რეფლექსურ პრინციპებზე აგებული სწავლის თეორიები, რომლებიც ძალზე პოპულარული იყვნენ უზნაძის ხანაში. მეტიც, განათლების დარგის ბევრი წარმომადგენელი სწავლება-სწავლის თეორიულ საკითხებს დღესაც ამ თეორიების (რეფლექსოლოგიისა და ბიჰევიორიზმის) ნიადაგზე განიხილავს. უზნაძისათვის ეს თეორიები პრინციპულად მიუღებელია, რადგან ისეთ ფაქტობრივ მასალას ეყრდნობიან, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს იმ

სწავლებით სწავლასთან, რაც სკოლებში ხორციელდება. ექსპერიმენტებში, რომლებიც აღნიშნულ თეორიათა ემპირიულ ბაზას წარმოადგენენ, ცხოველი იძენს მიზანშეწონილი ქცევის უნარს (ეუფლება, მაგალითად, ლაბირინთიდან გამოსასვლელ გზას) არა იმის გამო, რომ ამის შესწავლა უნდა, არამედ სულ სხვა საჭიროებასთან დაკავშირებით. ობიექტივაციასა და საგნის შესახებ მეცნიერული ცოდნის მოპოვების პროცესზე აქ ლაპარაკი შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, უზნაძეს მიაჩნია, რომ სიტყვა სწავლის ყველა იმ მნიშვნელობიდან, რომელიც კი მეცნიერულ ლიტერატურაში და ყოველდღიურ მეტყველებაში გამოიყენება, სწორი და მეცნიერულად მისაღებია მხოლოდ ის, რომელიც აღნიშნავს არა მის პროდუქტს ან შედეგს, არამედ საკუთრივ სუბიექტის მიერ განხორციელებულ აქტივობას ამ შედეგის მისაღებად. მისი სიტყვებით, “ეს ტერმინი (სწავლა ს.ფ.) უფრო ქცევის ფორმის, ვიდრე მისი შედეგის–ახალი ჩვევებისა და ცოდნის – აღსანიშნავად უნდა იქნას გამოყენებული, სახელდობრ ქცევის იმ ფორმისა, რომელიც საგანგებოდ ახალი ჩვევებისა და ახალი ცოდნის დაუფლების მოთხოვნილებებს ემსახურება” [36. გვ. 362].

უზნაძის განმარტებით, როგორც ვნახეთ, სწავლა არის ადამიანური ქცევის ფორმა, რომლის სუბიექტსაც შეგნებულად აქვს დასახული საგანგებო მიზანი, – ცოდნისა და ჩვევების ახალი სტრუქტურების ათვისება და სათანადო ფსიქიკური და ფიზიკური უნარების (ძალების, ფუნქციების) განვითარება. ადამიანი, ცხადია, მხოლოდ სწავლით არაა დაკავებული. მის ქცევათა პალიტრა ფრიად მრავალფეროვანია და მასში სწავლას სრულიად გარკვეული ადგილი უჭირავს. უზნაძემ საგანგებოდ განიხილა ქცევის ადამიანური ფორმები და მოგვცა მათი მეცნიერული კლასიფიკაცია, სადაც ყოველ ქცევას, მისი არსის გათვალისწინებით, სათანადო ადგილი მიუჩინა. სწავლის ფსიქოლოგიური ბუნების უზნაძისეული დახასიათების განხილვის შემდეგ საჭიროა, საგანგებოდ განვიხილოთ ქცევის ფორმათა უზნაძისეული კლასიფიკაცია და ვნახოთ, რა ადგილი უჭირავს სწავლას ზოგადად ადამიანურ ქცევათა სისტემაში.

სწორი და სრულყოფილი კლასიფიკაცია საკლასიფიკაციო მოვლენათა არსის მიხედვით უნდა მოხდეს. ზოგადად ქცევის არსებით ნიშანს, უზნაძის თანახმად, ის

გარემოება წარმოადგენს, რომ ყოველი ქცევა სუბიექტის გარკვეული მოთხოვნილების (ან მოთხოვნილებების) დაკმაყოფილებას ემსახურება. ამიტომ, ქცევის ფორმათა კლასიფიკაციას უზნაძე მათ საფუძვლად მდებარე მოთხოვნილებათა მიხედვით ახდენს. შესაბამისად, ქცევის ფორმათა კლასიფიკაცია მოთხოვნილებათა კლასიფიკაციიდან გამომდინარეობს.

მოთხოვნილების ცნების საყოველთაოდ გავრცელებული გაგების თანახმად, მოთხოვნილება გულისხმობს საგნობრივ დანაკლისს: სუბიექტს, მისი ნორმალური არსებობისათვის საჭირო ესა თუ საგანი (საკვები, ინფორმაცია, ესთეტიკური გარემო და სხვ.) მოაკლდა და იგი განიცდის მისი მოპოვების (დანაკლისის შევსების) მოთხოვნილებას. მოთხოვნილების ასეთი გაგებიდან გამომდინარე, მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია ხდება მათი დამაკმაყოფილებელი საგნების მიხედვით და ქცევების ერთიმეორისაგან განსხვავება და მათი ურთიერთობის ფორმათა განხილვა ამის შესაბამისად ხორციელდება. განასხვავებენ, მაგალითად, ბიოლოგიურ და სულიერ მოთხოვნილებებს, დაბალ და მაღალ მოთხოვნილებებს.

უზნაძის აზრით, ადამიანის მოთხოვნილებათა სფერო არ ამოიწურება მხოლოდ საგნობრივი ინტენციის მქონე ტენდენციებით. საგნობრივ საჭიროებაზე მიმართულობა მოთხოვნილებათა მხოლოდ ერთ ნაწილს ახასიათებს. მაგრამ სულიერი არსება, განსაკუთრებით კი ადამიანი, აქტიურია მაშინაც, როდესაც გარემოდან არაფრის მიღება არ ესაჭიროება და არავითარი საგნობრივი (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მიზნის მიღწევას არ ესწრაფვის. პირველ პარაგრაფში უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ თამაში, მაგალითად, განსაკუთრებით კი ბავშვის თამაში, არავითარი საგნობრივი საჭიროებით არაა აღძრული და არავითარ გარე მიზანზე არაა მიმართული. მაშასადამე, მას რომელიღაც ისეთი მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, რომელსაც საგნობრივი ინტენციის მქონედ ვერ მივიჩნევთ. ასეთად, როგორც ვნახეთ, უზნაძეს ფუნქციონალური ტენდენცია მიაჩნია.

საგნობრივი საჭიროების დაკმაყოფილებაზე მიმართულ მოთხოვნილებებს უზნაძე **სუბსტანციონალურ** მოთხოვნილებებს უწოდებს. ამ კლასში ერთიანდება ყველა ის მოთხოვნილება, რომლის დასაკმაყოფილებლადაც ობიექტურ გარემოში მოცემული რამე საგანია აუცილებელი. მოთხოვნილებათა მეორე კლასია

ფუნქციონალური მოთხოვნები, რომლებშიც საკუთრივ აქტივობის, შინაგანი ძალების, მათი ფუნქციის მიხედვით, ამოქმედების ტენდენციაა მოცემული. სუბსტანციონალური მოთხოვნები, მათი დამაკმაყოფილებელი საგნის მიხედვით, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ფუნქციონალური კი აქტივირებული ფუნქციების რაგვარობით.

ქცევებიც, უზნაძის თანხმად, პირველ რიგში იმით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან თუ მოთხოვნებათა რომელ კატეგორიაში შედის მათი აღმძვრელი მოთხოვნება, სუბსტანციონალურსა თუ ფუნქციონალურში. სუბსტანციონალური მოთხოვნებებით აღძრულ და ამ რიგის მოთხოვნებათა დაკმაყოფილებაზე მიმართულ ქცევებს უზნაძე ექსტეროგენურ (გარეგანი წარმოშობის) ქცევებს უწოდებს, ფუნქციონალური მოთხოვნებებით აღძრულ ქცევებს კი ინტროგენურ (შინაგანი წარმოშობის) ქცევებს.

სხვა მკვლევრები (ყოფილ საბჭოთა კავშირშიც და მის საზღვრებს გარეთაც) მხოლოდ გარეგანი წარმოშობის (უზნაძის ტერმინოლოგიით, ექსტეროგენურ) ქცევებს იცნობენ და ორგანიზმის სპონტანური აქტივობების ახსნასაც მის საზღვრებში ცდილობენ, რაც შეცდომათა წყარო ხდება. მაგალითად, რაკი ფუნქციონალური ტენდენციისა და მისით აღძრული ინტროგენური აქტივობის ბუნებას არ იცნობს, სპენსერი, როგორც ვნახეთ, ბავშვის თამაშს ჭარბი ენერგიისაგან განვირთვის საჭიროებით აღძრულ ქცევად მიიჩნევს. რაკი ენერგიისაგან განტვირთვის სწრაფვა სუბსტანციონალური მოთხოვნებაა, გამოდის, რომ თამაში, თავისი არსით, ისეთივე ბუნების ქცევა ყოფილა, როგორც, მაგალითად, სმა-ჭამა ან საკუთარი თავის მოვლაა, რაც, ცხადია, არავინ დაეთანხმება. ქცევათა კლასიფიკაციის უზნაძისეული მოდელი, საშუალებას იძლევა გავარკვიოთ, თუ რა იწვევს ინდივიდის სპონტანურ აქტივობებს, კერძოდ, თამაშს და სხვა მისი ბუნების მქონე ქცევებს.

უზნაძის მიხედვით, ადამიანური ქცევები, აღნიშნული კატეგორიების მიხედვით, ასე ჯგუფდება:

ა) ექსტროგენური ქცევები

- 1. მოხმარება.** ამ ქცევის შემთხვევაში მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგანი უკვე მოცემულია და საჭიროა მხოლოდ მისი მოხმარება. მოხმარებით ქცევასთან გვაქვს, მაგალითად, საქმე, როდესაც ადამიანი წყურვილის მოსაკლავად წყალს, ან სხვა რაიმე სასმელს მოიხმარს.
- 2. მომსახურება.** ამ ქცევის შემთხვევაშიც ამა თუ იმ საგნის მოხმარებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამისათვის საჭიროა გარკვეული დამხმარე მოქმედებების შესრულება. თუ, მაგალითად, წყურვილის დაკმაყოფილება ლიმონათით მიიწინააღმდეგება, ლიმონათის საყიდლად მაღაზიაში წასვლა მომსახურებითი ქცევა იქნება. განასხვავებენ თვითმომსახურებას და სხვათა მომსახურებას.
- 3. მოვლა.** აქაც ფაქტობრივად მოხმარებითი აქტივობა ხორციელდება, მაგრამ საქმე ეხება არა ისეთ სასიცოცხლოდ აუცილებელ აქტივობებს, როგორც საკვებისა და სასმელის მიღება, ან სხვა გადაუდებელი ბიოლოგიური საჭიროების დაკმაყოფილებაა, არამედ ისეთს, რომლებიც ორგანიზმისათვის შედარებით პერიფერიულია, მაგ., დაბანა, ჩაცმა-დახურვა და სხვ. აქაც ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ საკუთარი თავის მოვლა და სხვების მოვლა.
- 4. ცნობისმოყვარეობა.** სინამდვილის შემეცნების მოთხოვნილებით აღძრული ქცევაა და შემეცნების (ახლის ნახვის, გაგების) პროცესებში ვლინდება.
- 5. საქმე.** იგი უკავშირდება სხვა ქცევებისათვის სამზადისს, როცა ისინი უშუალოდ ვერ დაიწყებიან. მაგ., სახლობანას თამაშისათვის ბავშვი იმარაგებს სკამებს, სათამაშოებს და სხვ.
- 6. შრომა.** ესაა ობიექტური ღირებულების მქონე პროდუქტის შექმნისათვის გამიზნული ქცევა. შრომის შედეგებს აქვს საზოგადოებრივი და არა მხოლოდ სუბიექტური მნიშვნელობა (როგორც ეს ხდება მოხმარების, ან ცნობისმოყვარეობის შემთხვევებში). ექსტროგენურ ქცევებს შორის შრომა ყველაზე ძირითადია, რადგან ადამიანური ყოფიერების არსს სწორედ იგი გამოხატავს. სხვა ამ რიგის ქცევები სხვა სულიერ არსებებსაც ახასიათებთ, შრომის სუბიექტი კი მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს.

ბ) ინტროგენური ქცევები

1. **გართობა.** ადამიანი ერთობა, როდესაც რაიმე სერიოზული საქმით არაა დაკავებული და თავის ფუნქციონალურ ტენდენციებს თავისუფალი გამოვლენის საშუალებას აძლევს (მღერის, ცეკვავს, თამშობს, სეირნობს და სხვ.).
2. **სპორტი.** აქაც ქცევის მიზანია არა რაიმე ობიექტის დაუფლება, არამედ თვითონ აქტივობა, გარკვეულ მოძრაობათა კომპლექსი. ამასთანავე სპორტსმენი მიზნად ისახავს ამ მოძრაობათა გაუმჯობესებას და რაც შეიძლება უკეთ შესრულებას.
3. **შემოქმედება.** შემოქმედება გარეგნულად შრომას ჰგავს, რადგან აქაც ობიექტური ღირებულების მქონე პროდუქტი იქმნება მხატვრული ნაწარმოების სახით, მაგრამ შინაარსით იგი ინტროგენური ქცევაა, რადგან შინაგანი ძალების ამოქმედების და თვითგამოხატვის მოთხოვნილებებიდან იღებს სათავეს.
4. **თამაში.** ინტროგენური ქცევის სუფთა ნაირსახეობას ბავშვის თამაში წარმოადგენს, რადგან მისი სუბიექტი (ბავშვი), სპორტისა და შემოქმედების, ან აზარტული თამაშების სუბიექტისაგან განსხვავებით, საერთოდ არაფრის მიღწევას არ ისახავს მიზნად. მისი მიზანი არის თვითონ თამაში, ის პროცესი, რომელშიც იგი ახდენს საკუთარი ფსიქო-ფიზიკური ფუნქციების თავისუფალ ფუნქციონირებას და სულ უფრო და უფრო თანაზომიერსა და გამართულს ხდის მას. თამაში, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ქცევის გენერალური ფორმაა, რადგან ყოველგვარი ადამიანური ქცევის გათამაშებაა შესაძლებელი.

უზნაძეს მიაჩნია, რომ სწავლა ვერ იქნება შეტანილი ვერც ერთ ამ ჯგუფში, რადგან შეუძლებელია იგი ერთმნიშვნელოვნად ექსტროგენურ ან ინტროგენურ ქცევად იქნას მიჩნეული. მას ორივე ამ კატეგორიის ქცევის ნიშნები აქვს. მართლაც, როგორც წინა პარაგრაფში ვნახეთ, სწავლა დამოკიდებულია შინაგანი ძალების განვითარების მდგომარეობაზე, ემყარება მათი ამოქმედების ფუნქციონალურ ტენდენციას და იწვევს მათ შემდგომ განვითარებას. ამ ნიშნით, სწავლა თავიდან ბოლომდე თამაშის ბუნებას იზიარებს. მაგრამ, სწავლის სუბიექტს, თამაშის სუბიექტისაგან განსხვავებით, სრულიად გარკვეული მიზანი აქვს მისაღწევი. მან აუცილებლად ობიექტური ღირებულების მქონე პროდუქტი უნდა შექმნას, შეძენილი

ცოდნა-ჩვევებისა და განვითარებული უნარების სახით. ამ ნიშნით, სწავლა ყოველმხრივ ექსტეროგენური ქცევის, კერძოდ, შრომის ბუნებას იზიარებს.

უზნადის თანახმად, სწავლა კვალიფიცირებული უნდა იქნეს, “როგორც ინტროგენურსა და ექსტეროგენურს, კერძოდ თამაშსა და შრომას შორის გარდამავალი ქცევა. სწავლის ფსიქოლოგიურ შინაარსში ადამიანური საქმიანობის ამ ორი ფორმის (თამაშისა და შრომის) შინაგანი სტრუქტურაა გაერთიანებული. მოსწავლის განვითარებადი ფსიქო-ფიზიკური ფუნქციების ამოქმედების ტენდენცია, რაც თავის როლს ასრულებს კონკრეტული სასწავლო ქცევების აღძვრასა და წარმართვაში, სწავლას თამაშის ბუნებას აძლევს, შედეგის მიღებაზე ორიენტაცია კი მას შრომის ხასიათსაც ანიჭებს” [28. გვ. 135].

თამაში და შრომა, არა მხოლოდ ინტროგენურობა-ექსტეროგენურობის ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ იმპულსურობა-ნებისმიერობის ნიშნითაც. თამაშს ბავშვი ეძლევა იმპულსურად, ისე, რომ მას ამისათვის ნებისყოფის მოკრება არ ესაჭიროება. შრომაში ნებისყოფის ძალის მონაწილეობა აუცილებელია. სწავლის გარდამავალ ქცევად დახასიათება იმას ნიშნავს, რომ ნამდვილ სწავლასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მისი ორგანიზაციის საქმეში ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა იმპულსიცაა ჩართული და ნებისყოფაც.

ეს კი სწავლის მოტივაციაზეა დამოკიდებული: სწავლის დროს მოსწავლე, პირველ რიგში, მისაღწევი შედეგის ობიექტურ ღირებულებას ითვალისწინებს და ამითაა მოტივირებული. მაგრამ თუ სწავლის მოტივაციაში მხოლოდ ეს კომპონენტია მოცემული, ასეთი სწავლა მხოლოდ ნებისმიერი და ექსტეროგენური ქცევად უნდა ჩაითვალოს და ფაქტიურად სწავლის გარეგან ფორმაში მიმდინარე შრომად უნდა იქნას მიჩნეული. სწავლაში, როგორც ითქვა, განვითარებაში მყოფი ძალების ფუნქციონის ტენდენციაც კმაყოფილდება, მაგრამ თუ სწავლა მოტივაციის მხოლოდ ამ კომპონენტს ემყარება, მაშინ იგი მხოლოდ იმპულსურ და ინტროგენურ ქცევად წარმოსდგება და სწავლის გარეგან ფორმაში მიმდინარე თამაში იქნება.

ნამდვილ სწავლასთან, ე.ი. სწავლის დამოუკიდებელ ქცევასთან და არა სხვა კატეგორიის ქცევის შინაარსის მქონე სასწავლო აქტივობასთან, მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მისი ორგანიზაციის საქმეში მოტივაციის ორივე ეს კომპონენტი

(თამაშისა და შრომის მოტივები) არის ჩართული. ამრიგად, სწავლის იმ დახასიათებიდან გამომდინარე, რასაც უზნაძე იძლევა, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლებში სწავლება-სწავლის პროცესი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მოსწავლე სათანადო შედეგის მიღწევაზე იყოს ორიენტირებული, როგორც ეს შრომაში ხდება და ამ პროცესით აქტივირებულ ფუნქციონალურ ტენდენციებასაც იკმაყოფილებდეს, რაც მას სიამოვნებას მიანიჭებს, როგორც ეს თამაშში ხდება. მოსწავლის ფსიქო-ფიზიკურ ძალთა განვითარების წარმართველი ფაქტორის როლის შესრულება მხოლოდ ასეთ სწავლება-სწავლას შეუძლია.

§ 14. მშობელთა პედაგოგიური აღზრდის საკითხები

აღმზრდელობითი მუშაობისათვის არ კმარა მხოლოდ პედაგოგიკური ცოდნით აღჭურვა. აუცილებელია ისეთი პედაგოგიური სიტუაციის წარმოქმნა, როცა აღსაზრდელი შინაგანად იქნება განწყობილი იმისათვის, რომ აღზარდონ.

დღეისათვის, ჩვენი აზრით, უფრო მძიმე მდგომარეობაშია მშობელთა პედაგოგიკური განათლების საკითხი. მათ არაააქვთ მიღებული სპეციალური პედაგოგიკური განათლება. ჰყავთ შვილები და საჭიროა მათი სწორად აღზრდა.

მშობელთა პედაგოგიკური განათლების საკითხებს ეხება დიმიტრი უზნაძე ნაშრომში-„მშობელთა პედაგოგიკური განათლების ორგანიზაცია“. დიდი ფსიქოლოგის შეხედულებით, ოჯახი ბავშვთა აღზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ბავშვის სწავლაზე ზრუნვა სკოლის ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ეს სრულად არ ათავისუფლებს ოჯახს სასკოლო ასაკის ბავშვის აღზრდაზე ზრუნვისაგან. რადგან ბავშვი მარტო სკოლაში არ სწავლობს, მას სახლშიც ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. იგი ოჯახში აქტივობის სხვა ფორმებსაც ახორციელებს, ხშირად ძლიერ მნიშვნელოვანს და, პედაგოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებით პასუხსაგებს. ერთი სიტყვით, ოჯახი ვალდებულია შეასრულოს თავისი პედაგოგიური მოვალეობა.

დიმიტრი უზნაძე იქვე აყენებს პრობლემას: როგორ უნდა შეასრულოს მშობელმა თავისი პედაგოგიური მოვალეობა? შესწევს მშობელს ძალა და ცოდნა იმ აღმზრდელობითი ამოცანების გადასწყვეტად, რომელსაც მას მდგომარეობა ავალებს?

აანალიზებს რა აღნიშნულ პრობლემას, დიდი პედაგოგი იქვე სცემს პასუხს დასმულ პრობლემაზე და ასკვნის: 1. მშობელი ეფუძნება აღზრდის პროცესში საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციებს; 2. მშობელს მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნა არ გააჩნია; 3. პედაგოგიკურ განათლებას მხოლოდ მასწავლებლები იღებენ და ეს მომზადება მხოლოდ სასკოლო აღზრდისა და სწავლების საკითხებს ეხება და ისინიც არ იღებენ იმ განათლებას, რომელიც საჭიროა ოჯახში აღზრდის წინაშე დაყენებული პრობლემების გადასაჭრელად. პედაგოგიკისა და აღზრდის პრაქტიკის ასეთი მდგომარეობა დიმიტრი უზნაძეს მიუღებლად მიაჩნია და სვამს საკითხს მშობელთა პედაგოგიური მომზადების საკითხთან დაკავშირებით.

იგი მშობელთა პედაგოგიკური განათლების აუცილებლობას სკოლის ამოცანებთან ოჯახის აუცილებელ კავშირში ხედავს. მოზარდმა ცოდნა უნდა შეიძინოს. ცოდნას სკოლაში იძენს, მაგრამ დასწავლა ოჯახში მიმდინარეობს.

დიმიტრი უზნაძის აზრით, სასკოლო დიდაქტიკა მოსწავლეს არ ასწავლის, თუ როგორ უნდა ისწავლოს. სკოლამ მოსწავლეს უნდა ასწავლოს სწავლაც, ხოლო მოსწავლის საშინაო მუშაობისადმი ხელმძღვანელობა უნდა იკისროს ოჯახმა, რომელსაც საშინაო დავალებათა შესრულების მეთოდების რაციონალიზაციისა და, საზოგადოდ, სისტემატური რაციონალური სწავლის ჩვევების შემუშავებაში გადამწყვეტი როლი შეუძლია შეასრულოს. ამიტომ მშობელი უნდა დაეუფლოს პედაგოგიური განათლების ელემენტარულ საქმეს.

დიდი ფსიქოლოგის აზრით, მოზარდს სჭირდება პედაგოგიური ხელმძღვანელობა ყველაფერში, რაც მის ფიზიკურ და სულიერ აღზრდასთან არის დაკავშირებული.

აღზრდის განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საკითხად დიმიტრი უზნაძე ოჯახსა და სკოლაში ზნეობრივი პიროვნების აღზრდას სახავს. მისი აზრით, ზნეობრივი აღზრდის საქმეში სკოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ოჯახს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. მოზარდი თაობის ხასიათის აღზრდაზე ზრუნვა არავის ისე არ შეუძლია და, მაშასადამე, არავის ისე არ ევალება, როგორც ოჯახს, – წერს აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე.

დიმიტრი უზნაძეს, სავსებით სწორად მიაჩნია სკოლისა და ოჯახის აუცილებელი კავშირი ბავშვისა და მოზარდის აღზრდაში.

იგი ფიქრობდა, რომ ყველა ტიპის და მიმართულების უმაღლესს სასწავლებლებს სასწავლო გეგმებში თავის ადგილს დაიჭერდა პედაგოგიკა და ფსიქოლოგიის ციკლის დისციპლინები – პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, რადგან „პედაგოგიური მომზადება არა მარტო მომავალ მასწავლებლებს უნდა მიეცეს, არამედ მომავალ აღმზრდელსაც ე.ი. ყოველ მოქალაქეს, როგორც მომავალ მშობელს“ (36. გვ. 428) გამოჩენილი პედაგოგი თვლიდა, რომ მშობელთა პედაგოგიური განათლების სისტემის შექმნა სახელმწიფოს მოვალეობაა და მას ადგილზე ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებების შტატის მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს (36. გვ. 429). აქვე იგი აყენებს საკითხს საქართველოში მშობელთა უნივერსიტეტების დაარსების საკითხს და მათთვის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებას. ხოლო იმ მშობლებისათვის ვინც ვერ მოახერხებდა მშობელთა უნივერსიტეტში სწავლას, დიმიტრი უზნაძე მათთვის ითვალისწინებდა ლექტორიუმებისა და კონსულტაციების შემოღებას, რომლებიც მშობელთა მასებისათვის ლექციებს მოაწყობდა მშობელთა აღმზრდელი მუშაობის განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებზე.

დიმიტრი უზნაძის მიერ დასახული დებულება მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხთან დაკავშირებით რეალობად აქცია მისმა მოსწავლემ პროფესორმა ანგია ბოჭორიშვილმა ქუთაისის პედაგოგიკურ ინსტიტუტში 1949 წელს მშობელთა უნივერსიტეტის დაარსების სახით. აღნიშნულმა უნივერსიტეტმა ოცდაათი წელი იარსება და მან დასავლეთ საქართველოში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მშობელთა პედაგოგიკური განათლების საქმეში.

მეოცე საუკუნის ბოლოს სხვადასხვა მიზეზის გამო გაუქმდა მშობელთა უნივერსიტეტები, ლექტორიუმები, საკონსულტაციო პუნქტები, საზოგადოება „ცოდნა“.

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა ქუთაისის საჯარო სკოლებსა და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში - რამდენად საჭირო არის მშობელთა პედაგოგიური განათლება. შევადგინეთ სპეციალური კითხვარი. გამოვიკითხეთ,

როგორც მშობლები, ისე მოსწავლეები და მასწავლებლები. კვლევაში განსაკუთრებით აქტიურად ჩაერთვნენ მოსწავლეთა მშობლები. გამოკითხული იქნა 500 მშობელი, 500 მასწავლებელი და 500 მოსწავლე. გამოკითხვამ ცხადყო რომ მშობელთა უმეტესობას გათავისებული არა აქვს მათი როლი ბავშვის სწავლებისა და აღზრდის პროცესში. მათ მიაჩნიათ, რომ ამისათვის სკოლა უნდა იდგეს სათანადო სიმაღლეზე. მაგრამ აქვე გამოთქვამდნენ სურვილს და მზადყოფნას სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართვისა. მაგრამ გამოიკვეთა, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი პედაგოგიური განათლება.

გავაანალიზეთ, რა კვლევის შედეგები შევხვდით მშობელთა და მასწავლებელთა გარკვეულ ჯგუფს და შევთავაზეთ ჩვენეული ხედვა, რომ მშობელი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული მასწავლებლებთან ერთად მოზარდის სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

შევიმუშავეთ სატრენინგო პროგრამა „მშობელთა პედაგოგიზაცია“, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: 1. საგანმანათლებლო სისტემებისა და ალტერნატივების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის; 2. მშობელთა ცნობიერების ამაღლება ინკლუზიური განათლების საკითხებზე; 3. იარლიყები და ტერმინები; 4. მშობელთა ტიპები; 5. მშობლის როლი სწავლება, სწავლის პროცესში; 6. მშობელთა თანამშრომლობა, აქტუალიზაცია და ინიციატივები; 7. მშობელთა უნივერსიტეტების და კლუბების მნიშვნელობა.

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობიდან გამომდინარე, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის პროცესში სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იფიქროს მშობელთა პედაგოგიური აღზრდის საქმის გაუმჯობესებაზე. კერძოდ, აღადგინოს უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდის თეორიის სწავლება, ხოლო სკოლებში მხოლოდ სწავლება კი არ უნდა მიმდინარეობდეს, არამედ აღმზრდელობითი მუშაობაც.

მიგვაჩნია, რომ დღესაც მისაღებია მშობელთა შორის პედაგოგიკური განათლების გავრცელების მდიდარი ტრადიციების აღდგენა და უზნაპისეული კონცეფციის დანერგვა.

თავი III. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური მემკვიდრეობის როლი თანამედროვე განათლების სისტემის განვითარებაში

§ 1. შეფასების სისტემა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში და თანამედროვეობა

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასება პედაგოგიური პროცესის უმნიშვნელოვანესი დამაგვირგვინებელი ეტაპია, რომლითაც მოწმდება არა მხოლოდ მოსწავლის მიერ ცოდნის შეძენისათვის გაწეული მუშაობა და სიბეჯითე, არამედ საგნის მასწავლებლის, სკოლის პედაგოგიური კოლექტივის შრომაც.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასება – შემოწმების სისტემა დიდი ხანია არის კამათისა და ექსპერიმენტების საგანი. ჯერ იყო და მხოლოდ ორი ნიშნის-„იცის“ და „არ იცის“ მიხედვით, ფასდებოდა მოსწავლის ცოდნა. შემდგომში 1944 წლამდე, გამოიყენებოდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სიტყვიერი სისტემა: „ფრიადი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“ და ა.შ. 1944 წლიდან ცოდნის შეფასებისათვის დაინერგა ციფრობრივი გამოხატულება - 5,4,3,2,1. ფიქრობდნენ, რომ ხუთბალიანი სისტემა უფრო კონკრეტულსა და გააზრებულს გახდიდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას.

დიმიტრი უზნაძემ მეოცე საუკუნის ათიან წლებში დიამეტრალურად სულ სხვაგვარად დასვა საკითხი ცოდნის-შემოწმება შეფასების პრინციპების განხორციელებისა. მან კატეგორიულად უარყო ყოველგვარი ნიშნით შეფასება. იგი შეეცადა დაემტკიცებინა უნიშნო შეფასების პედაგოგიური მიზანშეწონილობა. მისი აზრით, მთავარი იყო არა იმის აღნიშვნა და შეფასება რა იცის, მოსწავლემ, არამედ ის, თუ რა არ იცის მოსწავლემ კარგად. თუ მოსწავლემ იცის, რა არ იცის კარგად, იგი აუცილებლად მიაღწევს იმას, რა უნდა იცოდეს. ამიტომ, დიმიტრი უზნაძის აზრით, სკოლაში პირველ რიგში უნდა ბატონობდეს ცოდნის კულტი. ნამდვილი ცოდნის შეძენა უნდა იყოს მოსწავლის ღირსების საქმე. ამასთან მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა უნდა აიგოს არა მაღალ აკადემიურ მაჩვენებელზე, არამედ რეალური ცოდნით მოსწავლეთა აღჭურვაზე.

დიმიტრი უზნაძის შეხედულებით, სკოლაში ცოდნის შემოწმება შეფასების ნიშანი სუბიექტურ ხასიათს ატარებდა, რაც ხშირად მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის გაუგებრობის ურთიერთნდობის შესუსტების, უსიამოვნებისა და უკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მან „სინათლის“ სკოლაში დასვა პრობლემა მოსწავლე-მასწავლებლებს შორის სრული ნდობის ატმოსფეროს შექმნის შესახებ. წამოჭრა „ციფრების საშუალებით ცოდნის შეფასების პედაგოგიური ღირებულების“ საკითხიც. მისი აზრით, „ნიშანი, როგორც შედეგი შეფასებისა, ყოველთვის სუბიექტური ხასიათისაა და, როგორც ასეთი, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მუდამ გაუგებრობას ქმნის. და ესეც რომ არ იყოს, თვით შეფასება მასწავლებლის მიერ ხდება, რომელიც, როგორც საგნის მთლიანი ბუნებიდან, ისე ბავშვის მომავალი ინტერესებიდან ამოდის. ბავშვისათვის როგორც ერთი, ისე მეორე გაუგებარია და ამიტომ იგი უმეტეს შემთხვევაში უკმაყოფილო რჩება“ (64. გვ. 16).

დიმიტრი უზნაძემ გააუქმა თავის სასწავლებელში ცოდნის ნიშნებით შემოწმება- შეფასების სისტემა და, ამ მხრივ, მან სრულიად სხვა გზა აირჩია. „პედაგოგიური რჩევა იმ აზრს დაადგა, რომ საზოგადოდ, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, ყოველგვარი შეფასება, ციფრით იქნება იგი თუ სიტყვიერად, ხმარებიდან სულ განეძევა“ (64. გვ. 16).

ციფრობრივი შეფასების ნაცვლად მასწავლებლებს თავიანთ რვეულებში ჰქონდათ მასალის იმ ნაწილის დასაბუთება, რომელიც ამა თუ იმ მოსწავლემ არ იცოდა. სასწავლებლის გამგე პედაგოგიური საბჭოს სხდომების მსჯელობის შედეგად სკოლის ჟურნალში შეიტანდა საგულისხმო ცნობებს, რის შემდეგ, საჭიროების მიხედვით, სათანადო რჩევას აძლევდა, როგორც ბავშვებს, ისე მოსწავლეთა მშობლებს. წელიწადში ორჯერ სკოლა წერილობით ცნობებს უგზავნიდა ყველა მშობელს ბავშვის წარმატების მდგომარეობის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ შეფასების ასეთი სისტემის დანერგვა ართულებს მასწავლებლისა და სკოლის მუშაობას. მაგრამ მას თავისი დადებითი მხარეებიც გააჩნია, განსაკუთრებით, სუსტი მოწაფეების შემთხვევაში, რადგან მთელი

სასწავლებელი იმაზე ზრუნავს, რომ ბავშვს არ დარჩეს აუთვისებული მასალა, იმაზე ბჭობს, თუ როგორ შეავსოს ხარვეზი ბავშვის ცოდნაში.

სკოლის ანგარიშში დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, რომ „სინათლის სკოლამ წლის ბოლოსთვის დიდ შედეგს მიაღწია. სკოლის სუსტი კონტიგენტი საგრძნობლად გამოსწორდა“ (64. გვ. 17).

დიმიტრი უზნაძემ სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ შეძლო ცოდნის შეფასება-შემოწმების საკუთარი სისტემის განზოგადება და დანერგვა. ეს იდეა და მის მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები, ჩვენი აზრით, პროგრესული ხასიათის მაჩვენებელია. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ცოდნის სისტემური აღრიცხვა და ციფრობრივი მაჩვენებლები და მისი ობიექტური წარმოჩენა სასწავლო პროცესში, ნაკლოვანებათა გამოვლინება-გამოსწორების და წარმატებათა მიღწევის საშუალებას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი უზნაძე სამი წელიწადი მოღვაწეობდა „სინათლის“ სკოლაში, შემდგომში კი მან 33 წელიწადს იმოღვაწა ფსიქოლოგიურ ასპარეზზე, მაგრამ უნიშნო სწავლების უპირატესობის შესახებ და აკადემიური წარმატების ნიშანზე შეფასების წინააღმდეგ აზრი არსად არ გამოუთქვამს. უფრო მეტიც, 1920 წელს საქართველოში სასკოლო რეფორმის კომისიის თავმჯდომარე იყო, მაგრამ სკოლებში უნიშნოდ სწავლების საკითხი მას აქაც არ წამოუჭრია.

ამ პრობლემას, თანამედროვე დონეზე გადასაწყვეტად, აკად. დიმიტრი უზნაძის შემდეგ დიდი ყურადღება დაუთმო შალვა ამონაშვილმა, მაგრამ მასიური სკოლის პრაქტიკაში მაინც ვერ დაინერგა.

მასწავლებლის სამართლიანობას ცოდნის შეფასებაში აფასებენ თვით მოსწავლეებიც. თუ მასწავლებელი არაობიექტურად აფასებს მოსწავლის ცოდნას და მას ნაკლებნიჭიერად თვლის, აქრობს მოსწავლის სულში ადამიანური ღირსების შეგრძნებას, სიძნელეთა დამღევის მისწრაფებას.

მოთმინებით მიჰყავს რა მოსწავლე ცოდნიდან არ ცოდნისაკენ, მასწავლებელი ყურადღებით ადევნებს თვალს მის განვითარებას და სათანადოდ აჯილდოებს შრომისათვის. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში გვერდი ავუაროთ საბოლოო

შეფასებას და გადავიდეთ ატესტაციაზე იმის აღნიშვნით, თუ როგორ მონდომებას და დამოკიდებულებას გამოიჩინს მოსწავლე სასწავლო დავალებისაკენ.

შეფასების ნიშანს სათუთი შეხების წერტილები აქვს მოსწავლის შეგნებასა და გრძნობებთან. მას განიცდიან არა მარტო მოსწავლეები, არამედ მისი ამხანაგებიც, მშობლებიც. „ავითარებს თუ არა ნიშანი კოლექტივიზმისა და ამხანაგობის გრძნობებს, საკუთარ ღირსებასა და პასუხისმგებლობას, აღზრდაში თავდაჭერასა და თავისი თავის ფლობას, ამაგრებს თუ არა ნებისყოფას, ამაღლებს პასუხისმგებლობას შესრულებული სამუშაოსათვის? აღვიძებს თუ არა თავმოყვარეობას, სიამაყეს და სირცხვილს და საერთოდ აყალიბებს თუ არა ზნეობას?“ – სვამს კითხვას პროფესორი შალვა ამონაშვილი და პასუხობს: „ვფიქრობთ, რომ მართლზომიერი არ იქნება ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გავცეთ“ (1. გვ. 40).

„ცოდვა გამყდავნიებული სჯობს, – განაგრძობს შ. ამონაშვილი, შეფასების ნიშნის სოციალური მნიშვნელობის ძალამ და ნიშანზე შეფასების იმპერატიულობამ აიძულა მოსწავლეები შეექმნათ თავისი გასაიდუმლოებული საშუალებებები, რომ მიეღოთ სასურველი ნიშანი: ესაა გადაწერა, კარნახი, ზეპირობა, შპარგალკის გამოყენება, საშინაო დავალების რვეულების შეცვლა და ა.შ.“ (1. გვ. 20–21). ამრიგად, ნიშნით შეფასებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო სკოლებში უზნეო, ნეგატიური მოვლენის წარმოშობას. ამიტომ ბევრი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გამოვიდა ნიშნით შეფასების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, 1918 წლის მაისში განათლების სახალხო კომისარიატმა, მიიღო დადგენილება „ნიშნების გაუქმების შესახებ ცოდნის შეფასებაში“ (3. გვ. 96). მაგრამ შემდგომ წლებში ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ასეთი ზომების გატარება ნაადრევი იყო. შეიძლება ვთქვათ, რომ ნიშნით შეფასებას, რომელიც გარკვეულ მასტიმულირებელ როლს ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში, არ ამოუწურავს თავისი პოტენციური შესაძლებლობანი.

იმისათვის, რომ ამაღლდეს ნიშნის ფუნქცია და არ წარმოშვას ნეგატიური მოვლენები, ჩვენი აზრით, საჭიროა მასწავლებელთა პროფესიული და ზნეობრივი მომზადების დონის ამაღლება, სკოლის ცხოვრების დემოკრატიზაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობის ფართო დანერგვა, მათი შეფასებისა და გამოცდებისათვის ფართო საჯაროობის მინიჭება, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების ფორმებისა

და მეთოდების დახვეწა, შეფასების ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენება. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ნიშნით შეფასება კი არ უნდა გავაუქმოთ, არამედ სრულვყოთ, ავამაღლოთ მისი საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და განმავითარებელი ფუნქცია.

თანამედროვე სკოლები მუშაობენ შეფასების ათბალიანი სისტემით, რასაც, ჩვენი აზრით, უნდა მოჰყვეს მოსწავლეთა ცოდნის კიდევ უფრო ზუსტი და დიფერენცირებული შეფასება–შემოწმება.

ვფიქრობთ, რომ პედაგოგიკის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები კვლავ მიუბრუნდნენ ამ სისტემის დამუშავებას, ხოლო ახალი რეკომენდაციების მიცემა კი ძალზედ ფაქიზ მოვლენად გვესახება. დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ უნიშნო სწავლების ყველა დეტალი. თუ მივიღეთ სწრაფი გადაწყვეტილება მისი შემოტანის შესახებ, შესაძლოა მან ზიანი მიაყენოს ქართული საგანმანათლებლო სისტემის საბოლოო მიზანს.

მიგვაჩნია, რომ შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მოსწავლეთა ნამდვილი მომზადების, უნარებისა და ჩვევების ამსახველი. აუცილებელია, აგრეთვე, მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის, პასუხისათვის მისი საერთო მომზადების გათვალისწინება, მიზანშეუწონელია მოსწავლის შეფასება მაშინ, როცა მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ ის პასუხისათვის მზად არ არის, ვერ უპასუხებს სათანადო დონეზე. შეფასების ატმოსფერო უნდა იყოს წყნარი, კეთილმოსურნეობითი და არ უნდა ანერვიულებდეს არც მასწავლებელს და არც მოსწავლეს. დაუშვებელია უტაქტობა, უხეშობა, მუქარა, არაკეთილმოსურნეობა. შეფასებას უნდა გააჩნდეს საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი მნიშვნელობა.

§ 2. უზნაძის განწყობის თეორია და პედაგოგიკა

როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია დაახლოებით 1910–1916 წლებში ჩამოყალიბდა. მისი პედაგოგიური კონცეფცია ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებულ შეხედულებათა სისტემას წარმოადგენდა, რომელიც მოიცავდა ყველა ძირითადი პედაგოგიკური

ცნების ზუსტ განმარტებას. ასეთ ფილოსოფიურ–ფსიქოლოგიური საფუძველი დაედო მთლიანი და აქტიური პიროვნების, როგორც აღზრდის ობიექტის იდეას. იდეას, რომელიც შემდეგ განწყობის თეორიაში გადაიზარდა.

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებების საფუძველი მისი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა გახლდათ.

დიმიტრი უზნაძე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და „განწყობის თეორიის“ ავტორია. მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ბავშვის ფსიქოლოგიის მეცნიერულ კვლევას. მისი თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებათა შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შესწავლას იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ქცევის ფორმა ანიჭებს ყოველ ასაკობრივ საფეხურს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ელფერს.

ქცევა აქტივობაა და ნიშნავს სუბიექტის გარემოსთან, გარე სინამდვილესთან ურთიერთობას. ქცევა განისაზღვრება მოთხოვნილებით და იმ საგნით, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. მაგრამ საგანი უშუალოდ როდი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის აქტს. უზნაძე ქცევის პროცესს ასე აღწერს: ცოცხალი ორგანიზმი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს გარე საგნობრივ სინამდვილეს, გარემო უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესატყვისი მოქმედებისკენ განაწყობს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

დიმიტრი უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს: ექსტეროგენურსა და ინტროგენურს.

ექსტეროგენურია ქცევა, როდესაც ის იმპულსს იღებს გარედან (საგნისგან) და წარმართება გარედან განსაზღვრული განწყობით. მაგრამ როდესაც ორგანიზმს არა აქვს რაიმე საგნობრივი, პრაქტიკული მოთხოვნილება, ის პასიურ, უმოქმედო მდგომარეობაში კი არ არის, არამედ მას თავად აქტივობის, მოქმედების მოთხოვნილებაც აქვს. მოთხოვნილებას, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს უჩნდება მაშინ, როდესაც მისი ძალები უმოქმედოდ რჩება და ის აღარ არის იძულებული, გარკვეული პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამოქმედდეს,

უზნაძე ფუნქციონალურ ტენდენციას უწოდებს. ამ შემთხვევაში ქცევა (აქტივობა) გარედან კი არ არის განსაზღვრული, არამედ შინაგანი იმპულსიდან გამომდინარეობს და იმ განწყობით წარიმართება, რომელიც გარკვეული სახით სუბიექტის გამოცდილებიდან მომდინარეობს, ეს ქცევა თავისუფალია გარე იძულებისგან, ის ორგანიზმის შიგნიდან წარმოიშობა, ამიტომ მას უზნაძე ინტროგენურ ქცევას უწოდებს.

უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით, ექსტროგენული და ინტროგენული ქცევის ფორმებია: ექსტროგენური ქცევის ფორმებია: მოხმარება, მომსახურება, შრომა, საქმე, ხოლო ინტროგენური ქცევისა; ესთეტიკური ტკბობა, ხელოვნება, შემოქმედება, თამაში და სპორტი.

ქცევასთან მიმართებაში უზნაძე გვამდევს თამაშის განმარტებას: თამაშს უზნაძე მიიჩნევს ბავშვის ქცევის სპეციფიკურ ფორმად. ადრეული ბავშვობის ასაკში ქცევის სხვა ფორმები, გარდა თამაშისა, განსაკუთრებით ექსტროგენური ან საერთოდ არ შეინიშნება, ან ძალიან იშვიათად გვხვდება. თუმცა თამაში დამახასიათებელია არა მხოლოდ ადრეული ბავშვობის ან სკოლამდელი ასაკისთვის, არამედ სასკოლო (8–10 წლის) და მოზრდილი ასაკისთვისაც.

დიმიტრი უზნაძის აზრით, თამაშს, როგორც ქცევას, საფუძვლად უდევს ფუნქციის სიამოვნება, ანუ თამაშის ძირითადი მოტივი ბავშვისთვის თვით აქტივობისგან სიამოვნების მიღებაა.

დიმიტრი უზნაძის მიხედვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლა, როგორც ქცევის ფორმა. რომ ქცევის ფორმები ადამიანის ცხოვრებაში ისე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რომ ხშირად რთულია, ესა თუ ის კონკრეტული ქცევა, რომელიმე აღნიშნულ ფორმას მიაკუთვნო. სწორედ ასეთი ქცევის ფორმაა სწავლა, თუ ჩავთვლით, რომ სწავლა შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახეობაა, მაშინ ის ქცევის ექსტროგენური ფორმა უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე არ არის. იმისთვის, რომ ვნახოთ, არის თუ არა მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც სწავლასა და შრომას შორის, ერთმანეთს უნდა შევადაროთ ამ ორი ქცევის პროდუქტი. როდესაც შრომასთან გვაქვს საქმე, ყოველთვის ვგულისხმობთ გარკვეულ პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც შრომითი ენერგია დავხარჯეთ. შრომის ცნება,

გარდა ამ პროდუქტის შექმნისა, არავითარ სხვა ეფექტს არ ითვალისწინებს. რაც შეეხება სწავლას, აქ საქმე სხვაგვარადაა, მაგალითად, ბავშვს ვასწავლით წერას. მან უკვე ისწავლა ასოების წერა, შემდეგ ორი სიტყვის დაწერა შეძლო. ამ პროცესში ის სწავლობს არა მხოლოდ იმ კონკრეტული ასოების ან სიტყვების წერას, არამედ იძენს თავისი კუნთების განსაზღვრული მიმართულებით აქტიურად მოქმედების უნარს, რაც ეხმარება სხვა ასოების, სხვა სიტყვების ადვილად დაწერაში. ამიტომაც, რომ აღარ არის აუცილებელი ბავშვს სათითაოდ ყველა სიტყვის დაწერა ვასწავლოთ. წერა-კითხვის მცოდნეს თავისუფლად შეუძლია ისეთი სიტყვის დაწერაც, რომელიც არა თუ არასოდეს დაუწერია, არამედ არც არასოდროს გაუგონია.

სწავლის ცნება ძალიან ფართოა. არ არსებობს ექსტეროგენური ქცევის არც ერთი ფორმა, რომლის სწავლის საგნად გადაქცევაც არ შეიძლება.

უზნაძე ამ სწავლას გენერალურ ხასიათს უწოდებს და იმით ხსნის, რომ სწავლის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ჩვევების, უნარებისა და ცოდნის შექმნა, არამედ მოზარდის ძალების განვითარება განსაზღვრული მიმართულებით. სწორედ ამ თვისებით ჰგავს სწავლა თამაშს, ანუ მოზარდის ძალთა განვითარება ისეთივე სპეციფიკურია სწავლისთვის, როგორც თამაშისთვის. თამაშიც, თავის მხრივ, ქცევის ისეთივე გენერალური ფორმაა, როგორც სწავლა. აქედან თითქოს უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა, რომ თამაში და სწავლა ქცევის ერთსა და იმავე ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ეს ასე არ არის. თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციონალური ტენდენციაა, ანუ ამ ასაკის ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. ამიტომ, როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას.

მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტური იქნება თამაშის გამოყენება, ანუ სწავლის წარმართვა თამაშით. როდესაც სწავლის შესახებ ვსაუბრობთ, ძნელია იმის თქმა, რომ ქცევის იმპულსი აქაც ფუნქციონალური ტენდენციაა. სწავლა ყოველთვის გულისხმობს იმას, რაც ისწავლება, ანუ მოსწავლეს ვაწვდით საგანს გარედან, გარედან ავამოქმედებთ მის ძალებს, ე.ი. სწავლა როგორც ქცევა გარეგან იმპულსზე იგება. როდესაც ბავშვს გარკვეულ ასაკში მეტყველების ფუნქცია მოუმწიფდება, უჩნდება შინაგანი იმპულსი – მეტყველების ფუნქციის ამოქმედების ტენდენცია, მაგრამ თუ მას გარედან არ მივაწოდებთ გარკვეული

ენობრივი მასალა, მისი ფუნქციონალური ტენდენციის დაკმაყოფილება შეუძლებელია. უზნაძის მიხედვით, რაში მდგომარეობს „აღზრდის ტრაგედია“? ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი. აღზრდელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ ჩასწვდა ბავშვის ბუნებას. სწორედ ამიტომ პედაგოგიკა ბავშვის ფსიქოლოგიური არსის შემეცნებას ეფუძნება. აღზრდის მიზანთა სოციალური ბუნების აღიარებას მიჰყავს დ. უზნაძე აღზრდელიობითი პროცესის უმთავრესი წინააღმდეგობის აღმოჩენამდე, რომელსაც მან „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ დაარქვა.

უფსკრული აღზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩნდება იმიტომ, რომ აღზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, თუმც კი მიაჩნია, რომ აღსაზრდელის მომავალი კეთილდღეობით ხელმძღვანელობს, სინამდვილეში არ აქცევს ყურადღებას - აღსაზრდელის სურვილებს, არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებით. ის, რაც, აღზრდელის აზრით, კეთილდღეობაა, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად იქცევაო, – წერდა დ. უზნაძე. უზნაძის მიხედვით, რაში მდგომარეობს „აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვის სტრატეგია?

„აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას, სწორედ, ბავშვის ბუნების უშუალო წვდომა, მისი გრძნობებისადმი, „სულიერი მღელვარებისადმი“, თანაგრძნობა – ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან, მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა მისცემს შესაძლებლობას მასწავლებელს, „უმტკივნეულოდ შეუხამოს სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის ბუნებრივი განვითარების მიმართულებას“.

უზნაძის მიხედვით, რას წარმოადგენს განწყობა? უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი, „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ქცევა განწყობის სახით მოცემული“.

განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის. რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად. თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელს ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ეს ყველაფერი უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რაც დაეხმარება მას გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში. რადგან მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც ამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც ამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებს და უნარ ჩვევებს. განწყობის თეორია ხომ არსებითად ქცევის ახსნითი მოდელია. როგორც მოტივია, ისეთია ქცევაც. მოტივი (ან მოთხოვნილება) განსაზღვრავს ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ უნდა გამოვიყენოთ უზნაძის კონცეფცია საკლასო ოთახში? ჩვენი აზრით, მასწავლებელმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. შეუქმნას მოსწავლეს დადებითი განწყობა;
2. მოარგოს მასალა მოსწავლის განწყობას/აქტუალური დონე + წინსვლა/;
3. შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.

4. ნუ გააკეთებთ აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა.

როგორ შევუქმნათ მოსწავლეს განწყობა?

სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს აქტივობაში მოსწავლის ჩართვას. თუ ახალი აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები) მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შეუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. როგორი უნდა იყოს ეს მასალა?

„მასალა ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის, მეორე მხრივ, იგი დაშორებული უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელი იქნება. მოსწავლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს, მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მოწაფეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს“ (უზნაძე). საკლასო ოთახში შექმნით ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.

§ 3. აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტული

პედაგოგიკა

ექსპერიმენტული პედაგოგიკის გაგების, მისი მიზნისა და ამოცანების და, რაც მთავარია, აღზრდის პროცესში არსებულ პრინციპულ სირთულეთა „ნორმალიზაციაში“ ბავშვის შესაძლებლობების გარკვევისათვის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია დიმიტრი უზნაძის წერილი-„აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“. ეს წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“

1912 წელს. მასში, ექსპერიმენტული პედაგოგიკის მნიშვნელობის გარდა, საუბარია ალზრდის მნიშვნელოვან პრობლემებზე.

სტატიაში ექსპერიმენტული პედაგოგიკა უპირველეს ყოვლისა გაგებულია, როგორც „მხოლოდ ისეთ ზომათა სისტემად, რომელიც ბავშვის ფსიქიურ თავისებურებათა მეცნიერულად დასაბუთებულს დეტალურ შემეცნებაზე არიან დამოკიდებულნი“ (38. გვ. 437). აქ ბავშვის მონაცემების „მეცნიერულად დასაბუთებულ“ შესწავლად იგულისხმება ბავშვის ფსიქიკურ ცხოვრებაზე დაკვირვება ბუნებრივი და ლაბორატორიულ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების შეჯერების გზით, რასაც ექსპერიმენტული პედაგოგიკა აწარმოებდა. სწორედ ესაა „ჩვეულებრივი პედაგოგიკისაგან“ ექსპერიმენტული პედაგოგიკის განსხვავება.

დიმიტრი უზნაძის აზრით, „ექსპერიმენტალური პედაგოგიკა არსებითად ხომ მხოლოდ მით განირჩევა ჩვეულებრივი პედაგოგიკისაგან, რომ იგი ფსიქოლოგიური ცოდნის შუქით ინათებს გზას თავის ბნელით მოცულს სამოქმედო ასპარეზზე“ (38. გვ. 437). როგორც ვხედავთ, ექსპერიმენტული პედაგოგიკის უმთავრესი ღირსება ბავშვის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ცოდნაზე დაყრდნობით ალზრდს წარმართვაშია დანახული.

სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული ალზრდის რთული ბუნება, რომ იგი არაა ერთგვაროვანი, არამედ აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მიმდინარე პროცესია; ალზრდა აუცილებლობით გულისხმობს აღმზრდელსა და აღსაზრდელს, რომელიმე მათგანის გამორიცხვით წყდება ალზრდის პროცესი. აქ დიმიტრი უზნაძე სავსებით სწორად მიუთითებს და აღნიშნავს ალზრდის, როგორც სოციალური პროცესის რთულ ბუნებაზე.

დიდი ფსიქოლოგი მსჯელობს რა ალზრდის რთულ ბუნებაზე, წარმოგვიდგენს მისგან გამომდინარე ერთ-ერთ ძირითად წინააღმდეგობრივ მომენტს, რაც „პედაგოგიური პრაქტიკის“ თვით შუაგულშია ამოთხრილი“, და მას „ალზრდის ტრაგედიას“ უწოდებს. რა არის ალზრდის რთული ბუნების ერთ-ერთი გამომხატველი ეს ტრაგედია? დიმიტრი უზნაძის აზრით, ის აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა წინააღმდეგობაში მდგომარეობს. ბავშვი იოლად არ ემორჩილება აღმზრდელობით ღონისძიებებს, რადგან ისინი თავიანთი სოციალური

მიზანდასახულობით გაუგებარია მისთვის. ეს, მართლაც, სიძნელეს ბაღებს აღზრდის პროცესში: „ის, რაც აღმზრდელის შეხედულებით კეთილდღეობასა და ბედნიერებას წარმოადგენს, აღსაზრდელის რწმენით ხშირად უბედურება და წამება იქნება....აღმზრდელი სოციალური თვალსაზრისით ჭკრეტს ამ კეთილდღეობას და აღსაზრდელი კი თავისი საკუთარი ინტერესების მხრით, ინდივიდუალურად. გონიერება მოითხოვს, მყობადი აწმყოს შეწიროთ, მცირე სიამოვნება დიდსა და ხანგრძლივ კეთილდღეობას ანაცვალოთ. მაგრამ მოზარდი სულ სხვაგვარად ფიქრობს და სულ სხვას მოითხოვს. მას მომავალი არა სწამს და მას აწმყოს ვერასდროს და ვერაგზით ვერ ანაცვალეებს. იგი მომენტით ცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი ერთი წუთითაც კი არავის დაუთმობს თავის აწმყოს“ (38. გვ. 429–431).

უზნაძის აზრით, ეს წარმოქმნის აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის „მტრულ“ დამოკიდებულებას, რომელიც აღზრდის მთელ პროცესს გასდევს. მაშასადამე, – დაასკვნის დ.უზნაძე, ეს წინააღმდეგობა მუდმივი ხასიათის ყოფილა, იგი გარდაუვალი სიძნელეა, თვით აღზრდის შუაგულში წამოჭრილი“ (38. გვ. 437).

მიგვაჩნია, რომ დიმიტრი უზნაძის მოსაზრებებში, მართლაც, საფუძვლიანადაა ხაზგასმული აღმზრდელობითი ამოცანებისადმი ბავშვის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების მომენტი.

მთლიანობაში აღზრდა წარმოდგენილია, როგორც საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური პროცესი. აღზრდა მხოლოდ სოციალურ მოვლენადაა აღიარებული. დიმიტრი უზნაძის მიერ ამავე წერილში აღზრდის რთული ბუნება სწორედ მისი საზოგადოებრივი ხასიათითაა ახსნილი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აღზრდა რთულ საზოგადოებრივ ერთეულს გულისხმობს, სადაც არ არსებობს საზოგადოება იქ არც აღზრდა იქნება“ (38. გვ. 428). აქვე ასაბუთებს ამ აზრს და გვიჩვენებს აღზრდის საზოგადოებრივ ხასიათს ადამიანის განვითარების ადრეულ სტადიაზე, თვით ოჯახური აღზრდის პირობებშიც კი. ბოლოს იგი დაასკვნის, რომ „განვითარებულ საზოგადოებაში ადამიანი ოჯახის კედლებს გადალახავს და შემადგენელ ნაწილებად უფრო რთული ერთეულის სხეულს ედულება. იგი წევრი ხდება საზოგადოებისა, სახელმწიფოსი და მისი აღზრდა ოჯახის ფარგლებს

უსხლტდება და საზოგადოების ან სახელმწიფოს სპეციალურ პედაგოგიურ დაწესებულებებში, სკოლებში სრულდება. ამით აღზრდის მიზნებიც თავის ოჯახურ ელფერს კარგავს და სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს ემორჩილება“ (38. გვ. 429).

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე აღზრდის საზოგადოებრივ ხასიათს ხსნის თვით მისი ბუნებით, კერძოდ, იმით, რომ აღზრდა არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური პროცესი, არამედ აუცილებლობით გულისხმობს აღმზრდელსა და აღსაზრდელს. ჩვენი აზრით, აღზრდის ასეთი გაგება ლოგიკურად უკავშირდება აღზრდის რთულ ბუნებას. აღზრდის საზოგადოებრივი ხასიათის დასამტკიცებლად ისიც საკმარისია, რომ აღზრდის ცნება ორ მომენტს თხოულობს, რომელთაც ურთიერთგავლენაც ჰქმნის მას. პირველი არის აღმზრდელი და მეორე აღსაზრდელი.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ამ ამოცანის გადაჭრის საქმეში დიდი როლი შეუძლია შეასრულოს ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ, მას არ შეუძლია სამუდამოდ მოსპოს აღზრდის ძირითადი წინააღმდეგობა, მაგრამ „ ბავშვის სულიერი ცხოვრების გაცნობა, განსაკუთრებით მისი ბუნებრივ ინტერესთა განვითარება ფართო გზას მისცემს ყოვლის აღმზრდელობით გავლენას მისი სულის წიაღში და მით საგრძნობლად შესუსტებას იმ ტრაგიკულ ნაკადის სიმშაგეს, რომელიც აღზრდის ნიადაგზე იბადება და მიქროლავს. ექსპერიმენტული პედაგოგიკა კი საშუალებას მოგვცემს უტკივილოდ და შეუგრძნობლად შეუფარდოთ ჩვენი სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის სულიერი საუნჯის მასალას, მისს ბუნებრივი განვითარების გზას“ (38. გვ. 430).

დიმიტრი უზნაძე ბავშვის, მისი თავისებურებების, განვითარების კანონზომიერებების შესწავლას მოითხოვს იმ მიზნით, რათა სწავლა – აღზრდის პროცესში „შეგუებულ, შეკავშირებულ, შეტყუპებულ“ იქნას ერთიმეორესთან ინდივიდუალური და სოციალური მოტივები და მისწრაფებანი. დიმიტრი უზნაძის აზრით, ეს პრობლემა უნდა გადაჭრას ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ და ამ გზით შეანელოს აღზრდის ტრაგედია.

„ნამდვილ პედაგოგიკას, – წერს დიმიტრი უზნაძე, – მხოლოდ ერთი გზა გააჩნია, რომელზე სრბოლაც მას თავისი მიზნის განხორციელებამდე მიიყვანს. ეს გზა

თვით ბავშვის ბუნების ნათელყოფაა, მისი ფსიქოლოგიის ცოდნა. მხოლოდ ასეთ შემეცნებას, ასეთ ცოდნას შეუძლია იმ კანონთა და ნორმათა ნათელყოფა, რომელთაც უნდა ექვემდებარებოდეს აღმზრდელი, თუ გასურს რომ, მისი მოქმედება გონიერს ნიადაგზე იყოს დამდგარი. ამრიგად ნამდვილი პედაგოგიკის ნიადაგსა და საფუძველს ბავშვის ფსიქოლოგიის შემეცნება უნდა შეადგენდეს“ (37. გვ. 55).

„აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში, უეჭველია, გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუმს „ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას წარმოადგენს, სწორედ, ბავშვის ბუნების უშუალო წვდომა, მისი გრძნობებისადმი „სულიერი მღელვარებისადმი“ თანაგრძნობა- ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან.

§ 4. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობა

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, შემდეგში მდგომარეობს:

1. დიმიტრი უზნაძე საქართველოში არის ნეოექსპერიმენტული პედაგოგიკის, ახალი პედაგოგიური სკოლის მამამთავარი;
2. იაკობ გოგებაშვილისა და ლუარსაბ ბოცვაძის შემდეგ მან შეძლო საქართველოში დაეფუძნებინა ახალი პედაგოგიური შეხედულებები და ახალ პროგრესულ რელსებზე დაეყენებინა ქართული პედაგოგიკური აზროვნება;
3. დიმიტრი უზნაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ისტორიის სახელმძღვანელო წიგნების შექმნას, სადაც გათვალისწინებულია მათი აგების მეცნიერულად აპრობირებული პედაგოგიკური, ფსიქოლოგიური და მეთოდოლოგიური პრინციპები;
4. მან პირველმა შეძლო ახალი ტიპის ქალთა ქართული საშუალო სკოლის დაარსება, სადაც დაიწყო თავის ორიგინალური პედაგოგიკური იდეების დანერგვა და განხორციელება;

5. დიმიტრი უზნაძემ თავისთავად დაარსებულ ქალთა სკოლაში შემოიღო მოსწავლეთა თვითმმართველობა და შეეცადა მის დანერგვას საქართველოს სკოლებში;

6. იგი გახდა საქართველოში ორიგინალური საგანმანათლებლო სისტემის რეფორმატორი, რომელმაც გარკვეული გამოხმაურება და მნიშვნელობა მოიპოვა მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში;

7. მოგვცა სწავლა-აღზრდის ახალი პრინციპების ფილოსოფიურ-პედაგოგიკური დასაბუთება;

8. იაკობ გოგებაშვილის შემდეგ მან ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში შემოიტანა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის იდეა;

9. დ. უზნაძემ განავითარა და პრაქტიკულად განახორციელა მშობლიურ ენაზე ზოგადი განათლების(ნაციონალური აღზრდის) მოწყობის იდეა;

10. მან პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა სწავლებისა და აღზრდის პროცესში ბავშვთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების მოთხოვნილება;

11. დიმიტრი უზნაძემ დიდაქტიკაში შემოიტანა ინტენსიური თვალსაჩინოების სწავლების დიდაქტიკური პრინციპი;

12. ახლებურად წარმოაჩინა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში შრომითი საქმიანობის(შრომის სკოლის) აგების პრინციპები;

13. დიმიტრი უზნაძემ საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა მეცნიერულად დაასაბუთა სასწავლო დისციპლინების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების გავითარებაში;

14. მან პირველმა პედაგოგიური პროცესის შესწავლის საფუძველზე გაანალიზა აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არსებული წინააღმდეგობა, რასაც „აღზრდის ტრაგედია“ უწოდა და ეს ანალიზი საჭირობოტო ხდება დღესაც. ამ წინააღმდეგობის გადალახვაში მნიშვნელოვან როლს აკისრებს მასწავლებელს;

15. დიმიტრი უზნაძემ, როგორც სკოლის დირექტორმა, პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა სასწავლო პროცესის ციფრებით შეფასებასთან დაკავშირებით. ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია;

16. შექმნა „განწყობის თეორია“ და მისი სასწავლო პროცესში დანერგვის კონცეფცია:

ა) შეუქმნას მოსწავლეს დადებითი განწყობა;

ბ) მოარგოს მასალა მოსწავლის განწყობას/აქტუალური დონე + წინსვლა/;

გ) შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო, რაც მოსწავლეების ინტერესების და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს;

დ) ნუ გააკეთებთ აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე; აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა.

17. მან პირველმა ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში დასვა საკითხი მშობელთა პედაგოგიური მომზადებისა და აღზრდის შესახებ;

18. დიმიტრი უზნაძემ ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში ერთმანეთთან დააკავშირა შეგნებული დისციპლინისა და ნებისყოფის აღზრდის მნიშვნელობა ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის საქმეში.

დასკვნები

1. დიმიტრი უზნაძე არის მეოცე საუკუნის საქართველოში ახალი ორიგინალური პედაგოგიკური იდეებისა და საგანმანათლებლო სისტემის ნოვატორი მეცნიერი, პრაქტიკოსი და დამფუძნებელი. მისი პედაგოგიკური კონცეფცია არის თანამედროვე, რადგან მასში ნათლად ჩანს ჰუმანური პედაგოგიური პროცესის აგების ძლიერი ტენდენცია, სწავლებაში მოსწავლეთა საერთო განვითარების მნიშვნელობის ახსნა და დასაბუთება, მთლიანი პიროვნების აღზრდის მეცნიერული საფუძვლებისადმი ორიგინალური მიდგომა;

2. მან პირველმა წამოაყენა ორიგინალური დეფინიცია აღზრდის მიზნისა „იდეალური ინდივიდის შემუშავება“ და იაკობ გოგებაშვილის შემდეგ პირველმა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში შემოიტანა იდეა-„ახალი ტიპის ქართველის“, აქტიური პიროვნების, აღზრდის პრინციპების შესახებ;

3. დიმიტრი უზნაძემ მისთვის დამახასიათებელი სიღრმითა და მომავლის შეგრძნებით დაამუშავა სახალხო განათლების სისტემის აგების ძირითადი პრინციპები და მეცნიერულად განსაზღვრა დამოუკიდებელ საქართველოში ახალი ტიპის სკოლის ჩამოყალიბების საფუძვლები;

4. უზნაძემ საქართველოში განავითარა და პრაქტიკულად განახორციელა მშობლიურ ენაზე ზოგადი განათლების(ნაციონალური აღზრდის) მოწყობის იდეა და პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა სწავლებისა და აღზრდის პროცესში ბავშვთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების მოთხოვნილება;

5. პედაგოგიური პროცესის ძირითად დანიშნულებას დიმიტრი უზნაძე მტკიცე ნებისყოფისა და აქტიური ხასიათის აღზრდაში ხედავს. ამის ფონზე განიხილავს იგი სწავლებისა და აღზრდის შინაარსს, ავითარებს მოსაზრებებს „აღმზრდელობითი კითხვის“, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სასწავლო საგნების შინაარსის შესახებ და მეცნიერულად ასაბუთებს სასწავლო დისციპლინების საგანმანათლებლო-აღმზრდელობით მნიშვნელობას, რითაც მნიშვნელოვანი როლო შეასრულა ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების გავითარებაში;

6. უმნიშვნელოვანესი აღზრდის პროცესში არის დისციპლინა, სწორედ, მისი საშუალებით ვითარდება ნებისყოფა, თუმცა გადამეტება არც აქ ვარგა. ძლიერი ნებისყოფა შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. ნებისყოფის შენარჩუნება დამოკიდებულია გავარჯიშებაზე და სკოლა კი ამის საუკეთესო საშუალება გახლავთ;

7. მან პირველმა პედაგოგიური პროცესის ანალიზის საფუძველზე გაანალიზა აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არსებული წინააღმდეგობა, რასაც „აღზრდის ტრაგედია“ უწოდა და ეს ანალიზი საჭირობოროტო ხდება დღესაც. ამ წინააღმდეგობის გადალახვაში მნიშვნელოვან როლს იგი მასწავლებელს აკისრებს; ნებისმიერი ბავშვი არის უნიკალური თავისი არსით და მის ინდივიდუალობას კი პედაგოგი უნდა ჩასწვდეს, ამის გარეშე იგი აღზრდის პროცესში დიდ წარმატებას ვერ მიაღწევს. ბზარი აღმზრდელსა და აღსაზრდელის მისწრაფებაში ჩნდება და ეს პრობლემა წარმოჩნდება მაშინ, როდესაც პედაგოგი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლის ინდივიდუალობას, მის სურვილებს და მხოლოდ საკუთარი მოტივებით ხელმძღვანელობს. ეს საკითხი მწვავე პრობლემად დგას დღევანდელ სკოლებში. „ის რაც, აღმზრდელის აზრით კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად ითვლება.“ ამ მდგომარეობის შერბილების ერთ-ერთი გზა არის მოსწავლის განვითარების ეტაპების შესწავლას, თითოეული სტადიისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების ცოდნა;

8. მან პირველმა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში ყურადღება მიაქცია პედაგოგიურ პროცესში აღსაზრდელის პიროვნების პატივისცემისა და აღზრდაში მისი, როგორც ობიექტის, ისე სუბიექტის აღიარებას, რამაც განაპირობა ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში წარმოშობილიყო აღსაზრდელისადმი მომთხოვნელობისა და მისი პიროვნებისადმი პატივისცემის ერთიანობის პრინციპი.

9. დიმიტრი უზნაძემ, როგორც სკოლის დირექტორმა, პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა სასწავლო პროცესიდან ციფრებით შეფასებასთან დაკავშირებით. მაგრამ მან ეს პრობლემა საბოლოოდ ვერ გადაჭრა და იგი დღესაც აქტუალურია და სიფრთხილით არის გადასაწყვეტი;

10. პედაგოგიკის ძირითადი დანიშნულება აღზრდაში მდგომარეობს, აღზრდა კი თავის თავში გულისხმობს სრულყოფილებისკენ სწრაფვას. აღზრდის პროცესი,

რომელიც გულისხმობს სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებას, უნდა ემყარებოდეს ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების დანიშნულების განხორციელებას. სკოლა კი არ არის გამაშუალებელი რგოლი, რომლის დახმარებითაც ხდება ცხოვრების ლაიტმოტივის რეალიზაცია და ადამიანის შესაძლებლობების ზრდა. იგი პედაგოგიკას შემთხვევით არ მიიჩნევს ხელოვნების ნიმუშად, სადაც მასწავლებელს, აღმზრდელიობითი ნიჭის გარდა, სჭირდება პედაგოგიური უნარ-ჩვევები. ის ერთმანეთისგან განასხვავებს პრაქტიკულ და თეორიულ პედაგოგიკას. თეორიული პედაგოგიკა საშუალებას აძლევს მასწავლებელს აკეთოს თავისი საქმე საზოგადოებისა და ბავშვის პიროვნების განვითარების საკეთილდღეოდ. სკოლაში აუცილებელია შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც მოითხოვენ ბავშვის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების, არამედ მთელი მისი ბუნების მოქმედებაში მოყვანას;

11. დიმიტრი უზნაძის შეხედულებანი ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთმიმართების შესახებ დღესაც თანადროულად ჟღერს. იმ აზრის სისწორე, რომ ფსიქოლოგიის დახმარება პედაგოგიკისადმი მზამზარეული რეკომენდაციების მიწოდებით არ გამოიხატება, რომ პედაგოგიკური დებულებები სხვა ასპექტებითაც უნდა იყოს დასაბუთებული. პროგრესულ ფსიქოლოგიურ თეორიაში შეინიშნება ტენდენცია სასკოლო საქმიანობასთან ფსიქოლოგიის უშუალო დაკვირვებისა. მაგრამ მეცნიერულ კვლევას იგი პედაგოგებთან, მეთოდისტებთან, სოციოლოგებთან ერთად ეწევა. უზნაძისეული ასეთი მიდგომა დღესაც სწორ გზად ითვლება;

12. დიმიტრი უზნაძემ თავის დროზე შენიშნა, რომ ტრადიციული ფსიქოლოგიის ფუნქციონალიზმი აშკარად ზღუდავდა პედაგოგიკისადმი ფსიქოლოგიის დახმარების სფეროებს, რადგან „უსუბიექტო ფსიქოლოგია“ ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების შესწავლით კმაყოფილდებოდა. დიმიტრი უზნაძის შრომა-„ფსიქოლოგია და პედაგოგიკის“ აქტუალობა სწორედ ისაა, რომ ის კვლავ მიმართავს მკვლევართა ყურადღებას ამ პრობლემისაკენ და სახავს აქტიური სუბიექტის კონკრეტული მეცნიერული კვლევის საგნად გადაქცევის საშუალებებს განწყობის ცნების შემოტანის გზით;

13. ბავშვი არ უნდა ჩაითვალოს პატარა მოზარდად, ამიტომაც აღზრდისას არ უნდა მოხდეს მოვლენების დაჩქარება და ბავშვს არ უნდა მოვთხოვოთ მოზარდისათვის დამახასიათებელი ქცევები. ბავშვს არ უნდა წავართვათ ბავშვობა. ცხოვრების ამ ეტაპის არასრულფასოვანი და არაადეკვატური გავლენა განაპირობებს იმას, რომ მოზარდობისას ინდივიდისთვის დამახასიათებელი იქნება ბავშვური ქცევები, ანუ ის დანაკლისი, რაც მან საწყის ეტაპზე განიცადა უარყოფითად იჩენს თავს ცხოვრების შემდგომ წლებში. სკოლაში ბავშვის დიდად შეზღუდვა, თამაშის უფლების ჩამორთმევა, მისი მაქსიმალური გაკონტროლება იწვევს ბავშვის სურვილების ფრუსტრაციას. თამაში ეს არის ბავშვის იდეებისა და ფანტაზიების რეალიზაციის ერთ-ერთი საწყისი ეტაპი. სწორედ, ამიტომ ექცევა მას დიდი ყურადღება აღზრდის პროცესში;

14. უზნაძის თეორიის მიხედვით, ნებისმიერ ქცევას, აუცილებლად წინ უსწრებს განწყობის აღმოცენება. შესაბამისი განწყობის არსებობის გარეშე ადამიანი ვერაფერს გააკეთებდა. ყველა ფსიქიკურ პროცესს, ყველა ჩვენს ქცევას განწყობა ამოძრავებს და აძლევს მიმართულებას. განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. განწყობა აიხსნება, როგორც ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევა. ადამიანის ქცევას კი განსაზღვრავს მოთხოვნილება, რომელიც წარმოადგენს რაიმე დეფიციტს. გარდა სუბიექტური ფაქტორისა, აუცილებელია იმ ობიექტური ფაქტორის არსებობა, რომელსაც გარემო ეწოდება. გარემო არის აუცილებელი ფაქტორი ქცევის განხორციელებისათვის. თუმცა ადამიანის ქცევისადმი მზაობა იცვლება იმ სიტუაციის შესაბამისად, რომელშიც იგი იმყოფება;

15. განწყობის ცნების მნიშვნელობას პედაგოგიური მიზნებისათვის დიმიტრი უზნაძე აღზრდის პროცესთან მის უშუალო კავშირში ხედავს. ავტორის აზრით, აღზრდის პროცესი, უწინარეს ყოვლისა, პიროვნების სათანადო განწყობების შექმნას გულისხმობს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დებულება სერიოზულ ამოცანებს სახავს აღზრდის ფსიქოლოგიაში მომუშავე მკვლევართა წინაშე. მართალია, ამ მიმართებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტსა და მნიშვნელოვანს ახლო მომავალში უნდა ველოდოთ;

16. სწავლის იმ დახასიათებიდან გამომდინარე, რასაც უზნაძე იძლევა, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლებში სწავლება-სწავლის პროცესი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მოსწავლე სათანადო შედეგის მიღწევაზე იყოს ორიენტირებული, როგორც ეს შრომაში ხდება და ამ პროცესით აქტივირებულ ფუნქციონალურ ტენდენციებსაც იკმაყოფილებდეს, რაც მას სიამოვნებას მიანიჭებს, როგორც ეს თამაშში ხდება. მოსწავლის ფსიქო-ფიზიკურ ძალთა განვითარების წარმმართველი ფაქტორის როლის შესრულება მხოლოდ ასეთ სწავლება-სწავლას შეუძლია;

17. საჭიროა, დ. უზნაძის თამაშის თეორიაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდეს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში შემავალი საკითხების სწავლებაში თამაშის ელემენტების გამოყენების კონკრეტული მეთოდები, რომლებშიც კარგად იქნება გათვლილი, თუ შესასრულებელ აქტივობათა რომელი სახე ბავშვის რომელ ფუნქციას აქტივაციის ტენდენციას დააკმაყოფილებს. მიგვაჩნია, რომ უცხოეთიდან იმპორტირებული მეთოდების ასეთი მოდიფიკაცია, აგრეთვე, უზნაძის ორიგინალური ფსიქოლოგიური კონცეფციის საფუძველზე სწავლების პრინციპულად ახალი ხერხების მონახვა, მეტად სასარგებლო იქნება სკოლაში სწავლების ახალი აქტიური მეთოდების დანერგვის საქმეში. ვფიქრობთ, უცხოეთშიც, საიდანაც სწავლების ინტერაქტიური მეთოდები შემოვიღეთ, მათ შემქმნელებს დ. უზნაძის თამაშის თეორია რომ ცოდნოდათ, მას აუცილებლად გამოიყენებდნენ საკუთარი მეთოდების გასამდიდრებლად და დასახვეწად;

18. კონციდენციის თეორიის თანახმად, ინდივიდის აქტივობისა და განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები ერთიანი გაუნაწევრებელი მთლიანობის დიფრენციაციით მიღებული კომპონენტებია და ერთმანეთს ბუნებრივად შეესატყვისებიან. ამდენად, “შინაგანის ცნება უკვე შეიცავს თავის შინაარსში იმას, რასაც გარეგანად თვლიან, და პირიქით, გარეგანი იმას, რასაც შინაგანად თვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცნებათა შინაარსის ურთიერთისაგან გამოთიშვა სრულიად მოუხერხებელია, და მაშასადამე, ჩვენს წინაშე შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის, ცნებათა კონცინდენციის, ერთიანობის ფაქტი დგას”;

19. უზნაძე მშობელთა პედაგოგიური განათლების აუცილებლობას სკოლის ამოცანებთან ოჯახის აუცილებელ კავშირში ხედავს. მოზარდმა ცოდნა უნდა შეიძინოს. ცოდნას სკოლაში იძენს, მაგრამ დასწავლა ოჯახში მიმდინარეობს. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის პროცესში სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იფიქროს მშობელთა პედაგოგიური აღზრდის საქმის გაუმჯობესებაზე. კერძოდ, აღადგინოს უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდის თეორიის სწავლება, ხოლო სკოლებში მხოლოდ სწავლება კი არ უნდა მიმდინარეობდეს, არამედ აღმზრდელობითი მუშაობაც;

20. დიმიტრი უზნაძემ დაამუშავა თვალსაჩინოების დიდაქტიკური პრინციპი და ქართულ პედაგოგიკაში შემოიტანა თვალსაჩინოების ისეთი სახე, რომელიც არა მარტო მხედველობით, არამედ მოქმედებასა და სხვა საგნებთან დამოკიდებულებაში გააცნობს ბავშვებს საგნებსა და მოვლენებს. მას დიდმა პედაგოგმა ინტენსიური თვალსაჩინოება უწოდა;

21. დიმიტრი უზნაძე პირველი შეეცადა საქართველოში გამოესწორებინა ნაკლი ქართულენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოების არარსებობის და გამოაქვეყნა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ისტორიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის, განვითარებაში;

22. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური იდეების გაცნობა მასწავლებლებს გაუძლიერებს სწრაფვას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის გზების შემოქმედებითი ძიებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამონაშვილი შ., მოსწავლეთა შეფასების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქცია, ექსპერიმენტულ-პედაგოგიური გამოკვლევა, პედაგოგიკა, მოსკოვი, 1984.
2. ამონაშვილი შ., გარდაქმნის მთავარი პირი, თბილისი, 1989.
3. ბასილაძე ი., ფსიქოლოგიზმი პედაგოგიკაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ქუთაისი, 2007.
4. ბასილაძე ი., ძოწენიძე ქ., მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, ქუთაისი, 2008.
5. ბასილაძე ი., კობრეიძე ქ., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი, 2004.
6. ბერულავა ნ., დიმიტრი უზნაძე, თბილისი, 1967.
7. ბიბილეიშვილი ი., პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ბათუმი, 2011.
8. ბოცვაძე ლ., შრომა და მისი მნიშვნელობა, ჟურნალი „განათლება“, №6, 1914.
9. ბოცვაძე ლ., რუსეთის ცხოვრებიდან, ჟურნალი „განათლება“, №6, 1908.
10. ბოცვაძე ლ., „თავისუფალი აღზრდა ბავშვისა“, ჟურნალი „განათლება“, №7-8, 1908.
11. გაბიტაშვილი მ., დიმიტრი უზნაძე პირველყოფილი რელიგიური წარმოდგენების წარმოშობის შესახებ, „მაცნე“, „ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, №2, 1992.
12. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, №834, 1917.
13. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, №839, 1917.
14. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, №869, 1917.
15. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, №870, 1917.
16. გაზეთი „სახალხო საქმე“, №742, 1920.
17. გაზეთი „ჩემი მეგობარი“, №6, 1916.
18. Gardner, H.,(2006).Multiple inteligentces: New horizons(Rev.ed.).New York:Basic Books.
19. გობრონიძე ა., პედაგოგიკა, ბათუმი, 2000.
20. დარჩია დ., მშობელთა პედაგოგიზაცია და სასკოლო რეფორმა, თბილისი, 1985.

21. დიუი ჯ., განათლება და გამოცდილება, 1938.
22. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, თბილისი, 2004.
23. თავდგირიძე ლ., დ.უზნაძე და საუნივერსიტეტო განათლება, ფსიქოლოგიური გამოკვლევები, ბათუმი, 2006.
24. კიზირია., დ.უზნაძის სოციალური შეხედულებანი, თბილისი, 1980.
25. Larry Diamond, Toward Democracik Consolidation, Journal of Democracy, V.5, # 3, 1994.
26. მაღრაძე მ., ასაკობრივი ფსიქოლოგიის საკითხები, ქუთაისი, 1998.
27. მაღრაძე მ., თამაშის ფსიქოლოგია, ქუთაისი, 1995.
28. მაღრაძე, განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, ქუთაისი, 2008.
29. მაღრაძე მ., ინტერაქტიური მეთოდებით სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, ქუთაისი, 2005.
30. მელაშვილი კ., პედაგოგიური ხელოვნება, თბილისი, 2004.
31. Mead J. H., The Philosophy of the Act.Chi., 1950.
32. ნიშნიანიძე ო., მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოთა პირველი ქართველი ავტორები – დიმიტრი უზნაძე, „ხანძთა“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, № 4(9), ქუთაისი–თბილისი 2011.
33. ჟურნალი „განათლება“, №2, 1919.
34. ჟურნალი „განათლება“, №2, 1914.
35. რამიშვილი კ., პედაგოგიკისადმი ორგვარი მიდგომა, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №2-3, 2000.
36. უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 2005.
37. უზნაძე დ., ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალ, 1912.
38. უზნაძე დ., „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, ჟურნალი „განათლება“, №6, 1912.
39. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები, თსუ შრომები, ტ. 19, თბილისი, 1941.
40. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი , 1947.
41. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1998.

42. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1950.
43. უზნაძე დ., პედოლოგია, თბილისი, 1935.
44. უზნაძე დ., შრომები, ტ.6, თბილისი, 1977.
45. უზნაძე დ., ადამიანის ქცევის ფორმები, შრომები, ტ. 5, თბილისი, 1967.
46. უზნაძე დ., აღზრდის მიზნები, გაზეთი „დროება“, №2,3,5,6,8. 1910.
47. უზნაძე დ., აღზრდის მიზნები, გაზეთი „დროება“, №2, 1910.
48. უზნაძე დ., მოხსენება სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №2, 1980.
49. უზნაძე დ., „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №1, 1980.
50. უზნაძე დ., „სინათლის“ სასწავლებლის ანგარიში, 1916.
51. უზნაძე დ., პედაგოგიური წერილები, გაზეთი „მეგობარი“, №60, 1915.
52. უზნაძე დ., პედაგოგიური წერილები, გაზეთი „მეგობარი“, №79, 1916.
53. უზნაძე დ., პედაგოგიური წერილები, გაზეთი „მეგობარი“, №59, 1915.
54. უზნაძე დ., პედაგოგიური წერილები, გაზეთი „მეგობარი“, №78, 1916.
55. უზნაძე დ., მოხსენება სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ, გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, №4-5, 1916.
56. უზნაძე დ., სწავლა სასკოლო ასაკის ბავშვის ძირითადი ფორმა, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის შრომები, III, 1947.
57. უზნაძე დ., ძველი ისტორია, წიგნი I, ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი, ქუთაისი, 1919.
58. უზნაძე დ., ძველი საბერძნეთი, ნაწილი მეორე, ქუთაისი, 1918.
59. უზნაძე დ., რომი, ნაწილი მესამე, ქუთაისი, 1919.
60. უზნაძე დ., ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, თბილისი, 1922.
61. უზნაძე დ., ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ქუთაისი, 1917.
62. უზნაძე დ., შრომის სკოლა, ჟურნალი „განათლება“, №7, 1916.
63. უზნაძე დ., სკოლის რეფორმირების შესახებ, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №5, 1990.

64. უზნაძე 1915-1916: უზნაძე დ., „სინათლის“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლის 1915–1916 სასწავლო წლის ანგარიში.
65. უზნაძე 20018: უზნაძე დ., განწყობის თეორია, თბილისი, 2008.
66. სარიშვილი 1956: სარიშვილი ტ., სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში, თბილისი, 1956.
67. კონსტიტუცია 1995: საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა, 1995.
68. კრებული 1978: სახალხო განათლების საკითხებზე დადგენილებათა კრებული, პირველი გამოშვება 1918 წელი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1978.
69. დამხმარე სახელმძღვანელო 2008: სწავლებისა და განვითარების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008.
70. ფრანგიშვილი 1969: ფრანგიშვილი ა., სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, თბილისი, 1969.
71. ჩხარტიშვილი 1975: ჩხარტიშვილი შ., სწავლის მოტივაციური ფორმები, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №12, 1975.
72. ჩხარტიშვილი 1974: ჩხარტიშვილი შ., აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1974.
73. ჭიჭინაძე 1915: ჭიჭინაძე ალ. რიჟრაჟზე სათქმელი, „განათლება“, №10, 1915.
74. ჭკუასელი... 2012: ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ივ. ., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 2012.
75. ჭკუასელი 1981: ჭკუასელი ი., ჟურნალი „განათლება“ და მისი ადგილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში, თბილისი, 1981.
76. www.civics.ge
77. library.iliauni.edu.ge/ilib/catalog/69
78. orioniblog.blogspot.com/2011/07/blog-post_9990.html
79. www.youtube.com/watch?v=qIas9gZHG6k
80. inteleqtika.com/biography/.../dimitri-uznadze-2/
81. mastsavlebeli.ge/index.php?action=page&p_id..